

114 /  
1954 / 3



საქართველოს  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

# გნაოთუბი

4

საკბოლო

---

1954



# ენათმეცნიერება

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მუშაკლასური  
და საზოგადოებრივ-ქოლიბიური ჟურნალი

საქართველოს საზოგადოებრივი-მეცნიერების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეთერთმეტი

4

★

რ ი ზ ი



საზოგადოებრივი  
თბილისი

54



14104  
~~3663~~  
6638



მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

გიორგი ლეონიძე — ლენინი, ლექსი . . . . . 3

ი. გრიშაშვილი — ლენინს, ლექსი . . . . . 4

კონსტანტინე გამსახურდია — ვახის ყვავილობა, რომანი, გაგრძელება . . . . . 5

ნარსიზიანი ვარდოშვილი — მერცხალი, ლექსი . . . . . 25

ალექსე შენგელია — სიმღერა გატეხილ ყამირზე; ჩაუშვრალი შუქი, ლექსები . . . . . 26

აკაკი ბელიაშვილი — უღელტეხილი, რომანი . . . . . 27

ილია ხოშტარია — სვანთში, ლექსი . . . . . 49

ვახტანგ გორგანელი — სალამო ტებერდის წეობაში; ფერმაში, ლექსები . . . . . 50

შალვა ფორჩხიძე — ორი ლექსი . . . . . 51

ნოდარ გურგენიძე — მებადურებთან; რა მიტხრა? ლექსები . . . . . 53

მედუა კახიძე — ნეტაეი აქ იყო; შენ ჩემთვის გინდოდა, ლექსები . . . . . 54

თენგიზ გაგოლაძე — ოქროყანა, მოთხრობა, ნაწილი მეორე . . . . . 55

გიორგი გუბლია — მალბახის სურათი; სალამო ზღვისპირა სოფელში, თარგმ. აფხა-  
სურებიდან ზ. ბოლქვაძისა; \* \* \* ლექსი, თარგმანი აფხაზურიდან ე. ჯაგაბაძისა 106

თამაზ კილაძე — გახაფხული, ლექსები . . . . . 107

დავით კვიციანიძე — ბაბუა და შვილიშვილი, ლექსი . . . . . 109

ვადიმ სოხკო — გული, მოთხრობა, თარგმანი პ. ო. ლ. ო. ა. ბ. რ. ა. მ. ი. ა. ს. . . . . 110

ალბერტ შალცი — ცირკი ჩამოვიდა, მოთხრობა, თარგმანი ინგლისურიდან ციალა  
ხაჩიძისა . . . . . 135

ლიტერატურული კრიტიკა

სერგი კილაია — ქართული საბჭოთა ლიტერატურის ახალი ამოცანები, წიგნილი . 135

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ზურაბ ტუშუტურიძე — საინტერესო ნარკვევი . . . . . 150

სერგო კლდიაშვილი — „ბუნდარული ლიტერატურა“ . . . . . 151

ნოდარ რუხაძე — „ვასილ ტიორკინი“ ქართულად . . . . . 152

გიორგი კახიძე — როდის კორქიას — მოთხრობები . . . . . 155

შალვა დონდაძე — „სიცოცხლის წყარო“ . . . . . 158

ვურამ ზედგინიძე — ნარკვევი ქართული ხელოვნების ორი მნიშვნელოვანი  
ძეგლის შესახებ . . . . . 160

რედაქტორი

ალიო შირცხუღავა

სარედაქციო კოლეჯია

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბენაშვილი, ნიკო კეცხოველი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხიძე, სერგი შილაია.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 14/V-54 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. უფ. 02677. შვე. 514. ტირაჟი 5.300.

პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5, ტელეფონი 3-23-42.

პირადი ღონიძე

ღ ე ნ ი ნ ი

★

ლენინის სიტყვა?  
მწამს, მომავალშიც  
გულის ფიცარზე  
ყველას ეწეროს;  
ვარსკვლავად კრთოდეს,  
მზიდ ენთოს თვალში,  
რწმენაში ვარდად  
აღმოეცენოს!  
სისხლსა და ხორცში  
იჭედებოდა  
ლენინის სიტყვა,  
ლენინის აზრი;  
ვით იარალი,  
თან დაჰყვებოდა  
მუშებს ეს სიტყვა, —  
მკრელი და ბასრი!  
— ჰქვეთავს ლენინის აზრი ხმალივით,  
და აღმასივით არ იღუნება,  
უძლეველია ქარიშხალივით,  
აზვითებული მისი ბუნება.  
— ბნელსა რომ მოჰგლეჯს  
ძირფესვიანად,  
ეს სიტყვებია გასაგონებლად.  
— გულსაც რომ დასწევს  
და სულს რომ ასწევს,  
და არწივებთან აჰყავს გონება...  
ცალად რომ არის  
ლენინის სიტყვა,  
ცალად გრიგალი აეწონება!  
ვაზნაში ეღოთ  
და ყუმბარაში  
თავისუფლების დასაბრუნებლად.  
— ლენინი არის  
ხალხის დარაჯი,  
გამეფებებია მისგან ბუნება,  
მხრებზე ამსხმია  
არწივის ფრთები,  
წინ მომავლისკენ,  
გასაქროლებლად!

ნაწევები.

ცალად რომ არი  
ლენინის სიტყვა,  
ცალად გრიგალი  
აეწონება!..  
— სულში ჩაგვეჭრა,  
სისხლს მიგვეჭედა,  
ლენინის სიტყვა  
ცეცხლშეფენილი...  
კობაე,  
ლოდინში გული შეჩერდა,  
ჩქარა გვიჩვენე ჩვენი ლენინი!  
სიტყვა ნათხოვნი მკვეთრად გაისმა...  
— გვეყო ლენინის უნახველობა!  
(მიაშბო ძველმა პროპაგანდისტმა,  
რომ დაველილი აქვს ბევრი ხეობა).  
— აგვიტყუნენ მუშები:  
— გვიჩვენეთ ლენინი,  
მით მოგვიოხეთ  
სულის წყურვილი!  
ლენინი გვიჩვენეთ!  
ლენინი გვიჩვენეთ!..  
... და კობამ,  
აცნობა ლენინს  
ეს სურვილი...  
მოსწერა ლენინმა,  
მისებრ თვალმიგნებით  
(ხალხი და ლენინი, ხომ იგოვია):  
— შეხედეთ რუს გლეხს,  
იგი მე ვიქნება,  
შეხედე რუს მუშას...  
და იგი—მე ვარ!

შეხედეს... იცენს...  
იწამეს... გაჰყვა ყველა მებრძოლი  
და ნაშაეთარი...  
და საბრძოლველად  
ყველა მზად არი, —  
ქვა და ყუმბარა, დანა, ხანჯალი,  
დაე მოვიდეს სისხლის აედარი!  
ლენინი არის ხალხის საჯრდალი!..

## ღ ე ნ ი ნ ს



შენ დაიბადე აპრილის თვეში,  
როცა იღვიძებს მიწა გამთბარი,  
როცა მწვანდება სხივების თქემით  
ჩვენი ქუჩები, ჩვენი მთა-ბარი.

აბა სად გვყავდა ჩვენ მოამაგე?  
სიმაართლის მარცვალს ელოდა ხნული,—  
მოხველ და კვირტმა გააპო ბაგე  
და დაუმკვიდრე ხალხს გაზაფხული.

ჩვენი მეგზური მარად შენა ხარ,  
სტალინმა გვითხრა ჯერ კიდევ ოდით:  
ლენინის ქუჩა ჯერ არ გვენახა,  
მაგრამ ლენინის გზით მივდიოდით.

ლენინის დროშამ გაუძლო დრო-ყამს,  
ხარობს ქვეყანა დოვლათით საესე,  
ლენინის დროშა, სტალინის დროშა  
ლაღად ფრიალებს მოსკოვის თავზე.

1954 22/IV.



## ვ ა ზ ი ს ყ ვ ა ვ ი დ ო ბ ა

რომანი

პროლოგითა და ეპილოგით

★

ქლივა შქლიველისა

აბრია-ავსიტყვა ლენისაგან დაოსებულ მიბრუნდა შინ. ჯერ ეზოშიაც შესული არ იყო, ყვირილი მორთო:

„მაო, მაო...“

მაო თონეში პურს აკრავდა, ამიტომაც წამსვე ვერ უპასუხა ქმარს.

„მაო, მაო...“

დამღულრულივით ბრდღენიავდა ავსიტყვა. ამ ძახილზე აბრიას გამოეგება შეილიშვილი, თეთრო. იგი ქმართან გაყრილი იყო და ამიტომ შეიძულა პაპაძე.

ახლა, როცა იგი მთერალს შეეხეწა სასტიკად შეუბღვირა აბრიამ და ისე დაუტატანა, როგორც აბეზარ ძალს დატუქსავს ხოლმე ავი ბატონი.

„მაოოო“, აყვირდა აბრია ისევ, თეთრომ ბოსლისაყენ მოკურცხლა. როგორც იქნა, მოაღწია ფქვილში ამოთხვრილმა, ოფლში გალვარულმა მაომ.

„სად ჯანაბანში ხარ, დიაცო?“ შეუძახა აბრიამ.

„პურს ვაცხოვდი, ეგე, კაცო“... — მიუღო აცხცახებულმა მაომ.

„პური რა შავ ქვად გინდა, დედაბერო. ქვეყანა იწეება სიციხისაგან, წყალი დამალევიანე, იავოპ“.<sup>1</sup>

„წყალი სადა მაქვს, ეგე კაცო, მე ცოცხა ვხელდი, თეთრო კერავდა, სხვები კრებაზე აწვიდნენ, წყალზე ვინ გამეგზავნა, ჩემო ბატონო“.

გაცოფდა აბრია: როდის გაათავებენ ეს ობრები კრებას და ამდენი საყერი თეთროს რა აქვსო. თეთრო თავტირილისთვის ზომ არ ემზადებოა. მე შინ ვერ დავაყენებ ქმარგაყრილ ქალს, უჯობს, შავები შეიკეროს და დროზე გამართოს თავტირილი.

ქვეყანა იწეება, საძოვრები გადახმა. ცხვარი გველუპება, ჩემი შეილიშვილები კრებაზე დაეხეტებიან, ზოგი კერავს, ზოგიც ენის ქაილს აყოლიაო.

გახევებული იდგა მაო და შესცქეროდა გაღეშილ ქმარს, არყის სუნი ცხვირპირში სცემდა დედაკაცს.

აბრია განაგრძობდა დუღუნს:

„ქვაკაცას წმ. გიორგი გაარისხეს, აბა რა ეგონათ კომუნისტებს, მამუკას უბანში სანერგე ფარდული ააგეს, ვახები ჩაჰყარეს, წმიდანების ძვლებზე ტრაქტორებმა გადაიარეს. აბა რას იზამდა ქვაკაცა“.

„პური მიფუქდება“, — ჩაიდუღუნა მაომ და თონისაყენ გაიქცა.

„მაოო, — იყვირა ისევ აბრიამ. — წყალი...“

„საიდან მოგართვა, მე თვით წყურვილი მახრჩობს, თონეში ჩაყუდებულს“.

„წყალი-მეთქი, ჩქარა“.

მაოც წაფრატუნდა და წყლის მაგივრად საჩხრეკა<sup>1</sup> მოართვა კაკლის ქვეშ მჯდომარე ქმარს.

<sup>1</sup> გაგრძელება. იხ. „მნათობი“ 1951 წ. № 11, 12, 1952 წ., 1, 2, 3, 5, 7, 8.

<sup>1</sup> იავოპ — თუშურად — დიაცო.

<sup>1</sup> საჩხრეკას თუმები დოს უწოდებენ.



ტუჩ-პირზე მოიყუდა აბრამი საჩხრეკას ქილა. მერმე უცებ მოიცილა პირიდან, გამოადრუცა და ქილა პირდაპირ ესროლა ცოლს, მაგრამ მათი აიცილინა იგი.

„ეს გაღამიანებული საჩხრეკა შენს მკვდრებს გადაასხი, დიაცო, საფლავზე“.

თავი იმართლა მათი:

„დღევანდელია, სამებას გეფიცები, ეგე კაცო, ახალია“.

„სამების მადლიც გავიწყრეს, იავოჰ“.

მაო ისევ გაბრუნდა თონისაკენ, რადგან დახრტული პურის სუნი დადგა ეზოში.

„სად მიეთრევი, იავოჰ?“

„პური მეწვება თონეში“.

„აქ მო... შენ გეუბნები, დიაცო. რა ემშაკსა და დოზანას უცდით. ქვეყანა იღუპება...“

„მერე მე რა ვქნა, ეგე კაცო?“

„რად არ მიდიხარ დიდებაზე?... ან საწვიმარა გუგაი მორთეთ, ან მიცვალებულების ძვლები გადაყარეთ წყალში. <sup>2</sup> შევედრეთ ქვეყანა ქვეკაცას“.

„მე ერთი ვარ და სად წავიდე?“

„შენ ერთი როგორა ხარ, შეიდი რძალი მყავს და ოციოდე ძმათაშვილებისა და ბიძათაშვილების ქალ-რძალი“.

„რას ამბობ, ეგე კაცო, თხუთმეტი კომკავშირელი შინა გყავს და ვინ დაგანებებს დიდებაზე წასვლას, საწვიმარა გუგაის მორთვის, ან ალაზანში ძვლების გადაყრას“.

„იციოდე, დღესვე შეკრიბე ქალ-რძალი და სამებაზე წადით, თორემ არც ერთი არ დამიხვდეთ, თეთროც წაიყვან...“

„ჩვენ დედაბერები დიხაჯ წამოვალთ,

<sup>1</sup> ძველად დიდი გვალვის დროს დედაკაცები ფეხშიშველა შემოივლიდნენ სოფლებს, თითო მძევა ხორბალს ჩამოითხოვდნენ და მერმე შესაწირავს მიუტანდნენ ხატს.

<sup>2</sup> თუშური ჩვეულების მიხედვით, სოფლის გოგონები პატარძლის სამოსელს გადააკმევენ გოგონს, წყალზე წაუვან, წყალში ამოაღებენ „გუგაის“ და მღერაინ: „ღმერთო, მოგვეც ტალახიო, აღარ გინდა ვარახიო“.

მაგრამ თეთრო კომკავშირელია, როგორ-ღა წამოვა?“.

„კომკავშირელი მე ამიგოგავს, ხეყნაო წაიყვან, თორემ აქ არ დამიხვდეს...“

\*\*\*

ბერმუხას ჩასვლის უმაღლეს არასანუგეშო ამბები დაახვედრეს ციხისთავსა და კორინთელს თედომ და გოდერძიძე. განსაკუთრებით სასოწარკვეთილი სჩანდა გოდერძი.

„სადღელ უბანს, როგორც იქნა, ვუმკვლეთ, მაგრამ ცხრაშუხის ვაზნარებს ვინ შეაჯერებს წყლით“.

გოდერძის მდამ ხიბლავდა ციხისთავის სიმტკიცე და შეუპოვრობა. მას არა ერთხელ ჰქონდა დაცდილი, რომ უდიდესი შეჭირვების და განსაცდელის ქამს იგი არასოდეს მიეცემოდა უიმედობას.

ამჯერად ეჭვი შეეპარა გოდერძის. ციხისთავი ამოდენა ვაზს ამ განსაცდელისაგან როგორ-ღა გადაარჩენსო.

კორინთელიც შეშფოთდა, როცა მან გზაგავლითაც შენიშნა, რომ დიდ ზეარს იერი წახდამოდა. განსაკუთრებით შტამზე ამოსული ქვედაფოთლები იძლეოდნენ საგანგაშო სიგნალს.

ეს ხომ არ იყო მრავალწლიანი ვენახი, რომელსაც ღრმად გადგმული აქვს ნიადაგში ფესვები, არამედ საესეებით ლონტქოშო მორჩი, ნიადაგის სიმშრალის მიმართ ფრიად გრძნობიერი.

ცხრაშუხის ზეგანზე ახალშენის ვაზების დაღუპვა წარუშლელ ლაქად დაჩინდებოდა პროფესორ კორინთელის პრესტიჟს. პარტიის ცენტრალური კომიტეტი კორინთელის უნარსა და გამოცდილებას დაემყარა, ამიტომაც დაამუშავინა ფონდები.

თავისთავად იგულისხმებოდა, რომ კორინთელი, როგორც განსწავლული აგრონომი და ნიადაგმცოდნე, სათანადოდ შეისწავლიდა ამ საკითხს, წინასწარ გამოიკვლევდა ყოველივე ხელშემშლელ პირობას, რაც კი რამ წინ გადა-

უღებოდა ამ საშვილიშვილო საქმეს და ამის შემდეგ მისცემდა თავის მხრივ დასკვნას.

თუ ეს დიდი წამოწყება მარცხით დასრულდებოდა არც კორინთელსა და არც ციხისთავს საბუთად არ გამოადგებოდათ იმის მტკიცება, რომ სოფლელეპტროს მთავარმა ინჟინერმა ხელი შეგვიშალაო.

ცხადზე უცხადესი იყო, რომ მას შემდეგ რაც ტრაქტორებმა, ბულდოზერებმა და ექსკავატორებმა ამოძირკვეს და მოსაქვს ველური ვეგეტაციის ნამუსრევი ცხრაშუხის მთელს ზეგანზე, ტენიანობამ საგრძნობლად იკლო და უკანასკნელ დღეებში მთლად გაქრა იგი, რადგან მიწის ზედა შრეები გამოაშრეს ცალკე მზემ, ცალკე აღმოსავლეთის მკუთხვარე ქარებმა.

სავალალო ის იყო, რომ საქართველოს მიწსახკომის ხელმძღვანელ წრეებში საქმაოდ ძლიერი ოპოზიცია ჰყავდა ცხრაშუხაზე ვაზნარის გაშენებას. ამ ოპოზიციას ხელმძღვანელობდა განყოფილების გამგე აგრონომი ბილანიშვილი.

ამ უკანასკნელს უზარობად მოაჩნდა ეს საქმე. ცხადია, აბრია და ლუო უჯირაულეების დარად იგი ღრპასა და სხვა მავნებლებს როდი ასახელებდა, არამედ მოულოდნელ გვალვიანობას უჩიოდა.

ბილანიშვილი ამტკიცებდა: ცხრაშუხის ზეგანი ისეთი ზირხატიანია და ირგვლივ მდებარე მიწის მასივიდან მოწყვეტილი, რომ მოურწყავად ვაზს ვერასოდეს გაახარებთო. გაჩეხაეთ თუ არა ბარდინაებსა და კატაბარდით დაბურულ რცხილებს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარები შეუტევენ მოტეტლებულ ზეგანს და წიადაგს გამოაშრობენო.

როგორც კორინთელი, ისე ციხისთავი, თავის დროზე ანგარიშს უწევდნენ ამ საფრთხეს, მაგრამ ისინი უმთავრეს იმედს ჰესის აგებაზე ამყარებდნენ.

ახლა, როცა, უსახელოს მერხებით,

ძვირფასი სამი თვე დაჰქარგეს, განსაცდელი უკვე კარზე იყო მომდგარი.

ამ განსაცდელმა უფრო მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან მეცნიერი და რაიკომის მდივანი.

ამან ყოველივემ ისე შესძრა ვახტანგ კორინთელი, რომ მას უკვე სავსებით გადაეიწყადა პირადი ცხოვრების საკითხები.

წამოსასხამი და ჩემოდანი შინ გაატანა შოფერს, ზოლო თავათ მანქანაში ჩაუჯდა ციხისთავს.

გოდერძი და შვიდი ბრიგადირი მამუქასეულ ციხის უბანში დაუბდნენ რაიკომის მდივანსა და სტუმრებს.

მისვლის უმაღლე ატყდა ცილობა სამარქაფო არხის გამო. უსახელო თავისას არ იშლიდა, ასეთ პატარა ჰესისთვის სამარქაფო არხის გაკეთება სახსრების უქმად განიყვებას უდრის, ჩვენ კი ნაბრძანები გვაქვს, სახელმწიფო რესურსებს გავუფრთხილდეთო.

კორინთელი და ციხისთავი დათმობას არ აპირებდნენ, ისინი მოულოდნელ წვიმიანობას და ავარიის შემთხვევებს უწევდნენ ანგარიშს.

დიდხანს უსმინა ინსტრუქტორმა ახალაკმა ამ დავას, თვალი მოაქლო გორმახებით შემოზღუდულ მიდამოს, რომელიც თავისთავად უზარმაზარ ზეგანს წარმოადგენდა, სოფელ ბერმუხისაკენ დაქანებულს.

კორინთელმა თვალნათლივ დაუსაბუთა მას, რომ ირგვლივ მოჯართული გორმახებიდან დაძრული ნალექები დიდი წვიმიანობის დროს ზეგანის ცენტრში სახელდობრ „ირმის ტბის“ ამომშრალ კალაპოტში დაგროვდებიან და უშველებელი ძალით მიაწვებიან კამხალს, ასე რომ მარტოოდენ საწნეო ხაზი ველარ აიტანდა ამ ოდენობის წყლის გატარებას და, თუ სამარქაფო არხი არ მიეშველებინათ ასეთ დროს საწნეო არხს, არა მარტო ცხრაშუხის ვაზნა-



რებს, სოფელ ბერძენასაც წალკეასო წყალი.

ამსობაში ბორანთან მირთმეული ღვინო უკვე გამოწელებოდა უსახელოს, ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის აზრს რაც გაეცნო, უაჟქცევა დააბირა.

„მე სახელმწიფოს ჯიბეს ვუფრთხილდები, ამხანაგებო, თორემ რა შენაღვლება, როგორც თქვენ მიბრძანებთ, ისე გავაკეთებ. მე არ მიმაჩნდა საჭიროდ ამოდენა ცემენტის უსახელოდ ხარჯვა, იყოს ნება თქვენი, ჰა თქვენი ხმალი და ჩემი კისერი“, წუწუნებდა იგი.

სახელდახელო თათბირი რა მოათავს, ციხისთავი სტუმრებს წინ წაუძღვა და უამბობდა თავის გეგმებს ამ მშვენიერი არემარის სამერძისო პერსპექტივების გამო. ჩემი არ ისმოდა მკვლარი ციხე-ქალაქის შემოგარენში. ღამენათევი ჭოტები ისხდნენ ნაციხარების, ნასაყდრალეებისა და ნასახლარების ნამუსრეებზე.

თაქამონგრეულ გოდოლებსა და სამრეკოლებზე ლედვის ხეები ამოსულიყო, სუროსა და ავრებს დაებარდა აქაურობა. მასყვიანებიდან ზანტად გამოდიოდნენ სიციხისაგან დაოსებული გველები.

მოხუჭტომებულ თაკიდურები უწერტიგოდ ეყარნენ წარწერაგადაშლილ ლოდების ყორეებზე.

ნაციხარებსა და ნასაყდრალეებს ხედვე ეტყობოდათ, რა მკაცრად უჯიროთნით სიკვდილსა და წარმავლობას ამ გავერანებულ ნაქალაქარში.

არც ღვთისმგამობელი ერისთავისეული სასახლე იყო უკეთეს დღეში. მთავარ დარბაზში უზარმაზარი მუხები და თელეები ამოსულიყვნენ, კორინთელმა დიდხანს უთვალთვალა მათ და დასკვნა: თითოეული მათგანი ათასი წლის მაინც იქნებაო.

მთავარი დარბაზის ბუხრებს დაებჩინათ ქოსის ნაპრალივით ჩამავებული ხახა.

გოლიათური ქვის საწნეულქვირ ქვეყნები, ხელისწისქვილები, ზეთის სახდელი მოწყობილობანი, დაღწილი რკინის კარები და ფანჯრების კიდევებზე დაყოლებული ორნამენტების ნამსხვრეები ეყარა ირგვლივ.

„ამ მახინაში მონებს შეაბამდნენ ხოლმე, ატრიალებდნენ და ამგვარად ხდიდნენ ზეთს“, განუმარტა ახალკაცს უსახელო თავკობალამ. ბოლოს თავათ იყისრა მეგზურობა და ისე ომახინად წინ წარუძღვა სტუმრებს, თითქოს თავათ ყოფილიყო მამუკა ერისთავის განმგეთუხუცესი.

„ეს გახლავთ მთავარი დარბაზი. ეს დამსხვრეული თაკიდურები ამკობდნენ ალბათ ამ დაღწილ კოლონებს, ეგერ საძილო ოთახები, ეს თაღოვანი ვერანდა უნდა ყოფილიყო, უშუკელია. ამ ვერანდიდან, როგორც ჰხედავთ, ალაზნის ველი ხელისგულივით მოსჩანს.

ეგვიც კარის ეკლესია გახლავთ. ფიქალის სახურავი სევანურ ქუდსავით ჩამოუფხატავს გუმბათს. ჩემი ვარაუდით, ეს ნაგებობა მეცხრე-მეთათ საუკუნეზე გვიანი არ იქნება. მე არქიტექტურაშიაც მესმის ცოტა რამ.

აქ ასვენია ის „უძლეველი“ ქვაკაცის ხატი, რომელიც ჩვენ დრომდის თავზარსა სცემდა ამ არემარეს (სიტყვა „უძლეველი“ ირონიული ტონით წარმოთქვა უსახელომ). ჯერ კიდევ ჩემს სიყმაწვილეში, ხატობის დღეს, აქ მოდიოდნენ არა მარტო ხევისურები და წოვათუშები, არამედ ლეკები და დიდოელებიცა. შესაწირავი მოჰქონდათ ქვაკაცსათვის.

უნდა მოგახსენოთ, ნეკრესის შემდეგ ეს მთელს საქართველოში ერთადერთი ტაძარია, რომელიც მხოლოდ ღორს იღებდა ზვარაკად. ალბათ, აქაურ ბერებს უყვარდათ ღორის ხორცი... ჰი, ჰი...“ — იჯღანებოდა უსახელო.

„აქ მოდიოდნენ არა მარტო სალოკავად, საქონელი მოჰქონდათ, გასათხოვა-



რი ქალები მოჰყავდათ. მოჰქონდათ თავიანთი ნახელავი დანამუშევარი. ზოგი მთელი თავის მოსისხარს ეძებდა, არა ერთხელ მინახავს, თუ როგორ დასძმიან თავს, რა თქმა უნდა, ამ ეკლესიის გალავანს გარეთ, მოსისხარები ერთმანეთს ხმლით. ხშირად ამ ბრძოლაში მთელი გვარი, ბოლოს მთელი ტომი ჩაერთოდა, და უსამშველო სისხლის ღვრა იწყებოდა.

ამ საუბრით გართულნი უკვე მიადგნენ სამების ეკლესიის ღია კარებს. რკინის კარები ენაცს გამოეხრა. ჩამორეცხილ ფრესკებზე გამოსახული ერისთავები, ეპისკოპოსები დაწმინდნები სამოსშემოფხრწილ მათხოვრებს დამსგავსებოდნენ.

„ეს არის ის ღვთისმშობელი ერისთავი მამუცა, ხოლო მოპირდაპირე კედელზე მისი მამყვეარი ქორიკოზი. განსაზღვრულ ეპოქაში როგორ ებრძოდა ეს ორი წოდება ურთიერთს. ქვაკაცა ხან ერთს შველოდა, ხან მეორეს, მაგრამ მოვიდა ფოლადისკაცი და სამივეს ჩაუვარდათ ნაცარი კოვში“, — სთქვა უსახელომ და ცეკას ინსტრუქტორს ახალკაცს შეხედა.

კორინთელი დააკვირდა აბჯარში ჩამჯდარ გრძელელეაშიან მამუცა ერისთავს, რომელსაც მარჯვენა ხელი ხმალზე ჰქონდა დაყრდნობილი, მარცხენაში ურმის ფერსოსოდენა ფარი ეჭირა. ხმლის ვადამდის უწევდა მგლისფერი წვერი, ხოლო წვეტგადადრეკილ მუხარადიდან თაფლისფერი კელულები სამხრე აბჯარზე გადმოღვროდა.

მოპირდაპირე კედელზე გამოსახული იყო კუბრივით შეწვეროსანი ქორიკოზი. მას კვერცხის ყვითლისფერი სახე ჰქონდა, მხრები და ხელები ისე უმარჯვოდ და პრიმიტულად გამოხატული, ბალებიან სათამაშო გოჯილას უფრო მიაგავდა იგი, ვიდრე ადამიანს.

ფსივიით შავი წვერი სცემდა ომფორის ქვეშ გამოჩენილ. ორაგულის ქერქვისფერ რკინის პერანგზე.

ეს შავად გარუჯული, ყვითელი და ჯუჯა ქორიკოზი მრისხანე ფეხებს უბრიალებდა მოპირდაპირე კედელზე გამოხატულ ახოვან ფეოდალს.

\*\*\*

ციხისთავი და სტუმრები როგორც კი სოფელში მიბრუნდნენ, სახელდახელო მიტინგი გაიმართა ბერმუხის ქვეშ, რადგან ველარც სანერგე ფარდულმა დაიტია სამიოდე ათასი კოლმეურნი.

კოლმეურნეობებისა და თემსაბჭოების თავმჯდომარეები, ბრიგადირები და მერგოლურები სცვლიდნენ ტრიბუნაზე ურთიერთს. ისინი ლაპარაკობდნენ მოკლედ და საქმიანად, ასევე მოკლედ და სადად დაასკენა თავისი სათქმელი სიტყვაძვირმა ციხისთავმა.

„ამხანაგებო, ჩვენი დიდი ბელადი წინ მიგვიძღვის. ამიტომაც ვერც ჩვენი უემური მტრები დაგვაცლებენ რაიმეს, ვერც ბუნების უგუნური სტიქიონები“.

შემდგომ ამისა დაიწყო დიდი ლაშქრობა უძლეველის დასაძლეველად.

მეწინავე მანქანაზე ორ კაცს ხელში ამხანაგ სტალინის დიდი ფოტოსურათი ეჭირა.

ამ კოლონას უკან მოჰყვებოდნენ მუქანიშნები: მიძიე ტრაქტორები, ბულოზერები, გრეიდერები, რიპერები და ბარე სამი ბეტონისალმრევი მანქანა.

დანარჩენ მანქანებზე წერაქვებით, ბარებით, ცულებით შეიარაღებული ახალგაზრდები ისხდნენ, ისინი სომღერათ მოჰყვებოდნენ გველეთვის ზეგანისკენ მიმავალ აღმართებს.

ყველაზე უკან მიჩაქჩაქებდა ერთი საკმაოდ დახჯღრეული სამტონიანი მანქანა, ფქვილის ტომრებით, საკლავით, ღვინის კასრებით დატვირთული. ურთიერთზე ზედახორად დაყოჩებულ ფქვილის ტომრებზე ყველიერის ყვინივით შესკუპულიყო მეწისჭვილე ნიორთავა. მისი „მცველი ანგელოსები“, კანკრე, ლალბაწა და გაგრია ფერხით მოსხლომოდნენ ტომრებზე.

„სამების ხატისათვის შესაწირავი მიგვაქვს, ბიჭებო, ისეც გაგიწყრეთ მისი მადლი, ჰი, ჰი...“ — იჯლანებოდა ნიორთავა და თანაც მოხარშულ სიმინდს ლიჯნიდა.

„შენ, ჰეი, მოცოროზო, აეად ნუ ახსენებ ქვაკაცას, თორემ კომუნისტებზე გაავებულმა თუ შეგიბერა ერთი, მაშუკა ერისთავზე უარეს დღეს დაგაყრის“, — გასძახა ლალბაში.

„შენ, ბორნის ოთავყირივით წაგრძელებულა, შენ ვინა გკითხა, ერთბაშად ციხე-ქალაქი არ დამიქციოს, ან ჩემი ორი წყვილი ცოლშვილი არ ამომიწყვიტოს, რას მიზამს, ჰა?“

„რას გიზამს და ჰკუთას აგირვეს, ჯიგარო, გაგაგიეებს და ეგ იქნება“, უთხრა კანკრემ.

„ერთადერთს შენ ვერას დაგაქლებს ქვაკაცა, კანკრე“.

რაათაო? — ჰკითხეს ბიჭებმა.

„ქვაკაცა ყოველისშემძლეა, მაგრამ ვერც იგი გაგაგიეებს გიყს“.

დაიღრიჯა ნიორთავა და სიმინდის ლიჯნა რომ მოათავა, ნაქურჩელა უთაქათავში კანკრეს.

„რას სჩადიხარ, შე გველიჭამიაო?“ — უყვირა კანკრემ.

„გველიჭამიაცა ხარ და უარესიცა.“

ახალი ტარო აიღო ნიორთავამ და ახლა მას მიადგა, მერმე თავში ჩაუტახუნა კანკრეს და სერიოზული გამომეტყველებით უთხრა:

„არა, კანკრე, ახლა აღარ გეხუმრები, იცოდე, შენ არც უნდა წამოსულიყავი დღეს, რაიკომის მდივანი იქ იქნება და ცეკას წარმომადგენელი... შენებურად დღესაც მოგეგონებინა კბილის ტკივილი, ან მუცლისგერემა“...

„რაო, მე კი არა, შენ რას მოეთრეოდი, შე კაცის მატყუარავ. მე თუ წამოვსულუარ, ჯიგრიანად ვიმუშავებ კიდევაც, შენ რისი მაქნისი ხარ, არ დანავსო იქაურობა“.

„ისეც გაგიხმეს ეგ გამოლაყვებელი გოგრა, სამი წელია, ტყვეყოფილურნობაში გდიხარ და თვეებია მისი ხამთროების პარვის მეტს არაფერს აკეთებ დღისით, ხოლო ლამლამობით საქათმებში უვარდები ქვრივ დედაკაცებს“.

„ქათმებთან შენ უნახავხარო, შე ბოთლის ლანდო, ყოველი მამალი შენზე უფრო მალალია და აბა რომელი ქალი... ჰე, ჰე, ჰე...“

ეს დიალოგი კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ მანქანა უკვე მამუკას ციხის მისადგომებთან შედგა.

კანკრე მანქანაზე ავიდა, ნიორთავა აწვიდა ტომრებს, კანკრემ მოხვია ხელი და ტომრიანად ჩამოათრია ნიორთავა.

ნიორთავა არ დაიბნა, ფეკელში ამოთხვრილმა წელს ქვემოთ ჩამოვარდნილი შარვალი გაისწორა და მშვიდად სთქვა:

„შენ გაიხარე, ჩემო კანკრე, რა ხანია, ეირზე არა ვმჯდარვარ“.

\* \* \*

სასეხებით მოულოდნელად გამოცოცხლდა მამუკასეული ციხე-ქალაქი, არასოდეს, გარდა ხატობის დღეებისა, ამდენი ხალხი არაყის უნახავს მის შემოგარენში, საუკუნეების მანძილზე მდუმარება და მწუხარება სუფევდა აქ, ერთბაშად იფეთქა სიცოცხლემ და სტუმრად ეწვია მკვდარ ქალაქს, რათა კვლავ ხალისი დაებრუნებინათ ამ არემარისათვის.

დაკვრიოთი წესით შეუდგნენ ბულოზბერები და გრეიდერები ბორცვებისა და გორმახების გასწორებას, ექსკავატორი წაიგრძელებდა თავის ყანჩასებრ კისერს, ჩაკორტნიდა მიწას ფოლადის ლოჯებით, ყბებს გაიხსებდა ლორღითა და მიწით და გადაყრიდა ხევში ყოველივეს ამას.

უშველებელი რიპერი მიდგომოდა



სწორედ იმ ადგილს, სადაც ჰიდრო-ელექტროსადგურის შენობა უნდა აე-გოთ.

ბუღრუგუნა ტრაქტორები დათ-რევდნენ მიღებს, ტურბინის, აგ-რეგატის მოწყობილობას, დაპქროდნენ თვითდამცელო მანქანები, ეზიდებოდ-ნენ ქვიშას, რკინას, ხრეშსა და ცე-მენტს.

ხუთი ძმა დემეტრავილი, ალაზანს გადალმა ცნობილი დურგლები, ბეტო-ნის ჩასახმელ ფორმებს აკეთებდნენ, კახეთში სახელგანთქმული კალატოზე-ბი — სამი ძმა ჯოხაძე — ხელმძღვა-ნელობდა ჰიდროელსადგურის შე-ნობაზე მომუშავეებს.

ჩვენი ბერძნული მეგობრები — ხელანთ ვანო, ნიკა უჯირაული, კოლა სოკოლოვი ტრაქტორისტების ბრიგა-დირებად გამოჰყვეს.

აბრია და ლუი უჯირაულის თხუთ-მეტი შვილიშვილი, თხუთმეტივე კომ-კავშირელი, თავგამეტებით მუშაობდა, აქვე იყვნენ „შავი სოფლის“ კომკავ-შირელი ახალგაზრდები, ქალები და ვაჟები.

პროფესორი კორინთელი ტრანშე-ების სისწორეს ამოწმებდა, მას უკვე გადაეიწყებოდა ექიმების დარიგება, მზვარეში სიარულსაც რომ უშლიდ-ნენ, ისიც ცხელ დღეებში.

ბრიგადირებს და მერგოლურებს არა სჭირდებოდათ არც შეხსენება, არც შეძახილი, ყოველი კაცი გულწრფე-ლად მონდომებული იყო, თავისი წვლილი შეეტანა ამ საქმეში.

აქ მოსულიყვნენ შვილიშვილისშვი-ლები იმ თუშებისა, რომელნიც შეე-ლოდნენ ერეკლე მეფის დაღესტანში სწორედ იმ წელს, როცა მან დასტოვა ლეკ-ოსმალთა მიერ გარემოცული ყვარლის ციხე, ლეკეთი დალაშქრა და ციხის გარემოცვა მოხსნა ამ გზით. ესე-

ნი იყვნენ ცისკარიშვილები, თორ-ღვაიძეები, ელანიძეები, ჩხეიძეები, ქააძეები, ხეცოძეები, სტეფანაძეები.

მამაცურად შრომობდნენ ნაშვირები იმ თვედადებული ვაჟაკებისა, რო-მელნიც ასპინძასა და ჭრწანისში იბრ-ძოდნენ ერეკლე მეფის ლაშქარში: ალა-დაშვილები, მახარაშვილები, თეიჭრი-შვილები, კვირიკაშვილები, მახნიაშვი-ლები და მანაშვილები, ნაეროზაშვი-ლები და სიფროშვილები.

როგორც ხელდაკაიწებულ ეცხლ-ფარეშები, ოფლში გაღვარულნი, ტრიალტებენ ფოლადის დომნებთან, ისე მუშაობდნენ ამ გაუძლის სიციხეში კან-კრე, ლალბაწა და გაგრია.

ბერძნულები გაოცებული იყვნენ, რა ბზიკმა უქმინაო ამ ზარმაცებს, რო-მელთაც წლების განმავლობაში ლაზ-ღანდარობის, ბრაკონიერობის, ლო-თობისა და პაპიროსის წვევის მკტრ არაფერი გაოკეთებიათ კოლმეურნეო-ბების ფართობებზე. არც თუღო თ-რალაშვილმა იცოდა, რითი აეხსნა ამ ზარმაცების ეგზომ გააქტიურება.

როცა ტურბინის გადმოტვირთვა და-იწყეს ხუთტონიანი მანქანიდან, თა-ვის საქმეზე მავალმა კანკრემ, რა შე-ნიშნა, გაუტირდათ ბიჭებს. მხარი შეუშვირა და სამი კაცის ტვირთს გა-უძლო ბარე ოცი წუთის მანძილზე.

სადაც მუშაობა შენელებოდა, ან გარღვევა და ჩამორჩენა იყო მოსა-ლოდნელი, გოდერძი კანკრეს, ლალბა-წას და გაგრიას იქ მიაგდებდა და ავა-ზასავეით დატრიალდებოდნენ სამი-ვენი.

შეხუმრებით და ანგლობით ამხნე-ვებდნენ ისინი ამხანაგებს, თავათაც გახარებულნი იყვნენ, ბოლოსდაბოლოს რომ მიაგნეს ცნობილ კუშმარტებას: თუ ადამიანი სიყვარულითა და ხალი-სით მოეკიდა შრომას, იგი უკვე შე-

მოქმედებად იქცევა და მაშინ ჯაფა თავისთავად ჰყარგავს თავის სიმძიმეს.

როცა ტურბინისა და აგრეგატის დადგმას შეუდგნენ, ელექტრომექანიკოს გოდამბრელიძეს სისხლი წასკდა ცხვირიდან, და წყაროზე წაიყვანეს, წყალი ასბენ კეფაზე, მადგრამ ვერ შეუჩერეს სისხლის დენა. ექიმი მოჰგვარეს. ვერავითარმა პროფილაქტიკურმა ხაზშაღებამ ვერ უშველა წინა დღეებში დასიცხულს.

საქმე ბრკოლდებოდა, მისი შემცველი არავინ სჩანდა. მთავარ ინჟინერთან მივიდა კანკრე და განუცხადა: ტურბინისა და აგრეგატს მე დაუდგამო. უსახელომ იპენეულად გაილიმა. ახედ-დახედა კანკრეს და უთხრა: „შენ რა გესმის, ბიჭო?“.

„რაც მესმის, ამას საქმე გვიჩვენებს“, — მიუგო კანკრემ.

ციხისთავს ბევრი რამ ჰქონდა განაგონი კანკრეს ანგლობისა და ბედოვლათობის გამო. ჯერ შეუყოყმანდა, მერმე მოიხზო კანკრე და გამოჰკითხა: ეს საქმე საიდან იციო?

გამოირკვა: თურმე კანკრეს წლების მანძილზე უმუშავეია ელექტრომექანიკოსად, თბილისში.

როცა კანკრე მუშაობას შეუდგა, ციხისთავი გამალებული ადევნებდა მას თვალყურს, ყოველი დეტალის გამო დაობდნენ უსახელო და კანკრე; ასეთ შემთხვევაში ჩუმად შეეთათბირებოდნენ ხოლმე კორინთელს, და აშკარა ხდებოდა, რომ კანკრე ელექტროტექნიკის პრაქტიკაში გაცილებით მეტ მიხვედრილობას იჩენდა.

არანაკლებ გააოცა ბერმუხელები ლალბაწას მუშაობამ. ლალბაწა უცნაურად შეიცვალა, სხვა დროს იგი თვით თოხისა და წერაქვის მოქნევისას იჩენდა უნიათობას, ისე უემურად ხმარობდა ამ იარაღებს, წარამარა უტყულებოდა მათი ტარები და ამიტო-

მაც გახუმრების საბაბს აძლევდა / ნიორთავას: ლალბაწა ტარების შეწყვეტას გაცილებით მეტ დროს აწინააღმდეგებდა, ვიდრე მუშაობას.

ახლა ლალბაწამ ისეთი ხელმარჯობა გამოიჩინა, თედო და გოდერძი საკუთარ თვალს არ უჯერებდნენ, მის ხელში ცვილივით მორჩილი გახდა რკინა, იგი მხარში უდგა კანკრეს და ყოველ მის მითითებას გულდასმით ასრულებდა.

\*\*\*

იძალა გვალვამ, თვით გველეთის ზეგანზე, მამულკას ციხის შემოგარენში გაუძღისი ხვატი დადგა. უხიაგი აღმოსავლური ქარი ჰჭროდა, სახეში აყრიდა მშრომელებს ცემენტის, კირის და ქვიშის მტვერს, ქალები და ბავშვები ვერ აუღიოდნენ ოსტატებისა და მუშებისათვის წყლის მიწოდებას.

„წყალი“: იმახონდნენ თხრილების გამვლებნი, მებეტონენი, ცემენტის მდღეებელნი, მეარმატურენი, ხარაჩოებზე გასული ოსტატები ყვიროდნენ: წყალიო.

ამათზე უფრო ხშირად ითხოვდნენ წყალს რკინის მიმდღეებელნი (რომელთაც სახეზე ლითონის ნილაბი აქვთ აფარებული, ძველი რაინდების ხარადისებური), გრანდიოზული სათვალეებით აღჭურვილნი ელექტროს ცეცხლით აწითობდნენ და აფულებდნენ არმატურის ტროსებს, მიღებსა და ფოლადის დეტალებს.

მანძილი დიდი იყო სათავო ნაგებობიდან, ჰიდროელსადგურის შენობამდის, ხოლო იქიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გაჭიმული საწნეო და სამარქაფო არხების დასასრულამდის, ილწვოდნენ და იბრძოდნენ კოლმეურნენი და ოსტატები.

გოდერძი და შვიდი ბრიგადირი და უცხოომლად დაჰჭროდნენ ამ უშველებელ ტერიტორიაზე გაჭიმულ ობიექტის



სხვადასხვა პუნქტს შორის. ამ საქმის სირთულეს ისიც ზედ ერთვოდა, რომ ამ ფართობის ზედაპირი უსწორია იყო. დახრამული აღმართ-დაღმართი, ალაგ-ალაგ პაწია გვირაბები უნდა გაეყვანათ პირამიდულ გორამაგებს ქვეშ, ხან პატარა აკვედუცები უნდა გაეკეთებინათ, ხანაც დაცურებული ბილიკი ჩადიოდა ტაფობში და იქ საჭირო იყო წყლის ინერციის ოსტატური გამოყენება.

ყველაზე მეტად ქირდა ცემენტის, კირის, არმატურისა და ზრეშის მიწოდება ისეთ უბნებში, სადაც მექანიკური საშუალებანი უკვე უხმარანი ხდებოდნენ. მკლავმაგარი ბიკები აიკიდებდნენ ხოლმე არმატურის რკინეულს და თავათ აწვდიდნენ ოსტატებს ამ მასალას.

ამ შემთხვევაში გამოიყენეს ტრადიციული, ჩვენი ციხეების აშენების ხერხი, ხუთასიოდე კაცი მშკრივში დგებოდა და კონვეიერული წესით აწვდიდა მასალას მანძილის ბოლოში მდგართ.

ასე და ამგვარად, ამ დამუნჯებული მკვდარი ქალაქის შემოგარენში, სადაც მრავალი საუკუნის მანძილზე არაეის სმენია ჩაქუჩის რაკენი, უროს ცემა და ნაჯახის ჩქამი, ერთბაშად გახშიანდა მანქანების ბუბუნი და ქშენა, ტრაქტორების, ბულდოზერების, ცემენტისსადღეებ მანქანების გუგუნი, უროებისა და ჩაქუჩების ცემისაგან ამტყდარი ხმაური, ის საამური სიმფონია, რომელიც თან ახლავს ხოლმე საბჭოთა ეპოქის მშენებლობის ტროუმფულ სვლას.

უფრო და უფრო ძლიერდებოდა ხვატი. ჩრდილში უკვე ნა გრადუსს უწია სიცხემ. ოსტატებს უჭირდათ გახურებული მილებისა და რკინის დეტალებისათვის ხელის შევლება.

ნიავე სადღაც ჩაკვდა, კიდემეტრუსული ფოთლები ისე გახევებული

ეკიდნენ ყუნწებზე, თითქოს ისინი თუნუქისაგან გამოუკვეთებულნი

გველეთის ზეგანის გამომწვევად წყაროებს მოადგნენ უამრავი გველები, ნადირითა და ფრინველით გაივსო ბუჩქები, რომელთა შორის ჩამიჩუმი არ ისმოდა ამ რამდენიმე დღის წინათ. წყალს ეწაფებოდა ნადირი, ფრინველი და ქვეწარმავალი. უწყლოდ დასიცხულ, საცოდავად მობუზულ ხეებს შტოები აღებყროთ, თითქოს ცას შესთხოვენო სიცოცხლის მიმნიკებულ წვიმებს.

ორშაბათ დილას, როცა ჯერაც მოსულნი არ იყვნენ, ველად მიტოვებულ ხელსაწყოების დარაჯები უთენია გამოაღება ირმის ბლავილმა, ფური ირემი გამომდგარიყო მამუქასეულ ციხის ძირში და საწყალობლად ბლაოდა.



ციხისთავი ამჩნევდა, სიცხე განსაკუთრებით ცუდად მოქმედებდა კორინთელის ჯანმრთელობაზე, ლოყებ-წამოქარხლული იგი წარამარა სველ ცხვირსახოცს იღებდა თავზე, ამოდ ემუდარებოდა ციხისთავი კორინთელს: დილის საათებში ამოდი, თვალი გადაავლე მუშაობის მსვლელობას და შინ დაისვენეო.

გაცილებით მეტ ზიანს აყენებდა მის ჯანმრთელობას იღუმალი შიში ამ ახლადმოშენებული ვაზნარების კატასტროფულად განადგურებისა.

მან კარგად იცოდა, რომ გამწე გვალვის დროს არსებობს დასიცხვის კულმინაციური წერტილი, როცა ერთი დღე-ღამის განმავლობაში შესაძლოა ანახლად განადგურდეს მთელი ვენახი.

გველეთის ზეგანზე მანქანის ასვლამდის ჯერ თავის საცდელ უბანში მიდიოდა კორინთელი.

გულმოდგინედ აკვირდებოდა, ბლოკნოტში ინიშნავდა — გვალვის თანხმარ პირობებში როგორ გამოვლინდება იჩენ-

დნენ ცხრამუხის ხირბატიან ნიდაგზე ქართული ვაზის ნაირნაირი ჯიშები.

მერმე გადადიოდა დიდ ვენახში, თავჩაქინდრული დადიოდა მწკრივებს შორის. წყვეტდა ლერწმე შემსმარ ფოთლს. ძირებს უსინჯავდა ვაზებს, გულგახეთქილი ხედავდა. თუ როგორ უძლეოდა ფოლადისფერი იერი იმ მწკრივებს. რომელნიც, სულ ორიოდვე კვირის წინ ლურჯად შეფოთლილნი, საამურად ბიბინებდნენ. დასავლეთის გრილი ნიავის ქროლვას აყოლილნი.

ეს მშვენიერი ტანაყრილი ვაზები იდგნენ ნირმეცვლილნი. გარინდებულნი, ხეატისაგან კიდებშეტრუსული ფოთლები უცაბედად მოკლულ ფრინველებივით ცვივოდნენ ძირს.

გულდათუთქული აგრონომი თვალნათლივ ხედავდა. თუ როგორ ეპარებოდა ჭკნობა ვაზნარს. იმასაც ამჩნევდა. რარიგად თუთქავდა კასპიის გადალმიდან გადმოხვეწილი ცხელი სუნთქვა სამოთხის დარად აყვავებულ ვენახს. რომელიც ადამიანების თავგამეტებულმა შრომამ აღმოაყენა ამ გავერანებულ ზეგანზე.

კორინთელი შედგა, დასავლეთისკენ გაიხედა. მაინცდამაინც სანუგეშო პირობა არ უჩანდათ ფორთოხლისფერ ღრუბლებს. ისინი გულგრილად გადაუვლიდნენ ალაზნის ველს, იალქანგაშლილ გემებსავეთ მიყიალებდნენ შორეთს, როგორც აუზდენელი იმედები ხელმოცარული მეოცნებისა.

ისე გამოდიოდა, ბუნების უცნაურ პირვეულობას მიზნად დაესახა, ერთი დაკვრით შეემუსრა თავდადებული კოლექტიური შრომის ეგზომ კეთილშობილი ნაყოფი, პირი შეეკრათ ცასა და მიწას, რათა კვლავ ქაოსი და უნაყოფო ევერი დაემკვიდრებინათ ცხრამუხის ზეგანზე.

დაზაფრულმა კორინთელმა გამოიხეურა ვაზნარების ღობეზე დაკიდული ჩელტის კარი და სანერგე ფარდულისაკენ მიმავალ ბილიც დაადგა.

ცალთვალა გაიოზი თავისი განუყრელი საჩიტე თოფით წინ შემოეჭყარა.

„რად დაღვრემილხარ, მატონა, პროფესორო?“

„აბა გასახარებელი რა გვაქვს, ჩემო გაიოზ, სადაცაა ეს ამოდენა ნაქირნახულევი უნდა გაანადგუროს ამ ტიალმა გვალვამ?“

„ფიქრი არაა, უფროსო, ხვალ ზეგათენგენობა გვაქვს თუშებს, ისევე ქვაკაცას წმ. გიორგი გვიშველის, უფროსო“.

„ჰმ, ათენგენობა, წმიდა გიორგის იმედი ამ საქმეში ძლიერ მაეჭვებს, ჩემო გაიოზ, თუ ჩვენმა ბრიგადებმა იმარჯვეს, ეგებ წყალი მივუსწროთ ჩვენს ვენახებს სულზე“.

სულ რამდენიმე ნაბიჯი გავლილი ჰქონდა კორინთელს, გაიოზი წამოეწია და უთხრა:

„მართლაც სულ დამავიწყდა, პროფესორო ბატონო, გუშინ მთელი დღე დაგეძებდათ ვიღაც მოხუცი. ბარე სამჯერ მოვიდა თქვენ სანახავად სანერგე ფარდულში. მე არ ვიცოდი, სად ბრძანდებოდით. სასტუმროში მივასწავლე, იქ მოიკითხეთ-მეთქი. უარი თქვა სასტუმროში წასვლაზე. უკანასკნელად ბარე ორ საათს გიცადათ. ვინაობა ვკითხე, პასუხი არ გამეცა და გამშორდა. ხვალაც გამოვივლიო, ეს დაგიბარა“.

კორინთელი დაფიქრდა. ახლა იმ მოხუცის ანაგობის გამოკითხვას შეუდგა. როცა გაიოზმა ამ უკანასკნელის გარეგნობა აუწერა მას, კორინთელის ფიქრი ძია ნიკოს მისწვდა.

სანერგე ფარდულამდის მისული არ იყო კორინთელი, როცა აზოვანი მოხუცი ფარდულიდან გამოვიდა და აჩქარებული ნაბიჯით მისკენ გაეშურა. კორინთელმა შორიდან შეატყუა: ფრად აღლევებული სჩანდა საერთოდ დინჯი და თავშეკავებული ძია ნიკო.

იგი სულ ახლოს მიეჭრა კორინთელს და უთხრა:

„ეს ორი დღეა, რაც დაგეძებ, ვახტანგ“.

„რა იყო, რა მოხდა, ძია ნიკო?“ — შეცფუნებულად იკითხა კორინთელმა, ნიკომ თავი აარიდა ამ კითხვას, ხოლო კორინთელმა კითხვა მოუხაცვლა:

„სასტუმროში ხომ არა ყოფილხარ, ძია ნიკო?“

„არა, სწორედ გითხრა, არავითარი ხალისი არა მქონია პირისპირ შევხვედროდი ვინმეს. აქ ერთი ნათლიმამა მყავს, სოფლის ბოლოს, მთელი დღე იქ ვიყავი, ყველას ვარიდებდი თავს, რამდენჯერმე მოვედი. ცალთვალა დარაჯმა სანუგეშო ვერაფერი მითხრა, მერმე ერთ ახალგაზრდა ქალს გამოვკითხე: „ქვის აშენებენ გველეშოში და, შესაძლოა, პროფესორი იქ ბრძანდებოდესო“.

კორინთელს მუხლი მოეჭრა მღელვარებისაგან, იქვე გდებულ წიფლის ნამორებზე მიუთითა სტუმარს:

„მოდი, აქ დავიმუხლოთ, ძია ნიკო, ჰა“, — უთხრა, თანაც თვალს არ აშორებდა. მას აოცებდა მუდამ მოლხენილი კაცის ვაგლახად დაღრეჯილი სახის იერი.

„ცუდი რამ ხომ არ შეგმთხვევიათ, ძია ნიკო?“

„ბევრი არაფერი, მაგრამ არცთუ სასიამოვნო ამბის მაცნედ ვარ მოსული, ვახტანგ“.

„რა მოხდა ასეთი, მამიდაჩემს ხომ არაფერი მოსვლია, ძია ნიკო, ჰა?“

„მამიდაშენი კარგადაა, ღვთით, შეხსნე რამე თქვი...“

„მაინც რა მოხდა?“

ძია ნიკომ ღრმად ამოისუნთქა და დამდურულივით ათუხთუხდა: „გუშინწინ ღამით გამგე შემხვდა იმ არტელისა, სადაც ის გაოხრებული დეიდა ვარა მსახურობს, მკითხა, თუ სადმე ხვდებითო ჯორჯაძის ქვრივს, ვარას?“

ვხვდები-მეთქი ხანდახან. მერმე ასეთი რამ მითხრა იმ კაცმა: მაგ დედა-

კაცს წერილი მოუვიდა პატიხიდან. ფოსტალიონმა აკვილთუქიყვანულ მოგვიტანა, ბოლოს გამთვანთუქი მითხრა და ხელში მომამჩენა უშველებელი პაკეტი.

ღვთის წინაშე, დავინტერესდი და გამოვართვი, უნდა გამოგიტყდე, ვახტანგ, მე ამ ხნის კაცი ვარ და ჩემს დღეში არ მიკადრებია სხვისი ბარათის თავნებურად გახსნა. სასწრაფოდ გავეცალე წერილის მომტანს, სასადილოში შევეზბევი და ფრთხილად გავხსენი კონვერტი, ვიმეორებ, ეს ჩემთვის შეუფერებელი საქმეა, მაგრამ აკი გუუბნებოდი თელავიდან წამოსვლის წინა დღეს, სადაც შენ არა ხარ, შენი თვალი და ყური მე ვარ-მეთქი, მიტომაც ჩავიღინე ეგ. მე ფრანგული არ ვიცი, ამ წერილის წაკითხვა ვერ შევძელი, მაგრამ წინასწარ ვიცი, ამ ბარათში სასიკეთო არაფერი უნდა ეწეროს. ბარათი რა ბედნაა, ეს ფოტოსურათებიც კმარა...“

კორინთელმა გახსნილი კონვერტი გამოართვა ძია ნიკოს, ჯერ უამრავი ფოტოსურათი გამოიღო, ისინი ისე გაშალა ხელში, როგორც ბანქოს მოთამაშეები გაშლიან ხოლმე კარტს, როცა უნდათ გვერდით მჯდარს დაუმალონ კარტები.

ყოველ მათგანზე გამოკრთოდა ლუსიენ შარკუტიეს ღრანქმოქცეული სახე. კორინთელმა მერმე ეს ფოტოსურათები ერთი მეორეზე დააღაგა. ბოლოს ბარათი ამოიღო კონვერტიდან. თვალი გადაავლო ეფემიას მიერ წერილად ნაწერ ფრანგულს.

„ლუსიენს, როგორც ამას წინათ გწერდი, მელანქოლია შეეყარა, ხანგრძლივი მოგზაურობიდან პარიზს დაბრუნდა გუშინწინ. მისი დავალებით გიგზავნი ამ ფოტოებს. გითვლის მხურვალე კოცნას და გემუდარება — ისევ დაუბრუნდე მას“.

კორინთელმა აუღელვებლად დააღა-



გა ფოტოსურათები, ეფემიას წერილი ზედ დაადო, ხელახლა ჩასდო ეს ყოველივე კონვერტში, ნიკოს მიუბრუნდა და მშვიდად უთხრა:

„ახლა ყოველივე ნათელია ჩემთვის. რაც შეეხება ამ პაკეტს, შენ თავით განსაჯე, ძია ნიკო, ვისაც გენებოს, მას გადაუგზავნე იგი“.

\* \* \*

მედიკო, რა დარწმუნდა, ბერმუხიდან წასვლას აღარ აპირებდა კორინთელი, ანგარიში გაუწია დეიდამისის, ვარას, დაყინებულ მოთხოვნას და, როგორც იქნა, გადასწყვიტა გაემზეურობინა თავისი გარდერობი.

შოფერს შემოათრევინეს უზარმაზარი კოფრები და ტყავის ჩემოდნები, სათითაოდ დახსნეს ისინი. ნაფტალიონისა და ტყავის სუნი დაღვა გენერლისეულ დიდ დარბაზში.

„ეს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ჩემი დიდი გარდერობისა, — სთქვა ნაღვლიანად მედიკომ, — ეს ყველაფერი მაშიდა ეფემიას აგარაკზე დამრჩა. გაყრის მეორე დღესვე ზეთი ასეთი კოფრი და ტყავის ათი ჩემოდანი შამპანში გადაუგზავნე ლუსიენს. ამით გაგზავნასაც ვაპირებდი, მაგრამ მაშიდა ეფემიამ არ დამანება“.

მედიკო მცირე ხანს სდუმდა, მერმე სთქვა:

„მე დამნაშავე ვარ ლუსიენის წინაშე, დეიდა, ან არ უნდა გავყოლოდი, ან არ უნდა გავყოლოდი... როგორც ახლა ვაკვირდები ამ საქმეს, ორივე შემთხვევაში მაშიდა ეფემიას მიუძღვის ბრალი“.

მედიკომ ჩემოდნიდან კაბები ამოაღვა. პირველხარისხოვანი პარიზული მკერავეების ნახელოვნები. ნაფტალიონისა და ტყავის სუნის მიუხედავად ნაირნაირი ნელსურნელებანი თან ამოჰყვა მათ.

ეს საგნები ორგვარ ასოციაციას იწვევდნენ ორი სხვდასხვა ასაკის ქალის წარმოდგენაში. მედიკოს შემეცნებაში,

ყოველი მათგანი პარიზში გატარებულ წლებს, დღეებს, წუთებს მხოლოდ ბეზს ჰბადებდა.

გამსახურდია

ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა მედიკოს, თითქოს მის მიერ პარიზში გატარებული ცხოვრება დაქუცმაცებული მრავალ ნამუსრევად და ყოველი საგნის ქვრეტა აღუძრავდა მას იდუმალ ტკივილს განვლილისა და ახდენილის დაუბრუნებლობის გამო.

ამ ნივთებმა აღძრეს მის გულში მოგონებანი პარიზული სპექტაკლები-სა, ოპერებისა, დარბაზობების, აგარაკების და მოგზაურობათა გამო, ფლირტის, შეხვედრებისა, ყოველივე იმისა, რაც ბურჟუაზიული უქნარა ყოფნის უცილო ატრიბუტს შეადგენს.

და აღღვა მის თვალწინ ფუქსავატი, მაგრამ მოსაგონარად ტბილი, ეფემერული, მაგრამ „სანტიმენტებით“ აღვსილი ცხოვრება, რომელიც ბერმუხელთა შრომით აღსავსე ყოფის ფონზე მოჩანდა როგორც ეკრანის ტილოზე წამიერად გაელვებული.

სულ სხვა გრძნობებში აღძრნენ ვარას, რომელსაც მხოლოდ გალანტურ ფრანგულ რომანებში ჰქონდა ამოკითხული ამ საგნების აღწერა. იგი შურით ივსებოდა, რომ სადღაც კიდეც არის ისეთი ქვეყანა, სადაც ბურჟუებისა და აზნაურების ქალებს კიდეც შერჩენილი ჰქონიათ საშუალება ასეთი, იგავმიუწვდენელი, კომფორტით დატკბობისა.

გენერალისეულ დარბაზში სარქველ-ახილ კოფრებსა და ჩემოდნებს მისხდომოდნენ მედიკო და ვარა, ეს აბრეშუმის კაბები, მაკინტოსები, ქურჭები და პალტოები ისე ელაგა მათ წინაშე, როგორც სატირალში გამოტანილი ძვირფასი სამოსელი მიცვალებულისა.

სწორედ ამ დროს შემოვიდა შოფერი ანდრო, პაკეტი დასდო მაგიდაზე და ხმის გაუღებლად გაემართა კარებისაკენ, მაგრამ ვარამ თვალი შეასწრო პაკეტს და ნერვულად წამოიძახა:



„ეს რა პაკეტი მოგიტანია, ანდრო?“  
„ერთმა თელაველმა შოფერმა შემომანჩეხა ეს კონვერტი თქვენთვის გადმოსაცემად“, მიუგო ანდრომ.

შეტფუნებული ვარა ზეწამოიჭრა, რალაც უჩურჩულა მას და, როცა შოფერი გავიდა, ნერვული ხელით გაფხრაფა კონვერტი, დიდხანს უჭკრიტა წერილს, მაგრამ ვერ ამოიკითხა წერილი ხელით ნაწერი:

„ჩემი სათვალე!“ — წამოიყვირა ისტერიული ხმით.

მედიკომ დიდხანს ეძია სათვალე, ბოლოს, როცა თავათ ვარამ გამოჩხრიკა, იგი, ერთი დახედა ბარათს და წამოიძახა:

„ეფემიას წერილი, მედიკო!“

სხაპასხუპით გადაიკითხა იაბონურ ქალღმერთს ფრანგულად დაწერილი ბარათი ვარამ და სათვალე მოიხსნა.

„ხომ გეუბნებოდი, მედიკო, მენამდვილი მისანი ვარ-მეთქი. შენ მეკითხებოდი, მიმიღებსო? კაცს მელანქოლია შეჰყარია შენ გამო, როგორ თუ არ მიგიღებს, მუხლის თავებსაც დაგიკოცნის, ძვირფასო“, ფრანგულად უთხრა თავის დისწულს ვარამ, რადგან მათა შემოფრატუნდა და ბუფეტის კარს აჭრაჭუნებდა.

ვარამ აცალა მათს დერეფანში გასვლა, მცირე ფორმატის ფოტოსურათები პაკეტიდან ამოალაგა. პირველად ხელში მოხვედრილი ზედ ცხვირთან მიუტანა მედიკოსს.

ლუსიენი მონტეკარლოში ნებივრობს, თავის ძმაცაცებთან ერთად ვისტს თამაშობს. მრგვალ მაგიდას უსხედახ ქინჩასუჭებულო, ჩაკურატებულო ბურჯეები, რომელთაც ბულდოგის ჯიშის ძაღლსავეთ გამოშვებული ლაშები დაუბჩენიათ, ასეთივე მსხვილძვალისანი ყბები, მოკლე კისრები, მრგვალი ხელები, მრგვალი მკლავები, დასაღი-დური ღიბები.

მარაოსებრ გაშლილი კარტები უკირაეთ ხელში და ილიმებოფქვესული მედიკომ დახედა ამ მსხვილძვალს სთქვა:

„ერთ უცნაურ ამბავს დავეკვირვებავარ ჯერ კიდევ პარიზში ყოფნისას.

მთელი ქვეყნის ფაბრიკანტები და ზანკირები ზედმიწევნით ჰგვანან ერთიმეორეს. ლუსიენის მხარმარჯვნივ მჯდომარე ებრაელი ბანკირიარულდოლფ შტაინბახ, საპნის ქარხნების პატრონი სენის დეპარტამენტში, მხარმარჯვნივ — ინგლისელი, მაუდის ფაბრიკანტი მისტერ საიმონ, ეს მესამე ლუსიენის საქმისმიერი მეგობარია შვეიცარიული „ყველის მეფე“ შტოლბერგი, მეორე პოლანდიელი „ნაშპირის მეფე“, ვან ჰოენი: მე მგონია, ასევე ჰგვანან გარეგნულად ერთი მეორეს ევროპელი და ამერიკელი მწერლები და მსახიობები, არტისტები და მკერაეები, რკინიგზელები და კომივოიაჟორები, კოკოტები და დემიმონდელები“.

ახლა მეორე ფოტოსურათი ამოაძრო დასტიდან ვარამ.

ლუსიენი ნიცაში ისვენებს პოტელ მათესტიკოს ვერანდაზე. მის გარშემო უამრავი ჩინური ვაზები აწყვია, თეთრი ყვავილებით დამშვენებულნი. ვარა დიდხანს ფურცლავდა ფოტოსურათებს, ბოლოს ერთ-ერთი ხელში აიღო.

„იტალიური მოგზაურობა იწყება!“ წამოიძახა გახარებულმა, თითქმის თავათ ყოფილიყოს ამ მოგზაურობაში წილის დამდები.



რკინიგზის სადგურზე ჩამომდგარა აღმოსავლეთის ექსპრესი. ტურისტულად მორთული ლუსიენი ვაგონის წინ სდგას. ორი მხლებელი და ერთი ფოტოგრაფი საპატოო მანძილზე თან ახლავს ამ დამბლას.

ახლა შემდეგი სურათი ამოაცოცა ვარამ.

ლუსიენი ლაგო-მაჯორეს ნაპირას

3663

1111





ზის ეზარმაზარი გრანიტის ქიმზე. ბინოკლი უჭირავს ხელში და გასცქერის ლანდშაფტს.

„აჰა, ლაგო-მაჯორე. ეგონებ პირანდელოს აქვს აღწერილი ეს ტბა. აჰ, მონდიო. სადა ვართ მე და შენ, მედიკო. ნეტავ ამ მოგზაურობის დროს თან ვახლდეთ ლუსიენს.“ — ეცნესოდა ვარა.

მედიკომ გაიღიმა, ხოლო ვარამ სხვა სურათი ამოაცოცა. „მილანი, მილანი, თეატრი ალლა სკალა“, წამოიყვირა ვარამ.

ლუსიენი სწევვია სანტა მარია სოპრა მინერვას ეკლესიას, რომელიც ოდესღაც წარმოადგენდა ინკვიზიციის მთავარ შტაბს და სადაც გალილეიმ „მარინე ბრუნავს“ წამოიძახა.

ლომუნკულუსი<sup>1</sup> უჭკრეტს პალაცო ფარნეზეს. შესაძლოა მან არც კი იცოდეს, რომ ამ სასახლის მახლობლად თავს იყრიდნენ ოდესღაც მთელი ქვეყნის მპარავეები და ვაჭრები, სამღუთოს სწირავდნენ ქურდების ღვთაებას (ავტორისეული მინაწერი).

უკანასკნელი ფოტოსურათის მიხედვით, ლუსიენს კაპიტოლამდის მიუღწევია. სწორედ იმ ადგილზე სდგას, სადაც დღესაც დამწყვედულია სიმბოლიური ქუჩა — რომულუსისა და რემის „ძიძა“. და ეს ხეადი მგელი, ფრანგული ბურჟუაზიის ბანაკიდან მოსული დაეინებით უჭკრეტს ქუჩაგელს. (ავტორისეული მინაწერი).

ლუსიენს „აკადემიის დი-ბელ-არტის“ (მშვენიერ ხელოვნებათა აკადემიის) ექსპონატების საჭკრეტად მოუვლია. ვარას ხელში მოხვდა ტიციანის „ასუნტა“. — პირმშვენიერი მადონა მოიჭროვილ ცისკენ მიფრინავს, ექსტაზში მოსული, ალტყინებულ ანგელოსების დასტები შეფრფინვით ეგებებიან მას.

აქვე სხვა რებროდუქციები გამოუგზავნია ლუსიენს (საბუნებრივად უნახავს კაცის მატყუარას. ლეონარდო და-ვინჩის, ტიციანის, ვერონეზეს, ალბრეხტ დურერის, ლუკას კრანახისა და რუბენსის უკვდავ ქმნილებებისა. (ავტორისეული მინაწერი).

„ესეც რომში გადაღებული ფოტოები!“ — სთქვა ალტაცებულმა ვარამ.

ლუსიენის ღრანკმოკცეული სახე მოსჩანს ტრიტონების შადრევანის ფონზე. ეს ვაგლახად დაღრეჯილი მიჯნური ტარიელსავეით გლოვად დამჯდარა კოლოსალურ ღინკილებიდან გადმომჩქეტარე წყლისპირად. (ავტორისეული მინაწერი).

როცა ფოტოსურათების თვალღრება მოთაღდა, ვარამ მზრუნველი ხელით დაალაგა ისინი და უთხრა მედიკოს:

„ხომ ხედავ, ძვირფასო, მხოლოდ შენ აკლიხარ ამ ფოტოებს“.

კიდევ უნდოდა, რაღაც ეთქვა ვარას, მაგრამ მამაკაცური ნაბიჯების ხმა შემოესმა.

სუფრას კიდევ აუწია და შიგ შეაღაგა ფოტოსურათები. მედიკომ თვალის შეავლო ვახტანგის დასაცხულ სახეს და უთხრა:

„ეს ამბები ცუდად გათავღება, იცოდევ ვახტანგ“.

„რა ამბები?“ ირონიულად იკითხა ანლადმოსულმა.

„სარკეში ჩაიხედევ, აბა რას ჰგახხარ, შენი ჯანმრთელობის პატრონს როგორ შეუძლია ამ გაუძლის სიცხეში მღშობა“.

„მე მეგონა, შენ სხვა რამეს გულისხმობდი“. მედიკომ წაუყრუა ამ უკანასკნელ ფრაზას. ვარამ მენტორული ტონი აიღო:

„უნდა გაუფრთხილდეთ თქვენს ჯანმრთელობას. მონ შერ ეანდრ“.

„საუხმე გაუწყვე ვახტანგს“, მიაძახა კარებში შემოსულ მაიას მედიკომ.

<sup>1</sup> ლომუნკულუსი — კაცუნა, მქანიეტრად შეკონწიებული კაცის მატყუარა.



ვახტანგი შირმის იქით გავიდა, სატალახო ჩექმები გაიხადა. ბირკით მოცული ხალათი გამოიცვალა, კოსტუმი გადაიცვა და მანქანა გამოაძახებინა მაისს.

შენ სიტყვა დაავდო: ყვარელს მივდივარო თათბირზე, როცა კორინთელმა კარი გაიხურა, სახტად დარჩენილმა მედიკომ გაწყობილ საუზმეს გახედა და ფრანგულად უთხრა ვარას:

„ვაი თუ ანდრომ აჩვენა მას ეს პაკეტი. ჰა?“

„ვახტანგი არ იკადრებდა პაკეტის გახსნას“, უთხრა მედიკოს ვარამ.

\*\*\*

წლის პირველ ნახევარში, როგორც ყვარლის რაიკომის, ისე ბერძენის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ მთელი გულისყური ჯერ ვახტანგების მოწყობას. შემდეგ ჰესის აგებას მიაპყრო. ამის გამო მეცხოველეობისადმი უფრადლება ოდნავ შენედა.

ბერძენის პარტოგანიზაციის ჯერ კიდევ განაფხულზე მოუვიდა არაერთი სიფნალი: ცხვრის ფერმაში არა მარტო გარღვევას, არამედ კანონის დარღვევასაც ეაკვირდებოთ.

ეს ამბავი ციხისთავს აცნობეს პარტკომის მდივანმა გაბო ცისკარიშვილმა და გოდერძიმ ციხისთავის მითითებით კომისია გამოყო მეღორე პოპოლას თავმჯდომარეობით.

ამ კომისიამ ჯულდასმით შეისწავლა ცხვრის ფერმის საქმეები და მრავალი რამ საგულისხმო გამოარჩია.

ჯერ კიდევ თებერვალში ვილაციელები თელავის ბაზარზე ბერძენიდან ჩამოყვანილ ნახუშარ ბატენებს<sup>1</sup> ყიდდნენ ჩუმჩუმად. მილიციამ შეიპყრო სპეკულანტები, მაგრამ იმის დადგენა ვეღარ შესძლო, თუ ვისგან ჰყავდათ შესყიდული ისინი.

<sup>1</sup> ნახუშარი ეწოდება დოლაძის დამადებულ ბატანს.

დოლმა კარგი შედეგები დასტოვა, მაგრამ ბატენის სიყვდილობამ<sup>2</sup> მანტა, ალაგ-ალაგ ციმბარის წყურთის ნიშნებიც გაჩნდა.

ზოოტექნიკოსი ყოველ მეორე დღეს მოიმიზეზებდა: რაიკომში მეძახიანო, ნამდვილად კი ყვარელს მიდიოდა და იქ ლოთობდა.

ცხვრის ფერმის ბრიგადირის — აბრია უჯირაულის მუშაობაც ზუსტად შეისწავლა ამ კომისიამ.

არ იქნა და საშველი არ დაადგა ცხვრის პარსევას. აბრია თურმე რას არ იმიზეზებდა, ლობე-ყორეს ედებოდა. ჯერ ამტყიცებდა: დუქარდები არა მაქვსო. დუქარდები ჩამოიტანეს, — სამი კვირით კიდევ გადასდო ეს საქმე.

ერთ ღამეს ბრიგადირის დაუდევრობით ცხვრის ნოტო<sup>2</sup> მოწყვეტილიყო ფარას, გველეთში დაიქცა დაეგლოჯა ოციოდე ცხვარი.

ერთი თვის შემდეგ ხელასიოდე სულისაგან შემდგარი ცხვრის ნოტო ჟევალოდ დაიკარგა ნამატანად. ყვარლის რაიპროექტორმა ხიდაშელმა ერთ-ერთ კოლმეურნეობაში გამოიხსრია ისინი.

როცა ეს ამბავი გამოქვავდა, აბრია თავათ წავიდა ყვარელს, სათითაოდ გამოიცნო ეს ცხვრები და ფარაში დააბრუნა.

არ იქნა და ვერ გააგზავნეს საზაფხულო საძოვრებზე ბერძენის კოლმეურნეობის ცხვარი.

აბრია ფეხს ითრევდა, დაყინებით ამტყიცებდა: გულისაგან გადამხმარი-აო როგორც სპერაზიას მთა, ისე საყორნიას და დიდოს მთები.

ყაბუქების მთებიდან ჩამოსული მეცხვარეებიც აღასტურებდნენ: წრეგანდელ გვალვას ბალახი ზუფრასა და ჰარის თავზედაც მოუსხიათ.

თელი თარალაშვილის მოთხოვნილ-ბისამებრ, აბრიამ ექვსი ათასი ცხვარი

<sup>2</sup> ნოტო—ცხვრის ფარის ერთი გუნდი.

გავზავნა სპეროზიას მთაზე და ერთი ნოტო ბერძენებში დასტოვა.

აბრამ თიაქარი მოიმიზეზა და არ ინდომა, მთაში გავზავნილ ცხეარს თან გაჰყოლოდა.

ისიც დაადგინა კომისიამ, რომ აბრია უჯირაული კანონიერად კუთვნილი ხუთი სულის ნაცვლად, ასიოდე ნერბის მითვისებას აპირებდა...

ცხადი შეიქნა, რომ ფარას იმიტომ არ გზავნიდა საზაფხულო იალაღებზე, რომ მას ეს ცხეარები ხელის ახლოს ჰყოლოდა.

აბრია ამ ნოტოს წარამარა დაათრევდა ალანანს ვალმა-გამოლომა, ზან კიდევ გველეთის ზეგანზე ამოვებდა მას.

დაკითხვის დროს აბრია პირიქით შეუტია კომისიის თავმჯდომარეს, მელორე პოპოლასა და წევრებს, შველა გაბუდაიძესა და ლალმაწას:

„ტყუები გასჩებუთ, შვილოსან, კაობები ამოაშრეთ, ცხრა მუხაზე ბალახის სინსილა გასწყვიტეთ, ახლა გველეთის ზეგანს წაეპოტინეთ, ქვაკაცს წმინდა გიორგი გაარისხეთ, ენაზაფი გვალეები დააყენეთ, ცხეარი დაიმშეოდა, აბა რა იქნებოდა, შვილოსან“.

სამოლოოდ ამ გარღვევებისა და დარღვევების გამო პასუხისმგებლობა უმთავრესად კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, თედო თარალაშვილს, დაეკისრა.

ბუნებით რბილი და უტერბემლო მოხუცი მუდამ იმის ცდაში იყო, „მამა-შვილური“ მოპყრობით გამოეცნობინა ზარმაკები, სიმულანტები და კოლმეურნეობის ქონების მიმტაცებელი.

ისიც დადგინდა, რომ თედო აბრია უჯირაულის მიმართ გადამეტებულ ლიბერალობას იჩენდა. ასეთმა „დამპალმა ლიბერალიზმმა“ ისე გაათამაშა ავსიტყვა, რომ ყოველ გზაჯვარედინზე შეუფარველად ჰქირდავდა ხელისუფლებას.

როცა რომელიმე კომკავშირელი ამის გამო სიტყვას შეუბრუნებდა, მისი მტკიცე დაადგებოდა აბრია, შეჩვენებდა მტკიცრობას თავიანთს ვცემ. მხოლოდ ბერძენულ ბიჭბუქებს ვაძაგებო.

ასეთ რამეებს კისრულობდა აბრია, სავსებით დარწმუნებული, რომ მას, როგორც ღრმად მოხუცებულსა და სახელგანთქმულ მცნობს. პასუხს არ აგებინებდნენ. (რადგან აბრია ეკუთვნოდა იმ პირთა რიცხვს, რომელნიც ახალგაზრდობის ქამს ახალგაზრდობასათვლიან შელაჯათის მომნიჭებელ ფაქტორად, ხოლო სიბერეში გადაძვლნი მაგრად აწებებან სიბერის კაპიტალს.

კოლმეურნეთა საერთო კრებამ დაადგინა, თედო თარალაშვილი მოეხსნათ. მის ნაცვლად გოდერძი ელანიძე აირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ბოლოს საერთო კრებამ მხედველობაში მიიღო ძველი პარტიზანის — თედო თარალაშვილის — ღვაწლი და „მოხსნა“ „განთავისუფლებად“ შეუტყაუეს.

მოხსნეს აბრია უჯირაული და მის მაგიერად ბრიგადირად აირჩიეს შველა გაბუდაიძე.

ამ დღესვე დადგინეს, ასი ცხეარი ნამატთანად ჩამოერთმიათ აბრიაათვის. ამ კრებიდან დაავადებული გაბრუნდა ავსიტყვა, მიეჩქარებოდა შინ, რათა მთელი თავის გულის ბოღმა, რომლის გამეყაუნება საერთო კრებაზე ვეღარ გაებედა, ახლა როგორმე შინაურებზე გადაენთხია.

ჯერ თავის ძმას, ლეოს, გაუარა, რათა მაგარ-მაგარი საყვედურები ეთქვა მისთვის იმის გამო, რომ ლეო კრებაზედაც არ მოვიდა და ადგილიდან წამოძახილით მაინც არ წაეხმარა.

ლეო გაბრანგული მთერალი დაუხვდა უფროს ძმას. ენას ძლივს აბრუნებდა პირში. აბრიას მოსვლა გაეხარდა, სმის განახლების საბაბი რა ხელთ იპყრო. აწულის არაყით სავსე ხელადა დაუდგა წინ. დასხდნენ და სვეს.



როგორც კი სიმთვრალე მოეციდა, ენა აიოვა დარდისაგან გათანგულმა ავსატყვამ.

ლანძღვის პირველი ტირადა მიუძღვნეს პარტკომის მდივანს გაბო ცისკარიშვილს. გაბო თავის სიდედრთან ცხოვრობდა. როცა ლუომ ვაუბედავად სვავდა დაემტკიცებინა, რომ ეს ამბავი ჭორი უნდა იყოს, ახლა ასეთი „სამუთი“ მოიტანა აბრია: ეს რომ აგრე არ იყოს, თუში ვაჟკაცი სიდედრს სახლში როგორ შეუშვებო.

„ჰო, მაგრამ, აბრია, ამოწყვეტილია იმ გაობრებული სიდედრის ოჯახი, აბა სად წაეიდეს ის უბედური?“.

აბრიას ბრაზი წაევიდა უმცროსი ძმის შეკამათების გამო, დამდღერულივით ათუხთუხდა:

„განა ცოტა აქვთ ბოლშევიკებს ქარხნები, სადაც მუშებს ბინებს აძლევენ. ასეთ ქარხანაში გაგზავნოს თავისი სიდედრი მაგ ლანძღვა“.

ლუოს გაეცინა, ერთბაშად რა წარმოიდგინა სიდედრების მიერ ამუშავებული ქარხნის ამბავი. დადუმდა აბრია და ახლა გოდერძისკენ მიმართა თავისი ძმის გულსყური.

თავგამოდებით ამტკიცებდა აესიტყვა: გიყვარ გოდერძი. მამიდა გიყი ჰყავს. თავათაც გიყი იქნებაო უთუოდ. ლუოს ხარი ჩამოართვა ოდესღაც გოდერძიმ და ამიტომაც არ იყოსრა გოდერძის დაცვა.

აბრიამ განაგრძო აესიტყვაობა:

სანამ მე ცოცხალი ვარ, ვერ მოესწრებაო გოდერძი უჯირაულის ქალის, ნუნუს, ცოლად მოყვანას. კობერიძეს ჩამოყავანინებ ქალაქიდან, ძალით გაეტანო ნუნუს.

ახლა კანკრეს, მაგ „ნაბიჭვარის“ ლანძღვას შეუდგა აბრია. გვიღალატაო კანკრემ. გოდერძიმ სცემო. ცემით გადაიბირაო იგი. სხვა ვერაფერი მოიგონა ამ „გლახაკმა“, მიტომაც აგრე გულ-

მოდგინედ ეხმარებაო „კეიხებს“. სამ შემთხვევაში აბრია კანკრეს, კანკრე კედროელსადგურის ასაგებებდა (შეიქმნა შეობას გულისხმობდა). კეიხებს ცხრა-მუხის ვაზნარები იმიტომ უნდაო, რომ ყურძენი და ღვინო სახელმწიფოს ჩააბარონ. ამისათვის წაგვართვესო ცხრა მუხის საძოვრები. მალე გველეთის ზეგანზედაც ვაზს გააშენებენ და ჩვენ ის ხუთიოდე ცხვარიც დაგვემშვევა. სამოწყალოდ რომ დაგვიტოვესო.

ენი იცის, კიდევ რა და რა გვარის ცილისწამებებს ამოაფრქვევდა პირიდან აესიტყვა, მაგრად ნასმურვე ლუოს სუფრის კიდევზე რომ არ ჩამოსძინებოდა.

აბრიამ დიდხანს აჯანჯალა იგი, მაგრამ ამაოდ დამერა. ზოლოს წამოაქცია არყის ხელადა, უკანასკნელი ყლბიაც გადაჰყრა და თავის კომბალს წააქლო ხელი.

მიბუტბუტებდა, მიძყებოდა თემშარას. მისი გულისყური თავს ევლებოდა კარმიდამოს, ამ ნახევარ ჰექტარზე დარჩენილ სიმინდს, სამასიოდე ვაზს, ბაღბოსტანსა და ხუთიოდე ცხვარს.

ხუთი ათასი ცხვრის პატრონს ხუთი ცხვარი და მათი ნამატი-ლა შეარჩინეს. საერთო ჯამში გამართლდა: თხის პატრონს — თხის კული, მაგრამ ყოველივე ეს იყო მთელი მისი ავლა-დიდება.

შინ მისეღლისთანავე იპოვნა საავსიტყვო მიზეზი. ჰიმყარი ღიად დაეტოვებინა თეთროს, ლალბაწას ლორი შეპარულიყო ეზოში. ამ წუთში წინ რომ შეჰყროდნენ ლალბაწა და თეთრო, ორივეს ამ კომბლით გაუტეხავდა თავს.

დამდღერულივით აყვირა აბრია:

„იყოჰ...“

არც კი მოგონებია მთვრალს, რომ

1 თუშები „კეიხებს“ უწოდებენ არათუ ქართულებს, მხოლოდითი რიცხვის ფორმას „იხივ“.

თავისი ცოლი — მათ, თავათ რომ გზავლო დიდებულზე შინიდან უჯირაულთა მოხეტეებულ ქალ-რძალთან ერთად.

როცა ამ ყვირილს მხოლოდ ბატები გამოეხმაურნენ ეზოდან, გონს მოვიდა, ახლა თავის შეიღოშვილს დაუწყობ ხმობა:

„თეთრო, ჰაუ, თეთროო“...

ალარსად სწანდა თეთროც, ისევ ბატებმა მოსცეს პასუხი. გააყვებული შევარდა ეზოში აბრია, კომბალი გადააგდო, ჭეჭები აკრიფა და დაუშინა ლალბაშას ლორს. იგი გამოუხმირავე სიმინდებში შეძვრა და იქ „გამაგრდა“ საესებით არჩეინად.

ახლა ლალბაშას ჩალით დაბურულ ქობისაყენ მოიხედა აბრია და მორთო ყვირილი:

„ლალბაშა, ჰაუ, ლალბაშა“.

კარგამოკეტულ ქობიდან ჩამიჩუმეი არ ისმოდა.

„გამოგეკეტა კბილები“, ჩაიდუღუნა აბრია.

დაიკუნა აბრია და სიმინდში შეიხედა, რათა ენახა, თუ რას აკეთებდა ის „უნამუსო“ ლორი. აბრიას იერიშებს მცირეოდენი ნაყოფი მაინც გამოელო, ღორა ყურებაცქვეტილი იდგა და მონუსხულივით უთვალთვალებდა აბრიას.

აბრია, რა დარწმუნდა, მთლად უწესოდ არ იქცეოდა ეს „ყაჩაღი“, ახლა გადასწყვიტა. ჯერ საკუთარი ბატებისათვის გაესწორებინა ანგარიში.

ამ უგუნურებმა უჩვეულო სტოიციზმი გამოიჩინეს, გაქცევა არ იკადრეს, ერთად შექუჩდნენ და ერთობლივი ყიყინი მორთეს.

ჭეჭები გადაყარა აბრიამ, იფნის წყებლას ხელი წამოაელო და გაბორბტებული დაერია ბატებს.

აბრია უარესად გაავულისა მათმა უგუნურებამ. ნაცვლად იმისა, რომ თალარებისაყენ გაქცეულიყვნენ, სარის ლობიოთი დაბარდნილ ბოსტანში შევივდნენ, ჰკორტნიდნენ ბოსტნეულს.

თანაც დადლანებდნენ, თითქოს ქაბდნენ პატრონს: აქ მობრძანდნენ რაკარგ საქმეს ეაკეთებდნენ. უკრესად გაავდა აბრია, დაერია გამეტირებულ ბატებს იფნის წყებლით, და საბატეში შევადლო საცოდავად აყიყინებულნი.

ახლა ისევ შეიჭვრიტა სიმინდებში აბრია. როგორც ყოველ ქუეამატეს, მცირე გამარჯუებისაგან თავბრუდასხმოდა ლალბაშას ლორსაც. ნაცვლად იმისა, რომ ღორა კინჭრისკენ მოეკურცხლა, ყანის სიღრმეში შეჭრილიყო ეგზომ უდიერად, თავის ლალბაა ლოჯით ცვლავდა სიმინდებს და არხეინად შეექცეოდა დაჯიჯგნილ ტაროებს.

საბრეკად გააშწარა აესიტყვა ლალბაშას ღორმა, როგორც კი ქვას ესროდა აბრია, ღორი სასწრაფოდ იცვლიდა სამალს, ლობიოთი დაბარდნილ სიმინდს ამოუფარებოდა. როცა იქაც უწევდა ქვა, ჯერ დაიწყებდა სიმინდებში ჯირითს და ახალ სამალს ისაფრებდა.

ყველაზე მეტად უცნაური ეს იყო: როგორც კი დარწმუნდებოდა, ქვა ვერ მომახვედრესო, დაყინებით ექვერებდა თავის მღვევარს, აპარპალებდა თავის ღორულ, წეროდ თვალებს, თითქოს იგი ყოფილიყო იმ ღორების იმ კოლტიდან ახლად გამოქცეული, რომელთა გეამებში „ემშაყები ჩარეკა“ ლეგენდარულმა ქრისტემ.

ვერგამკლავებისაგან გაცოფებულ აბრია უშვერი სიტყვებით ლანძლავდა არა მარტო ღორს, მის პატრონსაც.

ქვაკაცს შმ. გიორგიმ დაუქანოსო ლალბაშას ისედაც დავსილი კერა, ჯინქარი და ანწლი მენახოსო ამოსული მის ნასახლარზე.

დედის სულსა და მამის წვერებს უგინებდა თბლობაში გამოზრდილ ლალბაშას. ბოლოს, როგორც იქნა მოსაზრა აბრიამ, ჯაკუვი ახსნა ცხვრის ძალს, ბროლას, და ორივენი გამოუდგნენ ღორს, დიდხანს დაველავდნენ სე-



მინდებს შორის ბროლი და ღორი და როცა ეზოს კუთხეში მიიმწყვდიეს იგი, აბრამ იმდენჯერ ჩასცა ხანჯალი ძაღლის მიერ დაოსებულ ცხოველს, სანამ ამ საცოდავმა პარუტყვამ გამოცივებული თვალის თეთრონები არ გამოკარგლა.

კიდევ ერთხელ შეუკრთა აბრამ ღორის პატრონს, წამოიყიდა მკვდარი და ჯინჭრიანში ჩაუვლო თავის მეორე მუხობელს, შველა გაბედაიძეს.

ამ გზით ორი კერძოელი მოჰკლა აბრამ ერთი გასროლით: მისთვის ცხადი იყო, ღორის მოკვლა შველას დაბრალდებოდა და ორივე მისი მტერი მაგრად დასცხებდა ერთიმეორეს.

როცა ომგადახდილი აბრამ შინ მობრუნდა, უკვე ბინდდებოდა, ლამპა ანთო, მაგიდაზე ლობიოს შეჭამადი და ცხვრის ყურზე დაეტოვებინა თეთროს. ახლა მოაგონდა მთვრალს, როცა იგი კიშკარს მოაღდა, სიმინდებში მხმარი ფურცლებს შარიშური მოესმა და ისეთი უეცარი გაშლივინება, რომელიც ეკერში აღმანიის გაქცევას მოჰყვება ხოლმე.

აბრამისთვის ცხადი იყო, თეთრომ მისი ძაბილი რა გაივონა, სიმინდში შეძვრა, რადგან „პირმაჟად“ იყო პაპის წინაშე თეთრო, არ ესმინა აბრამს შეგონებას და დიდებამზე წასულ მამს არ გაჰყვა თან.

ამის საბუთებს იმ გარემოებაში ჰხედავდა აბრამ, რომ თეთროს სადილი დაემზადებინა მისთვის, ადგა და აწვლის არაყი ჩამოიღო კედლის განჯინიდან.

მადიანად შეექცეოდა არაყსა და კერძს, თანაც აბოყინებდა. ლანძღავდა თეთროს, ლაღბაწას, თავის სიძევებსა და რძლებს, რომელთაც კომკავშირელი შვილები და შვილიშვილები გაზარდეს აბრამს სიბერის საბოლოოდ გასამწარებლად.

როცა ხელადაში არაყი აღარ დარჩა,

ტახტზე მიეგდო მეცხვარულად და თვის წილამურებიანი ფაფხუკეცხვარულად თაქვემ.

გინებლიცოთქვეს

\*\*\*

ესა შებეგნილ მყინვარებს არწივები თავზე დაფოფინებენ. სპეროზიას მთების გადაკებაზე ფარები აქვს აბრამ უჯირაულს, ცხვრის ფარის საჩქალს. აბრამ სდგას ფარების კართან, კომბალს ურაკუნებს ზურგზე ბინიდან გამოშავალ ცხვრებს და თვლის... ზეთი ათასი თეთრი თუმური ცხვარი დაითვალა საჩქალმა. ზეთი ათასი საყუთარი ცხვარი, სიზმარი აღმოჩნდა ყველაფერი, რაც აქამდის მოხდა ამ ქვეყნად. აბრამ კვლავ შესაყუთრეა, ზეთი ათასი ცხვრის პატრონი. მაგრამ დაბეთ ღებდურებას, მზემ გადმოლაბა ყინვის ჩაჩქანით წვეტდამშვენებული მყინვარები, გაუძლისი ხვატი დადგა და აბრამს ცხვრები ერთბაშად ნახშირისებრ გაშავდნენ.

კომბლიანი საჩქალი თავის ცხვარში გაერია და მთელი ფარა შეძრწუნებულ აბუბუნდა. დასიცხელი ცხვარი შებღვეს პატრონს. პირტყვამ ენა აიღვა, წყალს ევედრებთან აბრამს. საწყალობლად აბჩენენ პირს და ეციონ გაშავებული ცხვრები...

უცნაურ რამეს ჰხედავს აბრამ: ქვაკაცს წმ. გიორგის ხატი მოუტანია დეკანოზს და სპეროზიას კლდესთან დაუსვენებია ჯიხვისა და ირმის რქებით მორთულ კვარცხლბეკზე.

ღროშა დააფორიალა დეკანოზმა, დაილოცა:

„დიდება ღმერთსა, ღმერთო გაუმარჯვე დღისა დღევანდელსა. ცხვარს ცხვრის კრავს მოუმატებდითაო, ცხვარს ცხვრისფერს მისცემდითაო, ფურს ფურის ხბოს მიუმატებდითაო, წულს წულს ტოლს მოუმატებდითაო“.

მერმე გამოიყვანა ერთი შავი ცხვარი აბრამს ფარიდან. შებლი შეუტრუსა და აძგერდა ხანჯალი. გათეთრდა შავი ცხვარი და გადათეთრდა აბრამს ფარაც.



მაგრამ მაინც ევიან ცხვრები და წვიმაც არა ჩანს, „აწყენინეს ქვაკაცს“. ფიჭობს აბრია და იტანჯება ცხვრის ევილისაგან შეწუხებული...

ბროლიას ყეფა შემოესმა. აბრიას, გამოეღვიძა ოფლში გაღვარულს. წანოდგა აბრია, ისევე მოუკადა ლამპას და უკანა ეზოში ვაეიდა.

ბროლია ყეფდა. სმენა დამაბა აბრიამ. თალარის ქვეშ თეთრმა ლანდმა გააეღვია. დააქერდა: თეთრიანის გვერდით შევოსანიც შენიშნა.

ფეხაკრეფით შეიპარა სიმინდებში და უსწორა ვახებით დაბურღულ თალარს. ჩრდილიან ხეივანში ორთა ჩურჩული ისმოდა გარკვევით. ქვები ეძია აბრიამ, მაგრამ ველარსად იბოვნა ქვები. იფნის წყებლა ხელში მოხვდა, ბატების საწურთვენელად წელან გამოყენებული. აბრიამ ოსტატურად იფარა ლობიოთი დაბურღული სიმინდები, ახლოს მიუჩინდა ვახების თალარს.

ლალბაწას ხმა მოესმა გარკვევით:

„იცოდე, მე არაფერი გამაჩნია, თეთრო, არაფერი, ამ მარჯვენის გარდა. ერთადერთი ღორი მყავდა, ისიც ვილაცას მოუკლავს და შევლას ეზოში გადაუგდია“.

ახლა თეთროს ხმა გაიგონა აბრიამ:

„მე არაფერი არ მინდა, შენი სიყვარულის გარდა, კარგო. სიყვარულსვე შეყვარდი, პაპაჩემს აჩემებელი ჰქონდა: კობიეს არ მიღვემო ქალს. მიტომაც გამათხოვა ძალით. შენი გულისთვის გავექეცი ქმარს. ნო გუშინია, მეც ამოვიდგები მხარში. ვიშრომით და ვიცხოვროთ, კარგო, სტალინის ქვეყანაში ჯერ არც ერთი მშრომელი არ მომკვდარა მშვიერი“.

ახლა ლალბაწამ სთქვა:

„მთელი ჩემი ახალგაზრდობა ლობიოში გავატარე, შენ მაკლდი, კარგო და ამიტომ ღვინოში ვახრჩობდი გულის დარდს. შენმა დარდმა უდროოდ გამაჩინა ქალარა. ახლა მიყურე, როგორ გამოვიღო ხელი“.

ესა თქვეს, შავი ლანდი და თეთრი ლანდი გადაეხეივნენ ურთიერთს და მანამდის კოცნეს ერთიმეორე, სანამ ბობლია დევკაცის ლანდი არ დატრიალდა თალარის ქვეშ.

ზეწამოიჭრა ლალბაწა და ეცა ამ მაგლაჯუნას. მოხუცმა კიდევ მოასწრო ერთი ორჯერ ეთავაზებინა მისთვის იფნის წყებლა და, როცა იგი იცნო ლალბაწამ. წნელი გადაუმტვრია აბრიას და ორივენი სიმინდებში შეეპარდნენ.....

(გაგრძელება იქნება)

## მერცხალი



ცისკრის ეამს მზის ნაპერწკალით  
ეთერი როცა იალებს,  
კამარას შეჰკრავს მერცხალი,  
სივრცეში გაისრიალებს.

გამოაცოცხლებს ლაქვარდებს,  
აედენება ნიაფსა,  
ბალნარშიც გაინაწარდებს,  
კოკორს შეურხევს იასა.

გულს აუმღერებს მაისის  
ვარდები ოჭროს-ცვრიანი,  
თვალგახელილი აისია  
ღიმილი ხალისიანი.

მიმოჰქრის ბავშვურ ქლურტულით  
კუდრაჟა, მზისფერთვალეზა,  
შემდეგ — ვით მალი შურდული  
ღრუბლებში მიიმალება.

და, როცა დაბლა დაშვებით  
მოიწყენს, გულდარდიანობს,  
შემოსძახებენ ბავშვები:  
— „მერცხალო, კრელმკერდიანო,

ჩვენთან მოფრინდი, ფრთამალო,  
წელს რისთვის გაგვებუტეო,  
აჰ, ჩვენი სახლის ლაფაროს,  
კვლავ შიამუნე ბუდეო!“

მერცხალი ნაზი ქლურტულით  
ბავშვს გადმოხედავს პატარას,  
და როგორც მალი შურდული  
კვლავ ცოქენ გაშლის კამარას.

## სიმღერა გატყუებულ ყაშირზე

★

ველებზე ხნულებს როცა გასცქერი,  
როცა გახედავ გატყუებულ ყაშირს,  
გამღერებს მიწა შავად ნაწერი,  
და შესმის, ძმავ, რას ამბობ ამით.  
ოფლი გისველებს მზედაკრულ სახეს.  
თითქოს ცვარ-ნაში გაპყურეს ღამით.  
შენ ილიმები! ღიმილი გამხვლს,  
ვიცი, ძმობილო, რას ამბობ ამით.  
ჭხარობს ქვეყანა, გაზაფხულია...  
და ერთ გოგონას გახედავ წამით,  
ხარობ და ქუდად ცა გახურია,  
მიგიხვდი, ძმავ, რასა გრძნობ ამით.  
მესმის, ხნულები აშლილი ირგველე,  
ბედსიერების დღეზე ძღვრიათ.  
დიდი მოსავლის, დოვლათის წიგნის  
ჯერ თუმცა შავი ზღუნაწერია.  
რომ ცისკარზე თუ საღამოსას

როცა ჯეჯილი აიხვირთება,  
შენს ოფლს, წმინდა ოფლს,  
ცვრებად მოისხამს,  
ყანა თავთავით დაიტვირთება,  
რომ გაზაფხულის თეთრი ყვავილი  
ტოტებს თანდათან დაუმძიმდება,  
ბარაქით სავსე ბალში გაივლი  
და შემოდგომა გეტყვის დიდებას.  
მესმის, ძმობილო! იმღერე ისევ,  
ხარ ბედნიერი აღამიანი.  
თავსაფრიახი გოგონა გისმენს,  
შოროდან გეტრფის თავსაფრიახი!  
ოფლი გისველებს მზედაკრულ სახეს.  
თითქოს ცვარ-ნაში გაპყურეს ღამით.  
შენ ილიმები! ღიმილი გამხვლს,  
ვგრძნობ, მეგობარო, რას ამბობ  
ამით...

## ჩაუშქრალი შუქი

★

ბრმა ბრმას მისდევდა ხელის  
ფათურით,  
თითქო სინათლეს ეძებდნენ  
ფრთხილად.  
ტყე სიმღერაში იყო გართული  
და თვალმოშორებულად ბრწყინავდა  
დილა.  
მიუძღვებოდა ეჭიმი ქალი  
სამ ბრმას, — მესანგრეს, ტანკისტს  
და მხვერაეს,  
და მისი ფართო, ნათელი თვალი  
გზას უჩვენებდა თანამგზავრს  
ყველას.  
ტყე შრიალებდა, ნიავე კოცნით  
უალერსებდა ყვავილს გულგაშლილს.  
მზეზე ბრწყინავდა  
ველუნოვოდსკი —

თეთრი ხომალდი ჩამჯდარი ტბაში.  
თუმცა თვალეში ედგათ უკუნი,  
არ ჩაჭრობიათ გულეში შუქი,  
ტყეში გაისმა უცებ გუგუნო.  
შემრა ტოტები რცხილის და მუხის.  
მღეროდნენ მკაცრად, მოედით  
გულეებს  
სურვილი ამ ცის, ამ მიწის ხილვის.  
მის სიყვარულში დაბრმავებულებს  
ნათლად ხედავდა საშობლო ტყბილი.  
ბრმებმა, ასე რომ შეტრფოდნენ  
დილას,  
გზაზე უჭრობი შუქი დატოვეს.  
და შრიალებდა ტყე ფრთხილად.  
ფრთხილად,  
თავს ველებოდა უსინათლოებს.

# უ ლ ე რ ტ ე ხ ი ლ ი



## რომანი თამი პირველი

ახალგაზრდა ინჟინერს, დავით ბუკაიას, ქორწინების სწორედ ერთი თვის შემდეგ ცოლმა განუცხადა, რომ სხვა უყვარდა და ისინი უნდა განშორებოდნენ ერთმანეთს. ეს სწორედ ამ დროს, როდესაც დავითს თავისი თავი უბედნიერეს ადამიანად მიაჩნდა და ეგონა, ცა და მიწა მისი იყო. დავითი ისე წაეიდა თავისი ცოლის სახლიდან (ის, ასე ვთქვათ, ჩასიძებული იყო), რომ თავისი პირადი ნივთები, ტანსაცმელი და სხვა რამ არც კი წაუღია. განდევნილი ვანმარტოება გადასწყვიტა. მოკლე ხანში მოაგვარა სამთო სამმართველოში საქმე და მივარდნილ მთებში, ყველაზე მიყრუებული კუთხე აირჩია სამღვინოდ. ამ მოულოდნელმა უბედურებამ ეს სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა კაცი ნამდვილ ქალების-მოძულე ადამიანად აქცია. მან ერთგვარი სიხარულიც კი განიცადა, როდესაც გაიგო, რომ იმ მალაროებში, სადაც ის მივიდა, ერთი ქალიც კი არ იყო. აქ სამღვინოები ახლახან იყო დაწყებული, და ამ ელრანსა და მიუვალ ადგილას არათუ გზა, ჯერ ხეირიანი ბილიც კი არ არსებობდა. ეს იმიტომ, რომ, სანამ არ დამთავრდებოდა მადნის ძიება, გზის გაყვანაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. თუ საქმით რაოდენობის მადანი არ აღმოჩნდებოდა, ამ უკაცრიელ ადგილას გზის გაკრას არავითარი აზრი არ ქონდა. ამავე დროს, ზერელე გამოანგარიშებითაც კი იგი სულ უკანას-

კნელი ორმოცდაათი მილიონი შანეთი უნდა დამჯდარიყო. ამიტომ, ამ ჰკაცოსა და მიუვალ კლდეებში ჯერ არათუ ელექტროგანათება, უბრალო ნათის ლამპაც კი დიდ მიღწევას წარმოადგენდა. ყოველი კილოგრამი ტვირთის მიზიდვა უდიდეს სიძნელებთან იყო დაკავშირებული. აქ მხოლოდ მთაში ყველაზე გამოცდილ ჩაღვადრებს შეეძლოთ ყუთებით დატვირთული ცხენები აეყვანათ ციკამო ფერდობებზე. და ისიც — რამდენიმე ადგილზე საპალნეები უნდა მოეხსნათ და საკუთარი ზურგით კარგა მანძილზე გადაეხიდათ. დატვირთულ ცხენებს იქ გავლა არ შეეძლოთ.

აი ასეთ უდაბურ ადგილზე მივიდა დავითი და მთელი დღეებია ის გვირაბებში იყო, ან იჯდა და ლაბბის მღვწე განუწყვეტლად მუშაობდა. მას იშვიათად ნაბადით ვალიმებულს.

ერთი წლის შემდეგ იგი დაიწყო. დავითი ჯარში არ გაიწვიეს.

მართალია, თვითონ ფრონტზე წასვლა ერჩია, მაგრამ დაჯავშნეს და უბრძანეს: ფეხი არ მოუცვალა ადგილიდან და თავისი საქმე განეგრძო.

მთი ახალშენი დიდი არ იყო.

ოთხი ბარაკი იდგა ტყის პირად. სამი მათგანი ომის დაწყების შემდეგ დაცარიელდა. მალაროებში სულ ოცდაათურთმეტი კაცი დარჩა. სხვები ჯარში გაიწვიეს.

გარშემო ერთმანეთზე ახრგალო.



ნაპარლებით დაღარული, უკაცური და უღვაბური კლდოვანი მთები ამართულიყვნენ.

კლდეებში შერთხები ბუღბუღდნენ. ხანდახან ისინოდა მათი კენესისმაგვარი სტვენა.

ხეობებში სიჩუმე ჩაჯლებულყო. დღისით ამ სიჩუმეს მხოლოდ გვირაბებში აფეთქებული ლალუმების გუგუნი არღვევდა. ხეობები ყრუდ იმეორებდნენ ამ ზუჯღმა და შემდეგ ისევ სდუმდნენ.

ერთადერთი ადგილი, სადაც მუშაობის შემდეგ თავს იყრიდნენ, სავაჭრო ფარდული იყო. ფარდული ბარაკების კოტა მოწორებით იდგა, ამბულატორიის მახლობლად. იქ საღამოობით ხშირად იკრებებოდნენ მუშები, ვითომ რაიმეს საყვილად. უფრო კი იმიტომ, რომ ფარდლის გამგეს მაქსიმეს მუსაფი უყვარდა. მოჰყვებოდა ქვეყნის ამბებს, თვითონაც ერთობოდა და სწუბსაც აბობნოდა.

კვარში ერთხელ რაიონიდან ნაბდისქედლიან ჩალვადრებს მოჰყავდათ ყუთებით დატვირთული ცხენები. მოჰქონდათ გაზეთები, წერილები. ყუთებში ეწყო სურსათი, ხელსაწყო, ნავთით სავაზიდონები და ზოგჯერ სავაჭრო ფარდულსათვის განკუთვნილი ფართო მოხმარების საქონელიც. მაშინ მაქსიმესთან ნამდვილი ზეიმი იმართებოდა. მეშალაროელნი ყიდულობდნენ ყველაფერს, რაც თვალში მოხვდებოდათ. ან მოეწონებოდათ, ხოლო თუთუნს და პაპიროსს მაშინვე ასაღებდნენ მოლიანად.

ბოლო ხანებში ქარავანს კარგა ხანს დაავიანდა და მუშებმაც მოიწყინეს. ინჟინერმა საწყობის გამგე რაიონში გაგზავნა ამბის გასაგებად.

მუშები ყოველდღე კითხულობდნენ, ქარავანი ხომ არ მოსულა, ან საწყობის გამგე ხომ არ დაბრუნებულაო. ყველას ეჩქარებოდა ახალი ამბების გაგე-

ბა. არავინ იცოდა, ქვეყნად რა ხდებოდა, ან ფრონტებზე რა მოხდებოდა იყო.

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იყო, გამოჩნდნენ ჩალვადრები. პირველად ისინი მაქსიმემ დაინახა და მაშინვე გზაზე შეეგება.

გვირაბებში ყველამ გაიგო ქარავნის მოსვლა.

სამუშაოდან დაბრუნებული დაღლილი, წვერგაუპარსავი მუშები პირდაპირ სავაჭრო ფარდულისაკენ გარბოდნენ. იქ ერთი ალიაქოთი იდგა.

ზოგი ჩალვადრებს ახალ ამბებს ეკითხებოდა, ზოგიც თავდაშრილი ყუთებს ჩაიკრკიტებდა და მოსულ საქონელს ათვალერებდა.

— ბაგრატ, რა ისმის ომის? — ჰკითხეს წვერგაუპარსავ ქალარა ჩალვადარს, რომელიც, დაღლილ-დაქანკული, სამფეხა სკამზე ჩამოხდარიყო და კოყრიანი ხელებით გაზეთის ნახევში წეკოს ახვევდა.

— გლახადა საჭმე, — უპასუხა მათ ბავრატმა და კეესი გაკკრა.

— კიდევ მოდიან წინ? — მოლრუბლული სახით იკითხა მწგრეველმა ვანომ.

— მოდიან! — ყრუდ წაიდუღუნა ბავრატმა და წეკო გააბოლა.

— რაიონში რას ამბობენ?

— რა უნდა თქვან, მოსავლის აღებაზე ერთი ამბავი, და რაიკომის მდივანმა მთელი ხალხი გამოყარა გარეთ. ერთ მარცვალს არ ტოვებენ აულეებელს. თუ ოხრად არ დაგვრჩია ეს ყველაფერი!

— ოხრად რად უნდა დაგვრჩეს! — წყუნილ შეუღტია ვანომ. — აქამდე მტერი ვერ მოაღწევს, და კიდევაც რომ მოაღწიოს, კისერს მოიტეხს.

დახლთან ერთი აურზაური იყო. მუშები გაფაციცებით ათვალერებდნენ ყუთებს და ფარდულის გამგეს კითხვებით თავს აბეზრებდნენ.

— მაქსიმე, თუთუნი მიილე?



— კბილს ჩოთქი ბევრი მოგვსლია.

— მაგენი ილიკოს მიეციოთ, ერთი ცალი კბილი აქვს შერჩენილი და ნამეტანი სჭირდება.

მალაშმა, უღვაშებდაკიდულმა ილიკომ ამ ზუმრობას ყურადღება არ მიექცია, ერთ ყუთს თავი ახადა და გახარებულმა წამოიძახა:

— ბიჭოს, ფეხსაცმელები მიიღე?

ამის გაგონებაზე ყველანი მისცვივდნენ ყუთს, რომელშიაც კობტად ეწყო მღუაოს კოლოფები. ილიკო დასწვდა, ერთი კოლოფი ამოიღო და თავი ახადა.

— რაა ეს? — წამოიძახა ილიკომ და პირდაფრენილი შეაკტერდა მაქსიმეს.

— დადევო, დადევო, თუ ძმა ხარ, — უფუნებოდ უბასუხა ფარდელის გამგემ და თავისი საქმე, ყუთების ხსნა, განაყრო. — ღმერთმა კი დასწყევლოს კაპიტონა ზინგიას თავი. სულ ეშლება და გეზრულაში გასაგზავნად საქონელს მე მიგზავნის. ფაქტურაში კაცის ფეხსაცმელები მიწერია.

— რა არის ეს? — გაიმეორა ილიკომ და მღმებს კოლოფში ჩაახედა. — ქალის ფეხსაცმელები გამოუგზავნიათ.

— თუ ძმა ხარ, მართლა? — აღტაცებით წამოიძახა კბილებმოცეითილმა და განიერყბებიანმა კოტემ. — დამანახვე ერთი. ორი წელიწადია, ქალი თვალით არ მინახავს და მაგას მაინც შეეხედავ.

მაქსიმემ ჯერ ჩაიციინა, მაგრამ შემდეგ გული მოუვიდა, ყუთს თავი ანება, ილიკოს ხელიდან ფეხსაცმელი გამოსტაცა და დახლს იქით თაროზე შეაგდო.

— გეყოფათ ახლა მასწრობა, გადით გარეთ! — წაიბურღლუნა მაქსიმემ და ისევ ყუთს მიუბრუნდა.

მაქსიმეს ბურღლუნს არავინ არ მიამჯობია ყურადღება. მზიარული ღრიანცილი არა სცხრებოდა.

კოტემ ღია კარებიდან თვალი მოჰკრა აბესალომს, მწგრეველთა ბრიგადირს, რომელმაც სამკვედლოსთან ურო

კუთხეში მიაგდო. ფარანი ღრისმანზე დაკიდა და თავის ბრწყინვალე ველებთან — იაკობ დემიანოვს მიაგდო. — თად სასადილოსკენ დააპირა წასვლა.

— აბესალომ, აბესალომ, მოდი აქ! — გასძახა კოტემ.

— რა ვინდა?

— მოდი აქ, რა გაჩვენო.

— რა უნდა მაჩვენო?

— მოდი, მოდი, მაქსიმემ საქონელი მიიღო.

აბესალომმა მძიმე ნაბიჯებით ჩაეპარა ბარაკებს. მას სხეებიც დაედევნენ. ყველანი ფარდელში შევიდნენ.

— რა იყო, რა ამბავია? — იკითხა აბესალომმა.

— ამას ხედავ? — შეახედა ილიკომ თაროზე კაცკაცივით შესვებულ ქალის ფეხსაცმელს. — შენთვის გამოუგზავნიათ.

— რაა, კაცო, ეს?

— ესაა, ჩემო აბესალომ, ქალის ტუფლი.

— ეინ მოიტანა?

— აგერ, მაქსიმემ მოგიტანა ჩექმების ნაცულად.

— ი!

— ოჰო! ეს კარგი ნიშანია. — თქვა იაკობ დემიანოვმა და ჯმუხი სახე ღიმილით გადაეხადრა.

— არ გადამრიო! — გაოცდა აბესალომი და მერე მაქსიმეს მიღებრუნდა.

— ამას წინათ იყო და ორმოცდაათი კრული ქოლგა ჩამოიტანე, თითქოს ქობულეთის კურორტზე გქონდეს მალაზია გახსნილი. ახლაა და... ხედავ, იაშა, ამას?

— მე მგონია, ეს ტყუილ-უბრალოდ არ გამოუგზავნიათ, — უთხრა დემიანოვმა აბესალომს. — ალბათ მღმებს თუ აგზავნიან აქ.

— ქალებს?

— შეიძლება ქალებსაც. — უთხრა იაკობმა და წეკოს ხვევას შეუდგა. — ახლა ომია და მუშაკაცები აგრე ადვილად როდიღა იშოვება.

კოტე თაროს მისწვდა და ცდილობდა ფეხსაცმელი ჩამოეღო.

— მაქსიმე, მაჩვენე ერთი.

— მოცილდი თაროს! — შეუტია ილიკომ. — გაჩვენოს. თორემ მზეთუნახავი საცოლე დაგიბრბის ტუთაისის ბულვარში.

— საცოლე მე თუ არ დამიბრბის, შენ ხომ დაგიბრბის... — უთხრა კოტემ და თან ერთი ორიოდუე კრიტიკული მოსაზრებაც გამოთქვა ილიკოს მოსალოდნელი საცოლოს შესახებ. მერე ფეხსაცმელს მისწვდა და თვალღებება დაუწყო.

ილიკო ერთხანს გაოცებული შესცქეროდა თავის მეგობარს, მაგრამ შემდეგ თანდათან სისხლი მოაწვა სახეზე და სიბრაზისაგან კბილები გაახრვილა. ისეთი შეურაცხყოფის გრძობამ შეიპყრო, თითქოს სილა გაეწნათ მისთვის. მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა კოტეს, კისერში ხელი ჩაავლო. თავისკენ შეაბრუნა და მტკიცე ხმით უთხრა:

— დადევ!

— რა? — გაოცებული თვლები შეანათა კოტემ.

— ეინ გვონივარ, ბიჭო, მე?

— რა შენი... გინდა... — უკმეხად უბასუბა კოტემ, მხარი გაიჭნია და თავი გაითავისუფლა.

— დადევ-მეთქი, გელაპარაკები.

— ეინ ხარ, კაცო, შენ?

— გასწავლი, ვინცა ვარ! — დაუბრიალა თვლები ილიკომ.

— კაი, კაცო, რა მოგივიდათ, — აღაპარაკდნენ მუშები და გასაშველებლად შუაში ჩადგნენ.

ილიკო და კოტე სწრაფად დააშორეს ერთმანეთს.

აყაყინდნენ. სცადეს, ეს ყველაფერი ხუმრობად გადაეშვათ.

— რა მოგივიდათ, — ჩაუდგა მათ შუაში იაკობ დემიანოვი, — რა საჭიროა ჩქლები?

— ბიჭო, საქმე გამოგელიათ? ქვეყა-

ნა იქცეოდა და ტურა ქორწილსაჟივის ემზადებოდაო. ისეა თქვენო საქმეჲ!

— თქვენი ჩხუბი კატაპასტრისაგან, ახლა რა გეპარტებათ?

ილიკო და კოტე კი ისევ დამუქრებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს და მზად იყვნენ, მუშტები დაეტრიალებინათ.

— შე ლაწირაკო, შენი ტოლი ხომ არ გვონივარ? — ძლივს ამოსართლა ილიკომ, რომელსაც სიბრაზისაგან ყბები შეჰკეროდა.

— ტოლი, თვარა დიდი ვინმე მყავხარ! — შეუტია კოტემ, — რომ იქაჩები, რას იქაჩები?

— ტუფლებს ათვალეობებს ყმაწვილი, — დაცინვით ჩაიქირჭილა ილიკომ. — ათ ცალს იყიდის, თავს ეკლავენ ქალები მისთვის და რა ქნას!

— თორემ შენმა მზემ, შენსას მიმიგავს ან თავი ან ფეხი. შეტედეთ ერთი, თუ ძმა ხარ? დამპაო კუბს არ მიუგავს თავი?

— წადი შენი...

— ხმა, თორემ ესენი კი ვერ გიშველიან.

— მოდი, თუ ბიჭი ხარ!

ერთმანეთზე მიიწიეს, მაგრამ ისევ გააცალკავეს. ილიკო კუთხეში მიაგდეს. კოტე ხელისკვრით გაიფანეს გარეთ. არც ერთი და არც მეორე არა ცხრებოდა. განსაკუთრებით კოტე აო ისვენებდა და ფარდულიდან შორს წასვლას არ აპირებდა. თავს შეურაცხყოფილად გრძობდა იმის გამო, რომ ფარდულიდან ილიკოს ნაცვლად ის გაიფანეს. თითქოს ილიკო იმისთანა კაცანდევნი იყო, რომ კოტე შეიბრალებს და მოაჩიდეს. გაეცხლებულმა ერთი-ორჯერ სცადა გარშემოსული ბიჭები შემოეფანტა და ისევ შევარდნილიყო ფარდულში, მაგრამ, როდესაც მათ მაგრად შეუტრეს გზა, გადმოქაჩული თვლები ფარდულის კარებს მიაშტერა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იყვირა:



— გამოდი გარეთ, თუ დედალი არა ხარ!

ფარდულთან ბლაბუნა და ხენემა მოისმა. ილიკო გარეთ იწევდა, მაგრამ არ უშვებდნენ.

ხმაურმა დავითის ყურადღებამ დააღწია. ახლანდელ დაბრუნებულ იყო სამუშაოდან და აპირებდა შესდგომოდა ახლად მოტანილ გაზეთების კითხვას. მოესმა თუ არა ხმაური, მაშინვე აჩქარებული ნაბიჯით გაემართა ფარდულისაკენ.

— რა მოგვიდათ, რა ამბავია? — მიადახა შორიდან მუშებს.

ინჟინრის დანახვებზე ბიჭებმა მაშინვე უშვეს ხელი კოტეს და სიცილი დაიწყეს. კოტეც უცბად გამოერყვა. დამნაშავესათვის განზე გაიხედა და ქამრიდან ამოწილი ხალათის სწორება დაიწყო.

— რა მოგვიდათ? — ჰკითხა დავითმა ყველას და შემდეგ კოტეს აბედაძედა: — რა იყო, ბიჭო?

— არაფერი, პატარა შელაპარაკდნენ ეს და ილიკო, — უპასუხა კოტეს მაგივრად ერთმა მუშამ.

— რაზე შელაპარაკდნენ? — იკითხა კიდევ დავითმა, მაგრამ პასუხს აღარ დაუტყდა და ფარდულში შეაბიჯა.

ილიკო ისევ მიიწევდა გარეთ. მას აბესალომი ელობებოდა და არ უშვებდა. მაქსიმემ დაინახა თუ არა დავითი, მაშინვე თვალით ანიშნა აბესალომს, დანებე თავი, შეხედე, ვინ მოვიდაო. აბესალომმა მიიხედა და ღიმილით მოშორდა ილიკოს.

— ამას რაღა უნდა? — სიცილით იკითხა დავითმა, რადგან უნდოდა უცბად შეენელებინა მოჩხუბართა დაძაბული განწყობილება.

ილიკოს არც გაუგონია დავითის სიტყვები და თითქოს არც დაუნახავს იგი. გულდაგულ გაემართა კარებისაკენ, მაგრამ დავითმა ხელი მიადგინა გულზე და შეაჩერა:

— სად მიდიხარ?

ახლა გამოერყვა ილიკო. შედგა, შერ-

ცხვა. მერე მიბრუნდა, კართან მივიდა და ზედ იდაყვით მიეყრდნო კარს. მალე დაღლივით გაფითრებულმა სწორდა და დაძაბული სუნთქავდა.

— რა მოგვიდათ, რა განხუბებთ? — ახლა ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ, ჰკითხა დავითმა. — ილიკო, შენგან ჩხუბი კი არა, აწეული ხმა არ გამოგონია. რა მოგვიდათ?

— რა, ბატონო, და ეს! ამის გამო ატყდა ყველაფერი, — თქვა მაქსიმემ და ქალის ფეხსაცმელზე მიუთითა. — აი, ამ ტუფლს შეხედეთ, აბესალომ კაპანაძეა ახლა ამის ჩამცმელი?

ამ ხუმრობაზე ყველას გაეცინა. ილიკოსაც კი გაეღიმა, რადგან აბესალომი განთქმული იყო თავის დიდი ფეხებით. ორმოცდახუთი ნომერი ფეხსაცმელი სჭირდებოდა.

დავითმა ხელში აიღო ქალის ლამაზი ტუფლი და შეათვალიერა, მერე აბესალომს შეხედა. ის თუთუნს ახვევდა და უღვაწებში იღიმებოდა.

— დავიწყებდა, აბესალომ, — უთხრა დავითმა და ფეხსაცმელზე ანიშნა.

— მაგის რა მოგახსენო, ჩემო დავით. მაგრამ ამის ჩამცმელი თავის დროზე კი დამშვენდებოდა, მართალი რომ თქვას კაცმა. — აბესალომმა კვესი გაჰკრა, აბედს შეუბერა, გააღვივა და პაპირისი გააბოლა. მერე დავითის გვერდით იდაყვით დახლს ჩამოეყრდნო და ფეხსაცმელი მელიასავით შეათვალიერა, თითქოს პირით უნდოდა აეტაცა და გადაეყვალა. — ახლა იტყვიან, რომ ვითამ შეეცვებორობ ქვეყანაზე.

— რატომ ამბობ მაგას? — ჰკითხა გაოცებით დავითმა და ფეხსაცმელი მაქსიმეს გაუწოდა.

— რაზე? ვმ! — სინანულით ამოიხზრა აბესალომმა. — რაზე და, ერთხელ თბილისში ვიყავი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და რაც მე იქ ლამაზად გამოწყობილი ქალები ვნახე, ანგელოზებივით გოგონები, გელაპარაკები, კინალამ დავებრუ-



ციანდი. ცალი თვალი იქით გამირბოდა და ცალი აქეთ. ის გამაგებინა, ვინ იხუტებს ამდენ ლამაზ ქალს გულში? მე ერთი დაჯღანული ქალი შევირთე და მოელი ჩემი სიცოცხლე იმას შეეჩერებოდა. იქ კი... ერთი ჩვენებური ბიჭია. მუზიკას უკრავს, რომ შეხედო, ამერიკიდან ჩამოსული მილიონერი გეგონება. ხუთი ცოლი გამოიცვალა. მაგრამ როგორები? ერთი მეორეს სჯობს. ასე ყოფილა ეს ცხოვრება და რას იხამ. ახლა აგერ ეს საშინელი ომი დაგვატყდა თავზე, მტერი მოდის და ლეწავს ყველაფერს. სადაცაა მგონია აგერ კარზე მოგვაყენოს სიკვდილი და უბედურება. ჰოდა, ისე როგორ უნდა მოვევდეთ, რომ სიყვარულს და ბედნიერებას არ მოვესწროთ...

— შენც ხომ უცოლო არა ხარ, რაზე გწყდება გული.

— ჩემზე ხომ არ გელაპარაკები, რაზე წაიხუბუნენო, რომ იკითხე, არეული აქვს ხალხს გონება, თორემ ისე მაგათი ჩხუბი გაგიგონია! ამ ომმა მაინც სულ აგვირია დავთარი. თქვენც ახლა არაფერი არ უნდა გაგიკვირდეთ.

— მამ კიდევ კარგი აქ ქალები არა გყავს, თორემ მაშინ სულ გადაირეოდნენ.

— არა, არა ხართ მართალი, თვალი რომ ხედავს, ის სხვაა.

დავითმა აღარ უპასუხა. მოსული საქონელი ერთხელ კიდევ შეათვალიერა და გარეთ გავიდა. შუბლი მოისრისა და დაბნეულად მიმოიხედა. თავის თავს შეატყო, რომ მის არსებაშიაც გაიღვიძა რაღაც ფარულმა ამაღლეებელმა გრძნობამ. უცბად მოენატრა, ყოფილიყო პირგაპარსული, ახალ კოსტუმში გამოწყობილი, სადმე მყუდრო ოთახში სავარძელში ჩამჯდარი, მის პირდაპირ კი მეორე სავარძელში — მინაბული ახალგაზრდა ქალი, ლამაზი ფეხები რომ მუხლისთავეებამდე უჩანს, მიმზიდველი ლამაზი ქალი, გრძელწამწამებიანი, და-

ბინდული თვალებით. მიმოიხედა, გახსენდა, რომ გაზეთები უნდა წვეკითხა. წვერზე ხელი მოისვა. <sup>განგებულად</sup> განგებ აღარ იპარსავს. როდესაც სარკეში იხედება, თავის თავს ვერც კი სცნობს. სულ სხვაგვარი ჩანს. წვერი ლამაზად დაუხუჭუჭდა. დავითი ახლა ანტიკურ ქანდაკებას ჰგავს. სახე ბრინჯაოსფერად აქვს დამწვარი, კუნთები რკინასავით გაუმარდა, რადგან სხვებთან ერთად თვითონაც მუშაობს სანგრევეზე.

ჩქარი ნაბიჯით გაემართა თავისი ოთახისაკენ. უნდოდა მოეშორებინა არასასიამოვნო ფიქრები, სურდა სხვა რამეზე ელაპარაკა. გაზეთები ეკითხა, არ უნდოდა, მოგონებებს გაჰყოლოდა. არ უნდოდა, კვლავ მოსჩვენებოდა ბუხართან მჯდომი გრძელწამწამებიანი ლამაზი ქალი.

— მელიტონ!

— რას მიბრძანებთ? — ათისთავი მოწყვეტით შეჩერდა დავითის წინ.

— ისადილე? — კითხა დავითმა. მეტი ვერაფერი მოისაზრა.

— ჯერ არა, — მელიტონი შედგა და მერე ეშმაკურად გაიღიმა, — მართლა ქალის ტუფლები ჩამოუტანიია მაქსიმეს?

— ჰო, შეშალათ აღბათ.

— ოი, ღმერთმა დასწყევლოს იმათი თავი! ფრონტზე რა ამბებია?

— არ ვიცი, გაზეთები არ წამიკითხავს.

— ჩალვადრები არაფერს ამბობენ?

— იმათ არაფერი უთქვამთ. ევაკუირებულები კი ჩამოსულან ქვაბნარაში.

— ისინი ზამთარშიაც მოდიოდნენ.

ორივენი გაჩუმდნენ, სალაპარაკო აღარ ჰქონდათ რა.

— ფარდულში მიდიხარ?

— ჰო, ენახე ერთი მეც, რა მოუტანიათ, მერე თუთუნი მინდა და...

— კარგი, წადი.

დავითი ოთახში შევიდა, ტახტზე



გულაღმა წამოწვა და გაზეთი გაშალა. „ერთი ვნახოთ, რა წერია ამ გაზეთებში“. — გაიფიქრა მან.

— წაეკითხოთ, წაეკითხოთ, წაეკითხოთ, რომელი რიცხვისაა? ივლისი, უპ, რამდენი ხნის ყოფილა?..

„რა კარგია, მართლა, ბუხარი! რატომ მაინცდამაინც ბუხარი? არ ვიცი, მაშინ ზამთარი იყო, ბუხარს ვუსხედით, ის რბილ სავარძელში იჯდა...“

„რა დროს ფიქრია! გაზეთი წაეკითხოთ, გაზეთი, რა წერია? მე ხომ გადავწყვიტე, არასოდეს აღარ მეფიქრა იმაზე. არც ვფიქრობ იმაზე. მაგრამ სხვა ვინმე რომ იჯდეს ბუხარის წინ სავარძელში, სულ სხვა? ის, რომელიც მთელი გულითა და სულით ჩემთან იქნებოდა?... არასოდეს! არავინ ფიქრი! ყველანი ერთნაირები არიან. ნუთუ ვერ უნდა მოვერიო ჩემს თავს... გაზეთი წაეკითხოთ, აი რა საყურადღებო ამბები წერია...“.

საბჭოთა არმიის სარდლობის საინფორმაციო ბიუროს ცნობებით, მტერი კვლავ წინ მოიწევდა და ფრონტის მთელ ხაზზე გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. მოსკოვთან დამარცხების შემდეგ მტრის ურდოები სამხრეთის მიმართულებით უტევდნენ და ცხადი იყო, ცდილობდნენ — ბაქოსაკენ გაპრილიყვნენ.

ამ არასასიამოვნო ცნობებმა დავითი ცუდ გუნებაზე დააყენა, გაზეთები განზე ისროლა, ფეხზე წამოიჭრა და გარეთ გავიდა.

მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ საოცრად მშვიდი და სანეტარო საღამო იყო. ლაილას მწვერვალებში ჩამალულ მზეს თითქოს ხანძარი დაენთო ცაზე და ღრუბლები აღისფრად აეფერადებინა.

საღამოს ზეფირი ოდნავ ამრიალებდა ტყეს.

მოულოდნელად საღაც შორს, ქედის გადაღმა თუ მწვერვალებზე, დაგუდული გრიალი გაისმა.

მერხზე ჩამომჯდარმა მუშებმა გაცივრებით აიხედეს მალევე მოქანულ კიდე დაიქუხა. ცოტა ხალიც მოსწავდა სამჯერ ზედიზედ გაისმა გრიალი.

მუშებმა ცას შეხედეს და მერე ისევ მთებს მიაკერდნენ.

— ქუხილია? — იკითხა ვილაცამ.

ფარდულიდან მელიტონი და მაქსიმე გამოვიარდნენ. სამზარეულოდან თომამ გამოიხედა.

გაისმა აქეთ-იქიდან:

— რა ამბავია?

— ლალუშია?

— არა, კაცო, ქუხილია.

— რას სულელობ, ქუხილს რა უგავს? ზარბაზნებია.

— ზარბაზნები!

ყველამ გაოცებით შეხედა მელიტონს. ის წარბშეკრული გასცქეროდა ქედს.

— ზარბაზნის ხმა! — გაიმეორა მელიტონმა, დავითს შეხედა და დასძინა: — მოგვიახლოვდნენ.

შეშფოთებული მუშები სასადილოში შეიკრიბნენ, დავითმა რუკა მოძებნა, მაგიდაზე გაშალა და ლამპის შუქზე დაუწყაო თვალყურება. გაზეთის ცნობებით, მტერი ჯერ კიდევ როსტოვთან უნდა ყოფილიყო! ჩალვადრებს ეთქვათ, ბრძოლები ტიბორეცკიასთან მიმდინარეობსო. თუნდაც აგრე ყოფილიყო, მანძილი ფრონტამდე მაინც საკმაო გამოდიოდა: ოთხასი კილომეტრი.

ნუთუ შესაძლებელი იყო ოთხას კილომეტრზე ზარბაზნის ხმას მოედწია?

— იქნებ თვითმფრინავებით რომელიმე სოფელს ბომბავენ და მისი ხმა ისმის? — იკითხა მელიტონმა.

ამ მოსაზრებას არავინ არ დაეთანხმა.

— რა ვქნათ ახლა, დავით? — იკითხა აბესალომმა. — როგორ იქნება ჩვენი საქმე?

— რა და, მუშაობა განვაგრძოთ, — უპასუხა დავითმა, რუკას თავი ანება, კედელს ზურგით მიყურდნო და პაპი-

როს მოუკიდა. — გვსმით? კიდევ ისმის.

— ისმის და მაგრე? — თქვა აბესალომმა. — ჰოდა, შენ იძახი, მუშაობა განვაგრძოთო. არა სჯობს, ავიკრათ გულა-ნაბადი და მოვუსვათ აქედან?

— ნუ გეშინია, ჩემო აბესალომ, მტერი ჯერ შორსაა.

— ი!

სწორედ ამ დროს კიდევ გაისმა გრიალი და ისე ახლოს, თითქოს ყუმბარა იქვე ხეობაში დაცემულიყო.

— ესაა შორს? მე მგონია, ამაღამევე რომ წაივლიდეთ, არ იქნება ურიგო.

— კარგი ერთი, ვინ მოგცა მაგდენი ლაპარაკის უფლება! — ღიმილით შეუტია დავითმა. — სანამ მე აქა ვარ, ვერც ერთი ფეხს ვერ მოიცილით.

აბესალომმა ამოიოხრა და ჩაბნელებულ ფანჯარას მიაკცქერდა.

ყველანი ჩუმად ისხდნენ, თავიანთ ფიქრებში წასულნი.

ბარაკში იაკობ დემიანოვი და მუდამ ჩუმი დანილა ოცუპი შევიდნენ.

— ამხანაგებო, პარტიულ კრებაზე არ მოდიხართ? — იკითხა იაკობმა და მიმოიხედა. — შალიკო დიდი ხანია გველოდება.

— ჰო, მართლა, სულ დამავეიწყდა. — თქვა დავითმა.

— ჩვენ რა შუაში ვართ. — უთხრა აბესალომმა. ის თავის თავს და დანარჩენ უპარტიო მუშებს გულისხმობდა.

— ღია პარტიული კრებაა, ასე რომ თქვენც შეგიძლიათ დაესწროთ.

— რა დროს კრებაა, ვერ ხედავ, რა ამბავია? — წაილულლულა აბესალომმა.

— დიდი უცნაური კაცი ხარ, აბესალომ ვარლამიჩ, — უთხრა ღიმილით იაკობმა. — განა რა ხდება ისეთი, რომ კრება არ მოვიწვიოთ.

— რაო, იაკობ ნიკიტჩი, — ჰკითხა დავითმა, — რას იტყვი ამ ქუხილზე. მოგვიახლოვდა მტერი?

— არა, არა მგონია, — მიუგო იაკობმა. — ბიჭებმა დაიჩემეს, გერმანელები

მოვიდნენო. ეს, ჩემი აზრით, ჩვენს რაზმები ატარებენ მტრის სადივერსიო ჯგუფების წინააღმდეგ. პარტიულ კრებას ალბათ გერმანელებმა დენსანტი გადამოსხეს ზურგში და ჩვენები ვარცხნიან მიდამოს.

— იი ქვეიანი კაცი, — აღტაცებით წამოიძახა დავითმა, — მე სულ არ მომივიდა აზრად, რომ ეს ასე იქნება. ცხადია, ეს ჩვენები ატარებენ ოპერაციას, თორემ აქამდე რომ მტერს მოელწია, როგორ ვერ გაიგებდით.

იაკობის ამ მოსაზრებამ ყველა დაამშვიდა და გაამზიარულა. აბესალომმა გულდაწყვეტილია კი წამოიძახა:

— ეგ მართლა აგრე იქნება. მე სულელი, როგორ ვერ მიგზვდი, ყოჩად, იაშა. ტყუილად კი არ მყავხარ ბრიგადაში ასეთი ქვეიანი კაცი. წამოდით, ბიჭებო, კრებაზე, არ ვაწყენინოთ ჩვენს შალიკოს.

\* \* \*

კრება ბარაკში მიმდინარეობდა. ბარაკი ახლა კლუბის დანიშნულებას ასრულებდა. ერთ ბოლოში მიდგმული ტახტებისაგან ესტრადასავით შემალღებული ადგილი იყო მოწყობილი. იქ იდგა პატარა მაგიდა და ორი მოყანყალეული სკამი. პარტორგანიზაციის მდივანი, მექანიკოსი შალვა ღურეშიძე, ლამპას აწვალებდა. ცდილობდა, ალი წესიერად დაეყენებინა. ლამპა კი უხეიროდ ხჩიოლავდა და შუშა უკვე სანახევროდ გაემურა.

მუშები ხმაურით შემოდირდნენ ბარაკში და მერხებად გადებულ ფიცრებზე ადგილებს იკავებდნენ.

შალვამ, როგორც იქნა, ააწყო ლამპა და დარბაზში მყოფნი შეათვალიერა.

— ყველა მოვიდა? — იკითხა მან.

— ყველა, ყველა. თომაც კი აქაა. — დაიძახა ილიკომ.

— მაშ, ამხანაგებო, დავიწყოთ, — თქვა შალვამ. — გთხოვთ დაასახელოთ კრების თავმჯდომარე.

— ბარემ იყავი შენ.

— შენ იყავი.

— მე ვასახელებ ჩვენს ინჟინერს, დავითს, — ადგა თომა.

— დაჯექი შენს ადგილზე, — შეუტია აბესალომმა, — რომელი პარტიული შენა ხარ, რომ ასახელებ.

— რაეა, არ მაქვს ნება თუ? — ჩურჩულით იკითხა თომა.

— ეს პარტიული კრებაა და თავმჯდომარეც იმათ უნდა აირჩიონ, — ჩურჩულითვე უპასუხა აბესალომმა.

შალვამ დააბირა, თომას კანდიდატისათვის კენჭი ეყარა, მაგრამ თვითონ დავითმა და დანარჩენმა პარტიულებმაც ისევ შალვას დაავალეს თავმჯდომარეობა, და ისიც იძულებული გახდა დათანხმებულიყო.

— ავირჩიოთ მდივანიც, — თქვა შალვამ.

— მდივანად მაშ დავითი იყოს, — დაიძახეს აქეთ-იქიდან და ისიც იძულებული გახდა დათანხმებულიყო. დავითმა მაგიდის გვერდით დაიკირა ადგილი, რვეული გაშალა და ჯიბიდან თავისი ავტოკალმისტარი ამოიღო.

— ამხანაგებო, დღის წესრიგში გვაქვს ერთი საკითხი, საწარმოო გეგმის შესრულების განხილვა. ხომ არავის აქვს შესწორება ან დამატება.

— კაცო, ეს ჩვენი საქმე როგორ იქნება, იმაზე არ უნდა ვილაპარაკოთ? — წამოიჭრა ზეზე აბესალომი და მერე დასძინა: — შეიძლება, მე რომ ვთქვა?

— სთქვი აბესალომ, რა საქმე?

— რა და, ეს ბაგაბუგი რომ ისმის ამ ჩვენს გარშემო და ჩვენ კი ბაიბურში არა ვართ. რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? ამაზე უნდა ვილაპარაკოთ, თორემ საწარმოო დავალებებზე...

— სწორია, სწორი, — გაისმა ყოველი მხრიდან.

— მე ვფიქრობ, ამხანაგებო, — წამოდგა ზეზე იაკობ დემიანოვი, — პირველ რიგში მაგაზე უნდა ვილაპარაკოთ, რომ გავფანტოთ ყოველივე ეჭვი და

დაბნეულობა. ისვრიან, მერე რა, რომ ისვრიან აგრე ყოველ ბაგაბუგზე თუ ყური ვუგდეთ...

— დაიცა, იაკობ, შენაწყვეტრა შალვამ, — მერე ილაპარაკე, სიტყვას რომ მოგცემ... მაშ, კარგი, ამხანაგებო. დღის წესრიგში დავუმატებთ მაგ საკითხს, დღევანდელი სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

— პირველი ეგ იყოს, — დაიძახეს ყოველი მხრიდან.

— კარგი, ვუყრი კენჭს. მაშასადამე, დღის წესრიგი მიღებულია ერთხმად. სიტყვა ეძლევა ამხანაგ დავით ბეჭაიას.

— მეც მომეცი სიტყვა, — დაიძახა დემიანოვმა.

— შემდეგი ამხანაგი იაკობი, — გამოაცხადა შალვამ.

დავითი ადგა, ერთი კიდევ ჩახედა რვეულს, თითქოს იქიდან უნდოდა ამოეკითხა რაიმე და, როდესაც სრული სიჩუმე ჩამოვარდა, დაიწყო:

— ამხანაგებო, ეჭვი არ არის, რომ ამჟამად ჩვენს ფრონტებზე მძიმე მდგომარეობაა. შეიძლება ითქვას, რომ დადგა გადამწყვეტი მომენტი. უეჭველია, რომ მტერი დაგვიახლოვდა და ცდილობს ამ ჩვენი კავკასიონის გადმოლახვას, მაგრამ სროლის ხმები რომ გვესმის, ეს ფრონტიდან მოსული არ არის. ამხანაგ დემიანოვის მოსაზრება საესებით სწორია. შესაძლებელია ჩვენი რაზმები მართლაც ატარებენ მტრის სადივერსიო ჯგუფების წინააღმდეგ ოპერაციას იალალებზე, და ეს ხმაე იქიდან ისმის. მე ზეალ ვაპირებ ზემოთ ასვლას. იქ ჩვენი რაიონის მეჯოგეები არიან და ყველაფერი ეცოდინებათ. წინასწარ ასაღელვებელი არაფერი არა გვაქვს. საქირთა მხოლოდ, რომ ფხიზლად ვიყოთ და ჩვენი საქმე განვაგრძოთ.

— შეიძლება? — წამოდგა დემიანოვი, როდესაც დავითმა, დაამთავრა სიტყვა.

— მობრძანდით! — უთხრა შალვამ

და გამოაცხადა. — სიტყვა ეძლევა ამხანაგ დემიანოსს.

— ამხანაგებო, — დაიწყო ადგილიდან იაკობმა, მაგრამ მუშებმა მიაძახეს: — წინ წამოდი.

— ზემოთ ადი, დაგინახოთ!

იაკობი ბრახუნით ავიდა ტრიბუნაზე, ქული მოიხადა, ხელში დაიჭირა, ჩაახველა და მქუხარე ხმით დაიწყო!

— ამხანაგებო, უკვე ერთი წელია, რაც ვერაგი მტრის ფაშისტური ურდოები თავს დაესხნენ ჩვენს წმიდათა წმიდა ქვეყანას — საბჭოთა კავშირს. ისინი ცდილობენ, გასტეხონ ჩვენი რკინისებური ნებისყოფა, დაიმორჩილონ და მონებად აქციონ საბჭოთა ქვეყნის მშრომელი მოსახლეობა, ალადგინონ კაპიტალისტების, ხუცების და კულაკების ძალაუფლება, ძირი გამოუთხარონ საბჭოთა კავშირის ძლიერებას. მაგრამ არც ასეა საქმე. შარშან შემოდგომაზე მტრმა უკვე იგემა პირველი მარცხი მოსკოვის მისადგომებთან. ჩვენმა სახელოვანმა ჯარებმა სასიკვდილო დარტყმები აგემა მტერს და ჩვენი სიამაყე, კაცობრიობის მანათებელი შუქურა, მოსკოვი, გადარჩენილი იქნა. მოიხსვრია რა კბილები მოსკოვთან, მტერი ახლა სხვა გზით ცდილობს ჩვენს დამარცხებას, მაგრამ არ გამოვა! მოდით, ამხანაგებო, მტრის ამ ვერაგ შემოტევას ვუპასუხოთ გაასკეცებული ენერგიით, გაეძლიეროთ ჩვენი შრომითი მამაცობა, გადაპარბებით შევასრულოთ საწარმოო დავალებები. პირადად მე ვალდებულებას ვიღებ, გავადიდო სანჯრევზე გვირაბის ქრის დლიური ნორმა ნახევარი მეტრიდან სამოცდათხუთმეტ სანტიმეტრამდე და ვიწვევ შეჯიბრებაში ამხანაგ ვანოს.

ტაშის გრიალში გაისმა ვანოს ხმა:

— ეე, იაშა, ეგ ჯერ აღრეა. სანამ კომპრესორები არ ამუშავებულან, ხელით მაგდენს ვერ გავჭრით.

— შენ რა, ახლავე დაფრთხი? — ჰკითხა იაკობმა და ძირს ჩამოვიდა. —

საქმე ისაა, ხელით გავჭრაი მაგდენი, თორემ სანჯრევი ჩაქუჩებზე უნდა იყოს. —  
ორი მეტრია.

— კიდეც ვის სურს ლაპარაკი? — იკითხა შალვამ.

— შეიძლება? — წამოდგა ზეზე ვანო.

— მობრძანდი.

ვანო დინჯად ავიდა ტრიბუნაზე და ასევე დინჯად დაიწყო:

— მე ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, იმისთვის რომ...

— შენ საქმეს უფრო ეწყობი. ასე არაა? — ღიმილით შეაწყვეტინა დავითმა.

— არა, მე ის მინდა ვთქვა, რომ ამხანაგ იაშას წინადადებას ვეთანხმები და გამოწვევას ვიღებ. ოღონდ ჩვენმა მკედელმა გრამიტონმა თუ უკეთ არ გამოგვიპირა ხოლმე ბურები, ვერც ნახევარ მეტრს გავჭრით...

— რა ვქნა, მითხარით, — ცხარედ წამოიძახა ადგილიდან მკედელმა, — რბილად ვაწრთე, მალე იბლაგვებო, ფიცხად ვაწრთე, მარილივით დაიფშენაო! მითხარით, როგორ მოვიქცე.

— წრთობა უდიდესი ხელოვნებაა, — შეეძღვა ვანო, — გაბურებულ ბურს თავს რომ წაუქლიბავ და ფერს დახედავ, იმას ხომ სხვადასხვა ფერი გადაუვლის, ლურჯი, ყვითელი, იისფერი...

— მერე? — გულმოსულად ესროლა ადგილიდან გრამიტონმა.

— მერე-და, ის, რომ შენ ახლა სულ შესწავლილი უნდა გქონდეს ჩვენი ქანები და ზეპირად უნდა იცოდე, როდის, რა დროს რა ფერზე აწრთო ბური. ასე არ არის? მკედლობა მარტო ჩაქუჩის რახარუხი კი ნუ გგონია, ესაა საქმის კარგი ცოდნა და ხელოვნებაც. ტყუილს ვამბობ? — მიმართა კრებას ვანომ.

— სწორი ხარ, სწორი... — მიაძახეს ერთხმად მუშებმა.

— რაა სწორი, — წამოიჭრა ზეზე მკედელი და კრების თავმჯდომარეს მიმართა, — მომეცი ერთი სიტყვა.



— მოიცა, ჯერ ვანოს არ დაუმთავრებია.

— როგორ არ დამიმთავრებია. განა ამდენი ლაპარაკი ვიცი? — თქვა ღიმილით ვანომ და ძირს ჩამოვიდა.

ტრიბუნაზე გრამიტონი ავიდა ჩექმების ისეთი ბრახუნით, რომ მუშებმა სიცილი დააყარეს.

— ამხანაგებო...

— მოიცა, გრამიტონ, — შეაჩერა თავმჯდომარემ, — მე მგონია, რომ ჩვენ საკითხს გადავუხვიეთ. კრების გადაწყვეტილებით, ჯერ პირველი საკითხი უნდა ამოვწუროთ.

— ამოწურულია, ამოწურული, — თითქმის ერთხმად წამოიძახეს მუშებმა.

— ამხანაგო თავმჯდომარე, შეიძლება? — წამოდგა ზეზე ილიყო.

— რა გინდა?

— ჩვენი ახლა მთავარია ჩვენი მალაროების საკითხები. როგორც ფრონტზე, ახლა ჩვენი ძმები და შეილები დროს კი არ კარგავენ მტერთან ბრძოლაში და...

— თუ სიტყვას ამბობ, ტრიბუნაზე ადი. — მიაძახა ვილაცამ.

— დამაცა, კაცო, მე ვიცი, რასაც ვამბობ. — გაცხარდა ილიყო და განაგრძო: — ჩვენი ფრონტი ახლა ეს მალაროებია, შრომის ფრონტი. ამაზე უნდა ვილაპარაკოთ, თუ გვინდა ხელი შევუწყოთ ჩვენს გამარჯვებას.

— სწორი ხარ, სწორი, — წამოიძახა კოტემ და ტაში დაცხო, მაგრამ არაფერი არ აპყვა.

— კარგი. — დაეთანხმა შალვა ილიკოს და შემდეგ გრამიტონს მიუბრუნდა: — თქვი.

— მე იმაზე ამოვედი... — გრამიტონი, ეტყობოდა, ლაპარაკი არ ეხერხებოდა და ახლა ამ რეპლიკებმა და გადალაპარაკებამ სულ დაუბნია მეტყველების უნარი. — მე ის მინდოდა შეთქვა, რომ, რაც შეეხება წრთობას, ახლა აქ ვანო რომ ლაპარაკობდა, ლაპარაკით,

ამხანაგებო... ენას ძვალი არა აქვს და, წრთობაზე რომ ამბობდნენ, უნდა ვთქვა ჩემზე უკეთ აგერ ჩვენს წრთობაზე უკეთ არ იცის? ყოველდღე თვითონ მუშაობდა, რა ფერზე ვაწრთო ბურები, აბა რავა გგონიათ თქვენ? ი? ბურის პირი რომ არ ცვდებოდეს და არ ტყდებოდეს, ერთხელ გადავადვდი და ტყლიბი კი არ მექნებოდა ჩაქცეული უროს ბაყაბუყით, ვიქნებოდი ჩემთვის რაქაში, ჩემს ცოლ-შვილში, შვილი თუმცა არც ერთი არა მყავს სახლში, ყველა ფრონტზეა, მარა...

— კარგი, ეგ გასაგებია, — შეაწყვეტინა შალვამ და, როდესაც გრამიტონმა ტრიბუნა დასტოვა, თვითონ განაგრძო: — ამხანაგებო, უნდა ვთქვათ მართლაცა გულაბდილად, რომ ისე, როგორც ეს შეეფერება ჩვენს სახელოვან ქვეყანას, ჩვენს უძლიველ პარტიას, ჩვენს გმირ მებრძოლებს, ისე ჩვენ ვერ ვმუშაობთ. მართალია, საერთო შანგენებლები დამაკმაყოფილებელია და გეგმა მთლიანად ასი პროცენტით სრულდება, მაგრამ განა ასეთ მძიმე დროს, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა სამკედრო-სასაბოცხო ომს აწარმოებს მტერთან, შეიძლება დაკმაყოფილება გეგმის მხოლოდ ასი პროცენტით შესრულებით? განა შევძელით ჩვენ, რომ შეგვეცხო ჩვენი გმირული შრომით მუშახელის ის დანაკლისი, რაც ჩვენს მალაროში ომმა გამოიწვია? განა შევძელით ჩვენ გვეთქვა ჩვენი ქვეყნისათვის, სამშობლოსათვის, სტალინისათვის, რომ დანიშნული ვადისათვის დავამთავრებთ მთელ საძიებო და მოსამზადებელ სამუშაოებს და ჩავაბარებთ მთავრობას, მალაროებს საექსპლოატაციოდ? ვერ შევძელით. საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ეს შევძლოთ, ძნელია ამის განხორციელება, ამხანაგებო, ძალიან ძნელია. მაგრამ იმაზე ძნელი მაინც არ არის, რასაც ჩვენი მებრძოლები, ჩვენი შვილები ფრონტზე აკეთებენ. ისინი საკუთარ სისხლს ღვრიან გამარჯვების

მოსაბოვებლად, ჩვენ კი, ცოტა მომეტებული, მხოლოდ ოფლი უნდა დავღვა-როთ და გამარჯვება მოვიპოვოთ...

— ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ დამატებითი მუშახელის საქმე როგორაა? — ივითხა ვანომ, როდესაც შალვამ სიტყვა დაამთავრა, — მართო ჩვენი ძალღონე არ გვეყოფა გეგმის შესასრულებლად.

## თავი მორაე

დავითი დიდხანს გასცქერის მწვერვალებს.

დასავლეთისაკენ წითელია ცა და თეთრი ფუნჩულა ღრუბლები ნებიერად იცქირებიან ცის სარკეში.

ტყეში უკვე ჩაწოლილა ბინდი.

აწლიანი ხეების კენწეროებზე ფოთლები ოდნავ შრიალებენ.

ქვემოთ, ჭალაში, ახალშენის ბარაკები მოჩანან. შორიდან ძალზე ლამაზები არიან ეს ბარაკები. ისინი პატარა კოლოფებს ჰგვანან, მწკრივად დაწყობილ პატარა კოლოფებს.

დავითმა დალილი მუხლები გამართა, ქისა ამოიღო და თუთუნის ხევეს შეუღდა. მერე მხარ-თეძოზე წამოწვა და თამბაქო მადიანად გააბოლა.

ხანგამოსვებით ისმის ზარბაზნების სროლის ხმა.

დავითი იკმუხნება. გარინდებული ცდილობს ყური მიუგდოს და მიმართულების მიხედვით გამოარკვეოს, სად უნდა იყოს სროლა. პაპიროსი ყუნწამდე მოსწია, ნამწვავი ქვაზე დაასრისა, მძიმედ წამოიღდა, ერთხელ კიდევ დაუგდო ყური შორეულ ქუხილს და ბარაკებისაკენ თავქვე დაეშვა. სწრაფად ჩაირბინა ნაშალი ფიქალებით დაფარული ფერდობი, მსუბუქად გადაბტა ზრამზე და მდინარის პირად მალაროებისაკენ მიმავალ გზაზე გავიდა. ბარაკები უკვე ახლოს იყო და მოსახვევიდან სულ ასიოდე ნაბიჯით თუ იქნებოდა დაშორებული.

— რაიკომის მდივანი სულ მკრძანებამუშახელს მოგაწვდიოთ, ჩვენ მუშახელს დავითმა ვანოს, — ამას წინასწარ მისხარა, თუ გინდა ქალებს გამოგიგზავნიო.

— ქალები რა ეშმაკად გვინდა, — იყვირა აბესალომმა. — ქალი კი არა, აქ ქალები ვართ და ვერაფერს ვაკეთებთ.

— ჰოდა საქმეც ეგაა, — დასძინა დათიკომ.

მდინარის ნაპირს თბილისა და ეოლის ბუჩქები მიჰყებოდა. დავითმა ამ ბუჩქებისაკენ გადაუხვია, გზადაგზა ეოლი უნდოდა დაეკრიფა, მაგრამ მოულოდნელად ერთ ადგილას გარინდდა და მეძებარივით განაბული სრულიად უჩვეულო სურათს შეაცქერდა.

მთის პატარა მდინარის მორევეში ტანს ებანდა ახალგაზრდა ქალი. მას წინდახედულად საბანაო კოსტუმი ჩაეცვა. ალბათ გრძნობდა, რომ ამ, თითქოს უდაბურ, ადგილას შესაძლებელი იყო შემთხვევით ვინმეს გაეცლო და მისთვის თვალი მოეკრა. პატარა მორევეში ცდილობდა გაეცურა, მაგრამ ერთი მკლავის მოსმის შემდეგ უკვე მეორე ნაპირას იყო და ქალი ტამბში ჩაგდებულ მოზრდილ თევზივით წაღმა-უყულმა ტრიალებდა. ბოლოს ცივ წყალს ველარ გაუძლო, დგაფუნით ამოვიდა მდინარიდან და აძაგძაგებულმა ტანის გამშრალემა დაიწყო. ხელი გააქნია, რომ სველი საბანაო ტანსაცმელის სამხრეულები მოეხსნა, მაგრამ უცბად გუმანით იგრძნო, რომ ვიღაც უთვალთვალედა, და შეშინებულმა მიმოიხედა.

შორიახლოს ბრინჯაოს ქანდაკებასაკენ ჩამოსხმული წვერგაუპარსაკეი ახალგაზრდა იდგა და გაოცებული, თანაც მოზობილული, თვალებით უცქეროდა. ქალებისათვის ჩვეული მგრძნობიერებით იგრძნო უცხო ვაჟის თვალების მოძრაობის ყოველი მიმართულება და ინსტიქტურად დაიწყო ხელების დაფა-



რება მკერდზე. შიშველ მხრებზე, ერთ წუთს ისეე დააბრა წყალში შესვლა, მაგრამ სიცივის უფრო შეეშინდა და ამაჯაბებულმა მუდარით აღსავეს თვალებით შეხედა უცნობ ახალგაზრდას.

— ვინა ხართ? წადით აქედან! — უთხრა ქალმა ვაჟს.

დავითმა გაიღიმა და ადგილიდან არ დაიძრა.

— მე რომ სასწაული მაჯეროდეს, — მშვიდად თქვა დავითმა, — მაშინ სრულიად არ გამოიკვირდებოდა თქვენი ნახვა. საიდან გაჩნდით აქ?

— წადით-მეთქი. არ გრცხვენიათ? ხომ ზედათ. შიშველი ვარ.

— შიშველი არა ხართ. ზღვის პირად ქალები უფრო შიშველი მინახავს. — უფრო მშვიდი და, თანაც, საოცარი მიმზიდველი ღიმილით უთხრა დავითმა ქალს: — მოთხარით, ღეთის გულისათვის. საბანაო ტანსაცმელში გამოწყობილი ტყის ქალღმერთი ხომ არა ხართ?

— იცით, რა, — ვითომ გაჯავრებულნი, მაგრამ უფრო საქმიანი კილოთი უთხრა ქალმა, — მე ყველაფერს ვეტყვი თქვენი თავებლობის შესახებ მთავარ ინჟინერს.

— კარგი, უთხარით.

— ასეთი ახალგაზრდა, იმის მაგიერად, რომ ფრონტზე იბრძოდეს, აქ მალაროებში შემალულხართ, და თავებლობთ.

— მაშ არ გინდათ მოთხარით, საიდან გაჩნდით აქ?

— ოღონდ ტანსაცმლის ჩაცმის საშუალება მომეცით და ყველაფერს გეტყვით.

დავითი უსიტყვოდ გაბრუნდა. გზაზე ავიდა. ასწლოვან წითელის დაგრებილ ფეხებზე ჩამოჯდა და ჯიბიდან სათუთუნე ამოიღო. ნელა მოახია დაეცილ გაზეთს ქაღალდი. ხელების მოძრაობაზე ეტყობოდა აღელვება.

რამდენჯერმე ჩამოჰკრა კევის და ძლიერ მოუკიდა მატრუქს. გააბოლა და თხილნარისაკენ გაიხედა.

ქალი თოთქოს განგებ იგვიანებდა.

„ხომ არ გაიბარა“ — ~~გაუფრთხილებ~~ — ში დავიოს. ადგა და წამოიჭრისაშინა, ქალს არ შეეძლო შეეშინებულად გაბარულიყო.

თხილის ბუნჩები შეირხა და ქალი გზაზე გამოვიდა.

უბრალო ჩითის კაბა ეცვა და ჩაცმული აღარ იყო ისეთი მშვენიერი. მძიმე, ქუსლებმოქცეული ჩექმები უფრო აღშინებდა. ლამაზი, მაგრამ ოდნავ ტლანქი სახე ჰქონდა.

— მაბატოთ თავებლობა, მაგრამ აქ, ამ უდაბურ ადგილას, ორი ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობზე, ჩვენი მაღაროს მუშების გარდა, ადამიანის ნასახიე კი არ არის. ჩვენ კი სულ მამაკაცები ვართ. ამისათვის თქვენი დანახვა ჩემთვის ნამდვილი სასწაული იყო.

— ნუთუ მართლა? — თქვა ქალმა და გაიღიმა.

— მართლა. წუკოს ხომ არ მოსწევთ?

— არა. არ ვეწვევი. ეხლა მესმის, ისე გაკვირვებული რომ მიცქეროდით.

— საიდან გაჩნდით აქ?

— თქვენ აქ მუშაობთ? — ჰკითხა ქალმა და თავზე შემოხვეული ლამაზად დაწნული თმა შეისწორა.

— დიახ.

— ჩვენ აქ სამუშაოდ მოვედით.

— როგორ? ვინ თქვენ? როდის მოხვედით?

— ჩვენ ევაკუირებულნი ვართ. რაიონში აქაური მწე შეგვხვდა და იმან წამოგვიყვანა. დღეს მოვედით.

— სტეფანემ.

— რა ვიცი, რა ჰქვია. პო, გამახსენდა, — სტეფანემ.

— რამდენი ხართ?

— ოცდაცამეტი.

— სულ ქალები?

— უმრავლესობა. იცით რა: მწე გვეუბნებოდა, ჩვენი ინჟინერი ქალების მოძულეა და მეშინია, ყველანი უკანვე არ გიფრინოთო. მართლა ასეთი კაცია?



— მართალი უთქვამს. ის ყველას უკანვე გაგაბრუნებთ. თქვენ ხომ ვერ შეიძლებთ მალაროში მუშაობას?

— თქვენზე უკეთ შეიძლებთ. თქვენ მნგრეველი ხართ?

— დიას, — ღიმილით უთხრა დავითმა.

— მაშ დამეჯობრეთ, ერთი ენახოთ. ვინ ვის, რატომ ფრონტზე არა ხართ? ასეთი ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე.

— დამჯავშნეს. ამბობენ, ესეც ფრონტითაო.

— ეგვეც მართალია. აი მე ფრონტზე მიწოდდა წასვლა, არ გამიშვეს, შეხედეთ, რა ლამაზი ხეა.

ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ ბარაკებისაკენ. ქალმა წყლის პირზე გადახრილ უზარმაზარ მუხაზე მიუთითა. ეაქმა მუხა შეათვალიერა.

— კარგია. თქვენ რა გქვიათ?

— ნადია. თქვენა?

— დავითი.

— თქვენ სახელით და მამის სახელით არ მიმართავენ ერთმანეთს, ხომ?

— არა. აი შეხედეთ, ეს უფრო ლამაზი ხეა. — მიუთითა დავითმა ახლად წამოყრილ ტანწერწეტა არყის ხეზე.

ნადიამ მიიხედა. ისინი ერთმანეთს აღარებდნენ ხეებს, გაიღიმა. ხე მართლა ლამაზი იყო.

— სრულიადაც არ არის ლამაზი. მე აი ის მუხა უფრო მომწონს, — უთხრა ნადიამ. თან თავისთვის გაიფიქრა, „რა კარგი ბიჭია!“.

მთებიდან კიდევ მოისმა ზარბაზნების ყრუ ხმები. ორივენი შედგნენ.

— ეს რა არის? — იკითხა ნადიამ. — მალაროში აფეთქებენ?

— არა. სროლის ხმა ისმის.

— ნუთუ? ჩვენ რომ წამოვედით ჩრდილოეთ კავკასიიდან, ამბობდნენ, ფრონტი ახლოსააო, მაგრამ სროლის ხმა არ გამოიგონია. აქ კი ისმის. ნუთუ მტერი ასე ახლოა?

— არა მგონია.

— როგორ ფიქრობთ, მოვლენ აქ?

— ნუ გეშინიათ. აქ ვერ მოვლენ.

მოსახვევიდან ბარაკები გამოჩნდა. ახლად მოსულები ჯგუფებდნენ ბარაკებთან. ისინი ინფინტრის კომუნელს ელოდებოდნენ.

თავიანთი ბარგი-ბარხანა იქვე დაეწყით. ერთმანეთზე იყო დახვეწებული თოკებით ჯვარედინად გაკრული ფანერის ჩემოდნები, თავწაყრული ტომრები. ტელეფონის მავთულით შეკრული საბნები. ყურებაკვეტილი ფუთები, თუნუქის ჩაიდნები, ალუმინის პატარა ქვაბები. ერთ ფუთაზე ბალალაიკაც კი იყო მიბმული.

მოსულთა უმრავლესობა ახალგაზრდობა იყო, მაგრამ მათ შორის ხნიერებიც ერივნენ. თითქმის ყველას მამაკაცის მძიმე ჩექმები ეცვა. ყველანი ჯან-ღონით სავსე ლოყებგაწითლებული ქალები იყვნენ, გარდა ერთისა, რომელიც თავისი გარეგნობით და ნაზი აგებულებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა სხვებისაგან და, ეტყობოდა, მათი წრიდან არ იყო. რუსული სარაფანი ეცვა და ზურგი წელამდე მიშველი უჩანდა. ქერა თმაც ახალმოდურად ჰქონდა ბეჭებზე დალალებად დაყრილი, მას გაღონა ერქვა.

ნადიამ და დავითმა აღმართი აიარეს. დავითი ქალებს მიესალმა, ისინი კი შემოეხვივნენ ნადიას და ჩურჩულით ეკითხებოდნენ:

— ნადია ტყეში იპოვე?

— ჩვენ არ გაგვაცნობ?

— ყოჩაღ, ნადია, წაიდა გოგო ტყეში სოკოს საძებნელად და ბიჭი კი იპოვა.

— გაგიღიმა ბედმა და ახლა აღარც გვიცქერი.

— გაგვიქალბატონდა.

ნადიამ მათ ყურადღება არ მიაქცია და ბარაკიდან გამოსულ სტეფანეს გასძახა:

— სტეფან, ინჟინერი არ მოსულა?

— მაშ ეგ ვინ არის? — მიუთითა სტეფანემ დავითზე.

ნადიამ შეშინებულივით მოიხედა,



დავითი შეათვალიერა და თავისდაუხე-  
ბურად აღმოხდა:

— ოი!

დავითმა გაიღიმა, სტეფანესთან ერ-  
ხად ბარაკში შევიდა. ნადია კი მოსხ-  
ლეთილი ნაბიჯებით გაემართა შერბი-  
საკენ. მან უეცრად მოიწყინა და ქაღე-  
ლის კითხვებზე არ უპასუხებდა.

სამზარეულოში ბოლი ტრიალებდა. თომა მზარეული დავითს შეეგება და სამფეხა სკამი მიაწოდა. სტეფანე ჯერ კარებში შეჩერდა. შემდეგ თომას გვერ-  
დით სკამლოგინზე ჩამოჯდა.

— საკმელი გაქვს რამე? — ჰკითხა  
დავითმა თომას.

— მალე იქნება.

— გვეყოფა? — დავითი ახლადმო-  
სულელებს გულისხმობდა.

— ვიმყოფინებთ.

— ეს ქალები საიდან მოიყვანე? —  
მიუბრუნდა დავითი სტეფანეს.

— შულ მეშინოდა, უკან არ გამაბრუ-  
ნებინოთ-მეთქი, — სტეფანე ხანდახან  
სანს ვერ ამბობდა, კბილები აკლდა, —  
მარა რა მექნა? რაიკოშში მითხრეს, წა-  
იყვანე, თორემ მერე ველარავის იშოვ-  
ნო. სადღაა მუშა, თვითონ დაექებენ.

— რა ამბავია რაიონში? გახეთები  
მოიტანე?

— კი, იქ დადევნი შენს ოთახში. გლა-  
ხადაა ჩვენი საქმე.

— როგორ?

— მთელი რაიონი ბეცენცებითაა შავ-  
შე. ჯარი მოდის და მოდის. იმიშთანა  
ამბავია, რომ შენს მტერს. — ჩიფჩი-  
ფებდა სტეფანე.

თომამ ჩიბუხი გატენა, ღუმელის კარი  
გამოაღო, ჩიბუხს თავი ნალევრდალში  
წაუტრა, რამდენჯერმე მოუპლაკუნა და  
დათიკოს ჰკითხა:

— რაეა ფიქრობ, დავით ბატონო,  
შენ ნაწაფელი კაცი ხარ, ემარცხდებით  
ვითომ?

— არა, ჩემო თომა, — ოდნავ სიჩუ-  
მის შემდეგ უპასუხა დავითმა, — არ  
შეიძლება ჩვენი დამარცხება!

— ვითამ? ეს მტერი რომ მოგაუღა  
აგერ კარზე!

— რა ვუყოთ მერე. ნათელაღიქვეყნეთ  
ღროს მოსკოვიც კი აიღო, მაგრამ სწო-  
რედ მოსკოვში ჩაესვენა მისი გამარჯ-  
ვების მზე. გერმანელებმა, ხომ ხედავ-  
მოსკოვის აღებაც კი ვერ მოახერხეს.

— ასე ამბობენ, გერმანიას უთქვამს,  
მოსკოვი არ დამანებე. მარა საქართვე-  
ლოს და კავკასიას მაინც წაგართმევო.  
ბაქოს ნავთი და ეს ჩვენი მადნები უნდა  
იმ ურჯულოს. რაეა იტყვი შენ?

— კი უნდა, თუ გაატანეს! — დავითი  
სხვა რაღაცაზე ფიქრობდა და შუბლ-  
შეკმუხვნილი ქურას უცქერდა.

— ეგეც არი, — თქვა თომამ და დას-  
ძინა. — აჯობა, ხომ იცი, სტალინმა,  
ძალიან უნდოდა თურმე ჰიტლერს მოს-  
კოვის წაღება, მარა ვერა. ჰაი დედასა,  
რა ქალაქია მოსკოვი! ხომ ყოფილხარ?

— შენ ყოფილხარ?

— რაეა არა. სამი წელიწადი ვიყავი.  
ერთ ჩვენებურ კაცს რესტორანი ჰქონ-  
და ახოტნი რიადში. იმასთან ვმუშაობ-  
დი. კაი ქალაქია, კაი. ახლა სად ვარ ამ  
დაღუბულ ადგილას! რომ გამოვიდოდი  
გამოწყობილი, „შეფ-კულინარი“ გე-  
გონებოდი.

დავითმა გაიცინა, ადგა და სტეფანეს  
უთხრა:

— ახლადმოსულეებს ბინა მიეცი. მე-  
სამე ბარაკი გაათავისუფლე. კოლია და  
ილიკო მეორე ბარაკში გადავიდნენ. თუ  
იმუშავეს ახლა მაგათ, — რაღაც შეწუ-  
ხებული ხმით ჩაილაპარაკა დავითმა და  
გასასვლელად მოემზადა.

— ამ! მაგიშ დარდი ნუ გექნება, —  
ცხარედ წამოიძახა სტეფანემ, — რუ-  
შიშ ქალი ყველაფრად დალოცვილია.  
ჩვენს ქალებს კი არ ჰგვანან. აგერ ნა-  
ხავთ. მალაროშ მუშებია ყველა.

— ჰო, კარგი, ვნახოთ, ბიჭებს უთხა-  
რი თავი წესიერად დაიჭიროს.

კარებში დავითს ქერათმიანი გალინა  
შეეფეთა, მან კეკლუცად შეიხება ბა-  
რაკში და თამამად იკითხა:

— შეიძლება? გამარჯობათ!

— მობრძანდით, — მიეგება თომა.

დავითმა გზა დაუთმო. ქალმა ახელდახედა დავითს და მერე თომას მიუბრუნდა:

— ცხელი წყალი ზომ არ გექნებათ?

— რამდენიც გნებავთ, — მიუგო თომამ. — ჩაიღანი გაქვთ? აი აგერ დიდი ქვები საყვია.

გალინა განგებ შევიდა, რომ დავითს გამოლაპარაკებოდა. ის ბევრად სჯობნიდა გარეგნობით ნადიას და როგორც კი გაიგო ინკინერი მოვიდაო. მაშინვე გამოეწყო. მას სურდა ახლაც მოეხდინა ყველაზე სათანადო შთაბეჭდილება იმით, რომ მარტო ის მიიქცეოდა ახალგაზრდა კაცის ყურადღებას.

დავითმა, მართალია, გალინა შეათვალიერა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამს მისთვის. სამზარეულოდან გავიდა, მესამე ბარაკში შეიხედა და შემდეგ ახლადმოსულებს მიმართა:

— ქალები აი ამ ბარაკში მოთავსდით. სტეფანესთან მიდით, რაც საჭიროა, საწყობიდან ყველაფერს მოგცემთ. მოეწყეთ, დანაყრდით და შემდეგ მოვილაპარაკოთ.

ყველანი აიშალნენ, თავიანთი ჩანთები, ჩემოდნები, ფუთები აყრიდეს და სტეფანეს მიჰყვნენ.

გრძელსა და ოდნავ ბნელ ბარაკში მწკრივად იდგნენ ცარიელი ტახტები. მხოლოდ ორზე იყო გაშლილი ქვეშაგები.

— ამთ სხვაგან გადავიყვანთ, — მიუთითა სტეფანემ ქვეშაგებიან ტახტებზე — თქვენ კი მოეწყეთ. ლეიბს და საბანს ყველა მიიღებს.

— ბალონჯოები არა გყავთ? — იკითხა გალინამ. იგი ოდნავ გაჯავრებული იყო, და ახლა ყველაფერს გაბრაზებული უცქეროდა.

— ბალონჯოებიო? — გაიკვირვა სტეფანემ, — აქ რა უნდა ბალონჯოებს.

ქალები ხმაურით დაიფანტნენ ბარაკში. ტახტებს ირჩევდნენ და ერთმანეთს აქონდათ, ვინ ვის მეზობელს უნდა უყვარებოდა. პელაგიამ ნადიასთან ახლო მოისურვა დაბინავება და ორივემ ბარაკის ბოლო კუნძული აირჩია. საოცრად პატარა ლიდა მოუსვენრად დარბოდა და ტახტებს სათითაოდ ათვლიერებდა. ტანადობით ბავშვს წააგავდა, მაგრამ სახე უმტკიცებდა, რომ ოცდაათზე მეტ წელს უნდა ყოფილიყო გადაცილებული.

— არ არის შენი ზომის, არა, ვერ ხედავ? — სიცილით უთხრა მას პელაგიამ. — აუცილებლად აკვანი გინდა?

მარტო გალინა არა ჩქარობდა და ამრეზილი უცქეროდა ქალების ფუსფუსს. მას არ მოსწონდა ბარაკი. პირველ შეხვედრილ ტახტზე ჩამოჯდა და სასთუმალთან მიდგა თავისი ლიდერინგადაკრული ჩემოდანი.

— შენ ამ ტახტს იპერ? — ჰკითხა მას პატარა ლიდა.

— ეჰ, რა მნიშვნელობა აქვს, ყველა ერთია!

სტეფანემ ახლადმოსულებს დაურიგა ლეიბისა და ბალიშის პირები და ბაიკის რბილი საბნები.

— ხმელი თივა აგერ იქ არის. — მიუთითა სტეფანემ ფარდულზე და ისევ სამზარეულოსაკენ გაემართა.

ქალები მზიარული ტყრციალით მოედვნენ ამ პატარა ახალშენის მიდამოს. ზოგი ლეიბებს და ბალიშებს სტენიდა თივით, ზოგი ბარაკს ჰგვიდა და ფანჯრებზე ფარდებს ჰკიდებდა. ნადია და პელაგია ბარაკების წინ ეზოს ასუფთავებდნენ.

— არ გამოაცოცხლეს აქაურობა ამ ქალებმა! — უთხრა თომამ სტეფანეს.

— ეგ კი არა, შენ იმ თქვი, აშე იოლად რომ გადავჩნი, — უპასუხა სტეფანემ, — შულ ქეშინოდა. დავითმა უკან არ დაშაბრუნებინოშ ეგ ქალები-მეთქი.



— მაგის ამბავი იცი? — ჰკითხა თომამ.

სტეფანემ თვალეშში შეხედა მზარეულს და უსიტყვოდ სახის ოდნავი მოძრაობით იკითხა, ვისი ამბავით.

— დავითს, — კარებისაკენ მიხედვით ანიშნა თომამ, თითქოს დავითი კარების უკან იდგა.

— არა, რა ამბავი?

— რაზე ეზარება ქალები თვალთ დასანახავად, არ იცი?

— ჰო? არა.

თომამ ქურას შეუკეთა, ჭვებებს თავი ახადა. შემდეგ თავისი განუყრელი ჩიბუხი გააბოლა და განაგრძო:

— მაგას, ჩემო სტეფანე, იმისთანა ამბავი შეემთხვა, რომ სხვანაირ კაცს შეიძლება ცოდვაც კი დაეტრიალებია.

— თუ ძმა ხარ? რაზე?

— რაზე და, ერთი თვის შერთული ცოლი გაექცა!

— რას მეუბნები! როდის? — წამოიძახა გაოცებულმა სტეფანემ და, თითქოს იმისათვის, თომას ხომ არ ეშლებო, ხელმეორედ ჰკითხა: — ჩვენს დავითს, კაცო?

— ჰო? ჩვენს დავითს.

— ღმერთო, შენ დამიფარე! — გამოისახა პირვეარი სტეფანემ დიდი გაოცების ნიშნად. — რაზე, კაცო?

— რაზე და ზოგიერთი ქალების ალიკვალს შენ გაიგებ? ეგ, ჩემო სტეფანე, უმაღლესი რომ დაამთავრა, ახალციხის რაიონში მუშაობდა პირველად, უცოლო იყო მაშინ. ჩასულა ერთხელ, შენ ხარ ჩემი ბატონი, თბილისში. ერთი ლამაზი ქალი გაუცვნია. სადღაც შეხვედრია, გაუცვნია, ბატონო, და ნამეტანი მოსწონებია. მართლა კარგი იყო. მე მინახავს ის ქალი. სოფელში ჰყავდა ერთ-ორ დღეს. იმის შეხედვას არაფერი სჯობდა, კალმით ნახატიო, რომ იტყვიან, მე იმაზე კარგი დახატული სურათიც არ მინახავს.

— მერე, მერე?

— მერე, ჩემო სტეფანე, იმ ქალს ერ-

თი ვიღაცა დიდი ხნის შეყვარებული ბიჭი ჰყოლია. იმას უნდა იცნოდოდა თურმე ცოლად, მარა რამეცმანე წამსტუბებოდა და იმის გამოჯინებული დავითს რომ შეხვედრია, წამოჰყვა. დავითმა რა იცოდა, თუ ასე იყო საქმე.

— მერე, შენ გენაცვალე, მერე? — აჩქარებდა მოუთმენლად სტეფანე და თვალეშში შესცქეროდა თომას.

— მერე, შენი ჭირიმე, წამოჰყვა ამ ჩვენს დავითს ის ქალი, მარა ერთი თვის შემდეგ შირიგებია იმ ბიჭს. შერიგებია, ბატონო, ჩაცვრია გულში და აუტეხია ერთი ვაი-უშველელები. ამასობაში იმ ბიჭს დაუბატივია ჩვენი დავითის სიმამრი, გაუშლია სუფრა, მარა რა სუფრა. უჭეიფიათ, შენ ხარ ჩემი ბატონი, კარგად. მერე გადახვევია ამ ჩვენი დავითის სიმამრი იმ ბიჭს. ასე და ისე, შენ ხარ ჩემი სიძე, მეტი არავინო.

— ბიჭო, იქნება მეორე ქალიშვილს ურიგებდა, — შეაწყვეტინა სტეფანემ.

— არა, კაცო, მეორე სად ჰყავდა! ის ერთი ქალიშვილი ჰყავს და ის. ერთი სიტყვით, გადახვევია იმ ბიჭს, უტირია, აქეთური, იქეთური და ახლა ეს ამბავი დავითს ხომ არ გამოეპარებოდა. ჰკითხა ქალს. მართალიაო, უთხრა ქალმა. მე ის ბიჭი მიყვარს და შეეცდი, შენ რომ წამოგყვეო. დაიხურა დავითმა ქუდი და წამოვიდა.

— იმათთან იყო ბინად?

— ჰო, ჩაისიძეს ვითომ. წამოვიდა, მარა როგორ გუნებაზე იქნებოდა, შენც მიხედები. ჩამოვიდა სოფელში ეს ბიჭი, დადის, ხმას არ იღებს. შევიცხადეთ ყველამ, მარა რას ვიზამდით. დავტრიალდით ყველა, აი აქეთ, აი იქით, ქალი, რომელიც გინდა აირჩიე. ვეუბნებით. გვინდა ხასიათი გაუეკეთოთ. შენც არ მომიკვდე! ქალი არ გამაგონოთო, თქვა. ერთხანს სმას დაეძალა, მარა მალე მიატოვა, დაკრა ფეხი და წამოვიდა აქ. შენც კი ხედავ, აგერ, ორი წელი სრულდება, აქედან ფეხი არ გაუდგამს. ომი რომ დაიწყო, ფრონტზე აპირებდა

წასვლას, მარა მთავრობამ არ გაუშვა, აქ უფრო გვეჩივრდებიო.

— შენ გენაცვალე, ეს რა მითხარი! ის ბიჭი ვინაა, რა კაცია?

— რა ვიცი. ვიღაცა პროფესორის შვილიაო.

— შესახედავად იქნებოდა ალბათ ნამეტანი კარგი.

— შესახედავად როგორ, ეს გლახა ბიჭია თუ?

— გლახა კი არა, მაგისტანა ერთი ხუთი მყავდეს ვეფიშვილი, ბედნიერი კაცი ვიქნები. არ გამოიკვირდა ამიტომ ყოფილა თურმე, ქალებს რომ არ აკარებდა ამ მილამოს. შარშან, მახსოვს, ორი სტუდენტი ქალი რომ აპირებდა აქ მოსვლას და უკანვე რომ გაგვებრუნებია, მე ვთქვი, რაშია საქმე, იმ ქალებს ხომ არაფერი დაუშავებიათ ჩვენი დათიკოსათვის-მეთქი. თურმე, ნუ იტყვი, კაცი ჰქუაზე აღარაა იმათი უკუღმართობით.

— ასეა, ჩემო სტეფანე.

— ის ქალი წაჰყოლია ნეტავ მერე იმ ბიჭს?

— ეგ აღარ ვიცი, მგონია, არა.

— წაყოლა რად უნდა, როცა დასკვირდებათ, კი იქნებიან ერთად: გარყვნილი ყოფილა. შე კაცო. მაგისტანა ქალი რაც უფრო ადრე გაგიჰქცევს, ის სჯობს.

— ეჰ, რა ვიცი, ჩემო სტეფანე, —

ამოიხზრა თომა, — ეს ბიჭი კი გაუბედურა, ხასიათი მთელს საქმეს კარგად ეკიდება, მაგრამ ახლგაზრდა კაცს სხვა რამეც უნდა უხარებდეს გულს. როსთაველს უთქვამს: „მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა, მით რომე შმაგობს მისისა ვერ მიხვდომისა წყენითა“. სხვის გულში აგრე აღვილად ვერ ჩაიხედავ და, რა იცი კაცმა, იქ რა ცეცხლი ტრიალებს! ასე არაა?

— ასეა, — დამოწმა სტეფანე.

— უჰ, აქ ლაპარაკს მოგყვებით. იცი, რა გითხრა, მოდი, სანამ მუშები მოვიდოდნენ, ამ ქალებს ვეპამოთ პური. დავითიც მშვიერია. დღეს უთენია წავიდა მწვერვალზე.

— ნახა რამე?

— რას ნახავდა, იქიდან რას დაინახავ. ტყუილია, დივერსანტებს დასდევნო, მე მგონია, ეს ხმა იქიდან მოდის.

— საიდან?

— კისლოვოდსკიდან.

— აუჰ! ამხელა მანძილზე რა უნდა გავარდეს იმისთანა, რომ აქ ხმა მოვიდეს, — გაოცდა სტეფანე. — არ ვიცი, ძმაო, არ ვიცი. აბა, მაშ მოვიყვანო ქალები საშადილოდ?

— ჰო, ბარემ ვასადილოთ. სადაცა ჩვენი ბიჭებიც მოვლენ, — აფუსფუსდა თომა და ქვებების სახურავები აახრავუნა.

## თამი მისამი

ბინდდებოდა, როდესაც მალაროდან მომავალი მუშები გამოჩნდნენ. ისინი თითო-თითოდ ჩამორბოდნენ გზის შესამოკლებლად დადებულ ბილიცზე. ყველაზე წინ ქართლელი ვანო მოდიოდა. მხარეზე გამოსაპირავი ფოლადის ბურები გაეწყო და არხეინად მოლიდინებდა. ვანოს უკან ექიმი მოაბიჯებდა. ის ერთი თვის წინათ დანიშნეს ამ მალაროების საექიმო პუნქტის გამგედ. საქმე არაფერი ჰქონდა და, თავი რომ გაერთო, გადაწყვიტა, გვირაბები დაეთ-

ვალეერებინა. დილიდანვე წავიდა მუშებთან ერთად და მთელი დღის განმავლობაში სამუშაოებს არ მოშორებია. სანგრევებთან მთელი საათობით უცქეროდა მალაროელთა მუშაობას და ყველას ფეხებში ებლანდებოდა. ისე გაერთო ამ უჩვეულო სანახაობით, რომ ვერც კი შენიშნა, დღემ როგორ გაირბინა და ახლა თითქოს დიდი საქმე გაეკეთებინოს, დაღლილი ბრუნდებოდა უკან.

ვანომ სამქედლო ფარდულში ბურე-



ბი დაჰყარა და, როდესაც ბარავებთან ქალებს თვალი მოჰკრა, შედგა და გაოცებით წამოიძახა:

— ვაჰ! ეს რა ამბავია, კაცო?!

მოიხედა, ექიმი დაინახა.

— სიმონ, ხედავ? — მიუთითა ვანომ ახლადმოსულეებზე.

— რას? — გაუკვირდა სიმონს.

— ქალები, კაცო!

— ჰოო, საიდან მოვიდნენ, ნეტავი? ალბათ აქ თუ გამოგზავნეს სამუშაოდ.

— ქალები, კაცო? — კვლავ გაოცდა ვანო.

სიმონმა აღარ უპასუხა ვანოს, წინ გაუსწრო და დავითის ოთახში შევიდა.

დავითი მარტო იყო. თავის პატარა მაგიდას უჯდა და გამალებით წერდა ცალკე ფურცლებზე დღევანდელი მარშრუტის გეოლოგიურ დაკვირვებათა შედეგებს.

სიმონის შესვლაზე მოიხედა და ისევ წერა განაგრძო.

— სად იყავი, სიმონ? — ჰკითხა მან თავაუღებლად.

— მალაროში. გაზეთები მოიტანეს?

— მანდაა, ტახტზე.

— ნეტავ როგორ მიდის ჩვენი საქმე?

— სიმონი ტახტზე ჩამოჯდა, გაზეთები გაშალა.

გარედან ქალების სიცილი და ხმაური მოისმა. მუშები ხრაგუნით ჰყრიდნენ ფარდულთან ბურებს, უროებს.

— ეს ქალები საიდან მოიყვანე? — ჰკითხა სიმონმა.

— რაიონიდან გამოუგზავნიათ.

— მალაროში გინდა ამუშავო?

— ჰო, ევაკუირებულნი არიან.

— კაცო, მგონი დღეს თუ ხვალ ჩვენც უნდა ავიბარგოთ აქედან, რაღა დროს მუშების მოყვანაა. — თქვა სიმონმა და შუბლი შეიკმუხნა.

— დღეს იალაღებზე ავედი.

— მერე?

— არაფერი. იქიდან რას დაინახავ. ვერც მწყემსები ვნახე, წასულან. თვითმფრინავმა გადაიფრინა.

— ჩვენი იყო?

— არა.

სიმონს მოტყუებულობა დაეძინა. დავითმა სიცილით უთხრა:

— მაგ შენ თავს კი დასჭირდება შენიღბვა.

— მაინც, ღმერთმანი, — მოისვა თავზე ხელი სიმონმა და გაზეთებს მისწვდა.

დავითი თავის საწერს მიუბრუნდა. სიმონმა გაზეთები მოხვეტა, იღლიაში ამოიჩარა და თავისი ამბულატორიისაკენ გასწია.

კარებზე მორიდებულად დააკაკუნეს.

— შემოდით, მელიტონ, — გასძახა უკანმიუხედავად დავითმა. მან იცოდა, რომ ეს ათისთავი იყო. კაკუნზე იცნობდა.

ჩექმების ბრახუნით შევიდა ქალაქ-მერთული, სახედამწვარი მელიტონი. მას ქრონიკული ბრონჰიტი აწუხებდა და ისე სუნთქავდა, თითქოს ყელში ხელი წაეკირა ვისმე. ხრაილებდა.

— ეს მუშაქალები ძალიან მოგიყვანია, დავით!

— თვითონ ჩამოვიდნენ, უნდა დაგვეხმარონ, — უთხრა დავითმა და ლამპას მისწვდა. ოთახში უკვე ბნელოდა. — დღეს როგორაა საქმე?

— ცუდად, — უპასუხა მელიტონმა.

— რა მოხდა? — შეკრთა დავითი, ასანთი მოძებნა, ლამპა აანთო, ალი ზომაზე დაუყენა და მელიტონს მიაცქერდა.

— მეხუთე გვირაბში დღეს წყალგამტარი ფენა გადავკვეთეთ. ეს რჯულ-ძალლი, ამისთანა მშრალი გვირაბები საქართველოში კი არ მინახავს და რავა ვიფიქრებდი!

— ბევრია წყალი?

— ბევრი. სულ თქიშინით მოდის. გეუნჯკში ჩავიდა, იქიდან მეორე გვირაბს გაუყვა, პირველ შახტში ჩაეშვა და სულ ქვედა, მესამე გვირაბში, შეიჭრა.

— კარგი ერთი! — წამოიძახა შეშფოთებულმა დავითმა.

— მესამე შტოლნა მთლად გაივსო წყლით ამაღამ შახტს გააყვებდა და ხეალ მეორეც უნდა დაგვეტოთ. ისიც გაიყვება.

— რას მიშვება ის მამაძალი: სამი დღით გავუშვი და აგერ. შეათე დღეა, არა ჩანს! — გულმოსულმა დავითმა გრავნილებად დახვეულ ნახაზებს დაუწყო თვლიერება, თითქოს ის, ვისზედაც ასე გაბრაზებული ლაპარაკობდა, ამ ნახაზებში იყო დამალული.

— ვისზე ამბობ?

— მარკშეიდერზე.

— მართლა, თუ მეოთხე ნომრიდან შემხვედრი გეზენკი არ ავკერით, გლახადა საქმე.

— ვუთხარი წასვლამდე, მიმართულება დაენიშნა. აქამდე მინდოდა გეზენკი ამეკრა ქვემოდან. იმას ხომ არ ჰგონია, რომ ან მოეხსნა ან პასუხისგებაში მიეცემ: დავიღებ ქვეშ და ისე გავაბრტყელებ, პატრონმა ვეღარ იცნოს. თეოდოლიტი არ არის?

— საწყობშია.

— გაზავენე მაღაროში. დილას მე თვითონ მივცემ მიმართულებას. ცოტას თუ შევცდები, არა უშავს რა. მოვა და მერე თვითონ გაასწორებს. სხვა რა ამბავია? მეექვსე შემხვედრი როგორაა?

— კარგად, ხეალ გავალთ ბოლოში. ამ ქალებმა სულზე მოგვისწირეს სწორედ.

მელიტონი უხერხულად შედგა. მერე მცირე ხნის დუმისის შემდეგ დასძინა:

— მართლა, ეს ჩვენი საქმე როგორ იქნება, დავით? დღეს მთელი დღე ისმოდა სროლის ხმა. რამდენჯერაც გამოვედი გვირაბიდან, სულ მესმოდა.

— შეშინდი, მელიტონ?

— შიში რა მოსახსენებელია, მაგრამ, — მელიტონს ხველა აუტყდა და სული მძიმედ მოითქვა, — ჩემს თავს კი არ დავეჭებ, ამ ტყეში სადმე შევაფარებ თავს, მარა მაღარო?

— ეგ არაფერი, ჩემო მელიტონ, არც მასეა საქმე, შენ რომ გფრინე ნუსლი

— ვითამ?

გინგლირთქა

— დამერწმუნე.

— ეს სროლა რომ ისმის?

— მერე რა?

— ი, როგორ თუ რა? — მელიტონი ვერ ეგუებოდა დავითის უდარდელ განწყობილებას, მას ეგონა, დავითი განგებ ცდილობდა თავი ისე დაეკირა, ვითომ არაფერს არ ნიშნავდა ფრონტის მოახლოება. — შე კაცო, დღეს ხმა ისმის, ხეალ-ზეგ თავზე დაგვეცემა ყუმბარა. დივერსანტებს დასდევნო, იაშამ რომ თქვა, ტყუილია. ამდენ ტყვიას დივერსანტებზე ვინ დახარჯავს!

— ნუ გეშინია, მტერი ჯერ შორსაა.

— მელიტონ! — გაისმა გარედან ძახილი და, სანამ მელიტონი პასუხს გასცემდა, ოთახში კოტე და აბესალომი შემოვიდნენ.

— მელიტონ, აქა ხარ? — ერთი ფუსფუსით და სიცილით მიმართა აბესალომმა მელიტონს, მკლავში ხელი წაავლო და კარებისაკენ დაუწყო ქაჩვა — წამო, კაცო, ქალები მამასახლისად გირჩევენ.

— რა ჰქენით, კოტე, შერიგდით შეს და ილიკო? — ჰკითხა დავითმა კოტეს.

აბესალომმა მელიტონს თვალი ჩაუკრა და ორივემ გულიანად გადაიხარხარა. დავითმა გაკვირვებით ახედა ორივეს.

— რა გაციინებთ?

— კი, ბატონო, შერიგდნენ, — უპასუხა აბესალომმა და სიცილისაგან თვალებზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა. — გუშინ დაუმარტობელებიათ ერთმანეთი და, რომ არ მივშველებოდით, გლახად იყო კოტეს საქმე. ყვინჩილებით ხან ეს შეხტებოდა და მოუქნევდა ხელს, ხან ის, დავითით ყველა სიცილით.

— ეგ როდის, კაცო? — გაუკვირდა დავითს.

— შენ რომ გააშველე, იმის შემდეგ



შენთვის აღარ გვითქვამს. მერე ვანომ შეარიგა. სტაცა ხელი, ჯერ ეს ყმაწვილი ძნეყვა ძირს, მერე ილიკო. ასე უთხრა: თუ ვაკეცობა გინდათ, ვიჭიდებით, ჩხუბი რა საკადრისიაო. ვანოს, მერე, შენ მოკიდებ ხელს! ცირკში ჭიდობდა და აგრე ვაგლახად, ტყუილია, ვერ მოერევა ვერაინ.

— რანაირად გადმოიღო კისრულით ამხელა კაცი, — დასძინა მელიტონმა. — თუ ადგებოდა ილიკო ფეხზე, აღარ მგვონა. უპ, ბევრი ვიცინეთ მაშინ.

— მერე ხომ შერიგდით, ბიჭო? — შეხედა დავითმა კოტეს.

— იმე, რანაირად მერე. — უპასუხა კოტეს მაგივრად აბესალომმა. — გადავკოცნეთ ერთმანეთი.

— წადით ახლა. პური ჭამეთ. აქ ხელს მიშლით, — უთხრა ღიმილით დავითმა.

სამივენი ჩექმების ბრახუნით გავიდნენ ოთახიდან.

დავითი ისევ მოუბრუნდა მაგიდას. ჯერ სცადა, წერა განეგრძო. მაგრამ ახრი ვერ მოიკრიბა. თაროზე შემოდებულ გრაგნილს მისწვდა და გაშალა. რუკაზე უნდოდა გეოლოგიური კონტურები გაეკვლო.

კარგა ხანს დასცქეროდა რუკას. მერე უცხად შეკრთა და შუბლი მოსრისა. ისე მიმოიხედა, თითქოს ეშინოდა. ხომ არაეინ დამინახაო. წყლიდან ამომავალი ნადია მოაგონდა. მოაგონდა მისი შიშველი მკლავები, სავსე გულ-შეკრდი, თეთრი, ლამაზად ჩამოსხმული თეძოები.

უცნაური გულისძგერა იგრძნო.

ისევ მოუნდა შეეხედა მისთვის. მაშინ ხომ ვერ დაამთავრეს საუბარი. დავითს არ შეეძლო ახლა სხვა რამეზე ფიქრი. ხელი უშვა გეგმას. იგი ზრიალით თავისთავად დაიხვა.

დავითი გარეთ გავიდა.

ჯერ კიდევ არ იყო დაღამებული. სასადილოდან მუშების მხიარული სიცილ-ხარხარი ისმოდა.

ბარაკის წინ დანილა უცუპი ჩამოქვდარიყო და თავისთვის წყნარად უღიგნებდა.

— რა ნაღვლიან სიმღერას ამბობ? — ჰკითხა დავითმა. — შენთანები მოგივიდნენ. უნდა გიხაროდეს. შენი ნათესავი ხომ არაეინაა იმ ქალებში.

— არა, საიდან! ეგენი ყველანი რუსები არიან. მათ შორის მარტო ერთია უკრაინელი და ისიც ყუბანელი. — თქვა დანილამ და გაიღიმა.

— ახლა მაინც დაუნათესავდი რომელიმეს. თუ შენ ცოლიანი ხარ?

— მყავდა, მაგრამ გამეჭკა, — გულუბრყვილო გულახდილობით ჩაილაპარაკა დანილამ.

— რატომ?

— სხვა მოეწონა და მიჰატოვა.

„ჩემსავით“, — გაუელვა დავითს.

— ამისთვის წამოხვედი აქეთ?

— არა. იაშამ ამაგულიანა. ის მოდიოდა და მარტო წამოსვლა ეზარებოდა.

დავითმა ამბულატორიისაკენ გაიხედა. ქალები აივანზე შეგროვილიყვნენ და თავიანთ ჯერს ელოდებოდნენ. მათ შორის ნადია არა ჩანდა. „აღბათ, სიმონთანაა“, გაიფიქრა ახალგაზრდა კაცმა და გული უსიამოვნოდ შეეკუმშა. მოულოდნელად დაინახა ნადია ამბულატორიიდან ოცი ნაბიჯის მოშორებით, კბოდესთან იდგა ზურგშექცეული და მთებს გასცქეროდა.

დავითმა შვებით ამოისუნთქა. რატომღაც გაეხარდა, რომ ნადია მარტო დაინახა. ერთ წუთს დააპირა, მისულიყო და დალაპარაკებოდა, მაგრამ შედგა, თავს ძალა დაატანა, მიბრუნდა და მალაროებისაკენ წავიდა.

— დათიკო, დათიკო! — მოესმა ხმა. მიიხედა. მისკენ კოტე მიბრბოდა.

— რა გინდა, ბიჭო?

— დათიკო, ბიჭებმა გათხოვეს, რომ... — უხერხულად შედგა კოტე და ყურები გაუწითლდა, — თუ შეიძლება დანა გვათხოვეო.



— რა დანა? — ჯერ ვერ გაიგო დავითმა, მერე უცბად მიხვდა და გაიცი-  
ნა.— ჩემს ოთახშია თაროზე, არ გამო-  
ფუქოთ, ტყავიც იქაა და სალეცი.

— აჰ, რას ბრძანებთ, — უპასუხა  
გამზარეულებულმა კოტემ, — ისე ავა-  
წყობთ, რომ შენი მოწონებული.

— დავითმა თვითონ შეისვა წვერებ-  
ზე ხელი. — მეც გაეიპარსო? — გაი-  
ფიქრა მან, — აბა, ახლა არ შეიძლე-  
ბა, გუშინ რომ გამებარსა, კარგი იყო“.

კოტე წავიდა სამართებლის წასაღე-  
ბად, დავითმა კი გზა განაგრძო, უნდო-  
და დაეთვალა ირგებინა საკომპრესორო  
სადგური, სადაც შალიკო მემანქანე  
მსუბუქი ტიპის კომპრესორის მონტაჟს  
ამთავრებდა. დიდი გაკირვებით აიტა-  
ნა ეს მანქანები დავითმა ამ უღრან ად-  
გილას და ახლა გულისცემით მოელოდა  
მათ ამუშაუებას. შალიკოც ჩქარობდა  
და თავის შეგირდთან ერთად დღე და  
ღამე სადგურში იყო. იქვე ჰქონდა ლო-  
გინი. ათასჯერ გადატვირთა-გადმო-  
ტვირთვით, სადგურებში გდებით, შორ  
გზებზე ნათრევი, დაეანგულ-ჩაშაეებუ-  
ლი მანქანის ნაწილები შალიკოს ხელში  
სარკვესავით ლაღლაებდნენ, ბზინავ-  
დნენ და მხახველს საამოდ სჭრიდნენ  
თვალს.

— როგორაა საქმე, შალიკო? —  
ჰკითხა დავითმა, როდესაც ფარდულში  
შევიდა და მანქანებს გადახედა.

— კარგად, — უპასუხა შალიკომ და  
ქლიბებს თავი ანება.

— ამ ორ კვირაში ავამუშაეებთ?

— კი, ავამუშაეებთ.

— რა საქორწილოდ მორთული ქა-  
ლივით გაღამაზდნენ ეს მანქანები, კა-  
ცო, რას ნიშნავს გაწმენდა-გასუფთა-  
ვება.

— ბიჭო, აბა როგორ გგონია! ლამაზ  
ქალს რომ ძონძები ჩააცვა და სახეზე

მური წაუსვა, რას ემსგავსებო? ისეა  
ეს მანქანებიც.

— ბენზინის საქმე როგორ იქნება?  
ეს რაცა გვაქვს, არ გვეყოფა, — თქვა  
შალვამ. გასაქლიბავ ქანჭიკს გირაგში  
ვერდი უცვალა და ქლიბი მოიმარჯვა.

— საბრალო ქალს ალბათ მეტი ფეხ-  
საცემელი არა აქვს, — განაგრძო ფიქრი  
დავითმა, — მართლა, საწყობში რომ  
ქალის ტუფლები მივიღეთ, ეს რა კარგი  
გამახსენდა“.

— ბენზინზე რას გვეუბნებიან? —  
შეხედა შალვამ დავითს და გაოცდა. და-  
ვითი ყურს არ უგდებდა.

— დავით!

— აჰ, რაო, რა სთქვი?

— ბენზინზე რას გვეუბნებიან?

— ბენზინზე?

— მოგვეცემენ თუ არა?

— ბენზინს სამ ტონას გვაძლევენ.  
ერთ წელიწადს გვეყოფა.

— წელიწადს არა, მაგრამ კარგა ხანს  
კი გვეყოფა, — თქვა შალიკომ და  
ქლიბვა განაგრძო.

— თუ ის პატარა მიკროჰესიც მივი-  
ღეთ, მაშინ პირდაპირ გავკეთდებით,—  
თქვა დავითმა.

— შეგვიპირდნენ?

— გამოუგზავნიათ უკვე.

— კარგი ერთი!

— სინდისს გეფიცები, გზაში თუ არ  
გაეჩხირა სადმე.

— რაიონამდე მოვიდეს და მერე ჩვენ  
ვიცით. ორ დღეში ავაწყობ.

— გავანათოთ ერთი აქაურობა. კი-  
ნოც კი მოვაწყობთ მგონია.

— გავანათოთ კი არა, — თავი გაიქ-  
ნია შალვამ, — ვაითუ მტერმა სულ  
დაგვიბნელა დღე. კისლოვოდსკი  
აულიათ.

— ვინ თქვა?

— ქალებმა თქვეს.

## სვანეთში



ამაყად მდგარი სვანეთის მთები  
რა გულზედად დაჰყურებს ხეებს,  
ჭარი მრისხანედ დაიზუზუნებს,  
გააქვთ ლაწანი ტანმაღალ ხეებს.

ფრინველთა მეფე ხვერაეს მიდამოს,  
მსხვერპლს უთვალთვალებს, არ  
მოეშვება,  
ან სადღაც ჯიხვი შეშინებული  
კლდის ორწოხებში გადაეშვება.

დაძრწის, დაეძებს რამე საკბილოს  
მშიერი მგელი გააფთრებული.  
ლამით ბუნების მყუდროების ეამს  
ცას დაამშვენებს ვარსკვლავთ  
კრებული.

სახლის ფანჯრიდან მოჩანს  
სინათლე,  
ახლოს გგონია, თურმე შორს არის,  
და გზაში ფრთხილად მომავალ  
მგზავრებს  
ჩანგის ტყბილ ჰანგებს უმღერის ჭარი.

მოახლოებულ საფრთხეს ძაღლები  
თითქოს შორეულ გუმანით სცნობენ,

ერთი დაჰყეფს და მას სხვაც აჰყეფა,  
თითქოს ერთმანეთს უთანაგრძნობენ.

ალარ შეწყდება დიდხანს გნიასი,  
იპყრობს გუგუნი მთებსა და გორებს,  
ფაფარს აიყრის შმაგი ენგურიც,  
პიტალო ლოდებს ჩამოაგორებს.

და როს სიჩუმე დაისადგურებს.  
სოფელს ღრმა ძილით ჩაეძინება,  
ალულუნდება ჩვილი აკვანში,  
სიზმარს ნახავს და ჩაეცინება.

დაე, დღისითაც ცას ბრწყალი გაჰკრას,  
რამდენიც უნდა ელვამ იელვოს,  
შეუდრეკელნი და უშიშარნი  
სვანი ბიჭები სვექენ ლილეოს.

ჩოლურს, მესტიას, ლაშხეთს ვიგონებ,  
გულმართალ სვანებს დავეძმობილე,  
ცხოვრების გზაზე რა დამაეიწყებს  
ვაჟკაცობაში მუღამ ცნობილებს.

მთები ზეცაში ატყორცნილები  
რა ლამაზია, რა დიაღია,  
საბჭოთა ქვეყნის ყველა მხარეში  
ყველგან სიციცხლის განთიადია.

## სალამო ტებერდის ხეობაში



მზე მთების იქით დაეშვა დაღმა,  
დღემ უხილავი წიგნი დახურა  
და ხეობაში ტებერდის ტალღამ  
მთვარე ტივივით შემოაცურა.

თითქოს ქლუხორთან შეჩერდა  
მთვარე,  
როგორც დიდხნის ნაცნობი  
მგზავრი,  
მსუქაბუები აღებენ კარებს  
და მთვარე მათვენ ბარათებს  
გზავნის.

მე თვალს ვაცეცებ, მზისელო ქალო,  
არ ჩანს წერილი, მოსვლის კი დროა,  
ჩემ წინ ანკარა ტებერდა გალობს  
და ზვირთებს შენი სახება მოაქვს.

ჩვენ პაემანი დავნიშნეთ გუშინ,  
რომ გვეთქვა, რაც კი დაგვრჩა  
უთქმელი,  
მოდით, ერთ ტალღას ჩავიკრავ  
გულში,  
რომ ვიგრძნო შენი თმების  
სურნელი.

თეთრი ლეჩაქი გადაფენა  
ირგვლივ მთვლემარე გორაკებს,  
შუეებს,  
მოდით, ჩამოვსხდეთ მდინარის პირას,  
ჩვენი შეხვედრის დრო არის უკვე.

მზე მთების იქით დაეშვა დაღმა,  
დღემ უხილავი წიგნი დახურა  
და ხეობაში ტებერდის ტალღამ  
მთვარე ტივივით შემოაცურა.

## ფერმაში



დაეშვა ბინდი, გაუჩინარდა  
ცისა და მიწის სხვადასხვა ფერი,  
გზაზე ნახირის ბლავილი ატყდა  
და ნათურები აენთო ფერმის.

ჩამოურბინა თავლია კასრებს  
სიცილ-კისკისით ცქრიალა ბაღღმა,  
მერე ჭიშკარის ურდულებს გასწევს  
და ფურ-ჯიხვების შემოდის ტალღა.

ხბორებს აწვალვებ დედების ლანდი,  
მწველავ ქალების თვალები  
ბრწყინავს,

და ბადიებში ჩხრიალით ჩადის  
ჯიქნებს მომსყდარი ელქუნა წვიმა.  
აქა-იქ შორით ვარსკვლავთ კრებული  
კოცონებივით ცაზე ანთია,  
მთვარე არის თუ რძით გავსებული—  
მთების გულმკერდზე — დადგეს  
ბადია  
მდინარის ტალღა თეთრად ქაფს  
იხვევს  
და ელავს, როგორც მახვილი ბასრი,  
ხომ არ წაექცა ნეტავი ვისმე  
ამ ხეობაში რძით სავსე კასრით



## მ რ ი ღ ე ქ ს ი

\* \* \*

მეც ვძოვებ ამ ცის ქვეშ ეს ქართლის ბალახი,  
მეც თქვენებრ მათრობდა სურნელი სამყურის,  
და განა ცოტა მაქვს მამულში ნახნავი,  
ვარსკვლავებს შევბღაღი ყანების მსახური.

სადაც კი მიწაზე მე ფეხი დავკარი,  
იქ ლურჯი შრიალა ჯეჯილის ზღვა არის!

მეც ქართლის გუთანი გამაქვს და მივდივარ,  
და ჰაბანს ვერ სწევსო, მითხარით, ვინ ჰორავს,  
ქსნისა და არაგვის ჰალების მკვიდრი ვარ,  
მეც ერთი გულლადი ხარი ვარ ნიკორა.

წყვეილი რქა მე, როგორც წყვეილი რამ სანთელი,  
სულ ქედზე მინთია სამშობლოს ნათელი!

წყაროში ჩაეხედე, შუბლზე მაქვს ჰალარა,  
ეჰ, ალბათ ამიტომ მეტყვიან ნიკორას,  
რა ეუყოთ, ტრაქტორთან სუსტი ვარ, პატარა,  
აგერ შავ ყამირებს ლაღად რომ მიტორავს.

მამულის ცასა და მზეს ვეთაყვანები,  
ქართლში ხომ ცასავით ლურჯია ყანებიც!

დღეს თუმცა ჩამოვრჩი, კვლავ ყანის მამა ვარ,  
მეც ქართლის გუთანი გამაქვს და მივტორავ,  
მამულის ბალახს ვძოვ და სუსტი არა ვარ,  
მეც ერთი გულლადი ხარი ვარ ნიკორა.

შუბლს შუქი რომ მადგას, მე როგორც სანთელი,  
სულ თვალწინ მინთია სამშობლოს ნათელი!

## ღამე სოფელში



კაკლის ჩერო გაღიხარა მწვანე მოღზე...  
შორს ვენახებს მწიფე ატმის სხივი ფარავს,  
ვიღაც მღერის ტირიფებში სამშობლოზე  
და ლურჯ ცაზეც თითქოს, აგერ, საბალახოდ  
გამოსულა ვარსკვლავების თეთრი ფარა.

ეს რა ხმაა? რა გუგუნებს ასე ახლოს?  
ალბათ ქვევრში ვერ ისვენებს ყურძნის წვენი!  
და ცვარი რომ ჩამოგორდა მაყვლის შტოსთან  
ქარი ცაშიც მაჭრის სურნელს ფანტავს ფრენით  
და ფშანებში ტირიფების მწკრივი შფოთავს.

როგორც ქვევრში მოჩახჩახე მაჭრის შხეფი,  
სიყვარულიც გულში ისე დგას და ბორგავს...  
სადღაც ჩრდილში, იქ შავ თვალებს ვიღაც ეტრფის  
და ლოცავენ აზავებულ შემოდგომას  
მიჯნურები იღუმალი გაღიმებით.

რა ღამეა, ოცნებით არ დაიღლები,  
ციდან ქვევრშიც ცისკრის თეთრი სხივი წვეთავს.  
რას ინატრებ? სულიც კი არ ენანებათ,  
მღერიან და ფშანში სიო არხეცს ლერწამს  
და მეც ჩემი გულის ტოლი მელანდება.

ვდგავარ ცის ქვეშ, დაძინება მეზარება,  
ვხედავ, ფიქრში როგორ თვლემენ ლურჯი მთები...  
შორს ვენახებს მწიფე ატმის შუქი მოსავს  
და წყაროსთან მოჩურჩულე ქარის ფრთებით  
ფშანში ისევ ტირიფების მწკრივი შფოთავს.

სადღაც ცვარი ჩამოგორდა მაყვლის შტოსთან,  
სადღაც მუხას ჩახვევია ვაზი მკლავით.  
და სიერცეს რომ სიყვარულის ხმები ფარავს,  
შორს ლურჯ ცაზე მთვარე გარბის, როგორც კრავი,  
და თან მისდევს ვარსკვლავების თეთრი ფარა.

## მეგაღურებთან



ღრუბელმა წვიმა მოიყოლია,  
ჩანელდა სხივთა კიაკოკონა,  
თევზს ჩაუქროლა სწრაფად თოლიამ,  
შენ ჩემთან მოხველ, ჩემო გოგონავ.

ნაპირს თევზების გუნდი მოეჭრა,  
თითქოს ისმოდა თევზების სუნთქვა,  
ზღვა ტალღის ხელით ხვეტავდა  
კენჭებს  
და იხუტებდა ვეება გულთან.

არ იქნა და ცა არ მოიწმინდა,  
ვღგავართ და გაშლილ მღვრიე ზღვას  
ვუმზერო,

და ისევ წვიმდა,  
და ისევ წვიმდა  
მეგაღურების გაღვივებულ გულზე.

... მზე გამობრწყინდა სხივთა  
ფერებით  
ზღვა ისევ შფოთავს სილურჯით  
საცხე,  
მეგაღურები სეინერებით  
ბედის საძებრად გავიდნენ ზღვაზე.



რა დამავიწყებს!...  
ვიყავით ერთად,  
თვალწინ ელავდა ზღვის დასანახი,  
შენ თმის დალაღებს ჭარი გირხვედა  
და გული ხტოდა როგორც კალმახი.

რამ დამავიწყოს ის სილაყვარდე,  
ელვის მახვილით გადაფატრული...  
შენ სიყვარულის ვისერია ბადე  
და მაგ ბადეში ვარ გახლართული.

## რა მითხრა?..



იმ გოგომ მითხრა...  
და იმ დღის შემდეგ  
მკლავებში ვიგრძენ ძალა დიადი,  
მგონია ახლა შეუძლებს შევძლებ  
თუნდ წინ დამიდგეს უშუა ზვიადი...

მგონია ახლა ჩემი სიმღერა  
რალაც მათრობელს მოჰგავს  
თილისმას

და როცა ცისკრის კარი იღება  
ეს მე მილიმის შუჭი დილისა.

მგონია ჩემი ესმით გულისთქმა,  
რომ შრიალეებენ გზასთან ვერხვები,  
მგონია ახლა უცხოც რომ შემხედდეს  
მასაც მმასავით გადავეხვევი.

იმ გოგომ მითხრა  
და მისმა სიტყვამ  
გულში დასტოვა ულევო სიტბო,  
რა მითხრა?

განა სჭირდება კითხვა,  
მწამს უჩემოდაც მიხედებით  
თვითონ.

## ნეტავი აქ იყო



ხედავ, რა დარები დამდგარა,  
 მოდი, სიხარული გაგიყო,  
 ყანამ ტანი უკვე აპყარა,  
 ნეტავი აქ იყო!  
 მოგვალხენს ბალახის სილურჯე,  
 კალებში ვეწვიოთ სიმინდებს,  
 მომწყინდა ამდენი სიმუნჯე,  
 მოდი და მიმინდე.  
 მზის სათაყვანები ყანები  
 დგანან და ელიან მასპინძელს,  
 ნიავე ტარობს ალვიძებს,

და უხსნის საკინძეს.  
 მინდვრებში ჯირითობს ავქარი,  
 მწყობრში დგას სიმინდის ლამქარი.  
 ფუნჩეში გახვეულ ტარობს  
 არ უნდათ ქარქაში დატევა.  
 გგონია დაიძვროს მხედრობა  
 და მზეში იშინვლებს სატევარს.  
 ხედავ, რა დარები დამდგარა,  
 მოდი, სიხარული გაგიყო.  
 ყანამ ტანი უკვე აპყარა,  
 ნეტავი აქ იყო!

## შენ ჩემთვის გინდოდა



გიყვარდა ყანები  
 მზით ნალანები,  
 გალხენდა, გიყვარდა  
 სიცოცხლის ფასად,  
 და წუხდი, ქარმა რომ  
 მიწაზე დასცა.  
 მე ვეჭვიანობდი  
 და მერე ვნანობდი.  
 რამდენჯერ წყაროსთან  
 მტირალა ასულთან  
 ტირიფთან ასულხარ,  
 წყაროს წყალს ისხამდი  
 სახეზე სიამით  
 და განგებ ნიაყიც  
 გიწეწდა ქოჩორს,  
 და ჯიბრზე გახელებდა  
 პატარა გოგოს.

მესმოდა, მინდორში  
 უმღერდი ღიღილოს.  
 (პატარა ყვავილს)  
 მსურს ჩემად გიხილო,  
 გულს ცეცხლი მეღება  
 შენც გიყვარს ეგება!  
 მე ვეჭვიანობდი  
 და მერე ვნანობდი.  
 თურმე ყველაფერი,  
 ყანა, მზით ნაფერი,  
 და ნაირფერება  
 მინდორი ვრცელი,  
 მზის სარეცელი,  
 თავთუხი ამდენი,  
 ია ძირს ნაფენი, —  
 მშვეენება მინდორთა  
 შენ ჩემთვის გიყვარდა,  
 შენ ჩემთვის გინდოდა.

მ ქ რ მ ყ ა ნ ა

მოთხრობა

ნაწილი მეორე



თავი პირველი

1.

სექტემბრის პირველ რიცხვებში ვნუკოველებმა სასტუმროს შენობას ხარაჩო შემოაცალეს. ვნუკოვოს ცენტრი კიდევ ერთი მიმზიდველი ნაგებობით დაშვეწდა.

იმ დღეს რაიკომის მდივანი და რაიკომის თავმჯდომარე ეწვივნენ სოფელს. მათ მოიწონეს ვნუკოვოს სასტუმრო. ვასილ შულგინი სტუმრებს დაჰყვებოდა, ყოველი ნომრის კარს თვითონ აღებდა. ბავშვით იყო აღფრთოვანებული. როცა მან რაიონის ხელმძღვანელები გაისტუმრა, პირდაპირ კოლმეურნეობის კანტორაში წავიდა. კარგ გუნებაზე იყო. დღეს მართლაც არაჩვეულებრივად კარგი დღე იყო შულგინისათვის.

კაბინეტში რომ შევიდა, მაგიდაზე გაუხსნელი კონვერტი დახვდა. «მოსკოვის ოლქი. ვნუკოვო, პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ვასილ ვასილიჩ შულგინს... ამ მისამართზე უამრავი წერილი მოსდიოდა ვასილს. დაინტერესდა ეს ვისგან უნდა ყოფილიყო?..»

— ოქროყანა, — წაიკითხა მან ხმა-მალა და მაშინვე მიხვდა, ვისი წერილიც იქნებოდა. კონვერტი სწრაფად გახსნა.

წერილი ორჯერ წაიკითხა. მოეწონა ოქროყანელების გულდია, ძმური ბარათი.

კაბინეტში შემოვიდა შულგინით ახოვანი ტანის, მაგრამ თავმჯდომარეზე ბევრად ახალგაზრდა კაცი. ეს იყო პარტიული ორგანიზაციის მდივანი კოლია ვასილენკო. მას აბრეშუმის გაქათვითებული კიტელი ეცვა, შკერდზე განუშორებლად ატარებდა გვარდიის ნიშანს და ორდენებისა და მედლების ლენტებს, ის ქერა და ცისფერთვალეა იყო.

— დღეს რა კარგი დღეა, ვასილ ვასილიჩ. შენ კი შუბლი შეგიკრავს, — მიმართა ვასილ შულგინს კოლია ვასილენკომ კაბინეტში შესვლისთანავე.

— მართალია, კარგი დღეა, კოლია ტიხონიჩ... მაგრამ მე ერთმა გარემოებაამ დამაფიქრა... მოდი, წაიკითხე... დღეს ოქროყანიდან მივიღე ეს წერილი.

— რას იწერებიან? ჩვენზე ძლიერი კოლმეურნეობა?

— არა. მე თავმჯდომარეს მიეწერე წერილი... პასუხი ზალხმა მომცა... წაიკითხე, მერე ვილაპარაკოთ.

კოლია ვასილენკო მაგიდასთან ჩამოჯდა, შულგინს წერილი გამოართვა და კითხვა დაიწყო. მალიმალ თავს წამოსწევდა, შეხედავდა თავმჯდომარეს და ამბობდა: საგულისხმოა.

— დიახ, მთელი წერილი საგულისხმოა, ვასილ ვასილიჩ, — თქვა დაბოლოს ვასილენკომ. მაგიდაზე გაშლილ



ქაღალდებს ხელი დააფარა ისე, თითქოს ეშინია. ქარმა არ აიტაცოსო. — ოქროყანელებს ჩემს წერილში დახმარებას დავპირდი, როგორც ხედავ. ისინიც დახმარებას გვთავაზობენ. ახლა კი დროა, საქმეს შევეუდგეთ და ვნახოთ, რა შეგვიძლია.

— რა შეგვიძლია? — წამით შუბლი მოკმუტუნა კოლია ტიხონიჩმა, მერე ხალისიანად გაიციხა. — შეგვიძლია: საუკეთესო ჯიშის ძროხები გავეუზავნოთ მოსაშენებლად. შეგვიძლია: საკოლმეურნეო ინჟინტორი მოვეუწყოთ, შეგვიძლია: მათ ფერმებს გავეუკეთოთ მექანიზაცია და შეგვიძლია უფრო მეტიც: დავეხმაროთ კულტურის სახლის აგებაში.

— დიახ, კოლია ტიხონიჩ, ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია, — გაიმეორა მტკიცედ შულგინმა. — სწორედ ეს მადიქრებს. რომ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებისათვის საჭიროა ოქროყანაშიც ძლიერი კოლმეურნეობა იყოს. ეს საკითხი გამგეობის დღევანდელ სხდომაზე გავიტანოთ.

— კულტურის სახლით დავიწყეთ, მე მგონი. ეს ყველაზე უფრო კარგი ნაბიჯი იქნება პირველ შემთხვევაში.

კოტა ხნის შემდეგ კოლია ვასილენკომ პკითხა შულგინს:

— ვასილ ვასილიჩ, იცი, რას ნიშნავს „ოქროყანა“?

— არა, არ ვიცი... ქართული სოფლის სახელია, ისე როგორც ჩვენი ვნუკოვო.

— მე კი ვიცი, რასაც ნიშნავს... ომამდე მე ვყოფილვარ თბილისში. იქ ერთ-ერთ მთაზე გაშენებულია ლამაზი პარკი...

— აა, შენ ფუნკიკულორზე მეუბნები? მერე ოქროყანასთან რა კავშირი აქვს მას? შორიდან უელი, — შეაწყვეტინა ვასილ ვასილიჩმა, — ოქროყანა გორის რაიონშია... ვინ არ იცის გორი!.. შენ კი თბილისზე მეუბნები...

— მე უფრო ახლოს ვიყავი, შენ კი

ძალიან დამაშორე, ვასილ ვასილიჩ... იმ ოქროყანაზე არ მოგახსენებ, რამდენად გორის რაიონშია, არის მთებში, მთებშია თბილისთან ახლოს. თუკი ფუნკულორის პლატოზე ტრამეით არ ახვალ და მოისურვებ მანქანით გასეირნებას, მაშინ ეს სოფელი უნდა გაიარო, ჰოდა, ერთ-ერთ ასეთი მგზავრობის დროს მე ვიკითხე, რას ნიშნავს ეს სახელი — „ოქროყანა“. რუსულად ნიშნავს:

— **Золотая нива.**

— მშვენიერი სახელია, — გაიღმა ვასილ ვასილიჩმა. — შეიძლება ვნუკოსაც ვუწოდოთ ოქროყანა.

## 2.

კვირადღეს ოქროყანის კანტორის დამლაგებლის ნატოს შვილიშვილი მიტო სადღაც გარბოდა თავქუდმოგლეჯილი. გზაში შემხედდურთ ეკითხებოდა: სად არის თავმჯდომარეო. ვილაცამ უთხრა, ქალისწყლის წისქვილებთან დავინახეო. ბიჭი იქით გაიქცა. ფერმებს რომ ჩაუქროლა, სწორედ იმ დროს შემოესმა ნაცნობი „ვახახახა“. „სადაც შენი ვახახახაა, იქაც შენი!“

თავმჯდომარე ფერმაში იყო ბიძინასთან ერთად.

— ძია იაკობ, გელოდებიან... კანტორასთან. — ძლივს ამოთქვა უზომოდ დაღლილმა მიტომ.

— ვინ არიან, რას ამბობ?! — გაიკვირვა იაკობმა, რადგან დღეს იგი არავის ელოდებოდა.

— ჩვენი ხალხია, ვნუკოვოდან წერილი მოვიდა, უშენოდ არაეინ გახსნის, — დაუმატა ბიჭმა.

იაკობმა სწრაფად გადახედა ბიძინას. პარტიიუროს მდივანს მასზე არანაკლებ ესიამოვნა მიტოს ცნობა.

ფეხმარდმა ბიჭმა ისე გაქუსლა, რომ მალე თვალს მიეფარა.

კოლმეურნეობის თავკაცებმა კანტორისაკენ გაჩქარებული ნაბიჯით გასწიეს.



კანტორასთან დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. სექტემბრის მიწურულის შუაღლე იყო. მაგრამ მზეს კიდევ ჰქონდა იმდენი მცხუნვარება, რომ ხალხი ჩრდილს აფარებდა თავს.

ხალხს იაკობსა და ბიძინაზე არანაკლებ აინტერესებდა, რა ეწერა დაბეჭდულ კონვერტში ჩადებულ ქალაღზე.

თავმჯდომარემ და პარტიუროს მდივანმა სწრაფად აიარეს კანტორის კიბე და კაბინეტში შევიდნენ. ეს ოთახი იმდენად დიდი იყო, რომ კანტორის წინ შეგროვილი ხალხი შთლიანად დაიტიო. დაგვიანებით კიდევ მოვიდნენ, დერეფანში გაჩერდნენ და იქიდან უგდებდნენ ყურს ბიძინას, რომელიც ჯერ რუსულად კითხულობდა და თვითონვე თარგმნიდა თვითველ წინადადებას.

„ძვირფასო ამხანაგებო! თქვენმა ბარათმა აღგვაფრთოვანა, გვაგრძნობინა ის დიდი სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც ქართველი ხალხი იჩენს რუსი ხალხისა და სხვა ეროვნების მიმართ...“

წერალი მოზრდილი იყო. როგორც ჩანდა ვნუკოველები მოუთმენლად ელოდნენ იმ დღეს, როდესაც ქართველი კოლმეურნეები მათთან ძვირფასი ხეხილის ნერგებს ჩაიტანდნენ და უზარმაზარ ბაღს გააშენებდნენ.

რუსულის მცოდნეებმა აღარ დააცადეს ბიძინას, გადაეთარგმნა ბარათის ის ნაწილი, სადაც ეწერა, რომ ვნუკოველები ოქროყანელებს ფულისა და ხეტყის მიშველებას პირდებოდნენ კულტურის სახლისათვის.

— ვნუკოველები გრძნობენ, რომ ჩვენი ქვეყნის წელმაგრობა ყველა კოლმეურნეობის სიძლიერით წარმოსდგება...

— ჯორბენაძე მოგვწერდა ასეთ წერილს ნამდვილად! — დაცინვით წამოიძახა ვილაყამ მეზობელი კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე.

— ის მხოლოდ იმას ფიქრობს, — გვაჯობოს, ჩვენზე წინ წავიდეს, თა-

ვის კოლმეურნეობაში არც კი გვახედებს...

— რაღაც ახალი მანქანა-მოწყობა და ჯორბენაძეს ასე უთქვამს თავისიანებისათვის: ოქროყანელებს არ აჩვენოთო.

— მაშ ეს საქმეა? იმის მაგივრად, რომ დაგვიძახოს, გვაჩვენოს, გვითხრას: თქვენც შეიძინეთ, შრომას გაგიადვილებთო... დახე, გვიძალავს!

— ასეთი თავმჯდომარე გასაჩერებელი არ არის.

— მალე მოუნახავენ გზას, ნუ გეშინია.

— მეც ასე ვფიქრობ.

— შულგინი ხეტყეს გვიგზავნის, ფულს გვიგზავნის...

— ასეთი რამ თუ გავგივათ?.. სიზმარში მგონია ჩემი თავი.

— მხოლოდ ჩვენს დროში შეიძლება.

— საიდან სად მოგვაწვდინა თვალი მადლიერმა კაცმა, რუსმა კაცმა, დაილოცა მისი მარჯვენა!

— ჩვენი რა გიკვირთ საზღვარგარეთ აგებენ კულტურის სახლებს, დემოკრატიულ ქვეყნებს ეხმარებიან.

— გაუმარჯოს ვნუკოველებს!

— გაუმარჯოს დიდ რუს ხალხს!

წერილი ასე ბოლოვდებოდა:

„... 25 ოქტომბერს აღვნიშნავთ ჩვენი კოლმეურნეობის 20 წლისთავს. გთხოვთ ჩამობრძანდეთ და მონაწილეობა მიიღოთ ჩვენს ზეიმში.“

ხელს გართმევთ ვასილ შულგინი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე,

კოლია ვასილენკო, კოლმეურნეობის პარტიუროს მდივანი“.

3.

ბინდის ხანს მინდორ-მინდორ მიდიოდა თავმჯდომარე. ტრაქტორები გულს უბრუნებდნენ ტირიფონას ველს. ტრაქტორისტები მარჯვე ბიჭები იყვნენ, ერთმანეთის მოშორებით მუშაობდნენ, მაგრამ ისეთი ზარივით ხმები ჰქონდათ, რომ მათი ტკბილი სიმღერა

შორს, სულ შორს გაჰქონდა ნიავ-ქარს. დიდხანს მიაცილებდა სიმღერა და ტრაქტორების გუგუნე იაკობს, ვიდრე, რეს პირად მიმავალმა, ორღობით სოფლისაკენ არ გაუხვია.

ბალ-ვენახებთან უფრო შეღამებულიყო.

აქ სადღაც მარადოს ვენახია, წნული ღობე აკრავს, რუ ჩაუღდის და ფიცრის პატარა აარბივ აქვს დატანებული.

ხალისიანად მიდიოდა თავმჯდომარე და მარადოს ვენახს უახლოვდებოდა.

კაბუტობისას თუ ყოფილა ასეთი ხალისიანი იაკობი. დღეს მაინც რაღაც უფრო ნათლად იგარჰნო, რომ ოქროყანის წინაშე, თავის წინაშე გაიხსნა კიდევ ერთი დიდებული კარი და მთელ სოფელთან ერთად შევიდა სულ სხვა სამყაროში.

ერთი თვის განმავლობაში მართლა ბევრი რამ მოხდა ოქროყანაში. ბიძინა ფხიანი გამოდგა, ამ მოკლე დროში მართალია ძვრები არ მოუხდენია კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, მაგრამ რაც კი გააკეთა, გააკეთა ნამუსიანად და პატარა საქმეებით დიდი საქმის სათავე მონახა. უპირველეს ყოვლისა თავის გარშემო შემოიკრიბა კომუნისტთა დამკვრელი ბრიგადა. „პირველ მაისელებმა“ უკვე მოაწყვეს აგროლაბორატორია. კვირაში ორჯერ თბილისიდან ამოსული ირაკლი ჯავახიშვილი თავის ძალასა და ცოდნას არ ზოგავდა, კოლმეურნეთა აგროკურსებზე ლექციებს კითხულობდა და მინდვრად პრაქტიკულ სამუშაოშიც ეხმარებოდა კოლმეურნეებს. ეს ყველაფერი ხდებოდა მაშინ, როცა შულგინი თავისი გულთბილი ბარათებით ზურგს უმაგრებდა ოქროყანელებს და დახმარებას ჰპირდებოდა.

ამიტომ იყო იმედიანად იაკობი, ამიტომ უხაროდა კაბუტეით.

შინისკენ მიდიოდა. თვალთაგან არ შორდებოდა ნაშუადღევს თავის კაბინეტში მოწყობილი მიტინგი, რომელიც

შემდეგ კანტორის წინ გადაიტანეს, გინაიდან შენობამ ველარ ფურცელზე დახაზილი...

რატომ მარადო არ მოვიდა მიტინგზე? უკვებ შეიჭრა იაკობის გონებაში. მოაგონდა, რომ მარადო მართლაც არ იყო მიტინგზე, ყველა ბრიგადირი იყო, ის კი არ გამოჩენილა...

სალამოს ქარმა დაქროლა და ხეებიდან გამხმარი ფოთოლი ჩამოყარა. ირგვლივ შემოდგომის სურნელი იდგა.

მოწულლობიანი ვენახის კარი ვიღაცამ გააღო.

მარადო ყოფილა. ორღობეში გამოვიდა, კარის ღირეში ხელი შეჰყო შიგნიდან ჩაყვტა და მერე, ბელლისკენ რომ შემობრუნდა, თვალი თავმჯდომარეს მოჰკრა.

— სალამო მშვიდობისა, — მარადო! — მიესალმა იაკობი. იმ სიხარულს, რომ გულში უტრიალებდა, რაღაც ძალა მოემატა. რატომღაც ძალზე ესიამოვნა ამ ქალის შეხვედრა, ალბათ იმიტომ, რომ ოდესღაც, ამ ოცდახუთი წლის წინათ, თავდავიწყებით უყვარდა.

„სიკაბუტე არასოდეს არ დაბუნდება! სცდები გულო! ეს ხომ გუშინ იყო, ჩემი პირველი სიყვარული... დღეს მე და მარადო ისევ ერთად ვართ!“

— სალამო მშვიდობისა, იაკობ! — მიესალმა მარადო და მერე ერთად წავიდნენ შინისაკენ.

დიდი გზა ედოთ წინ.

მოღამდა.

სადღაც ხის კენწეროებში შექი თამაშობდა. მთვარე ამოდიოდა.

— მიტინგზე რატომ არ მოხველ, მარადო?.

— მე აქ, ვენახში. ვიყავი მთელი დღე, ჩემმა ვახტანგმა ამომიტანა ამბავი... კარგი წერილი მოუწერიათ ვნუკოველებს.

— მეტად კარგი... შენ ხომ კარგად იცნობ ვასილ შულგინს.

— ძალიან კარგად...

— ამ დღეებში წახვალ ვნუკოვოში?



— დღესასწაულზე?

— ჰო, 20 წლისთავს ზეიმობენ.

— სიამოვნებით წავალ... ზეიმსაც დავესწრები და ქმრის საფლავსაც ვნახავ... დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ იქ.

მარადომ კალათი ერთი ხელიდან მეორეში გადმოიტანა, საითყენაც იაკობი იყო. ყურძენი და ატამი შესთავაზა, იაკობმა ატამი აირჩია.

ერთხანს დუმილათ მიდიოდნენ.

— იაკობ, რამდენ კაცს გაგზავნით ვნუკოვოში?

— რა ვიცი. ბიძინა და მე ვფიქრობთ, ხუთი კაცი გავგზავნოთ... მე მგონი, საკმარისი იქნება...

— შელგინს კიდევ ბევრი სტუმრები ეყოლება...

შორს მიიყარგა ტრაქტორების გუგუნი.

კარგი საღამო იყო.

— მარადო, — მომართა იაკობმა და შეჩერდა.

— გისმენ, იაკობ.

მათი თვალეზო ერთმანეთს შეხვდნენ.

— ოცდასამი წელია, ვერ მოვისვენე... განა ადვილია, გულიდან ამოიგდო და სამუდამოდ დაკარგო შენი პირველი სიყვარული?

იაკობს სუნთქვა შეეკრა, გულისფეთქვა ყელში ებჯინებოდა.

— წავიდეთ აქედან, იაკობ. — შეერთა მარადო და ხელი მოკიდა იაკობს. — ვინმე დაგვინახავს და საჩუქრებს მოგვამოგვით?

— მითხარი, მარადო, შენ ვინ ხარ? მაინც არ შეგვიძლია შევეერთდეთ და სამუდამოდ ერთმანეთისა ვიყოთ? ახლა მაინც რა გვიშლის ხელს. შენც ქვრივი ხარ, მეც...

მარადო დუმდა, რა ეპასუხა არ იცოდა, მისთვის მოულოდნელი იყო იაკობის სიტყვები, მაგრამ ეჭვი არ იყო, რომ მასში მთელი გულწრფელობით იგრძნობოდა პირველი სიყვარულის ცხოველმყოფელი ძალა. არ ჩამჭრალა იგი იაკობის გულში. არც მარადოს გულში ჩაფერფლილა. ჭაღმა თვალი დახუჭა და წამით მიენდო რალაც უხილავ ძალას. ამდაგვარი რამ ამ ოცდასამი წლის წინად განიცადა მან, როცა იაკობი პირველად გამოუტყდა სიყვარულში. ო, რა წუთია ეს წუთი!

მარადომ იგრძნო კაცის მეკრდის სიმკვრივე და სწრაფად გაერიდა.

— არა, იაკობ... ეს ასე იოლად არ მოხდება... მეც მიყვარხარ, მაგრამ... ჩვენ გყავს მოზრდილი შვილები, მათ გარეშე კი... უხერხულია... ვუთხრათ, ვნახოთ რას იტყვიან და... თუ კი გაუხარდებათ მაშინ მე შენი ვიქნები სიკვდილამდე.

თავი მეორე

1.

უკვე ერთ თვეზე მეტია რაც შიო ბაკურაძე ესტატეს სახლში გადმოიყვანეს. მას შემდეგ ამ სახლს „შიოს აკადემია“ ეწოდება. ეინ მოუგონა ეს სახელი, კაცმა არ იცის.

„შიოს აკადემია“ მართლა კარგი შენაძენი იყო სოფლისათვის. ერთ ოთახში ბაკურაძე ცხოვრობდა, მეორეში მერხები ეწყო და აქ საღამოობით მიჩურინულ მოძღვრებას, აგრობიოლოგიას სწავლობდა ორმოცამდე კაცი. მე-

სამე ოთახში საკოლმეურნეო ლაბორატორია იყო მოწყობილი. მეოთხე ოთახში სპეციალური ლიტერატურა და პლანეტები ინახებოდა აგროკურსების მსმენელებისათვის. აქვე იყო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მაკეტები, დაწყებული ბარით, ნამგლით და თოხით, გათავებული თვითმავალი კომბაინითა და ელექტროტრაქტორით. აქვე ინახებოდა უკანასკნელ ხანებში მიღებული პურის საუკეთესო თაველები, შაქრის ჭარხლის ვეებერთელა ძირები, შუშის ყუთებში ეწყო რჩეული ხილი.

ერთი სიტყვით, „შიოს აკადემიაში“ ყველა პირობა იყო შექმნილი ნორმალური მეცადინეობისათვის.

ამ ორი კვირის წინ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან დაბეჭდილი პაკეტი მიიღო შიომ. შიგ მშრალი უარი ეწერა მის გადაყვანაზე სხვა კოლმეურნეობაში. არც თავის წერილზე, არც იმ უარზე არავისთვის არაფერი არ უთქვამს შიოს. დარწმუნდა იმაში, რომ სადაც არ უნდა წავიდეს, მაინც ვერ გაეცევა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მძლავრ ნაკადს.

მას მუშაობის პირველ წელს უმართლებდა იოლი შრომა. ცხოვრობდა თავისთვის მშვიდად, გიტარასაც უკრავდა მეგობრის ბაღში, თალიყოსაც ეარსიყვებოდა და მასთან ერთად რაღაც წარმოუდგენელი ცხოვრების ოქროს კომპიებს აგებდა... ახლა კი იქით ბიძინა და იაკობი, აქეთ ირაკლი ჯავახიშვილი, სულთამბუთავებით თავს ადგანან და გასაქანს არ აძლევენ. მართლაც ბევრი სამუშაოა, ლაბორატორიაზე უშუალოდ შიოა პასუხისმგებელი. თვითელი ანალიზი საბოლოოდ მან უნდა შეამოწმოს. განსაკუთრებით დიდი აფლისსღვრა პქონდა მაშინ, როცა საკოლმეურნეო მინდვრების ნიადაგის ქიმიურ შემადგენლობას ამოწმებდა. ეს სამუშაო კიდევ არ არის დამთავრებული, შემოწმებული ნაკეთების მიხედვით ადგენდა სასუქის გატანის განრიგს. ამას დაუყოვნებლივ აცნობდა ბრიგადებს და უკვე მინდვრად ირაკლისთან ერთად აბორცელებდა ნიადაგის განოყიერებას.

სალამობით, როცა კოლმეურნე თავის სამუშაოს მორჩებოდა. შინ მივიდოდა და ოჯახს მიხედავდა. შიო ბაკურაძე, მთელი დღე შოღლილ-მოქანცული, ხელახალ სამუშაოს იწყებდა.

ზეგ ლექტორი უნდა წაიკითხოს აგროკურსებზე ნიადაგის ქიმიური შემადგენლობისა და სასუქების მოხმარების შესახებ. ერთი კვირაა, ამზადებს ლექ-

ციას. ლექციის ნახევარი დანერგული აქვს. შიოს შეუძლია, დანარჩენი ნახევარად მოამზადოს და ისე გადარჩეს მსმენელებს, მაგრამ ირაკლი მოითხოვს დაწერილ ლექციას, რომელიც შემდეგ, საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი, უნდა ინახებოდეს აგროკურსების ბიბლიოთეკაში.

ბაკურაძის ახალ ბინაში ფანჯარასთან დგას მეორე საწოლი გაქათქათებული ლოგინით, — აქ ირაკლი იძინებს, როცა ოქროყანაში ჩამოდის ხოლმე თბილისიდან. ხან კვირაში ერთხელ მოდის, ხან ორჯერ, როგორც მოუხდება.

როგორ არ უნდოდა თალიყოს სახლიდან აქეთ გადმოსვლა შიოს! როგორ არ უნდოდა ამ მეცნიერის ჩამოსახლება, მაგრამ აი, ხანდახან როგორ ეწყობა ცხოვრება.

ვერდით ოთახში ლაბორანტი ფუსფუსებდა. ქალაჩა კაცი იყო, გამხდარი, ფერმკრთალი. დღედაღამ ლაბორატორიაში იჯდა. ძველ სამუშაო ადგილზე რაღაც ცდების წარმოება დაეწყო და ახლა აქ განაგრძობდა. ხანდახან შიოსთან შემოვიდოდა და კონსულტაციას უწევდა მას.

იმ დღეს შიოს ფეხი არ გაუდგამს გარეთ, ლექციას წერდა განჭარბებით. უნდოდა ხვალისთვის მოესწრო, რომ ირაკლის გამზადებული ენახა, თორემ ერთხელ უკვე იწენია მისგან მაგარი საყვედური მეცადინეობის ჩაშლისათვის. იაკობი და ბიძინა მთელი დღე რაიონის პარტაქტივის კრებაზე იყვნენ გორში და ბაკურაძეს არავინ აწუხებდა.

ბიჭებმა სკოლიდან გამოიარეს, ლობეს ჩაჰყენენ, ერთმა ყმაწვილმა ჭიმკრის ფიცარზე ცარკით ოთხკუთხედი მოხაზა და შიგ გულმოდგინედ ჩაწერა: „შიოს აკადემია“.

ყმაწვილები რომ წავიდნენ, ცოტა ხნის შემდეგ „შიოს აკადემიის“ წინ „პობედა“ გაჩერდა.



„შო როგორც კი — „პობედის“ ხმას გაიგებს, მაშინვე რაიკომის მდივანი ჰგონია. გახედა. მოულოდნელად მანქანიდან ირავლი გადმოვიდა, მას მოხუცი კაცი გადმოჰყვა, ჩეჩუნჩის კრემისფერპიჯაკიანი. შიომ მაშინვე იცნო პროფესორი ჯაში, ვისმა ავადმყოფობამაც ამ რამდენიმე წლის წინათ შეახვედრა შო ირაკლისთან.

პროფესორმა სათვალე შეისწორა და ჰიმნარზე გაკეთებულ წარწერას მიანერდა. მერე ხმამალლა გადაიხარხარა.

— შიოს აკადემია, შიოს აკადემია! — მოესმა მისი მზიარული ხმა ბაკურაძეს და ახლა ბრაზი მოუვიდა იმაზე, ვინც ეს სახელი გაავრცელა სოფელში.

შიო ეზოში ჩაეგება სტუმრებს.

— აა, აი, თურმე რომელი შიოა, — პროფესორმა სათვალეს ზემოდან გადმოხედა და ხელი გაუწოდა, — მე თქვენ კარგად გიცნობთ, გამარჯობათ, ბაკურაძე!

— გამარჯობათ, პატივცემულო პროფესორო, როგორ ბრძანდებით? მოკრძალებით მოიკითხა შიომ თავისი ძველი მასწავლებელი. თავისი ხმა არ მოეწონა, რაღაც კნავილს უფრო ჰგავდა.

— მე კარგად ვახლავართ... შენც კარგად ყოფილხარ, როგორც ვხედავ, გადიდგაცებულხარ კიდევ, საკუთარი აკადემია გაგიხსნია.

პროფესორი კარგ გუნებაზე იყო. ასეთ ხასიათზე იყო იგი ყოველთვის გამოცდის წინ, შემდეგ კი გამოიცილებოდა, დაუნდობელი ხდებოდა, ღრმა და საფუძვლიან ცოდნას მოითხოვდა.

ჰიმნარის პატარა კარი, რომელზედაც მოწაფეებმა „შიოს აკადემია“ დაწერეს, ეზოსკენ იყო გამოღებული და შიომაც დაინახა წარწერა.

ასეა თუ ისე, სოფლელები ხუმრობაში ატარებენ, მაგრამ „შიოს აკადემია“ მათთვის დიდი საქმის გამკეთებელი იყო.

პროფესორმა დაათვალიერა ლაბო-

რატორია, ნახა კურსების ბიბლიოთეკა. შევიდა პატარა აუდიტორიაში და თქვა: — მართლა პატარა აკადემიაა თქვენი სიაშოვნებით წავეითებავ ლექციებს...

შემდეგ მან ნახა სამეცადინო ცხრილი, პროგრამას გადახედა, დაინტერესდა შიოს ახალი ლექციითაც. ზენაწერს გადახედა, ალაგ-ალაგ წაიკითხა, შემდეგ ჩვეულებისამებრ სათვალეს ზემოდან გადმოიხედა და შიოს უთხრა:

— მართალია, აგრონომი ბრძანდებით, მაგრამ, როცა ლექციას კითხულობთ, კეთილინებეთ და ჩვენს ქართველ კოლმეურნე გლეხებს ელაპარაკეთ წმინდა ქართულით... თქვენი ლექცია რუსულის პირდაპირ სიტყვასიტყვითი თარგმანია. ნუთუ არ შეგეძლოთ, თქვენი სიტყვებით უბრალოდ ჩამოგექსოვათ? მე არ ვიცი რამდენად მდიდარია თქვენი ლექცია კონკრეტული მაგალითებით, არის ასეთი რამ?

— მე თეორიულ კურსს ლიტერატურის გამოყენებით ვკითხულობ... რაც შეეხება კონკრეტულ მაგალითებს, ამას პრაქტიკა აჩვენებს ჩვენი კურსების მსმენელებს.

— ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ჩვენი კოლმეურნეები პრაქტიკულად საზღაპრო საქმეებს აკეთებენ. ამის აუარება მაგალითი ვიცი... მაგრამ არიან ისეთები, რომლებიც აგრონომილოგიის ელემენტარულ ანბანში ვერ ერკვევიან. ჩვენი დღევანდელი ცხოვრების საუკეთესო მაგალითების ჩვენებით უფრო გასაგებს გავხდით აგრობიოლოგიის კურსს. მორიგი მეცადინეობა როდის გაქვთ?

— ზეგ, პატივცემულო პროფესორო, საღამოს რვა საათზე.

— მოდი, ამ ლექციას თავი მიანებე, მე წავეითებავ. ზეგ რვა საათზე უთუოდ ამოვალ...

რა ქნას შიომ! აღმაცერად გადახედა თავის დაღუპულ ნაშრომს და გული ეტკინა.

## 2.

იმ საღამოს იაკობი საოცრად აღელვებული დაბრუნდა შინ. ამ ბოლო დროს ყოველთვის აღგზნებული, აჩქარებული და განსაკუთრებულად ხალისიანი მოდიოდა ხოლმე. დღიური შრომა და ამ შრომის შედეგი ახარებდა...

იაკობმა ყმაწვილკაცოვით შემოაღო ტყეში. ამჩატებული ნაბიჯით გაიარა ეზო. შეილი ქვეყანას ერჩია, ნაწიზე ამოსდიოდა მზე და მთვარე, მაგრამ საღამოს კოლმეურნეობიდან დაბრუნებულ იაკობს მისთვის არასოდეს არ უცოცნია. ახლა კი სათუთად მოეფერა და შებლზე აეოცა თავის გოგონას.

ვახშამზე ღვინო მოინდომა. ერთი ბოთლი გამოსცალა. თვალეში უფრო მეტი სხივი ჩაუდგა.

ვახშმის შემდეგ იაკობი ტახტზე ჩამოჯდა. როცა ნაწიმი ოთახში მაგიდა ააღაგა. მოიხმო იგი. გვერდზე მოისვა, უხლოდა ახლავე ეთქვა შეილისათვის თავისი სიხარულისა და მღელვარების მიზეზი. მაგრამ სათქმელი რაღაც ისე ვერ ეწყობოდა, როგორც მას სურდა.

— მამა, — მიმართა ნაწიმი, — შენ რაღაც გახარებს, მითხარი... კოლმეურნეობაში რამე ხომ არ წამოიწყეთ კიდევ ახალი?... —

— მე სულ სხვა სიხარული მაქვს. შეილო, გულში... როცა გაიგებ შენც გაგეხარდება...

— მითხარი, მამა. რა არის ისეთი? აივნიდან კარგად მოჩანდა მოკაშკაშე ვარსკვლავებით სავსე ცა.

ეჰ, ის ვარსკვლავი! კვლავ გამოჩნეულია ყველა დანარჩენი ვარსკვლავებიდან, ისევე ბედნიერად ანათებდა, ნირი არ ეცვლებოდა, სხივი არ აკლდებოდა და ყოველ უღრუბლო საღამოს ქვეყანას დასციმციმებდა. ამ ვარსკვლავს სასოებით შესცქეროდნენ ხოლმე ამ ოცდასამი წლის წინათ მარადო და იაკობი... მას შემდეგ რამდენმა წყალმა ჩაიარა. ოცდასამეჯერ მოვიდა გაზაფ-

ხული, რომელიც ყველაზე უფრო მეტად უყვარდათ ქალსა და ვაჟს.

განახლდა დაკარგული სიხარული იგი მთელი თავისი მომხიბლაობით. განა ეს საღამო არა ჰგავს იმ საღამოს, როცა იაკობი პირველად გამოუტყდა მარადოს სიყვარულში? ნუთუ მართლა ჰგავს? სიხარულში და ოცნებაში დღევანდელი განცდილი უფრო მეტი იყო. იაკობის მკერდში ქაბუკის გული ძვერდა. რა შესძლებია სიყვარულს! რა შესძლებია სიცოცხლის ძალას!

იაკობი ცუბილად განიცდიდა მარადოსთან დღევანდელ შეხვედრას. მაგრამ, ამვე დროს, მეტად მწვეველ აფიქრებდა მარადოს სიტყვები, ჩვენ მოზრდილი შეილები გვყავს, მათ უნდა დავეკითხოთ. იქნებ ნაწიმი ეწყინოს, არ მოინდომოს... მაგრამ არა, ეს როგორ იქნება. მარადო ხომ დედასავით უყვარს ნაწიმი... ვახტანგი? საქმე ისაა, როგორ შეხვდება ეს ვაყვაცი დედის მეორე ქორწინებას... იქნება არაა საჭირო, ასეთი რამ შეილებს გაუმგლავნონ? წაუღენ სოფლის საბჭოში, ხელს მოაწერენ და მერე იტყვიან. მარადომ კი ისე უთხრა, რომ ნამდვილად ნებართვის აღებაა საჭირო შეილებისაგან.

— რას იტყვი. შეილო... — ამ სიტყვებისათვის უნდა მიეყოლებინა იაკობს. რაც უნდა ეთქვა. მაგრამ ვერ გაბედა. ნაწიმი გაკვირებული შეჰყურებდა მამას და ვერ გაეგო. რას უნდა აეღელეებინა იგი აგრერიგად. ან რად უჭირდა თქმა.

— დამიგე ლოგინი, მერე გეტყვი. — გადაწყვიტა ბოლოს.

— რა მოგვიდა, მამა, რატომ არ მეუბნები: განა ისეთი რა უნდა იყოს?

— არაფერი ისეთი არ არის, შეილო, რაღაცა უნდა მეთქვა და გადავიფიქრო, ხვალ გეტყვი, ზუგ გეტყვი, საჩქარო არაფერია...

— რატომ დღეს არ გინდა, რომ მითხრა: ავი თქვი შენც გაგეხარდებათ,



მითხარი და ბარემ გამაზარე კიდევ. — ჩააცვიდა ნანი.

— არა ზვალ, ზეგ იყოს... ლოგინი გამოიტანე.

ნანის აღარ გაუმეორებია თხოვნა, ოთახიდან ლოგინი გამოიტანა და ტახტზე დაავო. იაკობს ძალიან უყვარდა თავისი ძველისძველი მამაპაპისეული ტახტი, მისი კრიალი. რაღაც განსაკუთრებულად კრიალებდა ზოლმე, როცა გვერდს შეიცვლიდა.

იაკობი დაწვა. მაგრამ ძილი არ მიპყრებოდა. ღვინო თანდათან მოერიო. ნანის კარგახანს ეყურებოდა ტახტის კრიალი. მერე დაინახა: მამა პაპიროსს წევდა. პაპიროსის ცეცხლის შუქი მოწყვიტას იაკობის სახეს ფერმერთაღად ანათებდა. იაკობი საღდაც იყურებოდა. ნანიმ ვერ მოითმინა, წამოდგა და მასთან: გავიდა.

— შეილო, რატომ არ გძინავს?

— აბა როგორ დავიძინო, როცა შენ არ გძინავს, — მამა, შენ რაღაც გაწუხებს და არ მეუბნები, მითხარი, დღესვე მითხარი.

იაკობმა გულზე მიიხუტა შეილის თავი. მის დიდრონ თვალებს ჩააცქერდა. რატომ არ ყოფნის იაკობს იმის გამბედაობა, რომ ამოთქვას გულში ნადებები? რატომ არ შეუძლია გაამჟღავნოს თავის გადაწყვეტილება? ნანი ისეთი უკვირანი გოგია. ისეთი სათნო და მგრძნობიარე, რომ ყველაფერს გაუგებს მამას. მას ბევრ რამეში გაუწევია თანაგრძნობა და ახლაც, ალბათ, სიხარულით შეხედება მარადოსთან მამის შეუღლებას. მარადომ ხომ დედობა გაუწია ნანის და წლების განმავლობაში, ისევე როგორც ვახტანგს, მასაც ზრდიდა და თავს ევლებოდა. ნანის უთუოდ გაუხარდებოდა. ჯერ ამაში დარწმუნდა თავისი თავი იაკობმა და მერე უთხრა შეილს:

— ნანი, შენ ხდომილი, რომ მე და

მარადოს დიდი ხნის წინათ ერთმანეთი გიყვარდა?

— მერე რა, მამა, ვეფხველნი ვიყავით. ნანიმ თავი უკან წაიღო და მამას გაკვირვებით მიაჩერდა, ამას რას მეუბნებო.

— შეილო, მე დღესაც იმ გრძნობით მიყვარს იგი... ის ჩემთვის ძვირფასი აღამიანია და მინდა, რომ რაღაც ათეული წელი, სანამ ჯერ კიდევ არ მოვხუცებულვარ, ერთად გავატაროთ, აი, რა უნდა მეთქვა შენთვის... შენ რას მეტყვი, ხომ გიყვარს მარადო?

ნანი ერთხანს გაშრა, ჩასცქეროდა მამას ჭაბუკივით წამოწმებულ თვალებში და ვერაფრის თქმა ვერ მოეხერხებინა. ყველაფერს იფიქრებდა, ყველაფერს, მაგრამ მამისა და მარადოს სამიჯნურო ურთიერთობის განახლებას კი არა. ეს ამბავი იმდენად მოულოდნელი იყო ნანისათვის, რომ ქალიშვილს რაღაც შიშისმაგვარმა ერთნატილმაც კი დაუბრინა ტანში და შეკრთა. ეს შეკრთომა შეიგრძნო იაკობმა, მიხვდა, რომ მისი გადაწყვეტილება მარადოსთან შეუღლებისა უკვე წააწყდა პირველ დიდ სიძნელეს.

— ხომ გიყვარს? — გაუმეორა იაკობმა...

— მიყვარს, მამა, ძალიანაც მიყვარს. მაგრამ... მე არაფერი არ ვიცი, მე რა მეკითხება, მე რა შუაში ვარ?! — ძლივს ამოთქვა ნანიმ, წამოდგა და ოთახისაკენ წავიდა. თავის ლოგინზე დამხობილს უნებლიეთ წასკდა ცრემლები და უხმოთ აქვითინდა, რომ მამას არაფერი გაეგო. რა ატირებდა? მას ხომ მართლაც დედასავით უყვარს მარადო? მამა რატომ არ უნდა, რომ იგი უფრო ახლობელი გახდეს?

... მაგრამ იყო მიზეზი, რომელიც ამ ორიოდე წლის წინათ გაუჩნდა ნანის და მოსვენებას არ აძლევდა. ამ მიზეზმა განსაზღვრა მისი მომავალი ცხოვრ-



ბა. ყველაფერი, რაც კი ახარებდა, რაც კი ამოქმედებდა, ვახტანგთან იყო დაკავშირებული. ნანის სიცოცხლე ვერ წარმოედგინა ვახტანგის გარეშე. უყვარდა იგი თავისი პირველი სიყვარულით. ასე თუ ისე ნანის უკვე თვალწინ ედგა თავისი მომავალი... და უცებ: ყველაფერი დაიშვრებოდა, ყველაფერს სულიერი ტანჯვა მოიცავს, თუკი მამა მარადოს შეერთავს.

ნანის თვალთაგან არ შორდებოდა მამის სხივოსილი სახე. რა ქნას მამამ? ოცდასამი წელი ატარა სიყვარული. ოცდასამი წელი ითმინო დაკარგული ბედნიერება — ეს ზომ ტანჯვაა! ნანის ეცოდებოდა მამა, ეცოდებოდა და ამას უერთდებოდა საკუთარი გულისწუხილიც. დილაზედ ხედავდა იგი: აივანზე პაპიროსის მკრთალი ნათელი როგორ აჩენდა იაკობის მოღუშულ სახეს.

### 3.

გათენებისას წასთვლიდა ნანის, მაგრამ უშალ გამოეღვიძა. როცა აივანზე გამოვიდა — მამა იქ არ დახვდა. იაკობი გათენებამდე ამდგარიყო, არც ეზოში ჩანდა. ალბათ შინ ველარ მოიხვეწა და კანტორაში წავიდა გულისჯავრის მოსაოხებლად.

ნანის უფრო მეტად მოეწეა გული. ალბათ მარადომაც უთხრა ვახტანგს. მერე როგორ შეხვდა იგი დედის გადაწყვეტილებას? ვახტანგი უთუოდ დაუშლის დედას, დაუშლის, რომ საკუთარი ბედნიერება არ ჩაშალოს. ნანის სჯეროდა, ღრმად სჯეროდა რატომღაც, რომ ვახტანგსაც უყვარდა იგი. მერე-და. პირადი ბედნიერების გულისთვის ვახტანგს შეუძლია შელახოს სხვისი ბედნიერება? არა, ასეთი არ არის ვახტანგი. მას ყოველთვის აღელვებდა და აღელვებს სხვისი ჭირი და ღონი, სხვისი ყისმათი.

ნანის ხან იმედით აენტებოდა გული,

ხან კი ისევ შავი ღრუბელი მოეხურებოდა.

როგორ უყვარდა იგი <sup>გამოქმედებული</sup> ~~შეშინებული~~ ხარი დაირეკებოდა და ქურხალით ხელში შემოვიდოდა ახალგაზრდა მასწავლებელი!

ნანის მეხსიერებაში განსაკუთრებით აღიბეჭდა პირველი სექტემბერი. ამ დღოს მესამე გაკვეთილი ქართული იყო. პაველ მასწავლებელთან წლობის განმავლობაში შეჩვეული მოსწავლეები პირველად შეხვდნენ ვახტანგს. ნანი ზეიმობდა. სულ გაბრწყინებული სახით უყურებდა ვახტანგს და რამდენჯერმე კიდევ მიმართა. პატივცემულო მასწავლებელო. ეს თითქმის ხუმრობით წარმოთქვა. მაგრამ მის ზმაში მორიდებაც იგრძნობოდა. ვახტანგი კათედრასთან იდგა. ნანი მერხზე იჯდა. ქალიშვილმა მაშინვე იგრძნო, რომ ცხრა თვის განმავლობაში იგი ვახტანგის მოსწავლე უნდა ყოფილიყო.

მთელი თვის განმავლობაში ნანის ისე ძალიან არ უნატრია პაველ მასწავლებელი, როგორც ამ დღით, როცა საშინლად აღელვებული მიდიოდა სკოლისაკენ, ნეტა მოხუცი ასწავლიდეს ნეტავ კლასში ვახტანგი არ შემოვიდეს.

ხარი დაირეკა.

ვახტანგი ჩვეულებრივი სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა კლასში. ფეხზე ამდგარ მოსწავლეებს მიესალმა და თავისი ადგილი დაიკავა.

ნანიმ წამით შეაელო ვახტანგს თვალი. ვაყის გამომეტყველებაში ცვლილებას მოელოდა, მაგრამ ვერ შეამჩნია. ვახტანგს ღიმილი უთამაშებდა ტუჩების კიდევებში და თვალებში, ხალისიანი მოპრაობით გამალა ქურხალი და გვარების ამოკითხვა დაიწყო.

იქნებ არაფერი უთქვამს მარადოს? ან, იქნებ, დაეკითხა კიდევაც შვილს და ვახტანგი სიხარულით შეხვდა დედის გაბედნიერების ამბავს? — არ ასეენებ-



და ეს ფიქრი ნანის. იგი მართლა მოელოდა გაკვეთილების შემდეგ ვახტანგთან შეხვედრას და მისგან მარადოს და იაკობის გაბედნიერების შეტყობინებას. ნუთუ მართლა ასე იქნება?

ნანი ფიქრს ებრძოდა, სულიერად სულ სხვა სამყაროში ტრიალებდა და, როგორც საშინელ სიზმარში, ისე წვალობდა.

ვახტანგი ეურნალში გვარების ამოკითხვის შემდეგ წამოდგებოდა. კლასს გადავლებდა თვალს, რათა ჯერ ერთი შეხედვით შეემოწმებინა, ვინ იცოდა გაკვეთილი. უპირველესად ყოვლისა, ჯერ ნანის შეხედავდა.— შეხედავდა მის აწეულ ხელს, მოხეიმიე სახეს, შემდეგ დანარჩენებს გადახედავდა და თვითუფლი მოსწავლის სახეზე გამოცდილი პედაგოგიით კითხულობდა, რაც კი ბავშვებს გულში ჰქონდათ.

მაგრამ ახლა ვერ წაიკითხა, ვერ გამოიკნო ნანის მღელვარების მიზეზი, მან მართლაც არაფერი იცოდა. მარადო იაკობით არ აჩქარებულა.

გამოირკვა, რომ მთელ კლასს მოემზადებინა გაკვეთილი. ნანიმაც ასწია ხელი, მაგრამ ეს ჩვეულებრივი სხარტა ნანი როდი ჩანდა ახლა!

— აბა, ნანი, დაიწყე, — მიმართა ვახტანგმა. მას რატომღაც არ ეკაშნიკა ნანის გამომეტყველება. ჯერ იფიქრა, გაკვეთილი არ ეცოდინება და იმიტომ ლელავსო, მაგრამ ამის საბაბი არასოდეს არავისათვის არ მიუცია ნანის, იმიტომ, ვახტანგს რომ გაეფანტა თავში შემომუჯდარი ჯიუტი ეპვი, პირველადვე ნანი გამოიძახა.

ნანი არ მოელოდა გამოძახებას. გუშინწინ გამოიძახა, ამ ოთხი დღის წინათაც გამოკითხა ვახტანგმა... ასე ზედინედ? «ორიანს რომ დაგიწერ, მაშინ მიხვდები, რომ წამდელი მასწავლებელი ვარ?» — მოაგონდა ნანის. მაშინ ხუმრობად მიიღო, ეს არასოდეს არ მოხდებო, მიღვა კიდევ ვახტანგს.

ნანი ფეხზე იდგა და დღემდა. იგი უცებ რაღაც გადაწყვეტილებას დაიდგა და მთელი კლასისათვის მსტრატეგიულად პირველად თქვა:

— გაკვეთილი არ ვიცი.

ეურნალში ნანის გვარის გასწვრივ ორიანი გაჩნდა.

4.

ვახტანგმა უხასიათოდ ჩაატარა გაკვეთილი. ზარი დაირევა თუ არა, ეურნალს დაავლო ხელი, სახემოლუშული წაეიდა სამასწავლებლოსაკენ.

რა დაემართა ნანის? რატომ არ იცოდა გაკვეთილი? ეს კითხვები არ ასვენებდნენ ვახტანგს. ფიქრობდა სად და როდის შეხვედროდა ნანის, რომ ყველაფერი დაწვრილებით გაეგო.

გაკვეთილების შემდეგ ვახტანგი ხშირად პაეღე მასწავლებელთან მიდიოდა და თავისი მონაყოლით, თუ როგორ ჩაიარა დღევანდელმა დღემ სკოლაში, ახალსებდა ავადმყოფ პედაგოგს, რომელიც მთელი თავისი არსებით მაინც სკოლასთან იყო.

დღეს მოხეტთან ველარ შეიარა. საღამომდე მერვე და მეცხრე კლასელების რვეულები უნდა გაეწორებინა, შემდეგ ბიბლიოთეკაში ჩასულიყო და ბიძანას თხოვნით კოლმეურნეობის კედლის გაზეთის მასალებისათვის თვალი გადაეკლო.

შინ არც გაბრიელი იყო, არც მარადო. ისინი კოლმეურნეობაში იყვნენ. დღეს შაქრის ჰარხლის ასაღებად ყველა ბრიგადისათვის გაეკეთებინათ მობილიზაცია და მარადოს მევენახეობის ბრიგადაც იქ მუშაობდა.

სიწყნარე იყო. ოდნავ შრიალებდა ბალი.

კაკლის ხის ქვეშ მრგვალ მაგიდასთან ჩამოჯდა ვახტანგი და აქ დაიწყო თავისი საქმიანობა, — რვეულებს ასწორებდა. ცდილობდა დღევანდელი უსიამოვნება მუშაობით გაეჭარბებინა. რაც უფრო ღრმად ჩაუკვირდა მასწავ-



ლეთა ნამძვყარს: აბჯარ ფქრსაც  
მით უფრო დაშორდა.

სანამ მოსწავლეთა ასობმოცდაათამ-  
დე რევალს გადახედავდა, დიდმა  
დრომ განვლო.

მუშაობის ფრად გამოიხედა ცამ.  
ხეზე თუ სახლზე, გოჩაყის ცალ  
გვერდზე თუ მალა ცამი ღრუბლს  
კედზე მოწითალო-მოყვითალო ფერი  
გაჩნდა, სულ რაღაც რამდენიმე წუთში  
ქვე გადაღმა დამალა მზე, ბინდმა  
ერთმანედ მოიკცა გარემო.

კომპართან პაპა გაბრიელი გამოჩნდა,  
კაპკა მზარზე გაედო, მოღლილი მო-  
ფოფა, მალე მარადოს გამოჩნდა,  
თავშლის სწორებით წინსაყენ მოის-  
წრათოდა.

შეღამებისას ოჯახის წევრები კარ-  
ლის ხს ქვეშ ჩამოსხდნენ სავახშმოდ  
და ებტანებმა მამინ თქვა ნანის ორი-  
ანის შესახებ.

მარადო შეცბა ქალს ყვრიმალეში  
შეუბრთოდდა და ქალიშვილივით ად-  
წითლდა ღოყები, ქალს გულმა უგბ-  
ნო არასაღერველი რამ, ნამდვილად  
გამოტყდა იაკობი შეილს, ნანის  
უბრთოდ ეწყინა და სწორედ ამიტომ  
მიიღო დღეს ორიანი, — დაასვენა მარ-  
ადომ.

— მერე-და, შენ არ შეგეძლო არ და-  
გეწერა? — გაბრიელმა მკაცრად შეხე-  
და შეილიშვილს.

— ეს პირველი გამოჩენისი იქნე-  
ბოდა... ჯერ არაყისთვის არ მიბატო-  
ბია, პაპანემო... არ მინდოდა პირვე-  
ლად, კლასის დასანახავად ნანისათვის  
მეპატივბინა... ყველამ იცის, რომ ჩვენ  
ასე ახლო ვართ ერთმანეთთან...

— მეუბრთმეტე კლასამდე ისე მი-  
სულა ის ბავშვი — ერთხელაც არ მიუ-  
ღია ორიანი... შენ კი ღნდა გაუფუტო  
საჭმე... ოჭროს მედალზე ოცნებობდა,  
ჯულმოდგინედ სწავლობდა... ახლა?  
იქნებ რა დაემართა, იქნებ შეუძლოთ  
იყო... ერთი სიტყვით, გაიგე, რა მოუ-  
ვიდა!

ეს უკანასკნელი სიტყვები ანაგო  
წარმოთქმული, როგორც კი შეხედე  
მეთაურის ბრძანება, გიგლინიშვილს  
ვახტანგი მოწყენილი გამოვიდა ეზო-  
დან და ბიბლიოთეკისაკენ გაემშრა.

მარადო ოთახში განმარტოვდა, ენებ-  
ლივთ საჩუქსთან მოხვდა, თითქოს  
პირველად ხედავს თავის თავსო, ისე  
შეხედა თავის ორეულს, შეებრალა  
იგი — ქალია, დამჯდარი გულმკერ-  
დით, შებლზე ორიოდე ნაოქში თითი  
გაატარა და მერე თავის ქალიშვილო-  
ბის დროინდელ სურათს შეხედა, რა  
წესიანია! რა ღამაში! რა მომხიბვლე-  
ლი!

კვლავ საჩუქს ევლება მარადოს თვა-  
ლი, ანაზად შენიშნა თავის დაწვეზე  
ჩამოგორებელი ცრემლი, ამის დანახ-  
ვაზე სწრაფად შეტრიალდა შემფოთე-  
ბული, მაგრამ ამაო იყო შიში, ოთახში  
მის მებტი არავინ ყოფილა.

უკანასკნელი იმედიც ჩაქრა, ჩაი-  
ფერფლა, მარადო იაკობისათვის არ  
არის დაბადებოლი, და ვერც ვერასო-  
დეს შეუბრთობა ნა, მარადოს უნდო-  
და ერთხელ კედეს გულამოვარდნით  
ეტყრა და ამით საყუარელი მამაკაცის  
სიბლთვის უკანასკნელი სურვილი  
მოექცა.

რატომ შეერთა ავტორივად, რატომ  
გაუბრდა გული? ქალი უცებ მოეგო-  
გონებას, გამხნევდა, წილში გასწორდა,  
როგორ იქნება, რომ ნანის სწყენოდა  
მარადოს სიბლთვე, მისი დელობა? გა-  
ნა ამიტომ არ იყოდა გაყვეთილი? არა,  
ნამდვილად სულ სხვა მიზეზმა შეუშა-  
ლა ხელი ნანის... მერე რა მოხდა, რომ  
ორიანი მიიღო... მოსწავლე ორიანსაც  
იღებს და ხეთიანსაც... კოკა ყოველ-  
თვის წყალს არ მოიტანსო, ნათქვამია,  
ნანისაც ასევე მოუვიდა ალბათ, ანდა  
რატომ მაინცდამაინც ცუდი გაიფიქრა  
მარადომ?

ნანის ევეყარვარ, როგორც დედა,  
ისე ევეყარვარ, და იგი არასოდეს ნა-  
წყენი არ დარჩებოთ, — გულში გაიფ-

ლო და ამან იმდენად გაღმაგრა გული, რომ ინანა კიდევ. პირველად რა სისულელეა ეიფექტო.

მამა და შვილიშვილი წელან კაცის ხის ქვეშ დატოვა. ახლავ დატბახებს შველს და ხალაფურს ეტყვის... ვახტანგს ზომ უყვარს იაკობი...

ეზოში რომ გადაიხედო, კაცის ხისთან ვერც მამა შენიშნა. ვერც შვილი... მაშინ მოაგონდა მარადმეცნიერების ტანგი ბიბლიოთეკაში უნდა ჩასტყავო კედლის გახეთის მასალების გასასწორებლად.

### თახი ბეოთხი

1.

ოქროყანის ბიბლიოთეკა-სამკითხველო ორ ოთახში იყო მოთავსებული ერთი წიგნები იყო თავმოყრილი. მეორეში ტერნალებოთა და გახეთები მოფენილი ორი გრძელი მაგიდა იდგა.

ბიბლიოთეკის გამგე ფარნაოზ სოყმანილი გამხდარი ყმაწვილ-კაცი იყო. იგი ერთნაირად კარგად უცნობდა მხატვრულ ლიტერატურასა და ზოგიერთ ტექნიკურ მეცნიერებას. სასოფლო-სამეურნეო საქმე ხელი თითოვით ჰქონდა შესწავლილი. კოლმეურნეობა, სანამ აგრობიოლოგიურ კურსებში ჩაებმებოდნენ, ზოგიერთი რამის საკითხავად მასთან უფრო მიდიოდნენ. ვიდრე შიშ ბაქტრანესთან. ფარნაოზი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში კარგად ერეოდა. ასეთი მცოდნე, ახალგაზრდულ ენერჯით სავსე ფარნაოზი კოლმეურნეობის საქმიანობიდან მოწყვეტული იყო. ხალხში იმდენად გამოდიოდა, სამდშაო საათებს ბიბლიოთეკაში ატარებდა. შენდებო, ტერნალებოთებით დატვირთული. შინსაკენ მიდიოდა.

ბიძიანს რეკომენდაციით ფარნაოზი კოლმეურნეობის კედლის გახეთის რედაქტორად იქნა აჩვენელო. პარტიულმა ორგანიზაციამ მასვე დაავალა კოლმეურნეობის პოლიტკოლოს მსმენელებოსათვის სემინარების ჩატარება.

ფარნაოზი ქართული ენის სპეციალისტი არ იყო, ამიტომ ბიძიანმა გახეთის სტილის მოგვარება ვახტანგს მიანდო.

როცა ვახტანგი ბიბლიოთეკაში მივიდა, ბიძიან იქ არ დახედა. ოთახის კუთხეში ფარნაოზი მაგიდასთან წასრიალყო და კედლის გახეთს აფორმებდა. საგნების ზუსტი გამოხატვა ისე არ ეხერხებოდა, როგორც ფერების შეხამება. მას ამ მხრივ კარგი გემოვნება ჰქონდა და, როცა ნახატს დაასრულებდა, მნახველს კარგი შთაბეჭდილება რჩებოდა.

სათურთან ძნის რამდენიმე კონა დახატა. ფონად ველი და ცისფერი ქუდი გაუკეთა. ხოლო მარჯვნივ კრემლის ლალის ვარსკვლავიანი კომეტრა აღმართა. ვარსკვლავის შუქი ბურის თაველს სწუხებოდა. ფარნაოზი ახლა სხვა მხრივ აულებდა სხვის. \*

— კარგია? — კითხა ვახტანგს, ოდნავ უკან დაიხია, თავი გვერდზე გადასწია და, როგორც ნაშევილმა მხატვარმა, თვალბის მოკეტვით შეხედა თავის ნამღმევეჭს.

— კარგია. — მოუწონა ვახტანგმა.

— მე უკვე გაეასწორე მასალები, მიუღი. ერთი, სტილი შეამოწმე, ამაღამვე გადაეწერთ, რომ ხეალ შეადგემდე გამოვიკიდოთ გახეთი, — უთხრა ფარნაოზმა ვახტანგს, როცა თავისი ნახატის ცქირით გოლი იჯერა. მერე მაგიდის ყუთიდან წერალების დასტა ამოიღო.

ვახტანგი მეორე მაგიდასთან ჩამოჯდა. ჯერ მოწინავეს გადახედა. იგი ბიძიანს ხელით იყო ნაწერი. მთელ წერაღს ის რიზიანი კილო გასდევდა, რომლოთაც ცნობილი იყო პარტიბიუროს მდივანი.



2.

კითხულობდა ვახტანგი და თვალწინ ედგა ბიძინას ახოვანი აღნაგობა, მისი სიცოცხლით სავსე თვალები... თითქოს ფარტინა ქალადლი კი არა, თვით ბიძინა ამბობდეს ამ მგზნებარე სიტყვებს, ლამაზი ქართულით რომ ჩამწყობებულან სტრიქონ-სტრიქონად...

მაგიდაზე ჩრდილი დაეცა.

ვახტანგმა ახედა თავზე წამომდგარ კაცს, ეს ბიძინა იყო.

— ბევრი შეცდომაა? — შეეკითხა იგი. და ვახტანგის გვერდით დაიდგა სკამი, გასწორებული ფურცელი აიღო, გადახედა.

— ეს რაღაც ვერ გაგისწორებია, — შენიშნა მან ერთგან, — მართო წერტილ-მძიმესა და სიტყვების მართლწერას კი არა გთხოვ...

— მე მგონი ასე კარგია...

— არა, იქნებ უფრო ლეკვითად გამოსულიყო, როგორმე... მე მინდა მადლიანი, ძარღვიანი ქართულით ვუთხრათ ჩვენს კოლმეურნეებს კომუნისტური სიტყვა... აბა, მოდი, სხვანაირად შევამბრუნოთ...

ცვლიან ერთ წინადადებას, ცვლიან მეორეს... სინონიმებს ფარნაოზი აშველებს... უფრო ოკეთ გამოდის... მუშაობაში დრო შეუმჩნეველად მიიპარება.

ბიძინამ დანარჩენ წერილებს გადახედა. უცებ თავი წამოსწია და, წარბშეკრულმა, ფარნაოზს შეხედა.

— ლევანის წერილი სად არის?

— უკან წაიღო...

— როგორ თუ წაიღო, რა უფლებით?

— შემეხევეწა და გავატანე.

— ერთი უყურე ამას! სად გავიწილა რედაქციაში შემოსული მასალის უკან გატანება? სანამ შინ ჰქონდა თავისი იყო, რედაქციაში მოიტანა — რედაქციისაა, გაზეთში გამოქვეყნდება — ხალხისაა... ამ ელემენტარულ ამბავში ნუთუ ვერ ერკვევით?

ბიძინას ხასიათი წაუხდა.

ცოცხა ხნის შემდეგ მისი მხარე მდივანი ორლობით ლეკვით შეიღობა. შეიღობის საბლისაყენ მიდიოდა.

მემინდვრეობის ბრიგადის მერგოლური ონოფრეშვილი ხევის გადაღმა ცხოვრობდა. სოფლის ამ ნაწილში ის და კიდევ ორიოდე მოსახლე იყო. ბიძინას კარგაძალი გზა ქონდა გასაველელი ამ ღამეს, სანამ ლევანის სახლს მი-აღწევდა, მაგრამ არ დაიზარა. საქმე ის კი არ იყო, რომ წერილი უკან წამოეღო და უთუოდ გაზეთის ამ ნომერში გამოქვეყნებინა, არამედ ბიძინას ის უფრო აწუხებდა, რომ მერგოლურმა სიმშდალე გამოიჩინა და უკან წაიღო წერილი, რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი ილო ალიშბარაშვილი.

ბიძინა არავის ერიდებოდა, ყველაფერში გაბედული იყო და ასეთსავე გაბედულობას მოითხოვდა „პირველი მაისის“ კომუნისტებისაგან, უპარტიო კოლმეურნეებისაგან. ახლა ეკლად დაედო ლევანის საქციელი.

ხევაში წყალი მოდიოდა დგაფუნით. უკუნი სიბნელე იყო. ბიძინა ჯიბის ნათურით იკვლევდა გზას. დიდრონ ლოდებზე ხტუნვა-ხტუნვით გადაიარა წყალი და აღმართს შეუყვია.

სადღაც ძალი გაშმაგებით ყვფდა. ალბათ ღრუბლიანი ღამის ეშინოდა. შემოდგომის პირველი თვის მიწურულის ღამე თბილი იყო და ნესტიანი. ოღნავ წამოფინელლა, წვიმის წერილი წვეთები თითქმის სადღაც ციდან კი არ ეცემოდნენ, არამედ იქვე, ბიძინას პარისახესთან, სულ ახლოს, ჩნდებოდნენ.

ლევანის ეზოსთან ქოფაკები დაესაყენნენ. დაუტია, მოიგერიო. ერთსართულიან სახლიდან კაცმა გამოხედა.

— რომელი ხარ?

ბიძინამ ხმაზე იცნო ლევანი.

— მე ვარ, ბიძინა... მომხედე, ღამის შემკამონ ამ ქოფაკებმა!



ძაღლები გარშემო ურბენდნენ და გავებღული უყუფდნენ ბიძინას.

— პატ, თქვე სამგლეებო, — უყვირა ლევანმა ძაღლებს და ამ ერთი ძაბილით ჩაახტმა ისინი. პატრონის ხმის გაგონებისთანავე აქეთ-იქით გაძვრნენ და ბნელში მიიშალნენ.

ლევანმა შინ შეიყვანა სტუმარი, ელემტრონი ჯერ კიდევ არ გამოეყვანა და ამიტომ ოთახში ნავთის პატარა ლამპა ენთო.

— დაბრძანდი, ბიძინა, რაზე გარჯილხარ ამდამ?

— მცირე საქმეზე შეგაწუბე, — უპასუხა პარტბიუროს მდივანმა და, სანამ მოსვლის მიზეზს ეტყოდა, ჯერ ოთახში მიმოიხედა. იქ მათ მეტი არაფერი იყო. ლევანს ცოლი თბილისში გაესტუმრებია და აგერ, უკვე რამდენიმე დღეა, მარტოდმარტოა შინ.

ლევანს კარგად არ ენიშნა პარტბიუროს მდივნის სტუმრობა ასეთ ნესტიან ღამეს.

— რა უყავი ის წერილი? — თვალი თვალში გაუყარა ბიძინამ მისპინძელს ისე, რომ სკამზე არც კი ჩამომჯდარა.

— როგორ თუ რა ვუყავი... არ მინდა, რომ სახალხოდ გამოქვეყნდეს, — მზრები აიჩეჩა ლევანმა, — დაბრძანდი, ფეხზე რატომ დგახარ!...

ბიძინა ჩამოჯდა. ჩამოჯდა ლევანიც, ლამპა ორივეს მართლად ანათებდა. ოთახში სანახევროდ ბნელოდა.

ლევანი საშუალო აღნაგობის კაცი იყო, გამხდარი, ძელოვანი, კეზიანი ცხვირი და მოზრდილი უღეამები უმაღრმესედნენ ადამიანის ყურადღებამს.

— მე შენი ვერაფერი გამოიგია, — მცირე დუმილის შემდეგ წამოიწყო ბიძინამ, — ან რაღას წერდი, ან რატომ-ღა წამოიღე?

— წერილი ხომ ჩემი იყო, მინდა გამოვაქვეყნებ, მინდა არა...

— მართალია, ამის უფლება გაქვს, ვერც ვერაფერი დაგატანს ძალას, მაგრამ კვიტებში: როგორც კომუნისტს, გაქვს

თუ არა იმის უფლება, რომ სიმბოლურ გამოიძინო?

ლევანი დუმდა.

— მე მომეწონა წერილი, მომეწონა იმიტომ, რომ მისი ავტორის სახით დავინახე ნამდვილი კომუნისტი, — განაგრძო ბიძინამ, — განა ღირსი არ არის ილო, თუნდაც იმისათვის, რომ იგი უხეშია, გავციხვით და ხალხის წინაშე გაეაწითლოთ? განა საჭირო არ არის ილოს და ილოსთანებს ვაჩვენოთ სწორი გზა? როცა შენს წერილს ვკითხვლობდი სიამაყეს გვრძობდი, ვხედავდი შენს მტკიცე ნებისყოფას, ნამდვილ საბჭოთა ადამიანს... არ გიცი, რა დაგეგმართა.

ლევანი ვრძობდა თავის დანაშაულს. მოისმინა რა პარტბიუროს მდივნის სიტყვა, ჩაფიქრდა და მოიგონა ის წუთი, როცა კედლის გაზეთისათვის მასალას წერდა. დაუნდობლად აკრიტიკებდა ილოს, აკრიტიკებდა ხალხთან უხეში დამოკიდებულებისათვის.

მას შემდეგ, რაც ფარნაოზს გადასცა წერილი, ოთხიოდე დღე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ლევანი იმ ვადამყვებტილებამდე მივიდა, რომ წერილი არ გამოექვეყნებინა. უკანასკნელ ხანს პირადად მასთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ილოს, და ამან მოუღობო გული.

ბიძინას სიტყვებმა სულ დაუნგრია განზრახვა. მის წერილს ახლა წაიღებს პარტბიუროს მდივანი და ხვალ მთელი სოფელი წაიკითხავს.

ონოფრეშვილმა არა ლპასუხა-რა ბიძინას, მოქებნა წერილი და გადასცა მას.

— არ გეგონოს, რომ მარტო ამ წერილისათვის მოვედი... ვფიქრობ წელანდელი ჩემი ლამაზაკი გასაგები იქნება შენტის...

— გასაგებია, ამხანაგო ბიძინა... სწორედ ამ დროს გარედან ეილაცამ დაიძახა, ლევანი წელში გასწორდა, სა-



ნამ მოსულს გახედავდა. პარტბიუროს მდივანს შეხვდა.

— ორივე შეიკნო: კარზე მომდგარი ილო აღიმბარაშვილი. მაგრამ ეკვი არ შეპარკოდათ იმაზე, რომ მან წერილის თაობაზე რაიმე იცოდა. აღმათ ბრიგადის საქმეზე მოვიდათ. — გულში გაივლო ლევანმა და გარეთ გავიდა.

— ახლოს მოდი, რა შორიდან იმხი.

— მეჩქარება. შენ გადმოდი აქეთ.

ლევანმა კილოზე შეატყო, რომ ბრიგადირი კარგ გუნებაზე არ იყო. იგი ლობესთან იდია და პაპიროსს ამოუღებდა. პაპიროსის ცუცხლი წამისწამ სიბნელეს სტაცებდა ბრიგადირის შებლ-სეკრულ სახეს. მის გამწყურალ თვალებში შექი ირეკლებოდა და გვეგონებოდათ. თვალები ანათებნო.

მასპინძელს ბიძინაც გაყვია. აივანზე გაჩერდა. ოთახის კარი მოხტრული იყო.

თავისი მერგოლერი მარტო ეგონა ილო აღიმბარაშვილს და შეკახედ შეუტია, როცა იგი ლობეს მიუბახოვდა.

— ის რა წერილი დაგწერია, წინ-კალი! — ემაღ მახალა.

— შენ რა იცი, რა დამიწერია და რა არა?

— ბიჭმა მომიტანა ამბავი, ფარნაო-ზასთან უნახავს... რა გინდა ჩემგან? ხომ არა გგონია, დამიჭერენ და გამამასახლებენ? ეერ ელირსები, სანამ ცოცხალი ვარ, ეერ ელირსები... შერი გვამთ, შერი გოლრდნით ძვალსა და რბილს...

ილომ ხმას აეწია, ბიძინას გაჩვე-ვით ესმოდა ბრიგადირის სიტყვები.

— რას ყვირი, სად გგონია შენი თა-ვი — შეუტია ლევანმა.

— ამ დროს ლობესთან მესამე ფიგურის ლანდი აისახა ილოს წინ. ილომ მის გა-მოჩენაზე, ნაბიჯით ტყან დაიხია.

— ჩხტობთ? — მშვიდად იკითხა ბიძინამ და მალა აიხედა, ვითომ აქ არაფერიათ. წერილი წვიმა ეამა, სახე-ზე რომ დაეხტრა.

— რას გაატყვი, — მძინარე, ნაჭ-ბიუროს მდივანს სიახლოვეთ ეგვრებ-ბელმა ლევანმა ილომს და მისთვის ამხანაგ ბიძინას, რომ შენ საჩხტბრად მომეკერი...

— ლევანთან რა გინდა, შე კაი კაცი. — ეკლავ დამწვილებით ლობესა ბიძინამ ილოს. — წამოდი, მე გამისწორდი, მე მოუთხოვე, პარტბა მოითხოვე, რომ შენ მაგრად გავაერთიოვნ... საქობთ თუ გინდა, ბრიგადირად დარჩე, იყო ხალ-ხის მეთაური, ხეალ აცეკლბლიე წაი-კითხე ამხანაგ ლევანს წერილი და ღრმად დაეუერიდი...

— იქნებ როგორ მჭრის თავს იმ წე-რალში, იქნებ ისეთ რამეს მამბრალბს, რომ... — ხმა ამოილო ილომ. მას არ შეეძლო, ოდნავ მაინც რომ არ აეწია ხმისათვის...

— მამ ჩვენ არაფერი გავეცეთ-ბია... ჩვენ ყველაფერი ვიცით, ამხანა-გო ილო, შენ რყეულად არაფერ არა-ფერს არ დაგამბრალბს... რაც შეეხება ჩხტბსა და ერთმანეთის შინ მიხტომ-მიხტომისა, ამიერიდან ბოლო მოუღე-ბა... ბოლოსდაბოლოს ჩვენ ყველას ერთი ინტერესი გვაქვს და კეთილი ინე-ბეთ, დავმორჩილეთ ამ ინტერესს... ერთი სიტყვით, ხეალ შენი მერგოლე-რის წერილს წაიკითხავთ და ყველა-ფერს გაიგებთ... არ მოგეწონება, და ქვეყანას ოთხეგ მხრივ აქეს გზა და კალი...

ბიძინამ დასასრულ ეთხრა ბრიგა-დირს, რომ გვერდში გაყოლოდა, ლე-ვანს დაემშვიდობა და სოფლისაკენ წა-ვიდა.

თქორავდა, ქარიც ამოეარდა და წე-რის შეხუტა პირისახეში აფრქვევდა გზად მიმავალთ.

ილო მოჩილად მისდევდა პარტ-ბიუროს მდივანს, გულში ბოლმა უტ-რიალებდა, მაგრამ სიტყვის ამოღებას ვერ ბედავდა. არც ბიძინა სძრავდა კრინტს, მას არც სურდა ლაპარაკი.

თავი მესამე



1.

წვიამ ერთბაშად მოიტანა შემაყრ-  
ეოლებელი სიგრიდე. ირგველი ყვე-  
ლაფერი დანესტიანდა.

ვახტანგს ბიბლიოთეკიდან სულ მცირე  
მანძილი ჰქონდა გაკლილი და უკვე  
შეტსეულდა სამოსი. სიცივემ ძვალ-  
რბილში გაატანა, შინსაკენ აჩქარებუ-  
ლი ნაბიჯით მიდიოდა.

მოღუშული და უნათო იყო გარე-  
შე — მკვე დაბრტული და ყოველივე  
ხალისსმოკლებული იყო ვახტანგის.  
მას თითქმის სიამოვნებდა კიდევაც ბუნ-  
ების მოწყვნა. სხვა დროს არ უყვარ-  
და ღრტბელი, წვიმა და ქარი. რაც კი  
დას ატრეუდა, რაც კი აღამიანს არ  
სიამოვნებდა... ახლა კი თითქმის გარე-  
შეში გაეგო, გულში ჩახედა, თანა-  
ღვრძნა და მოიწყვნა...

მეჩა სეულია, მაგრამ ჯერ არ ატალა-  
ხებულა.

ქამა დაჰქროლა. სეული ფოთლები  
მიჩნედა ჩამოცვიდნენ ხეებიდან.

„რატომ არ იცოდა დღეს გაკვეთილი  
ნანიმ? — ამაზე წებდა ვახტანგი. ახ-  
ლა შინ ისე ბრუნდება, რომ პაპა გაბ-  
რიელის მკაცრი ბრძანებაც კი არ შე-  
ასრულდა.“

ნანი უბრალოდ გულცივობაში ჩამო-  
მართმევს, გულდაწყევლით ფიქრობ-  
და ვახტანგს.

წინ უღწნათებრებით გამტკებულ გზა-  
ზე, თვალა მოჰქრა გაჩქარებით მიმა-  
ვალ ქალიშვილს. იგი ერთი უბოდან გა-  
მოუდა, მის მკერდზე მგზავრი არ შეხედ-  
რია ვახტანგს. როცა ქალიშვილმა  
ელექტრობობთან გაიარა, სადაც უფრო  
უხედად იყო სინათლე, ვახტანგმა შეიცი-  
ნო ნანი, და თითქმის დიდი ხანი არ  
ღნახავს ისე შეატოვდა გული.

ფეხს ატეჭარა.

— ნანი! — ორჯერ დაუძახა, მაგ-  
რამ წმა ვერ მოაწყვდინა, სწამ კარგა არ  
მიუხატოვდა.

— ნანი! — კიდევ ერთხელ დაუძახა.  
მაშინ კი ერთბაშად შეიშრიალდა ქა-  
ლიშვილი.

— ვახტანგ, შენა?! — შეერთა ნანი.  
ნანის ელექტროშექი დაფრქვევოდა.  
ეფრქვეოდა წვრილი წვიმაც და თებ-  
ში წვეთები ბზინავდა.

ნანი მოწყენილი იყო.

— რა დაგემართა, რატომ ხარ ასე  
მოღუშული? — ვახტანგმა ხელი დაუ-  
ჭირა და თავისაკენ მიიზიდა ქალიშვი-  
ლი.

— მე არაფერი არ დამემართა, რო-  
გორც ვიყავი, ისეთი ვარ. — მიუგო  
ნანიმ, მაგრამ ეს მისი კილო არ იყო, ეს  
ნანის ხალისიან პასუხს არ ჰგავდა.

— რატომ არ იცოდი გაკვეთილი?

— ხომ დამიწერე ორიანი... დამემტე-  
რე და შემისრულე კიდევაც...

— მაშინ გებუშვრე... ავი შენც იცინო-  
დი...

— წავიდეთ, წვიშს, დასველებით.

ისინი წავიდნენ ნელი ნაბიჯით, არც  
ერთი არ ცდილა ფეხის აჩქარებას, ერთ-  
საეც და მეორესაც ერთმანეთთან ყოფნა  
ყველაფერს ერჩია... ნანი თავდახრილი  
მიდიოდა.

— მითხარი, ნანი... მითხარი, რა დაგე-  
მართა, რატომ არ იცოდი გაკვეთილი?

ვახტანგი შეჩერდა, ქალიშვილს ახლა  
ორივე ხელი დაუჭირა და გაჩერდა მის  
წინაშე, სახეში უყურებდა, მაგრამ ისეთ  
აღგილზე იყვნენ გაჩერებულნი, რომ აქ  
სანათლე ნაკლები იყო, ნანის სახე ბუნ-  
დოვნად ჩანდა.

— გათხრა?

— ხო, უნდა მითხრა, ეთოდ უნდა  
მითხრა.

— დედაშენს არაფერი ეთქვამს შენ-  
თვის?

— რაზე? დედაჩემი აქ რა შეუძია?  
შენ დედაჩემს ეთხარი რამე?

— არა, ვახტანგ, შენ სულ სხვა რამეს  
ეთქობ... მამ დედაშენს არ ეთქვამს.



რომ... რომ... წუხელ მამაჩემმა მითხრა...  
მათ გადაუწყვეტიათ, შეოღლდნენ...

ვახტანგი არ მოელოდა ამას. შეკრთა,  
ნანის ხელი უშვა.

— ჰოდა, აი, მამა მე დაშეკრთა, მე  
კი...

— უარი უთხარი?

— დიახ...

— რატომ, ნანი — შენ ხომ რო-  
გორც დედა ისე გიყვარს დედაჩემი!

— როგორ, შენ გაგეხარა?

ნანის უცებ ცრემლი წასკდა თვალთა-  
გან და ვაჟის გულშეკრდზე აქვითინდა.  
ვახტანგმა გულზე მიიყრა ქალიშვილის  
თავი და დაშვილებდა დაუწყვ, გონება-  
ში უკვე სხვა ფიქრს ებრძოდა: ასე რა-  
ტომ განიცდის ნანი იაკობისა და მარა-  
დოს შეუღლებას? ხომ იცის, რომ მათი  
სიყვარული დიდი ხნისაა.. ნანის, ამავე  
დროს, ნამდვილი დედაშვილური გრძნო-  
ბით უყვარს მარადო და, აქ რომ სხვა  
რამ მიზეზი არ იყოს, იგი უთუოდ სიხა-  
რულით შეხედებოდა მათ შეუღლებას.  
შეიძლება ერთი რამ იფიქროს კაცმა; ნა-  
ნის მე ვუყვარვარ და მას ახლა ყველაზე  
უფრო ვმინია საყუთარი სიყვარულის  
დაკარგვისა, — დაასკენა ვახტანგმა და  
ერთ წამს სიხარულით აუტყვრდებოდა  
გული. მეორე წამს ისევ კმუნვა ვუფ-  
ლებოდა...

როგორც იქნა დაამშვიდა ვაჟმა. მკერ-  
დიდან არ მოუშორებია სიცივით ათრ-  
თოლებული გოგონა.

— გიყვარვარ? — ჰკითხა ჩუჩნუ-  
ლით...

— ძალიან მიყვარხარ... მე არ ვიცი,  
რით გათავდება ყოველივე ეს...

— ნანი, ჩემო ძვირფასო ნანი! — ამ-  
ბობდა ვახტანგი და ამ დროს დაეიწყა  
კიდევაც თავისი გადაწყვეტილება, რომ  
სამულო სკოლის დამთავრების შემდეგ  
გაემგლანებინა ნანისათვის თავისი სიყ-  
ვარული, მანინ გამოტყდომოდა ყველა-  
ფერში. მაგრამ ეს მოხდა უფრო ადრე,  
ნდგომარეობამ აიძულა, და ახლა თავდა-

ვიწყებით იყრავდა გულში საყვარელ  
არსებას...

ისინი ნამდვილად მიცუვრდნენ  
ნიერების სამყაროში... იმ რამდენიმე  
სანეტარო წუთში დაეიწყებოდათ კიდევ  
იაკობი და მარადო, მათი დიდი ხნის უპ-  
კნობი სიყვარული.

## 2.

ვახტანგი შინ აღზნებული დაბრუნ-  
და. მხოლოდ ახლა, როცა მან ყველაფე-  
რი იცოდა, დედის თვალებში და სახის  
გამომეტყველებაში შენიშნა მღელვარე-  
ბა — ქალს ეტყობოდა, რომ იგი იმ  
დროსაც კი, როცა გვიან ვახტანგს აწყობ-  
და — ფიქრობდა თავისთვის, მარჯვე-  
ნა წარბი უთრთოდა. ვახტანგი დაკვირ-  
ვებული იყო: დედას ღრმა ფიქრის  
დროს ემართებოდა ასე.

მარადო დარწმუნებული იყო, რომ  
ვახტანგმა არაფერი იცოდა იაკობთან  
მისი გულშინდელი შეხვედრისა და საუბ-  
რის შესახებ.

გაბრიელი უგუნებოდ იყო. უსიტყ-  
ვოდ ქაშა ვახტანგი, მხოლოდ შემდეგ  
ჰკითხა ვახტანგს, გაიგე თუ არა, რა და-  
ემართა იმ გოგოსო.

— გაიგე, პაპაჩემო, — ვახტანგმა  
თავი მოიმიხიარულა, რომ შინაურებს  
არ შეემჩნიათ მღელვარება; მან ერთი  
სწრაფი მოძრაობით მარადოს შესაწრო  
თვალი. დედა მაგიდის იქით იდგა, შვილს  
პირდაპირ უყურებდა, თითქოს რაღაცას  
ელისო.

— ისეთი არაფერი ყოფილა, — და-  
იწყო რაღაცის მოგონება ვახტანგმა. მას  
ამ წუთში სხვაანაირად არ შეეძლო, —  
ისტორიაში რაღაც თემა ჰქონდა დასა-  
მუშაველად, დრო არ ეყო, რომ ჩემი  
გაკვეთილიც მოემზადებინა, დიდი მა-  
სალა მივეცი და ვერ მოუხსრია... სალა-  
პარაკოდაც არა ღირს... ნანი ყოჩალი  
გოგონა, ორიანს ხეაღვე გამოასწორებს...

ამ მოგონილმა, ამავე წუთში შეთხ-  
ზულმა სიტყვებმა არა მარტო გაბრიე-



ლი დაამშვიდეს, არანედ მარადოსაც მოუღებეს გული, და ვახტანგმა შეამჩნია, როგორ საგრძნობლად შეეცვალა მას გამომეტყველება.

პაპა გაბრიელი მალე გავიდა მეორე ოთახში და ფანჯარასთან თავის ძველ ტახტზე მიწვა.

დედა და შვილი მარტო დარჩნენ. გარეთ უკვე ხმაურით მოდიოდა წვიმა. მარადო ამჩნევდა, რომ ვახტანგი რატომღაც არ ჩქარობდა დაძინებას, იჯდა პისი ვაყი და წვიმის თქარუნს უგდებდა ყურს. სად გაუშალოს ლოგინი, შინ თუ გარეთ, აივანზე? ამდღამ ცივა, იქნებ არც ინდომოს იქ ძილი...

მარადომ ბრიგადისათვის რაღაცის წერა დაიწყო, როცა იგი შეეკითხა ვახტანგს — არ გეძინებო? — უარი მიიღო. ვახტანგმა წიგნი გაშალა.

ამ დროს დედა არასოდეს მისჯდომია სამუშაოს. დილით ჯერ მზე არ არის ამოსული, რომ შინაურ საქმებს ითავებს და კოლმეურნეობაშიც დროზე ასწრებს გასვლას, მას კი მოსვენება უნდა, ვახტანგს მასთან ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ ორკოფობდა, საიდან დაეწყო, არ იცოდა, და ამ ფიქრში გადიოდა დრო.

ვახტანგს ერთი მხრით, ახარებდა თავისი სიყვარული, მეორე მხრით მწუხარედ განიცდიდა დედის მდგომარეობას. დედას ცხოვრებაში არაფერი უნახავს კარგი, მათ ოჯახში მუდამ აფორიაქებული მდგომარეობა ყოფილა. და ახლა ამ განაწამები ქალისათვის განა კარგი არ იქნებოდა, შეუღლებოდა თავის პირველ შეყვარებულს სიბერემდე და სიბერეშიც ტყბილად გაეტარებინა თავისი ქალობა?! თუ ცხოვრებინა დასაწყისი ტანჯული ჰქონდა, ბოლო მაინც ჰქონდეს ბედნიერი.

— დედა, — მიმართა მან ქალაღდზე თავდახრილ ქალს, რომელიც თავს ძალას ატანდა და კალმის წრიბინით რაღაც ციფრები გამოჰყავდა.

მარადომ თავი ასწია დ შვილს შეხედდა.

— რა იყო... როდემდე უნდა იჯდე ასე, ძილი არ გინდა? — ჰკითხა, მან... ვახტანგს. — სად გაგიშალავს ლოგინს ცივდება...

— არა, სულაც არ მეძინება... ერთი რამ უნდა გითხრა...

— თქვი, შვილო...

— არ მინდოდა მეთქვა, ჯერ აღზე მგონია... მაგრამ მაინც უნდა გამოგიტყდე... ვახსოვს, შენ რომ მკითხე ერთხელ: გულისსწორად არავე დაგიგულებიაო?

— ჰო, მერე? ვინ არის ის ჩემი გამახარებელი? — გამოცოცხლდა მარადო, ქალიშვილის სიმარადე მიეცა, წელში შესწორდა, თვალები გაუბრწყინდა.

დედის გახარებამ ენა დაუბა ვახტანგს. ერთი სიტყვა, ერთი სახელის ხსენება, და უმალ ჩაქრება ეს სიხარული! არა, დე იყო ის იგი, დე მარადომ იცოდეს მხოლოდ, რომ ვახტანგს უკვე ჰყავს გულასწორი, რომ მას ჰყავს ვიღაც...

მაგრამ ბოლოსდაბოლოს ხომ მაინც უნდა გამოირკვეს ყველაფერი? განა ან მარადო ან იაკობი, ეს სათნო ადამიანები, რომლებმაც მთელი თავისი სიცოცხლე ნანისა და ვახტანგის აღზრდას მოახმარეს, წინააღმდეგნი წავლენ მათი გაბედნიერებისა? მაგრამ ვახტანგის გული როგორ შეუთრეგდება სხვის ტანჯვას. თუნდაც არ შეიმჩნიონ, — ისე როგორც არ იმჩნეოდნენ ამ ოცდასამი წლის მანძილზე — განა საგრძნობი არ იქნება იაკობისა და მარადოს გულში მოკალათებული ტკივილი?! ეს არის მძიმე, ეს არის სწორედ საფიქრებელი. მაგრამ ახლა, როცა ვახტანგისა და ნანის სიყვარულმა უფრო გაშალა ფრთები, ისინი შვილები-საგან თანაგრძნობის გარეშე რჩებიან.

საკმარისია სახელის ხსენება და...

— აივანზე დამიგე, ძილი მომერთია, — უცებ სიტყვა ბანზე აავლო ვახტანგმა და იგრძნო, რომ საუბარში რიგიანად ვერ მოიქცა. სიტყვის ბანზე ავდებო მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გამოიყენა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა,

მარადო ჩააცვდა. თუ დაიწყე ბარემ ბოლომდე თქეო. სახელი ანტერესებდა.

— სახელი რად გინდა, დედა. ის კარგი გოგოა. მალე გაგაცნობ და სახელსაც მაშინ გაიგებ.

— კარგი, შეილო. ოღონდაც კარგი იყოს. ბედნიერები იყოთ ორივე. მე ეს მინდა მხოლოდ. ეს გამახარებს...

დედამ ლოგინი დააგო, მერე აიწვინდა ოთახში შევიდა დასაძინებლად ისე, რომ კარი არ მიუხებოდა.

## 3.

მეორე დღით ფოსტალიონმა ბორის შებენჩუკის ბარათი სკოლაში მიუტანა ვახტანგს.

„შვირფასო მეგობარო ვახტანგ! — იწერებოდა ბორისა. — გუშინ შენ გამახარე შენი ბარათით. დღეს, დღით, ჩენი ვალიასამშობიაროში დაწვა... შეგიძლია მომილოცო ტყუპი. ორივე ვაჟია. გასკვს. ალბათ, როგორ განვიციდო, როგორი სიხარულით ველოდი შეილს... შენ წარმოიღვინე: ერთის მაგივრად — ორი! ლამის გადავირჩო, ერთი ბედნიერების მაგივრად განგებამ ორი მომანიჭა...“

შემდეგი სტრიქონებითაც თავის ბიჭუნებზე იწერებოდა.

სიხარულის ეზოში განცლით ნაწერი ბარათი არცთუ ისე დიდი იყო.

ხუთი დღის წინ დაწერა შებენჩუკმა თავისი ბედნიერების მადიწყებელი ბარათი. ხუთი დღის წინ, ალბათ, მრავალი ასეთი ბარათი გაგზავნა ჩენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ბორის უამრავი მეგობარი ჰყავს. მათ გაიგეს, რომ შებენჩუკს ორი ბორისოვინი ეყოლა და ახლა დეპეშა დეპეშაზე მიდის. ალბათ, ვნეკოვში.

პო. ვახტანგმაც უნდა გაუგზავნოს უთუოდ და მხურვალედ მიულოცოს.

„ოჯახს ახალი ფიქრი, ახალი სახრუ-

ნავი ემატება. ზრდილე ახალი ვაჟიანს. რომელმაც შემდეგ დღე დაიწყო მისი აკეთოს. — პო. სრულად შეიქმნა“

— „მეც ეფიქრებ ბედნიერებაზე... ნაგრამ, როგორც ჩანს, არც თუ ისე იოლად მოდის იგი...“

დღეს მეფერთმეტე კლასში გაკვეთილი არ ჰქონია ვახტანგს. მხოლოდ ერთხელ, ზარის დაჩქარის წინ, დერეფნის ბოლოში შეაწრო თვალი ნანის და შორიდან სასოებით დაჰქირა მისი კდემამოსალი ღიმილი. ეს ისე მოახერხა ქალმწილმა, რომ არავის შეუძინებია.

— „შენ რა, დღემდე მხოლოდ ფიქრს განაგრძობ ბედნიერებაზე? მარტო ფიქრი და იქნება არ შეეღოს აქმეს. უნდა იმოქმედო. — წერდა ბორისა. — ვნით აუწერელია ის, რასაც ამჟამად განვიცდი. შენც ნახე ამ ნეტარებას და მაშინ იტყვი, რომ მინამდე მხოლოდ და მხოლოდ არსებობდი ამ ქვეყნად და არა ცხოვრობდი“.

კოტა ხნის შემდეგ ვახტანგმა მისალოცა დეპეშა და ბარათი დაწერა. საათს შეხედა, გაკვეთილის დამთავრებას, აციქვითი ეკლდა, ვახტანგს კი ეგონა, საცა დაარეკებოდა გამოსვლის ზარი.

სამაწაველებლში მარტო ვახტანგი იყო. წამოდგა და ფანჯრიდან ეზოში გაიხედა. გადასწეროვ მოჩანდა პავლე მასწაველების კარმიდამო.

წებანდელ ნაწიემარს შემოდგომის შუე დაჰყურებდა. კარგი დღე იყო. თბილოდა, გაზაფხულის დღეს ჰგავდა. ისეთი გრძელი გადიოდათ ჩიტებს. სკოლასთან დიდრონი ხეები იდგა. იმ მიდამოებში რაც კი მგალობელი ჩიტები იყვნენ, თითქოს განგებ ამ ხეებს ესკოდნენ და მაღლა რომ ისინი ეცევეებდნენ, დაბლა ბავშვები იკლებდნენ იქაურობას. მაღლა და დაბლა, აკოცხლე ხმაურობდა. და ეს იმდენად მომხიბვლელი იყო, რომ პავლე ხშირად დაუენახავს ვახტანგს ხეივნის კართან. დითქოს მომიაჯა-



დოკუმენტს მისივე ხელს აწერს. მოხუცი ისე ისმენდა ბავშვებისა და ჩიტების ყვირებს...

სკოლაკენ ჯოხზე დაბჯენილი მოხუცებული მოდიოდა. ვახტანგს ეოცა მისი გამოჩენა. პავლე ფრთხილად მიახლოვდა და დროდადრო შედგებოდა ხოლმე. მიიხედ-მოიხედავდა. შემდეგ ისევ განაგრძობდა გზას.

ვახტანგი კიბესთან შეეკება. შეეშველა. ხელკავით დაბალ აივანზე აიყვანა და მერე სამასწავლებლისაკენ გაემართნენ.

— ვეღარ გავძელი. შერა... ეს დღეები უკეთ ვგრძნობ თავს. გეშინ შინ ვფრატუნე. დღეს კი კეთ ვადმოკვალ... შენ გეშინ რატომ არ შემოიარე ჩვენსა?

— მაპატიეთ... დღეს ჩვენმა მასწავლებლებმა მოილაპარაკეს. ერთად გატყუებოდათ ყველა... თქვენ კი დაგვასწარი.

— ამას ყველაფერს. როგორ მომიტანდით?! — პავლე მასწავლებელი შუაოთახში გაჩერდა და ხელები გამალა. მერე სავარძელზე დაეშვა. — ორმოცი წელი ხუმრობა სქემე ხომ არ არის... ოცდაათი წელი მარტო აგერ. ამ საათის წიქსი ვისმენდი...

პავლემ კედლის დიდ საათს შეხედა. ეინ იკის, რამდენ ათასჯერ. ათათასჯერ შემობრუნებულან მისი ისრები! მათ დაწერეს პავლეს ჭაბუკობის, პედა-

გოგიური მოღვაწეობის ძეგლი... წაიბი...

— შენ რა, ეს გაკვებდათ მთელი გაქვს?

— დიახ, თავისუფალი.

— შემდეგ მეთერთმეტეში ხომ არ შედიხარ?

— არა. დღეს მეთერთმეტეში არა მაქვს გაკვეთილი... მეათეში წაყალ.

— დაგესწრები... როგორც ჯამბრთელა, ისე მომენატრა კლასში შესვლა...

...მაგრამ მან ვერ შეძლო მეოთხე გაკვეთილზე წაპყლოდა ვახტანგს. იგი შეორედი მოყვანეს შინ შეწუხებული. ამჯერად უმწეო მდგომარეობაში იყო. ვახტანგი მთელი დღე თავს ადგა. საღამოს მუზობლებმა პავლეს მეუღლის კივილი გააგონეს. შეშაბანდის ფანჯარასთან გაიყვდა პავლე... კვლავ ირხეოდა ტოტი. მაგრამ ზედ აღარც ფოთლები იყო. აღარც გულთეთრა ჩანდა.

...გვიან ღამით ღრმად დაშუქებულმა ვახტანგმა გზად ფოსტასთან გაიარა. მხოლოდ მამინ გაახსენდა ჯობეში დარჩენილი დეკემა და ბარათი. ფოსტა დაკეტილი იყო.

შინისკენ მიმავალს თვალწინ ვახტანგობდა ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით. სიკვდილითა და სიცოცხლით. სიყვარულითა და სიხარულით. ბედნიერებითა და უბედურებით. ტანჯვითა და სიხარულით... და მარცხ დიდებული!

თავი მორთვა

1.

მარტოდ აღარ შეხედრია იაკობი მარადოს. კარგა ხანი გაეიდა მას შემდეგ, რაც დათქვეს, რომ შვილებს შეკითხვოდნენ თავიანთი ქორწინების შესახებ. მაგრამ ერთმანეთისათვის აღარ უკითხავთ, რა თქვეს ამაზე შვილებმა.

იაკობი ჩვეულებრივზე უფრო გვიან მოდიოდა შინ. ნაწიბ იყოდა. მამის დაგვიანების მიზეზი. მამა-შვილს შორის

აღარ განახლებულა იმ ღამეს შეწყვეტილი. საუბარი. დეჰდა იაკობი. დეჰდა ნანიც... და მძიმედ მოდიოდნენ ის დღეები.

მარადო შვილს ვერ უბედავდა თქმას და ასე თავისთავს ტანჯავდა ათასჯერ ფქრში. მარადოს მგზმობიარე გული იტევედა სიხარულსა. რომელიც გამოწვეული იყო ვახტანგის მომავალი ქორწინებით.

რა კარგი შემოდგომა დადგა! ნამდვილი საქორწინო შემოდგომა! აგერ, ყველგან, კოლმეურნეობის დიდ მარანში, თუ თვითთული გლეხის მარანში, ქვევრები ამორეცხეს, საწინახელები გაამზადეს. ღარებიც კი მიუყენეს ქვევრის პირებს: კოლმეურნეობაში აეტომანქანები გაამზადეს დიდრონი გოდრებით, საკეთარი ვენახებიდან ყურძნის მოსატახად ურმებს ღერძები გაუსინჯეს გლეხებმა, და დადგა ის დრო, როცა საწინახელიდან ქვევრებში ჩახხრიალდება ტბილი, ცოტა ხნის მერე მარანში აბუტბუტდება მაკარი... წამოვა სხვა დოვლათიც... უხვია და ბარაქიანი შემოდგომა და, ვისაც ქორწინება უნდა, სხვა უკეთეს დროს ვერც შეარჩევს!

უნ უყვარს ვახტანგს? რატომ არ ამბობს, ვინ არის ის ქალიშვილი? მარადო გორის პედინსტიტუტში, მოსწავლე ამხანაგებში ეძებდა თავისი შვილის გულისსწორს.

ერთ საღამოს მარადო იმ სურათს მოსჩერებოდა, რომელიც ინსტიტუტის დამთავრებისას თავის ამხანაგებთან ერთად გადაიღო ვახტანგმა. მარადო განსაკუთრებული გულმოდგინებით ათვალერებდა ქალიშვილებს. სულ განაირას ერთი ლამაზთვალეობა დგას, ისე ნაზო და მიმზიდველი, რომ მარადომ მასზე შეაჩერა მზერა და მთელი გულისყური ამ უცნობ ქალიშვილზე გადაიტანა. მარადომ თითქმის უპოვნა კიდევაც რალაც მსგავსება ვახტანგთან, განსაკუთრებით თვალწარბსა და სახის მოხაზულობაში. რა კარგია, როცა ცოლი და ქმარი ერთმანეთს ჰგანან, არა მარტო ხასიათით, არამედ გარეგნობითაც. მაგრამ იქნებ ეს არ არის ვახტანგის საბედო?!

მარადომ ღრმად ამოიოხრა და თავი მაღლა ასწია, ანაზღად კარისკენ გაიხედა. იქ ვახტანგი იდგა და დედას უყურებდა.

— რას ათვალერებდი, დედა?

— შენი სურათი ვნახე, შვილო...

ვახტანგი მაგიდას მიუხალღვდა/ და მარადომ შეატყო, რომ ეგვიტუნდნეს-ვაში იყო,

— ვისთან დალიე?

— ძია იაკობი შემხედა, არ მომეშვა, სასადილოში შემიყვანა და დავლიეთ...

მარადო შეეკრთა, და ეს მაშინვე შენიშნა ვახტანგმა. ვაჟმა მაგიდასთან მიიღვა სკამი.

— რა უნდოდა? სხვა დროს სასადილოში არ დაუპატიებინარ!..

— საქმე ჰქონდა... დედა, შენ რატომ არ მეუბნებოდი?

— რას, შვილო? შენთვის რა უნდა მეთქვა?

— რჩევა შენ მიგიცია ძია იაკობისთვის, მოზრდილი შვილები გვყავს და მათ უნდა დავეკითხოთო. მაშ რატომ არაფერს მეუბნებოდი?

ვახტანგი ღვიზოს წყეთამამებინა. მარადო დუმდა, სიტყვის თქმა ვერ მოეხერხებინა. ერთხახს ფიქრობდა, არ უნდოდა ასეთი მარჯვე შემთხვევა გაეშვა, ერთხელაც იქნებოდა, ხომ ყველაფერში უნდა განდობოდა შვილს! ქალმა დაბალი ხმით წამოიწყა:

— ჰო, ასე ვუთხარი... განა ცუდად მითქვამს? თუკი შენ და ნანის საწინააღმდეგო არაფერი გქნებათ, შვილო...

ვახტანგს სახე წამოეგზნო და ხმა დაბლა თქვა:

— ვიცი, სიყვარული რა არის, ვიცი, რომ ოცდასამი წელია, შენ და იაკობს ერთმანეთი გიყვართ... ის კი არ ვიცი, რა გითხრათ... მე ვერაფერს ვერ გირჩევთ... მე ნანი მიყვარს, დედა!..

სიხარული, განციფრება და შიში ერთად გამოიხატა მარადოს ცრემლით გაბრწყინებულ თვალებში. ისინი დიდხანს უძრავად მისჩერებოდნენ ვახტანგს.

## 2

სოფლის სასადილოს ერთ პატარა ოთახში, რომელშიც მხოლოდ ერთი მაგიდა იდგა, დაბინდებიდან შუალაქმდე ისხდნენ იაკობი და ვახტანგი. ისი-

ნი არ აჩქარებულან, ნელა შეეჭყეოდნენ მცირე პურ-მარბის და საუბრობდნენ. იაკობი ღვინოს ეძალებოდა და ასევე აძალებდა ვახტანგსაც. ამ მთისა თქვეს, იმ მთისა თქვეს, ბევრი რამ მოიგონეს... მაგრამ ვახტანგი ატყობდა თავიდანვე, რომ იაკობს მთავარი სათქმელი სხვა ჰქონდა, სხვა, უფრო დიდი, რომლის მიზეზითაც შეხვდნენ ისინი ამ მცირე სუფრაზე.

შემდეგ, როცა იაკობს ღვინო თავში გაუჯდა, მან წამოიწყო და დიდხანს უყვებოდა მარადოს ვაჟიშვილს თავის სიყვარულზე. იაკობი ამ დროს მეტად სათუთი, მოკრძალებული და ნამდვილად შეყვარებული მამაკაცი ჩანდა.

ვახტანგი ყურს უგდებდა, ისე გატაცებით მისჩერებოდა თანამოსაუბრეს, თითქოს ძველსა და საინტერესო მოთხრობას ისმენსო სიყვარულზე. თავისი აჩქარებული გულის დასათრგუნავად ვახტანგი ჭიქას ჭიქაზე ეძალებოდა.

იმ საღამოს ვახტანგმა მხოლოდ დედას უთხრა, რაც გულში ჰქონდა იაკობს ვერ გაუბედა, რადგან ნანძთან ჰქონდა დათქმული, რომ ჯერჯერობით საიდუმლოდ შეენახათ თავიანთი სიყვარული, ვიდრე ქალიშვილი საშუალო სკოლას არ დაამთავრებდა.

მაგ საქმის თქვენ იცითო, ასეთი პასუხი მისცა იაკობს.

განა მართალს არ ამბობდა მარადო, შეილებს ვკითხოთო! აი, როგორ წავიდა საქმე! არც ნანი და არც ვახტანგი სიხარულით არ შეხვედრია თავიანთი მშობლების გაბედნიერებას.

როცა ვახტანგი გაისტუმრა, მძიპე ფიქრით შეპყრობილმა იაკობმა კანტორისაკენ გასწია. უკვე საკმაოდ გვიან იყო. ღამის პირველი საათი იქნებოდა. კანტორასთან ღამის დარაჯი ტრიალებდა, ხოლო მაღლა, მეორე სართლის ერთ-ერთ ოთახში, სინათლე ენთო.

დარაჯმა თავისი თავმჯდომარე კანტორასთან პირველად იხილა მთვრალი. ეოცა. ამ მდგომარეობაში არასოდეს არ

უნახავს იგი. თუკი სადმე შეხვედრია მთვრალს — ისიც შინ ან შინისკენ მიმავალს.

იაკობი სახლის კიბეებზე დაჯდომის შემდეგ, დარაჯს გამარჯობა უთხრა და იქვე პირველ საფეხურზე შეჩერდა.

— მაღლა ბიძინა ხომ არ არის? — ჰკითხა მერე მოახლოებულ მოხუცს.

— ბიძინა გახლავთ... სულ ასე გვიანობამდე მუშაობს...

— ძალიან მუყაითობას იჩენს... მთვრალი რომ დამინახოს, ალბათ, საყვედურს მომარტყამს, — ჩაიცინა იაკობმა და კიბეს ორიოდ ნაბიჯით გამოშორდა, კანტორისაკენ ზურგიით დადგა. ეტყობოდა, ზევით ასვლა გადაიფიქრა. იაკობს ამჯერად არავისთან არ სურდა ლაპარაკი, მშვიდობის დამეუსურვა მოხუც დარაჯს და შინისკენ გასწია. მიდიოდა და ფიქრობდა იმ უგულო დამოკიდებულებაზე, რომელიც ვახტანგმა და ნანიმ გამოიჩინეს მშობლების მიმართ. „მოზრდილები არიან და ალბათ ცხვენიათ, ამ ასაკში ვიქორწინოთ, — თავის თავს ებაასებოდა იაკობი, — მერე-და, რა დიდი ხნის მე ვარ? ორმოცდასამი წელი განა ბევრია? მე ახლა მინდა ცხოვრება, მე ახლამინდა ბედნიერება. განა რას ხედავენ ცუდს ჩვენს შეუღლებაში? რატომ სწყინთ ჩვენს ბავშვებს? მარადო ორმოცი წლის ქალია, განა მისთვის ეს წლოვანობა ხანდაზმულობის გამომხატველია? ჩვენ შეიძლება გვეყოლოს შეილი...“

მიდიოდა იაკობი, უსწორმასწორო ორლებეში არც ქვას ეპუებოდა, არც ტალახს, არც წყალს.

ცა მოწმენდილი იყო, ვარსკვლავები ცის სიღრმეში კრთოდნენ. დილიდანვე კოლექტივის დიდი რთველი უნდა დაწყებულიყო.

### 3.

მარადოს ბრიგადაზე გაპროცენებულ ვენახში ყოველ ძირ ვაზზე უზარმაზარი

ჯიქნებოვით ჰკიდა მარცვალდატიკნული მტევნები. ვაზის ძირს კი ვინ დათვლის! რა ხელმა უნდა მოკრიფოს ამდენი ყურძენი! სადღესასწაულო განწყობილებით, სოკოლ-ხარხარით და სიმღერით გაეშურა ხალხი ვენახისაკენ.

მთელი სოფელი ჩამწყროვდა ვაზის მწყროვებში. სიმღერა მუშაობის დროს უფრო ახვირთდა. უფრო მკვეჭარე გახდა. კალათა კალათაზე იცლება კასრში. კასრება მარჯვე ბიჭები მანქანაზე დგამდნენ. მიმოჭრიან ყურძნით დატვირთული ავტოები. კოლმეურნეობის წარსული აგუგუნდა ელექტრომწურავი მანქანა. ყურძნის წვენი ჩხრალთ გაიქცა ღარში და უხარმახარ ქვევრში გადაეშვა.

ნამუდღევს, გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეები სკოლიდან პირდაპირ ვენახისაკენ დაიძრნენ. მათმა მისვლამ უფრო მეტი ხალხი შეიტანა მკრეფა-ვენში.

ნანი მეთერთმეტეკლასელებთან ერთად მარადოს ბრიგადას მიეშველა. ბრიგადირმა თვითებულ ვაჟიშვილსა და ქალიშვილს თავისი საკმე მიუჩინა. ქალიშვილები კრეფდნენ. ვაჟებს ყურძენი მოჰქონდათ.

მარადო ერთ ადგილზე არ დგებოდა. იგი, როგორც ბრიგადირი, მუშაობის საერთო ორიენტრალს ხელმძღვანელობდა. აქაც იყო იქაც. თვითებულ მკრეფავს მუშაობას ამოწმებდა. ჩამორჩენილს კიცხავდა და ხელს აშველებდა.

დროდადრო იგი ნანი-სთან ახლოს გამოჩნდებოდა. ნანი გახედავდა. მარადო წარბშეკრული წაიხრებოდა ვაზთან. ღორთქომა ფოთლებს მარჯვედ ასწევდა. მიმაღულ მტევანს ხელისგულზე დაიდებდა. მეორე ხელით ყურწში დანას დაუსვამდა. რამდენიმე წამში კალათს ავსებდა. მერე შესწორდებოდა. ახლა სხვას ჩაუვლიდა.

ნანი ვაზს დასტრიალებდა. სხვები სიმღერას აგუგუნებდნენ, ნანი თავის

ხმას არ უერთებდა მათ. ვაზს მტევნებს აცლიდა და მთელი გულსყურით მუშაობაში იყო ჩათვლილი.

— ხომ არ მოგწყინდა? — ახანდად მოემა მარადოს ხმა. მიხედა ყურძნამდე გაწითლდა ნანი. გული მოხშირებით აუძგერდა და მორცხვად დახარა თავი... წელანაც ასე დაემართა. ნანი დარწმუნებული იყო იმაში, რომ მარადომ არაფერი იცოდა ვახტანგისა და მის სოცეარულზე. მაგრამ მაინც იყრობდა მღელვარება.

— შენ რატომ არ მღერი. ნანი? შენი სიმღერა დიდი ხანია აღარ მომისმენია. იმღერე ჩემო გოგონი... — ეს თქვა მარადომ და მაშინვე გავიდა ვაზის მწყროვიდან.

სოტა ხნის შემდეგ ვენახში ვახტანგი მოვიდა. სხვა ახალგაზრდა პედაგოგებიც მოჰყვნენ და ყველანი საერთო წროშია ფერხულში ჩაებნენ.

ვახტანგმა არ იცოდა. სად იყო ნანი. სად კრეფდა ყურძენს. მაგრამ, როგორც კი დაინახა მეთერთმეტე კლასიდან რამდენიმე მოსწავლე, მიხედა, რომ ნანი აქ სადმე იქნებოდა. მწყროვიდან მწყროვში გადაინაცვლა. წუხანდელს აქეთ ხერიანად არ შეუხედავს დელი-სათვია. იმ ღამარაკის შემდეგ ვახტანგი მკვდარივით მიეცა ძილს. დილით მარადო გათენებამდე გასულიყო სოფელში.

ვახტანგს თვალთაგან არ შორდებოდა დედის ღრმა განკლით გამომეტყველი ახე, და მთელი დღე ვერ მოისვენა სკოლაში.

მეთერთმეტე კლასში მეორე გაკვეთილი ჩაატარა. მხოლოდ მაშინ, როცა ნანის უყურებდა. ავიწყდებოდა ყოველგვარი უსამოვნება და რატომღაც მტკავედ სჯეროდა თავის ბედნიერებისა. ამის ნათელი მომასწავებელი იყო ნანის თვალები. როცა ვახტანგი ბედნიერებაზე ფიქრს დაიწყებდა, თავისდა უნებლიეთ თვალწინ აესახებოდა ბორის შებენწყვი მთელი თავისი ქაბუკური განკლებით, აღტაცებით და



დარდით, მოსიყვარულე გულითა და უნაპირო სიხარულით...

ო, ახლა, აქვე ახლოს იყო სადმე ბორის შებენჩუკი! ვახტანგი გულს გადაუშლიდა და ყველაფერს ეტყოდა, გულს მასთან მოიოხებდა... რა იოლი ხვედრია ზოგაათვის ბედნიერება, ზოგისთვის — რბელად მოსაწვდომი, საოცნებო...

სად არის ნანი?

აგერ, ვაშებს შორის, ჩანს ცისფერი ეკაბა, უთუოდ ის არის!

წუთო და ქალ-ვაჟი ერთად არიან.

— აქ დედაშენია, ვახტანგ, სჯობს, შორს იყო ჩემგან?

— დედამ იცის უკვე...

— შენ უთხარი?

— ვუთხარი, არ შემეძლო, არ მეთქვა... დე, რაც მოხდება, მოხდეს...

— როგორ გგონია, რა მოხდება? სჯობს, დაემორღეთ ერთმანეთს, ვახტანგ, მეცოდება მამა, უფრო მეტად — დედა შენი.

ხანამ თავი ჩაღუნა და ცრემლით ავესო თვალები, შერე შეერთა, მოაგონდა, სადაც იყო, და ყურძნის საყრდენად გაერთა ხელი.

მარადო შენიშნა ისინი, წამით შეჩერდა, უყურა, უყურა და შერე სწრაფად გამოშრდა იქაურობას.

ცოტა ხნის შემდეგ სიმღერის ზვირთმა ახალი ძალით გაქროლა მდებარედ მომუშავე ქალ-ვაჟთან, ვახტანგმა მტევანი კალათაში ჩაუშვა, წელში გაიმართა და მოაყურა: ქალის ზარივით წყრილა ხმაში დედა შეიცნო...

მარადო მღეროდა.

ღიღი ხანია არ უმღერია ასე.

4.

ერთადერთი ადამიანი, რომელთანაც იაკობს შეეძლო ყველაფერზე ლაპარაკი და რომლისაგან გულწრფელ თანაგრძნობას იღებდა, ბიძინა იყო.

კოლმეურნეობის საქმე იქნებოდა, თუ პირადი რამ აწუხებდა, დაიმართო

ვებდა თუ არა ბიძინას, მაშინვე გულს გადაუშლიდა.

მარკინეშვილი

გამგობის კრებისგამდრეკულმა მჯდომარის კაბინეტში დარჩენილ ბიძინას განუცხადა იაკობმა, რომ უნარს ამბობს თავმჯდომარეობაზე, რომ ამის შესახებ ხალხსაც გამოუცხადებს. იაკობს აღარ სურდა ოქროყანაში დარჩენა, თავისი ქალიშვილით თბილისში აპირებდა გადასახლებას.

— ეს რა გიფიქრია, იაკობ? რამ გაციქლა! — ბიძინა გაკვირვებით მიაჩერდა თავმჯდომარეს.

— არის მიზეზი... ყველაფერი მარცხით დამთავრდა.

— არ მესმის, რას ამბობ... შენ ასეთი ქარაგმებით არ იცოდი ლაპარაკი... შენგან მუდამ სწორი სიტყვა მომისმენია...

— ახლაც არაფერს არ დაგიმალავ... მინდოდა შენთვის მეთქვა და კიდევაც ვიტყვი...

იაკობი წუთით დადუმდა, გულ-მეკრდზე ხელი მოისვა და დარდისად გამოიხედა, ბიძინამ თანაგრძნობით შეხედა, მისთვის უკვე ცხადი იყო, რომ თავმჯდომარეს რაღაც მძიმე სატყვიარი ჰქონდა.

იაკობმა თავისი თავგადასავალის მოყვოლას დიდი დრო მოანდომა, დაიწყო რქედან, ყმაწვილი რომ იყო და მარადო შეუწყვარდა, შერე როგორ დაღუპა იასონმა... ნანისთან და ვახტანგთან უკანასკნელი ხალაპარაკევიც გაიხსენა, და ბოლოს დასძინა:

— როგორც ხედავთ, ჩვენს შვილებს არ გაუხარდათ, ჩვენი ქორწინება არ მოხდებოდა... მე კი არ შემოძლია, ბიძინა, ძნელია... ოცდა სამი წელი, ხუმრობა საქმე ხომ არ არის! ჩვენ შეეძელით, მეოთხედი საუკუნის მანძილზე შეგვეჩინა პირველი სიყვარულის ცეცხლი, ახლა უნდა გრძელდებოდეს ჩემი სულეობი ტანჯვა... სჯობს წავიდე შორს...

— შერე, ამით იხსნი თავს ტანჯვისაგან? განა მანძილი გრძნობასთან რაიმე



კავშირშია? თუ გულწრფელად გიყვარს, თუ ნამდვილად გიყვარს, ასეული ათასი კილომეტრის სიშორეც ვერ გიხსნის... მერე-და, სად მირბიხარ? შენ გინდა გაქცევი სიყვარულს, ესე იგი, გინდა გაქცევი ცხოვრებას...

— თუკი სიყვარული და ცხოვრება, შენი აზრით, ერთი და იგივეა, მაშინ მე ცხოვრებაში დაჩაგრული კაცი ვყოფილვარ, ასე გამოდის... მე კი ბრძოლა მწყურია, სიცოცხლე და ბედნიერი ცხოვრება!

— გაქცევაში ეძებ სხნას?

— თვალთ რომ არ დაეინახავ მარადოს, უკეთესია ჩემთვისაც და მისთვისაც.

— სხნას ამაში ნუ ეძებ... რა თავი მოგიკლავს და რა აქედან გაქცეულხარ, სულ ერთია. შეილება წინააღმდეგობა არიანო, რა მიზეზით გეუბნებიან უარს?

— ამ მიზეზს არ ამბობენ.

— ერთმანეთი ხომ არ უყვართ?

— რას ამბობ?! \*

— რად გაიოცე? შენი გოგო გასათხოვარია, მარადოს ბიჭი — საქორწინო ...

— ეს როგორ იქნება!.. ისინი ხომ დამსასავით შეეზარდნენ ერთმანეთს...

— ჰოდა, ასე შეზარდილებს უფრო მეტად უყვართ ერთმანეთი...

— ბიძინა, შენ უარესს მეუბნები...

წუთიერი დუმისისა და ჩაფიქრების შემდეგ ბიძინამ განაგრძო:

— ნამდვილად ასე იქნება, ჩემო იაკობ... დაეუშვათ, რომ ასეა, მაშინ რა გზას დაადგები, რას იზამ?

— შენ ისეთ რამეს მეუბნები, რაც ჩემს გულს არასოდეს არ გაკვარებია... ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია... როგორ ვიფიქრებდი!

იაკობმა წარბი შეჰკრა და მცირე ზომის ჰალს შეხედა ჰერზე, ერთხანს ასე იყო გარინდებული და ფიქრშეპყრობილი.

— მოდი, იაკობ ნანის კიდევ ელაპა-

რავე და მერე განვაგრძობ საუბარს... მე მგონი, შენ თვითონე უკეთესად გიყვარს გამოიტან... მეოთხედს ჩანს შენს მანძილზე შენმა გულმა დაუმკნარაუ ატარა პირველი სიყვარული, ის კიდევ ბევრ რამეს შეძლებს.

## 5.

კანტორის წინ მოედანზე გამოსულ იაკობი ერთხანს მარტო იდგა. აქ დაშორდა ბიძინას, რადგან შინისაკენ ერთი გზა არ ჰქონდათ.

დღიურ შრომაგადახდილ სოფელს ებინა.

დღეს რა ამბავი იყო ამ მოედანზე! რამდენ ავტომანქანას და ურემს შენიჭოსდა ვაზის ბარაქა! ხვალ შვის ამოსვლამდე კვლავ დაიძვრება მშრომელების ნაკადი, კვლავ სიმღერითა და ზეიმით გასწივენ ვენახებისაკენ.

ირაკლიც ყველა სახლში ბნელა. მხოლოდ „შიოს აკადემიის“ ყველა ფანჯარაა განათებული. ასეა ყოველთვის, იქ ნაშუალამევამდე არ ქრება სინათლე... „შიოს აკადემიის“ სახელი რაიონში და რაიონს გარეთაც ცნობილი გახდა, მისი პატარა აუდიტორიის კათედრაზე პროფესორ ჯაშისა და დოცენტ ირაკლი ჯავახიშვილის გარდა სხვა პროფესორ-მასწავლებლებიც კითხულობდნენ ლექციებს. იაკობი ყველა ლექტორს იცნობდა ინსტიტუტიდან, ყველას ხალისით ეგებებოდა... როგორი მონდომებით, როგორი სიყვარულით აწყობდა იაკობი ლაბორატორიას, აგროკურსებს, როგორ ემუდარებოდა ირაკლი ჯავახიშვილს, რომ ოქროყანაში ჩამოსულიყო და დახმარებოდა საკოლმეურნეო დოვლათის გადიდებაში!

ახლა კი აღარაფერი არ აინტერესებს იაკობს, უნდა წაივიდეს ოქროყანიდან, სამუდამოდ უნდა მოშორდეს აქაურობას, ახლა სხვა თავმჯდომარე ჩაუდგება სათავეში და, ვინ იცის, იქნებ მან უფრო უკეთ წაიყვანოს საქმე!

ეს რა უთხრა ბიძინამ? ნუთუ მართლა

უყვართ ნანის და ვახტანგს ერთმანეთი? როგორ იყო იაკობი დაჯერებული იმაში, რომ ისინი მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთმანეთთან და-ძმურ და-მოკიდებულებაში იქნებოდნენ. მაგრამ იაკობს მათ სიყვარულზე ფიქრი იმიტომ არ ვაკვირებია, რომ თავის მომავალ ბედნიერებაში ღრმად იყო დარწმუნებული.

იაკობი ორლობით არ წავიდა შინსკენ. ქუჩას ვაკე და ფიქრში გართული მარადოს სახლამდე ისე მივიდა, არა გაუგია-რა, სახლის გადასწვრივ წყაროსთან ჩამოჯდა, პირით მარადოს სახლისაკენ.

ნაგვიანევი მთვარე ცისა და მიწის შესაყართან გამოჩნდა.

ქაბუკობაში იაკობი აქეთ ჩამოივლიდა. ორი მოკლე დასტვენით, რაც მარადოს და მის დათქმულ ნიშანს წარმოადგენდა, გამოიხმობდა ხოლმე ქალიშვილს.

იქნებ ახლაც ახსოვს ეს ნიშანი მარადოს? სახლიდან სინათლე გამოდის, ჩანს, ჯერ კიდევ არ სძინავთ, იქნებ მარტო ვახტანგი ფხიზლობს, სამუშაო ექნება.

მთვარის შუქზე იაკობმა მარადოს ჭიშკრიდან გამოსულ ქალის სილუეტი გალანდა. ქალი წყაროსკენ წამოვიდა კოკით, მაგრამ, როგორც კი წყაროს პირას ლოდზე ჩამომჯდარი კაცი შენიშნა უკან გატრიალდა, მაგრამ ჭიშკართან ორი მოკლე დასტვენა მიეწია და შედგა, შემობრუნდა, წყაროსკენ გაბედულად წამოვიდა.

— კარგი ჰქენ, რომ გამოხველ, მარადო...

— აქ რას უზიხარ? რატომ შინ არ წახვალ? თუ თავი ისევ ახალგაზრდა გგონია? ვინმეს რომ ენახე, რას იტყოდ?

— რატომ მელაპარაკები ასე მკაცრად, მარადო?

— არა, მე სრულიადაც არ გიწყობი... შინ წადი, დაიძინე...

— ორიოდ სიტყვა მინდა გითხრა.

— სხვა დროს იყოს, რაღა ახლა. შელამისას... ან რაღა საჭიროებს...

— რა დაგემართა, მარადო... მე შენ ველარ გცნობ! ასე რამ შეგცვალა?

— მე არ შეგცვლილვარ, იაკობ... მდგომარეობამ მხოლოდ აზრი შემიცვალა, გული შემიცვალა... ამიერიდან ჩვენ ქორწინებაზე ლაპარაკი ზედმეტია... მე ტყუილად კი არ გეუბნებოდი, მოზრდილი შეილები გვეყავს და კვითხოთ-მეთქი...

— მე არ მესმის, რად ეწყინათ...

— როგორ, შენ არ იცი, რომ ჩემს ვახტანგასა და შენს ნანის ერთმანეთი უყვართ?!

— რა თქვი?! — იაკობმა უკან დაიხია, გაკვირვებით შეხედა ქალს. ამას რას ამბობს, ხომ არ მეჩვენებაო. ის დალოცვილი მართლა გულთმისანი ხომ არ იყო, რომ მიწინასწარმეტყველა, — გაიფიქრა ბიძინაზე. — იქნებ ქვეყანამ იცის უკვე და იაკობმა კი სულ ბოლოს გაიგო?

— შენმა გულმა მეოთხედი საუკუნის მანძილზე დაუმკნარად ატარა სიყვარული. ის კიდევ ბევრ რამეს შეძლებს“. მოაგონდა იაკობს. რაღაც გამოუტანელი სიზმარივით მიაჩნდა ამ წუთში ყველაფერი ის, რაც კი მის გარშემო ხდებოდა.

— ჩვენ მალე მძახლები ვიქნებით.

— ამას შენ ლაპარაკობ, მარადო?

— მე, დიახ, მე ვლაპარაკობ... სხვანაირად არ შეიძლება, მე ჩვენს შეილებს წინ ვერ გადაველობებო, მათ უფრო დიდი გზა აქვთ გასაველელი ცხოვრებაში, მათ უფრო სწყურიათ ბედნიერება, ისინი მომავლები არიან...

კოკაში წყალი ჩქაფუნობდა, ავსებულყო, გადმოდიოდა. მარადო დასწვდა კოკას, ძირი მოუწმინდა და მხარზე შეიღგა.

— ახლა შინ წადი, იაკობ... ასე დასრულდა ჩვენი ამბავი... დამე მშვიდო-

ბისა, მძახლო, — ტკბილმწარედ გაუღიმა მარადომ და კაცს განერიდა. იაკობმა მისი სიტყვებით, მისი ტკბილმწარე ლიმილში იგრძნო რომ ქალი გრძნობას ებრძოდა. განა ადვილია!

იაკობი წელი ნაბიჯით შეჰყვია აღმართს. შინამდე კარგა ხანი დრო მოანდომა გზას.

ნანის ეძინა. მას არც კი გაუგია მამის

მოსვლა. იაკობი ფეხაკრეფით შევიდა ოთახში. ნანის მაგიდის ნათურა ჩართული ჰქონდა, საწოლთან — ანუ საწოლის წიგნი ორივე ხელით გულში ჩაეკრა და ისე ჩასძინებოდა. ტუჩზე ლიმილი უკრთოდა.

იაკობმა ერთხანს უყურა შვილს, მერე ფეხაკრეფით გავიდა აივანზე. მამლის მეორე ყვივლზე ჩაეძინა.

## თავი მესამე

### 1.

ერთ დღეს ვნუკოვოდან დეპეშა მოვიდა. შულგინი და ვასილენკო სთხოვდნენ ოქროყანის თავკაცებს, რომ მათ მიეღოთ მონაწილეობა ვნუკოვოს საკოლმეურნეო დღესასწაულში, რომელიც 25 ოქტომბერს უნდა ჩატარებულიყო.

ეს რიცხვი კი კარზე იყო მომდგარი.

მოსაწვევი დეპეშა კანტორაში წაიკითხეს იაკობმა და ბიძინამ. ის-იყო კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე აპირებდნენ წასვლას, რომ ფოსტალიონმა შემოიარა კანტორაში და გორიდან გამოგზავნილი დეპეშა გადასცა კოლმეურნეობის თავკაცებს.

დეპეშის წაკითხვისას კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში იყო მოხუცი გაბრიელი, რომელიც, რაღაც საქმის გამო მისულიყო იაკობთან. იგი შინ წასასვლელად გაეშადა კიდევაც, როცა ფოსტალიონმაც შემოაბოტა და, რა გაიგო მოხუცმა, ვნუკოველების დეპეშა იყო, დაინტერესდა, რას იყვებოდნენ. ცოტახანს კიდევ შეყოვნდა კანტორაში. გაბრიელმა რუსული არ იცოდა, როცა დეპეშა გადაუთარგმნეს მან თქვა:

— მერე-და, დღეობაზე ხელცარიელები ხომ არ წახვალთ? საჩუქარზე არ ფიქრობთ? ადექით და რამდენიმე ტონა ვაშლი და სხვა ხილი წაუღეთ. გაეხარდებათ...

ბიძინამ და იაკობმა ერთმანეთს გადახედეს, მათ დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ ასე უნდა მოქცეულიყვნენ.

— აბა ისე როგორ წავალთ! — უთხრა იაკობმა გაბრიელს. — თავს როგორ შევირცხვენთ. ჩვენს გარდა, დარწმუნებული ვარ, ათობით კოლმეურნეობა ჩაიტანს თავის საჩუქარს... ყველა დაემუტება, რაც შეიძლება მეტად დასაჩუქროს. იუბილარი კოლმეურნეობა... ყველა იმას შეეცდება, თავი ისახელოს ვნუკოველებთან... ჩვენ კი უფრო მეტი გვმართებს!

— კეთილი, აბა თქვენ იცით, — უთხრა პაპა გაბრიელმა და წამოდგა.

მეორე დღეს ვახტანგი სკოლაში წავიდა, მარადოც საქმეზე გაეშურა და შინ პაპა გაბრიელი დარჩა მარტოდმარტო. მოხუცი რაღაცის სამზადისს შეუდგა. აფუსფუსდა, საიდანღაც ძველი შალაშინი ამოიღო, პირი გაუღესა და გამართა, ხერხიე მონახა, მერე ერთი-ორი ძველი ფიცარი დახერხა, ისეთი გულმოდგინებით გარანდა და გაასუფთავა. ისე კოხტად მოარგო ერთმანეთს, ისეთი კარგი ყუთი შეჰკრა, გეგონებოდათ, სამზითვო ნივთს ამზადებდსო.

ნაშუადღევს სკოლიდან დაბრუნებულმა ვახტანგმა ვაკვირებით შეხედა პაპის ნაკეთობას.

— რისთვის გინდა, პაპაჩემო?

— აი, ახლავე გაიგებ... გცალია?

— მცალია, მერე რა იყო?

— მარანში წამოდი, ცოტა ხანს მომეხმარე...

გაბრიელი შეილიშვილს მარანში შეუძღვა. აქ დიდძალი ხილი ჰქონდათ შენახული. მოხუცი მიადგა დიდ ყუთს, სადაც ვაშლი ჰქონდათ ჩაყრილი. მერე ვახტანგს მიჯბრუნდა და უთხრა:

— მოდი, ეს ვაშლი გადავარჩიოთ... მე მინდა, გავგზავნო ვნუკოვოში...

— მერე-და, ვის ეყოფა ერთი ყუთი? — გაიღმა პაპის საქციელით კმაყოფილმა ვახტანგმა და ყუთი ხელში აიღო, — შიგ ორმოცდაათ კილოზე მეტი არ ჩაეტევა, თითო ვაშლიც არ ერგებათ...

— ყველას კი არ ვუგზავნი! — შემოხედა პაპა გაბრიელმა, — ყველას კოლმეურნეობა გაუგზავნის, ასე თქვეს წუხელ. მე კი მინდა, ჩემსავით მოხუც კაცს გავუგზავნო. ახალგაზრდებს რომ გიხარიათ ერთმანეთის ძმობა და ერთობა, ჩვენ რა? საბჭოთა ადამიანები არა ვართ?! მინდა ცოტა ქაშა-ვაშლი იყოს, რომ ადვილად ჩაყბიროს...

ვახტანგს ხალისი შეჰმატა პაპა გაბრიელის მზრუნველობით ნათქვამმა, მისმა დღევანდელმა საქციელმა. მოხუცის თვალბეჭედი უდიდესი სითბო იყო ჩამდგარი. დღეს რასაც აკეთებდა, აკეთებდა გულით, მონღომებით, სიყვარულით.

გაბრიელი დღესვე აარჩევს თავის ბაღში მოწვეულ საუკეთესო ვაშლს, თავისივე ხელით ნაკეთებ ყუთში სათუთად ჩააწყობს. ნახერხიც კი მოიმარაგა. გაუგია, ხილს კარგად ინახავსო. ყუთს გაამზადებს გასაგზავნად და ზედ დააწერს... რას დააწერს? მოხუცი ჩაფიქრდა. მოდი, ჯერ ყუთს შეავსებს და მერე მოეთათბირება შეილიშვილს, — მასწავლებელი კაცია, ურჩევს.

გაბრიელი გულმოდგინედ სინჯავდა ვაშლებს, სულ ოდნავ დაზიანებულსაც კი გვერდზე აწყობდა, არჩევდა კარგი

ზომის, ფერიან ვაშლებს. გემო? ამ ვაშლის გემო კარგად იცოდა გაბრიელმა, მის ვამას არაფერი სჯობდა: იყო თუ არა და აი, ყუთი შეივსო, გაბრიელმა სახურავი მოარგო, როცა უკანასკნელი ლურსმანი ჩააჭედა, ვახტანგს მიუბრუნდა:

— ახლა მიდი, რუსული შენ იცი და დააწერე.

— რა დააწერო? ვის უგზავნი? იცნობ ვინმეს?

— არავის ვიცნობ... ვიცი კი, რომ კეთილ ადამიანს გავუგზავნი, ღმერთმა შეარგოს!

— რა დააწერო?

გაბრიელი ჩაფიქრდა. ვახტანგმა თავის პაპას უამბო ჩეხოვის ერთი პატარა მოთხრობა, სადაც შეილიშვილი თავის ბებიას წერილს უგზავნიდა და კონვერტზე ასე დააწერა: „სოფლად, ბებიას“.

გაბრიელმა ბევრი იცინა. როცა გული იჯერა, შეილიშვილს უთხრა:

— მთლად ისე არ არის, შენ რომ გგონია. ერთი ეს მითხარი, ჩემზე მოხუცი თუ არის ვინმე ჩვენს კოლმეურნეობაში?

— არავინ, შენზე უფროსი კოლმეურნეობის წევრი არავინ არის... დაცა, შიოს პაპა უნდა იყოს მგონი.

— რას ამბობ?! შენ ზაქარიაზე არა თქვი? მე რომ ცოლი მოვიყვანე, ის მაშინ ტანტარა დარბოდა. ცხოვრებამ გატეხა, თორემ სამოცდახუთზე მეტი ხნის არ უნდა იყოს. მე კი სამოცდამეთექვსმეტეში ვარ...

— ათი წლით დიდი ყოფილხარ.

— ჰოდა, მაგ ყუთს ასე დააწერე: „ვნუკოვო, პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის ყველაზე უხუცეს წევრს“. მორჩა და გათავდა. მიდი, ერთი ყუთი შენც გაამზადე, შენ ხომ მეგობარი გყავს, გაუხარდება.

სალამონხანს გაბრიელმა ხელურებით ჩაიტანა ვაშლით სავსე ყუთი კოლმეურნეობის საწყობში. საწყობის გამგებ

ეს ყუთი არ მიიღო, მე რა შეუაში ვარო, გაიკვირვა.

— შენ არ გესმის, რას სჩადიხარ! — გულმოსულად შეუძახა პაპა გაბრიელმა.

საწყობის გამგემ წაიკითხა წარწერა და ჩაეღიმა.

— ფოსტაში უნდა წაგელო, ჩემთან რატომ მოგქონდა... ამოდენა, ყუთს ფოსტა არ მიიღებს, რვა კილოზე მეტი არ შეიძლება.

მამის გაბრიელმა აუხსნა, რისთვისაც მოიტანა ეს ყუთი საწყობში: კოლმეურნეობის ვაშლს რომ გააგზავნით, ეს ყუთიც იმასთან ერთად გაგზავნეთო.

სანამ კანტორაში არ დარეკა და იქიდან ნებართვა არ იიღო, მაინც უარზე იდგა საწყობის გამგე. როცა მან ტელეფონის მილი თავის ადგილზე დადო, გაბრიელმა შეატყო, რომ მის სასიკეთოდ გადაწყდა საქმე.

საწყობის გამგემ, ლონდერმა ვაქცემა, დაავლო გაბრიელის კოლმეურნეობის ყუთს ხელი და თავად გამგეობის საწყობში.

— ნელა, რიგიანად მოეკიდე, — შეუძახა გაბრიელმა, — ყუთი მაგარია, მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივა. დაეყვილი ვაშლი ვის რად უნდა!

სანამ საწყობში მიჰქონდა ყუთი, გზაში ბევრმა წაიკითხა, რაც ზედ ეწერა. მალე მთელმა სოფელმა გაიგო, პაპა გაბრიელი საჩუქარს გზავნის ვნუკოვში და დაფაცურდნენ კოლმეურნეები...

სალამოს კოლმეურნეობის საწყობთან რიგი დადგა. ყუთების დალაგებით ოფლად გაიწურა საწყობის გამგე. ზოგი კოლმეურნე ვაშლს აგზავნიდა, ზოგი ყურძენს, ზოგი ჩურჩხელებს თუ სხვა ხილს.

## თავი მეექვსე

### 1.

ვნუკოვში გამგზავრების წინა სალამოს ბიძინას სახლიდან წამოსული იაკობი ვახტანგს შეხვდა. იმ დღის შემდეგ, სასადილოში რომ იყვნენ, ვახტანგი აღარ დანახვებია მას, ერიდებოდა და აი, მოხდა ისე, შეხვდნენ ერთმანეთს.

— რად გამირბიხარ, ბიჭო, რამე ხომ არ მმართებს?

— რას ამბობ, ძია იაკობ! აბა, როდის გაგირბივარ?

იაკობმა ხელი მხარზე მოხვია და თავისკენ მიიზიდა, თითქოს ძალას უსინჯავსო. მერე აღარ მოეშვა, აიძულა, შინ წაჰყოლოდა. ვახტანგმა ბევრი იუარა, ბევრი მიზეზი მოიშველა, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა.

ნანის ჩუმიდ ზედებოდა ვახტანგი, ისე ჩუმიდ, რომ ყოვლისგამგონე და ყოვლისმნახველი სოფელი მათ აზრდილსაც კი ვერ ამჩნევდა.

„მამის თანდასწრებით როგორ შემხედება ნანი?“ — გულში გაივლო ვახტანგმა, ნამდვილად რაღაც უღვეს გულში იაკობს, რომ ზედ გადააკვდა თხოვნით, შინ უთუოდ წაჰყოლოდა. ათასმა რამემ გაუელვა ვახტანგს. ბოლოს ვერავეთარი დასკვნა ვერ გამოიტანა თავისი ნაფიქრალიდან. ამასობაში კიდევაც მიუახლოვდნენ დოლიაშვილის სახლ-კარს.

იაკობი ნასევამი იყო. გზაში მხოლოდ ორიოდ სიტყვა უთხრა ვახტანგს.

ნანი წიგნს კითხულობდა, როცა ძაღლების შეყეფება შემოესმა. მიხვდა, რომ მამა მოვიდა, რადგან ძაღლებმა მხოლოდ ერთხელ შეჰყეფეს. ნანის წიგნი არ მიუტოვებია, კითხვა განაგრძო.

მამას ვიღაც აბლავსო, გაივლო ვუნებაში, როგორც კი აიგანზე ფეხის ხმა შემოესმა, თავი წამოსწია და კარს შეხვდა: მამასთან ერთად ვახტანგი დი-



ნახა. შეერთა, წამოდგა, უსიტყვოდ შეეგება მოსულთ. ლოყები შეუწითლდა, ერთხელ კი სასოებით შეანათა თვალები ვახტანგს და იაკობმაც ეს წამიერი მზერა დაიჭირა.

იაკობმა, ვითომდა აქ არაფერი იყო, ნანის უთხრა:

— ნანი, აბა ერთი, ცოტა რამ მოგვიტანე მე და ვახტანგს. ჩვენი ხვალისდელი გზა დავილოცოთ.

— შენ უკვე დავილოცინია, მამა.

— კიდევ რომ დავილოცო, რა ურიგო იქნება!

— ახლა გვიან არის, ძია იაკობ, — მიმართა ვახტანგმა, — დედაჩემს დარდი ექნება, არც იცის, სადა ვარ.

— რა პატარა შენ ხარ, ბიჭო. საცაა ცოლი უნდა შეირთო... თუ გინდა, დედაშენსაც აქ ამოვიყვან, ჩემს მძახალს.

იაკობის შემოხედვაზე შეერთა ვახტანგი; შეერთა ნანიც. ერთ წუთს უძრავად მისჩერებოდნენ იაკობს.

იაკობმა ორივე თავისთან მიიხმო, ცალ მხარეს თავისი ქალღმეილი ამოიყვანა, მეორე მხარი ვახტანგით დაიმშვენა, ორივეს სიყვარულით მოხვია ხელი და უთხრა:

— ჩემო შვილებო, მე ვიცი, რომ თქვენ ერთმანეთი გიყვართ, ვიცი, რომ ეს თქვენი სიყვარული უმანკო და ბედნიერია. თქვენს წინ ფართო და ნათელი გზაა. ორივე კარგები ხართ, და მე მინდა. ასეთები დარჩეთ თქვენი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. მე უზომოდ მოხარული ვარ!

იაკობს გული ამოუჯდა, ისედაც გრძობამორთულს ღვინო გასჯდომოდა და მთლად აჩუყებულიყო ამოდენა კაცი. მან მხურვალედ ჩაყოცნა ნანი და ვახტანგი.

2.

მეორე დღეს საკლემურნეო საბარგო მანქანამ, რომელსაც ფარნა მართავდა, ვენუკოვში მიშავალი დელეგატები

და მათი გამცილებლები გორის სადგურში მიიყვანა.

შუალამე ხდებოდა. ახლა ფარნა ნიშნულ მატარებლებს უნდა გამოეცალათ თბილისიდან, ხოლო ამ მატარებლებს არცთუ ბევრი ხალხი უცდიდა. მთავარ მოსაცდელ დარბაზში აქა-იქ ისხდნენ მგზავრები და ყვინთავდნენ. როგორც კი გამოჩნდნენ ოქროყანელები, უმაღლესად აღიარდა იქაურობა. ყველა მზიარულად იყო, წამსვლელიც და გამცილებელიც.

ფარნას მოედინა ერთ კუთხეში დაყვინთა მანქანა. მას შემდეგ, რაც მისმა „ოპელმა“ უკანაგველად დაიხროტირა და სამუდამოდ ჩაბარდა ჯართს, ფარნამ მთელი თავისი გულისყური კლემურნეობის საბარგო მანქანაზე გადაიტანა. შუალამითაც რომ წამოედლოთ ლოგინიდან, ფარნა სიამოვნებით მიდიოდა მანქანაზე სამუშაოდ.

ახლა ფარნა ყველას ყურადღების ცენტრში იდგა. რალაც საქმის გამო მთელი ერთი კვირა თბილისში იყო. წუხელ გვიან დაბრუნდა. სანამ სოფელში ავიდოდა, ყველაფერი დაწერილებით გაიგო, რაც ოქროყანაში მისი წასვლის შემდეგ მოხდა. აქა-და ყველამ საჩუქარი გაგზავნა ვენუკოვში, თვითონაც დატრიალდა, ცოტაოდენი ხელი შეამზადა, კონტა ყუთში ჩააწყო, ხილის გარდა ორიოდ ბოთლი ღვინო, ერთი ბოთლი ცხარე არაყი და კიდევ სხვა რალაც მოათავსა, მერე დაუძახა მეზობელ მასწავლებელს, რომელმაც კარგი რუსული იცოდა და ყუთზე დააწერინა: „ვენუკოვს საუკეთესო მოფერს“.

ფარნას ყუთი ახლა დელეგატებს მიჰქონდათ.

როცა მატარებელი ჩამოდგა და დელეგატები კუბეებში დალაგდნენ, ფარნამ თავისი ყუთი მზრუნველობით აიტანა, ნესამე თაროზე მოათავსა, იმ კუბეში, სადაც დელეგაციის ხელმძღვანელი,

იაკობი იმყოფებოდა, შემდეგ თავ-  
ჩვედომარეს დაუბარა, ყურადღება მი-  
ექციათ იმ ყუთისათვის და ჩასვლისთა-  
ნავე გადაეცათ იგი საუკეთესო შოფერ-  
ისათვის, ა. შოფერისათვის უთუოდ  
გაეცნოთ ფარნა თირიაშვილი, შოფერ-  
ის გვარი და სახელი კარგად დაემახ-  
სოვრებინათ, აუცილებლივ მაშის სა-  
ხელიც, რადგან რუსებს მაშის სახელის  
მოსხენიება უყვართ. აუცილებლივ  
წამოვლოთ აგრეთვე შოფერის სურათი,  
რომ თვითონ თავმჯდომარეს შეემოწ-  
მებინა, რით სჯობდა ის შოფერი ფარ-  
ნას, თუკი რაიმეთი მაინც სჯობდა...

ბაქანზე ოქროყანელები იყვნენ მხო-  
ლოდ, ფანჯრებიდან იყურებოდნენ  
იაკობი, ბიძინა, მარადო, შიო, ვახტან-  
გი, ნანი და დელეგაციის სხვა წევ-  
რები.

ოქროყანელები საერთო აღტაცებით,  
აღფრთოვანებით აცილებდნენ თავიანთ  
თანასოფლელებს, კეთილ მგზავრობას  
უსურვებდნენ.

მალე წავიდა მატარებელი და რამ-  
დენიმე წუთის შემდეგ ბურეთის მთას-  
თან, მოსახვევში უკანასკნელად გა-  
მოჩნდა სამი წითელი სინათლე.

### 3.

ოქროყანელებმა მოსკოვში ჩაუსწრეს  
საჩუქრებით დატვირთულ საბარგო ვა-  
გონებს. საბარგო განყოფილებაში უთხ-  
რეს, რომ ვაგონები შუადღისით უკვე  
ენუკოვოს სადგურზე იქნებოდა ჩამო-  
ყენებული.

დელეგატები დილით ადრე ჩავიდნენ  
მოსკოვში. მათ მაშინვე მონიდომეს  
დედაქალაქის დათვალიერება, მაგრამ  
იაკობმა დაუშალა, დათვალიერებაში  
დაგვიღამდება და ენუკოვოში დღეს  
ვერ ჩავალთ, ჩვენი ხილი კი ჩვენი ზე-  
ლით უნდა მივართვათ ენუკოველებსო,  
მოსკოვი დავათვალიეროთ ენუკოვოს  
დღესასწაულის შემდეგ, როცა დავბ-  
რუნდებითო.

ნანის დიდი სურვილი ჰქონდა, წი-  
თელ მოედანზე მოხვედრისთვის უკუ-  
ტანგმა უთხრა, რომ აქვე მოხვედრას  
მოედანზე, არის მეტროს სადგური. აქ  
რომ ჩაჯდება კაცი, ერთი სადგურის  
შემდეგ, სადგურ „რევოლუციის მოე-  
დანზე“ გადმოვა და იქიდან კი სულ ახ-  
ლოსაა წითელი მოედანი, დიდი თეატრი,  
საბჭოების სახლი, ლენინის მუზეუმი,  
რევოლუციის მუზეუმი, სასტუმრო  
„მოსკოვი“, იქიდან იწყება ყველაზე  
დიდი და ყველა ქუჩაზე ლამაზი ქუ-  
ჩა — გორკის ქუჩა... აბა, როგორ უნ-  
და მოსვენოს ნანიმ? მისი გული გამა-  
ლებით ფეთქავს. მას ეგონა, რომ ამ  
სადგურიდან სულ არ გავიდოდნენ ქა-  
ლაქში და აქედანვე სხვა მატარებლით  
წავიდოდნენ ენუკოვოში, მაგრამ მო-  
ლოდინი არ გაუმართლდა, თურმე სა-  
ქირო ყოფილა რკინიგზის სხვა სად-  
გურში წასვლა.

იაკობმა დელეგატები სადგურის  
მოედანზე გამოიყვანა. ერთი „ნენობის  
სარდაფში უამრავი ხალხი ჩადიოდა და  
იქიდანაც ბლომად ამოდიოდნენ. გვი-  
რამში ჩასასვლელთან უზარმაზარი რუ-  
სული „M“ იყო გამოსახული. ნანი  
მიხვდა, რომ სწორედ ეს იყო მეტროს  
სადგური.

— ჩვენ ახლა წავალთ ბელორუსიის  
სადგურზე, — უთხრა ვახტანგმა ნანის.

— შორს არის ბელორუსიის სად-  
გური? დიდხანს ვივლით?

— ქვეითად შორსაა, მაგრამ მეტრო  
რამდენიმე წუთში მიგვიყვანს.

ნანი ბევრევიით იყო აღფრთოვანე-  
ბული, ვახტანგს გვერდიდან არ სცილ-  
დებოდა, უხაროდა ყველაფერი, რასაც  
ხედავდა, უხაროდა ვახტანგთან ყოფნა,  
უხაროდა მოსკოვისა და მოსკოველების  
ნახვა, იგი ყველას მომღიმარი სახით  
შეჰყურებდა და, ასე ეგონა, ყველა მა-  
სავეთ ზეიმობდა.

ციოდა. სუსხი ძვალ-რბილში ჯდებ-  
ოდა.

დელეგატები ესკალატორით ელნა-



4.

თურქებით განირაღდნებულ მიწისქვე-  
შა უზარმაზარ დარბაზში ჩავიდნენ.  
უცებ მათ საშინელი გრიალი შემოეს-  
მათ. მეტროს გაბღღერიალებული მა-  
ტარებელი დიდი სისწრაფით შემოიჭ-  
რა დარბაზის ორივე მხრიდან. ოქროყა-  
ნელებმა ვერც კი მოასწრეს მატარებ-  
ლამდე მისვლა, რომ იგი უმაღლ მოსწყ-  
და ადგილს და სიბნელით მოცულ გვი-  
რბაში შევარდა.

— ეს რა ყოფილა, გეთაყვათ! —  
თქვა ერთმა დელეგატმა.

— ეს რა გადარეული ტრამვაია! —  
დაუმატა მეორემ.

— ახლა რამდენხანს უნდა ველო-  
დოთ, როდის მოვა მეორე? — შეეკით-  
ხა ნანი ვახტანგს. მას ეგონა, რომ კარ-  
გახანს დასჭირდებოდა ცდა.

— მეორე მატარებელი უკვე მოდის.  
ნანის მართლაც შემოესმა უკვე ნაც-  
ნობი გრიალი. გვირაბს ცერად გახედა  
და დაინახა, როგორ სწრაფად ახლოვ-  
დება სამი პროექტორი.

ბიძინამ და ორმა დელეგატმა ვერ  
მოასწრეს მატარებელში ასვლა, ზედ  
მათ ცხვირწინ ავტომატურად დაიკეტა  
ვაგონის კარი.

— არა უშუას-რა, ორ წუთში ეგენიც  
ჩვენთან იქნებიან. — თქვა დამშვიდე-  
ბით იაკობმა.

მატარებელი დიდი სისწრაფით მიჭ-  
როდა. მალე მეორე მატარებელში გა-  
დასხდნენ ოქროყანელები, ისე რომ მი-  
წისქვეშეთიდან არ ამოსულან. თავი  
ამოჰყვეს „ბელორუსიის სადგურში“.

— აი, ესეც გორკის ქუჩა, — უთხრა  
ვახტანგმა ნანის, როცა ისინი მეტრო-  
დან ბელორუსიის სადგურის წინა მოე-  
დანზე ამოვიდნენ, — აი, ამ ხიდის  
იქით კი, რკინიგზაზე რომ გადადის,  
იწყება ლენინგრადის გზატკეცილი.

ნანი გატაცებით გასცქეროდა უზარ-  
მაზარი ქალაქის სიცოცხლით სავსე  
ქუჩას.

— აი, ესეც ვნუკოვი! <sup>მარცხენა</sup>  
სტეპზე იღვა სადგურის <sup>საბარგო</sup>  
ნობა ცემენტის გრძელი ბაქანიოთ. შორს  
არყისხის მეჩხერი ტყე მოჩანდა. ციო-  
და და ამის გამო მოეწყინა მიდამოს.

სადგურთან რამდენიმე „პობედა“  
და „მოსკვიჩი“ იღვა. მათი შოფრები,  
ვნუკოვოს კოლმეურნეობის პარტიზუ-  
როს მდივანი კოლია ვასილენკო და  
ბორის შებენჩუკი დახვდნენ სტუმ-  
რებს.

ყველამ ყურადღება მიაქცია ვახტან-  
გისა და ბორისის შეხვედრას. ისინი  
ერთი მხიარული, აღფრთოვანებული შე-  
ძახილით გადაეხვივნენ ერთმანეთს და  
მაშინვე ალტაცებით გამართეს საუბა-  
რი. ნანის პირველად ესმოდა, როგორ  
კარგად ლაპარაკობდა ვახტანგი რუსუ-  
ლად.

ვასილენკო ორივე ხელს ართმევდა  
სტუმრებს.

— გამარჯობა, გამარჯობა, — ყო-  
ველ მათგანს ეუბნებოდა ქართულად,  
და ეს ქართველთათვის ყველაზე საყ-  
ვარელი სიტყვის შორეულ მხარეში გა-  
გონება ახარებდა ოქროყანელებს.

ვასილენკომ სტუმრები მანქანაში  
მიიწვია.

„შეივსო „პობედები“ და „მოსკვიჩე-  
ბი“. დელეგატების ხელბარგი შოფ-  
რებმა მიიტანეს თავთავიანთ მანქანე-  
ბამდე.

ერთ შოფერს წილად ხვდა ფარნას  
ყუთის გადატანა. სიმძიმის გამო მიაქ-  
ცია ყურადღება წარწერას და, როცა  
„პობედის“ საბარგო ნაწილში დებდა,  
წაიკითხა: „ვნუკოვოს საუკეთესო შო-  
ფერს“.

სწორედ ამ მანქანაში ჩასხდნენ ვასი-  
ლენკო, ბიძინა, იაკობი და მარადო.  
შოფერი მიტია ზახაროჩის სახელით  
გაეცნო სტუმრებს და, როცა მანქანა  
წასაყვანად მომართა, მანძინ იკითხა იმ



ყუთის შესახებ, რომელიც ვიღაცას გამოუგზავნია კოლმეურნეობის საუკეთესო მოფრისათვის.

— ასეთი საჩუქრები ბევრია, — უთხრა იაკობმა, — მიტია ზახარიძე, თქვენ თუ ყველაზე საუკეთესო მოფერი არა ხართ, გული ნუ დაგწყდებათ, ასეთ ყუთს თქვენც მიიღებთ...

— არა, ყველაზე უკეთესი მე არა ვარ... არიან სხვები, — თქვა გულწრფელად მიტიამ და მანქანა ადგილს მოსწყვიტა და მიადევნა კოლმეურნეობის თავმჯდომარის „პობედას“, რომელშიც ახალგაზრდები ისხდნენ.

— მიტია ზახარიძე, თავს ნუ იკატუენებ, — ჩაერია კოლია ვასილენკო, მერე სტუმრებს მიუბრუნდა და უთხრა:

— მიტია ზახარიძე კარგი მოფერია, შეგიძლიათ ეს ყუთი მასთან დატოვოთ, ენდეთ ჩემს სიტყვას.

— კეთილი, ჩვენ ამ ყუთს მიტია ზახარიძეს დავუტოვებთ, — თქვა ბიძინამ და შემდეგ მიტიას ფარნა თირიაშვილზე უამბო...

— აი როგორ დავითხვა, — წამოიძახა კოლია ვასილენკომ, — მიტიასაც უყვარს ბევრი ლაპარაკი...

— აქაც მაკრიტიკებთ, ამხანაგო ნიკოლაი პეტროვიჩ, — გაიბუტა მიტია, — ჩემზე კი ამბობთ, კარგი მოფერი იყო...

— მიიღე კრიტიკა და სიჩქარეს მოუმატე, თორემ ვერ ხედავ, ახალგაზრდებმა გაგვასწრეს, — მხიარულად შეუტახა ვასილენკომ.

მიტიამ გახსნა მოუმატა, „პობედას“ ფრთები რომ ჰქონოდა, გაფრინდებოდა.

მიჰქროდნენ მანქანები.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის „პობედაში“, რომელიც ყველა მანქანაზე წინ მიდიოდა, ისხდნენ ვახტანგოვიანი და ბორის შებენჩუკი. მოფერიც მათსავით ახალგაზრდა იყო.

ბორისმა იცოდა, რომ ნანი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ქალიშვილი იყო (ასე გააცნენ), ხოლო ვახტანგთან რა დამოკიდებულება ჰქონდა, ამას ვერ მიუხვდა. იფიქრა: თუ ცოლია, ხომ იტყოდა, ვახტანგო; თუ საცოლეა? ნამდვილად საცოლეა... ძალიან კარგი არჩევანია! ძალიან კარგი წყვილია! „მეც ვფიქრობ ბედნიერებაზე“, მოაგონდა ბორისს, — დაე, ახლა კი იფიქროს, ალბათ ჩემმა რჩევამ გასჭრა, მარტო ფიქრი კი არა, მოქმედებაცაა საჭირო, ოჯახის შექმნა...

— თქვენთვის სასტუმროში ოთახები უკვე გამოყოფილია, — უთხრა ბორისმა ვახტანგს, — მაგრამ არავითარი სასტუმრო! თქვენ ჩემთან იქნებით, აქედანვე პირდაპირ ჩემთან მივდივართ... მოფერს უთხრა:

— მანქანა პირდაპირ ჩვენს სახლს დაუმიზნე!

მერე სტუმრებს მიმართა:

— რა ბიჭები მყავს, რომ იცოდეთ! ჯერ თვალი ხეირიანად არ გაუხელიათ და იქაურობას იკლებენ...

აი, ის ბორის შებენჩუკი, რომლის შესახებაც არაერთხელ ულაპარაკია ვახტანგს ნანისათვის. ქალიშვილი შეწყურებდა ბორისის სავეს სახეს, შექსავსე თვალებს და სიამაყისა და ბედნიერების გრძნობა მასაც ეუფლებოდა.

ვახტანგმა და ნანიმ წამით ერთმანეთს შეხედეს.

## თავი მუშვიდი

### 1.

მიტიამ სტუმრები ვნუკოვოს სასტუმროში დატოვა და „პობედა“ საკოლმეურნეო გარეშე დააყენა. და-

ნარჩენი „მოსკვიჩები“ და „პობედებიც“ ჩამოდგნენ თავთავიანთ ადგილზე.

— ყმაწვილებო, აქეთ, ჩემსკენ მოდით, — გასძახა მიტიამ ამხანაგებს.

„შოფრები მიტისა“ „უკანასკნელ ცნობათა ბიუროს“ ეძახდნენ, რადგან ყოველი ახალი ამბავი პირველად მას უნდა გაეგო.

შოფრებმა თავი მოიყარეს მიტისა გარშემო.

მიტიამ „პობედის“ საბარგო ნაწილის ხუფი ახადა და იქიდან მძიმე ყუთი გადმოიღო. ყველამ ერთდრულად წაიკითხა წარწერა, ერთმანეთს ისე გადახედეს. თითქოს ახლა პირველად უყურებენო და მერე თითქმის ერთდროულად წამოიძახეს:

— ვინ არის ჩვენში ყველაზე მოწინავე?

— ამაზე ფიქრი უკვე გვიანაა, — თქვა დამშვიდებით მიტიამ და ყუთს სახურავის ასახდელად ჩალაც რკინა მოიმარჯვა. — ეს საჩუქარი მე მომაკუთვნეს.

— როგორ, შენ ჩვენზე უკეთესი რატი ხარ?

— შენ, ალბათ, შენი ენით მოიგე სტუმრების გული.

— ასეა თუ ისე, ეს საჩუქარი მიტისაია. — გამოესარჩლა ერთი შოფერი, — ახლა გახსნის და ყველას დაგვპატივებს. აბა, რა არის აქ სადავო?

— მე მგონი, არაფერი, — თქვა მიტიამ და ყუთს ფრთხილად ახადა თავი. ცოტა ხნის შემდეგ შოფრები კმაყოფილებით სვამდნენ ფარნას საღღვგრძელის და თან რომელიღაც მანქანის საყვირით სალუტს აძლევდნენ იმ უცნობ შოფერს, რომელიც შორს, საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, გზებზე დააქროლებს „გახსა“ და „პობედას“...

2.

შულგინი საკოლმეურნეო სასტუმროს ფართო, ნათელ ვესტიბულში შეეგება ქართველ სტუმრებს.

სასტუმრო ჭაყვ იყო სხვადასხვა წიხრიდან ჩამოსული ხალხით. ისინი

ენუკოველების მოწვევით მოვიდნენ, რათა საკოლმეურნეო დღესასწაულს დაესრულებოდნენ. ორი დღე შეეძლებოდა მათთან ტრიალებდა, ხან უზბეკებთან იყო, ხან უკრაინელებთან, ხან აზერბაიჯანელებთან. ახლა ქართველების დანახვამ კიდევ გაუხსნა გული. იგი ხელგაშლილი დახვდა დარბაზში შემოსულთ, ყველას მხურვალედ ჩამოართვა ხელი. განსაკუთრებით გულთბილად მოიკითხა მარადო, თავისი ძველი ნაცნობი ქართველი ჭალი, რომლის ცხოვრების თანამგზავრიც სამუდამოდ განისვენებდა ენუკოვოს მიწაში.

— ვახტანგი როგორ არის? რატომ არ ჩამოვიდა? — ჰკითხა შულგინმა მარადოს, რადგან მის შვილს უთუოდ მოელოდა დელეგატებთან ერთად. — ის თქვენი ელჩია ენუკოვოში, — დიმილით დაუმბატა მან.

— ვახტანგი აქ არის, ენუკოვოში. — მიუგო მარადომ, — თქვენი მანქანათ ბორის შებენჩუკთან ერთად წამოვიდა.

— ჰო, ისინი ძველი მეგობრები არიან. რახან ბორისმა წაიყვანა, ცხადია, მასთან დარჩება, — უთხრა ვასილმა და მერე ყველას მიმართა:

— წამობრძანდით, ნამგზავრები ხართ, მოისვენეთ.

სტუმრებს მათთვის განკუთვნილი ოთახებისაკენ გაუძღვა.

ეს რა დიდებული სასტუმრო აქვთ, — ფიქრობდა იაკობი. კედლებზე სურათიდან სურათზე გადაბოდა მისი თვალი.

თუ ეს შეუძლია გააკეთოს მდიდარმა კოლმეურნეობამ, რომლის მოსაველი დულს და გადმოდულს, — თავიანთს ეუბნებოდა ბიძინა. მაშინვე ოქროყანა წარმოუდგა თვალწინ, ბუნებით უხვად დაჯილდოვებული თავისი სოფელი, სადაც უამრავი სტუმარი მოდის ხოლმე... რა იქნება, რომ აქაც ჰქონდეთ ასეთი სასტუმრო! ბევრი რამ უნდათ, ბევრი. ბიძინა ოცნებას

გაპყვა, მაგრამ შულგინის ხმამ გამოარკვია.

— იცნობდეთ, — მოესმა ბიძინას ვნუკოვოს თავმჯდომარის რიბიანი ხმა და ბიძინამ შეხედა თავის წინ გაჩერებულ წარმოსადგე უზბეკს, რომელსაც მკერდზე ლენინის ორი ორდენი და მედალი „ნამგალი და ურო“ ეკეთა. უზბეკმა ჯერ იაკობს ჩამოართვა ხელი, შემდეგ ბიძინას მოუბრუნდა.

ეს იყო ერთ-ერთი მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარე — რაიმჯან ხასანოვი, შავგვრემანი კაცი. ქართულების ჯგუფს გაეცნო მეორე თავმჯდომარეც. — აზერბაიჯანელი ჭერიშოვი... სანამ თავიანთ ოთახებში დალაგდებოდნენ ოქროყანელები, მათ კიდევ ბევრი სტუმარი გაიცივნეს.

— უყურე ერთი, საიდან არ ჩამოსულან, — მიმართა იაკობმა ბიძინას, როცა ისინი თავიანთ ოთახში შევიდნენ.

— ახლა ყველას გემართებს თავის გამოჩენა. — უთხრა ბიძინამ და ჩემოდანი საწოლთან დადგა, — ესენი განა უჩვენოდ ვერ გადაიხდიდნენ დღესასწაულს? მაგრამ ისინი უფრო შორს იყურებიან, ხედავ, აქ უზბეკები არიან, აზერბაიჯანელები და სხვები, ჩვენც, იაკობ, მკიდროდ ჩავვიდოთ ხელი მათ, ვესაუბროთ, ჩვენი კარგი საქმე გაუუზიაროთ, ისინი თავიანთსას გვეტყვიან. ეს უნდათ ვნუკოველებს და ჩვენც უნდა გავაკეთოთ. შულგინისა და ვასილენკოს განზრახვაა, ჩვენი დაახლოვება და სხვადასხვა კოლმეურნეობას შორის საქმიანი კავშირის დაქვრა.

ცოტა ხნის შემდეგ ვნუკოვოს და ოქროყანის თავკაცები „პობედით“ წავიდნენ სადგურში, სადაც უკვე ჩამოყენებინათ ხილით დატვირთული ვაგონები.

სალამოს საბარგო მანქანების პატარა კოლონამ ქართული ხილი შეიტანა სოფელში.

## 3.

ერთად წვანან. უმწიკრ ჩქნებნსსავე-სავეებენ, თითქოს რამეს უნდა მოეციდონო, მაგრამ არ მალუძთ, ღელღუნებენ, მუკლოპინი ჯერ კიდევ არ შეუძლიათ...

— ალუ, ალუ, ალუ... — ბორისი ხან ერთისკენ წაიღებს ხელს, ხან მეორის უსუსურ ბაგვს უახლოვებს თითს და უხარია.

— რა დევგმირები იქნებიან, პირდაპირ ვასნუკოვის სურათიდან გადმოსული დივგმირები! — აღფრთოვანებით იძახის შებენჩუკი.

პატარა საწოლთან დგანან: ვალია, ნანი და ვახტანგი.

— რა დაარქვი შენს დევგმირებს, ბორია? — ჰკითხა ვახტანგმა.

— ჩუკი და გეკი, — მიუგო ბორისმა, — უკეთეს სახელებს ვერც მოვძებნიდი ძმებისათვის. მე რატომღაც ძალიან მიყვარს ეს სახელები?

— რომელია ჩუკი, რომელი გეკი? ბორისს ჩაეცინა.

— ჯერჯერობით მეც მერევა, ცოტა რომ წამოიზრდებიან, ალბათ მაშინ გავარჩევ. ჯერ კი ერთმანეთს ჰგვანან.

— სულ ასე ემგვანებიან ერთმანეთს, — შენიშნა ნანომ.

შებენჩუკებმა თავიანთ ოჯახში სადილად მიიწვიეს მარადო. იაკობი იმ დროს სადგურში იყო ვასილ შულგინთან ერთად.

როცა იაკობი დაბრუნდა და სასტუმროს წინ „პობედლიან“ გამოვიდა, იქვე მეორე „პობედა“ გაჩერდა. იაკობმა მიიხედა და მოჰკრა თვალი მარადოს, რომელიც შოფერის გვერდით იჯდა, შემდეგ შენიშნა ნანი, ვახტანგი და ბორის შებენჩუკი. მანქანას მიუახლოვდა.

— საით გაგიწევიათ? —

— სასაფლაოზე მივდივარ ქმრის საფლავის სანახავად, — მიუგო მარადომ.

— მეც წამოვალ. თქვენ წადით და



რამდენიმე წუთში დაგეწევით. —  
უთხრა იაკობმა.

4.

ენუკოვოში ცხოვრობდა ვინმე კუზმა დიმიტრის-ძე შიშკოვი, სამოცდაცხრამეტი წლის მოხუცი კოლმეურნე. შიშკოვი იმ დღეს ძალზე გაგულისებულ იყო, შვილიშვილისაგან რაღაც ეწყინა და ამის გამო ყველას ებუზღუნებოდა.

მის მრავალრიცხვან ოჯახში კარგად იცოდნენ კუზმა დიმიტრიჩის ხასიათი, ამიტომ იმ დღეს თითქმის ყველა ერიდებოდა მას, რომ რაიმე კიდევ არ სწყენოდა.

სალამოხანს შიშკოვების სახლთან კოლმეურნეობის საბარგო მანქანა გაჩერდა. ამ მანქანით კუზმას მოზრდილი ყუთი მოუტანეს. როცა შიშკოვის შვილებმა და შვილიშვილებმა შინ შეიტანეს იგი, ვერავინ გაბედა, რომ კუზმას ოთახში შესულიყო და შეეტყობინებინათ ამანათის მიღება. ისევე შოფერს სთხოვეს.

შოფერმა, როგორც კი შეაღო იმ ოთახის კარი, სადაც კუზმა დიმიტრიჩი იჯდა, უმაღ ყურებზე აიფარა ხელეზი, მერე რადიოს მიუახლოვდა, ჩამრთველი რგოლი გადაატრიალა, ხმა დაუკლო და ის იყო კუზმა დიმიტრიჩისათვის უნდა ეთქვა ამანათზე, რომ სიტყვა პირზე შეაკვიდა.

— რა ეშმაკი მოგათრევდა! რადიო რატომ გაჩუმე?! — სათვალეს ზვეიდან გადმოუბრიალა თვალები შიშკოვმა.

— აი, მე... კუზმა დიმიტრიჩი... მე ამანათი მოგიტანეთ...

— რა ამანათი? ვისგან?

— ქართველი კოლმეურნე გიგზაფნით, კუზმა დიმიტრიჩ, — წელში შესწორდა შოფერი, — აი, ოთახში დევს, უნარმანარი ყუთია.

— მერე, შიგ რა დევს? რა გამოუგზავნიან?

— სახურავი მაგრაა დაკეცილი. აბა რას დაინახავდი!

კოტა ხნის შემდეგ კუზმა შევიდა იმ ოთახში, სადაც მის შვილებსა და შვილიშვილებს მოეყარათ თავი. ყუთი იატაკზე იდო.

კუზმას არავისთვის შეუხედავს, მტკიცე, ნაბიჯით მიუახლოვდა ამანათს და წარწერას დახედა.

— ყველაზე უხუცესს წევრს, — გაიმეორა მან, — აი, სწორედ მე ვარ ეს უხუცესი წევრი... მომეცით რამე, სახურავი ავხალო... — ბრძანა მან, მაგრამ მის კილოს უკვე წელანდელი მრისხანება აღარ ეტყობოდა.

კუზმა დიმიტრიჩის ბრძანება იმავ წამს შეასრულეს.

შიშკოვმა ყუთს ფრთხილად ახადა თავი, და როცა ყუთიდან სულ რჩეული, მიმზიდველფეროვანი ვაშლი გამოჩნდა, იქ მყოფებმა კუზმას სახეზე ღიმილიც კი შენიშნეს.

— აი, ესეც საჩუქარი! — თქვა კუზმამ, — მერე-და, რით დავიმსახურე მე ეს საჩუქარი?

ყუთში კონვერტიც იდო.

— წამიკითხეთ! — კვლავ ბრძანებას იძლევა კუზმა. იგი მაგიდასთან ჯდებდა და ისე ამაყად იყურებდა, თითქოს ქვეყნის მბრძანებელიაო.

ყველას აინტერესებდა, რას წერდა უცნობი ქართველი კოლმეურნე. აი, მეთექვსმეტი მარია ხმამაღლა კითხულობს გაბრეილის წერილს.

— უყურეთ ერთი ამ მოხუცებს, მეგობრობას აჩაღებენ! — ჩურჩულებენ უმცროსი შიშკოვები.

— ამბობენ, ოქროყანელებმა ყველას გამოუგზავნეს ხილიო.

— ასეთი ვაშლი ჩვენთანაც რომ მოდიოდეს!

— ოქროყანელები გვბირდებიან: წელს გაზაფხულზე ოთხი ჰექტარი ბალი უნდა გავიშენოთო.

— ჰო, ეს კარგია! შენ საიდან გაიგე?

— კანტორაში მოვეარი ყურით.

წერილის წაკითხვის შემდეგ კუზმამ კიდევ ახალი ბრძანება გასცა — დაეცალათ ყუთი. როცა შინაურებმა ვაშლებს ამოლაგება დაიწყეს, კუზმამ ერთხანს უყურა საჩუქარს, შემდეგ წამოდგა და გარეთ გავიდა. შინაურებმა თვალი მიადევნეს კუზმას. მოხუცი ეზოში ჩავიდა და საბძლოსკენ გასწია.

ცოტა ხნის შემდეგ შიშკოვების ბურჯმა რეკორდსმენი ძროხის ხბო გამოიყვანა გარეთ.

კუზმამ სახლისაკენ მიიხედა. შინაურები მას უყურებდნენ. მოხუცმა ისე შეხედა მათ, ისე დადგა თავისი ჯალაბის წინაშე, თითქოს აი, ახლა მოხსენება უნდა დაიწყოს.

— არ უნდა შევრცხვეთ! — თქვა მოკლედ და ხბო სადღაც წაიყვანა.

ვერაინ გასცა ხმა კუზმას. იგი დღეს გაცხარებულ გუნებაზე იყო.

## 5

კუზმა შიშკოვმა ხბო შუა სოფელში ჩაატარა. გუმბათმომტრეულ ეკლესიასთან გადიოდა სოფლის ცენტრისკენ მიმავალი გზა. კუზმა ერთ წუთს შედგა ეკლესიასთან, პირჯვარი გადაისახა და მერე ნელი ნაბიჯით გასწია პირდაპირ. ხბო მორჩილად მისდევდა.

გზაში ნაცნობი მოხუცი შემოხვდა.

— გამარჯობა, კუზმა დიმიტრიჩ!

— გაგიმარჯოს, ივანე ხაბარჩი!

— საით, კუზმა დიმიტრიჩ? ეს ხბო სად მიგყავს ამ საღამოს?

— სასეირნოდ! — მოკლედ მიუგო კუზმამ და თავისი გზა განაგრძო.

„ხბო სასეირნოდ! — თავისთვის ჩაილაპარაკა ივანე ხაბარჩიმა, — ჩანს, წლებს თავისი გააქვთ. ჩვენ კუზმას უკვე მოუტაყუნეს ეშმაკებმა!“

კუზმამ ხბო სასტუმროსთან მიიყვანა, იქვე, ზეზე, გამოაბა და თვითონ შენობის ვესტიბულში შევიდა.

— აქ სად არიან ქართველები? —

ჰკითხა სასტუმროს მოსამსახურე ქალს.

— ისინი ამ წუთში ამოვიდნენ კუზმამა დიმიტრიჩ.

— მე იმას კი არ გეკითხები — მოვიდნენ თუ წავიდნენ?! — შეუტია შიშკოვმა. — ოთახი მაჩვენე!

— წამობრძანდით, კუზმა დიმიტრიჩ. სასტუმროს მოსამსახურე მეორე სართულსაკენ წაუძღვა შიშკოვს.

ის-იყო კოლმეურნეობის კანტორიდან მოვიდნენ ბიძინა და იაკობი და შევიდნენ თავიანთ ოთახში, რომ კარზე კაკუნი გაისმა. ბიძინამ გამოალო კარი და უცნობი მოხუცი ოთახში შეიპატიო.

— გამარჯობათ, — უთხრა ბიძინას და იაკობს შიშკოვმა და თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა.

— ეს მე გახლავართ, ვნუკოვოს კოლმეურნეობის უხუცესი წვერი. მალე შემისრულდება ოთხმოცი. გვარად შიშკოვი ვარ, კუზმა დიმიტრიჩი.

თქვა კუზმამ და ოქროყანის თავკაცებს ხელი ჩამოართვა, შემდეგ სკამზე ჩამოჯდა.

— აი, — განაგრძო კუზმამ, — ეს-ეს არის, მივიღე ამანათი თქვენი კოლმეურნეობის უხუცესი წვერისაგან. გადაეცით მას ჩემი უღრმესი მადლობა და ჩემი მცირედი საჩუქარიც.

შიშკოვი წამოდგა.

— ჩემს საჩუქარს კი აქ, სასტუმროს წინ, ნახეთ, წავიდეთ, მიიღეთ.

კუზმა დიმიტრიჩი ოთახიდან გავიდა, იაკობმა და ბიძინამ ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს და მოხუცს ფეხბაფეხ გააყვნენ.

— აი, ეს არის ჩემი მცირედი საჩუქარი, — კუზმამ ხელი გადაუსვა ჩინებულად მოვლილ ხბოს.

კუზმა წავიდა ისე, რომ უკან აღარ მოუხედავს.

სახტად დარჩენილი იაკობი და ბიძინა ხან ხბოს უყურებდნენ, ხან შინისკენ მიმავალ უცნაურ მოხუცს.



იმ ღამეს ვნუკოვოში მოთოვა. მთელი ღამე ბარდნიდა. მთელი ღამე ვნუკოვოს ცენტრში ფერადი ნათურები ენთო და აქ, ამ ადგილას, თოვლის დიდრონი ფანტელების ცქერას არაფერი სჯობდა.

ნაშუალამევს ბორის შებენჩუკი სასტუმროსთან დაემშვიდობა შიო ბაკურაძეს და შინისაკენ წავიდა.

აგრონომები დიდხანს ისხდნენ კოლმეურნეობის აგროლაბორატორიაში და ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას. განსაკუთრებით ყურადსაღები იყო შიოსათვის ბორის შებენჩუკის საკმინაობა. წელს ვნუკოველებმა ერთ ჰექტარზე ოცდაათი ცენტნერი პური მოიყვანეს, ოქროყანელებმა კი თვრამეტი-ოცი აიღეს. გაისად კი მეტი იქნება. შიომ ირაკლის ხელმძღვანელობით დიდი შრომა გასწია, ბევრი ოფლი აწვიმა ოქროყანის მიწა-წყალს. წლებიანდელი ხვნა-თესვა რომ მეცნიერის მეთვალყურეობით ჩაატარეს, შიომ ანაზე მოუთხრო ბორისს.

ბაკურაძეს მოეწონა ეს სიცოცხლით სავსე ყმაწვილი, მისი ლაპარაკი, მიმზიდველი მჭერმეტყველება და აღარც კი უნდოდა დამორება მასთან. მაგრამ ბორისს შინ მიეჩქარებოდა, უკვე გვიანი იყო. ისინი სასტუმროსთან დაშორდნენ ერთმანეთს.

ხვალ დღესასწაულია. ვნუკოველებმა უნდა აღნიშნონ თავიანთი კოლმეურნეობის არსებობის ოცი წელი.

სასტუმროს შენობა სადღესასწაულადაა მორთული. ასევე ღამიზად გამოიყურება კოლმეურნეობის კანტონის შენობაც, რომელზედაც ფერადი ნათურებით „XX წელი“ გამოუბატავთ. მოედანს უხვად ეფრქვევა სინათლე. სოფლის ცენტრის მშვენივალ მოხიზლა შიო, იქვე გრძელ სკამზე თხლად დადებული თოვლი გადაფერთ-

ხ და ჩამოჯდა. უყურებდა რაფოთხლად ეფინებოდა თეთრი სახლებს. ფერადი ნათურების სხვადასხვანაირად ბზინაიდნენ ფანტელები, გეგონებოდათ, გარემოს ბროლის შეხეფები ესხურებოთ.

შიოს თავი სიზმარში ეგონა.

კოტა ხნის შემდეგ თვალი მოჰკრა სასტუმროსაკენ წელი ნაბიჯით მიმავალ წყვილს. თბილ სამოსში გამოწყობილი მამაკაცები საუბრით მიდიოდნენ, დროდადრო შედგებოდნენ, გარემოს გახედავდნენ.

ერთი შულგინი იყო, მეორე იაკობი. ისინი შიო ბაკურაძეს მიუახლოვდნენ.

— აქ რას აკეთებ, შიო? დასაძინებლად რატომ არ წახვალ? — ჰკითხა ოქროყანის თავმჯდომარემ. მან გაკვირვებით შეხედა თავის აგრონომს, რომელიც, რატომღაც, ბუჩქთან გაყურსულ კურდღელს მიამსგავსა, ისე იყო თოვლისაგან შეთეთრებული.

— ძილი კი არა, მე ასეთი ზამთარი, ასეთი საღამო არასოდეს არ მინახავს. შეხედე, იაკობ, ეს ხომ ზღაპარია!

— მართლა მშვენიერი საღამოა. აი, მე და ვასილ ვასილიჩი ამიტომ ვერ შევსულვართ შინ.

— პირველი თოვლი ბავშვივით მახარებს და იმ ღამეს არასოდეს არ მძინავს ზოლმე, — თქვა ვასილ ვასილიჩმა, და შიო ბაკურაძის გვერდით ჩამოჯდა. იქვე დაჯდა იაკობიც. მათ ყური მიუგდეს, როგორ შრიალებდა თოვლი.

საიდანღაც გამოჩნდნენ ხასანოვი და ქერიმოვი. არც მათ მიჰკარებოდათ რული.

— რა საღამოა, რა საღამო! — იძახდნენ ისინი აღტაცებით.

ვილაცამ როიალის კლავისები აამეტყველა სასტუმროს ვესტიბულში. გულში ჩამწვდომი მელოდია ამ საღამოს მშვენივალსთან ერთად გულს ელამუნებოდა.

## 6.

ბაიანის ხმამ და ახალგაზრდობის სიმღერამ გამოაღვიძა ბიძინა. უმალ შეხედა ფანჯარას, საიდანაც კაშკაშა სინათლე შემოდინოდა.

ღრტბლიანი, მაგრამ ნათელი დღე იყო. თვალისმოპყრელად ეღვარებდა თოვლიანი გარემო. თოვლით დახუნძლული ხის ტოტი წახრილიყო ფანჯარასთან.

ბიძინამ სწრაფად ჩაიკცა და საათს დახედა. ჯერ კიდევ ადრე იყო. მაგრამ თოვლს ისეთი სინათლე დაეყენებინა, ვაცს შეადღე ეგონებოდა.

რუსებმა სიმღერით სასტუმროსთან ჩაიარეს. მერე ვნუკოვის რომელიღაც შუკაში მიიყარა მათი ხმა.

იაკობსაც გაეღვიძა. მას ბაიანის უკანასკნელი ნელტკბილი ამოკვენესა მოესმა და სიამოვნებით გაიღიმა.

— რა სიცოცხლით სავეს დილა! — თქვა ბიძინამ, — მერე-და, თითქოს განგებ. ამ სადღესასწაულო დღეს რა მწვენიერად მოირთო გარემო!

ახლა ბანდურების ხმა შემოესმათ. საცეკვაო შემახილები, სიცილი და მხიარულება.

— წავიდეთ ხალხში. დღესასწაული უკვე დაიწყო! — თქვა იაკობმა და წამოიწია.

მოდანზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. დილის ათ საათიდან კულტურის სახლში სასოო ორკესტრი დაუკრეს და სწორედ ამ ხმაზე დაიძრა სოფლის ახალგაზრდობა. საცეკვაოდ მიიჩქაროდნენ ვაეები და ქალიშვილები. ლარბაზში, სადაც ორკესტრი იყო, — ხან გოპაქა, ხან პოლკას, ხან კრაკოვიაკა და ხან ვალსს ცეკვოდნენ ვნუკოვლები. სასულე ორკესტრს ბანდურისტები ეშველებოდნენ, ხანდახან გრამაფონის ფირფიტებსაც იშველიებდნენ და მაღალხმინანი რეპროდუქტორით გადმოსცემდნენ კულტურის სახ-

ლის რადიოკვანძიდან. ცეკვა არ შეწყვეტილა ერთი წუთითაც.

ამ დღეს ვნუკოვის პროგრამით მუშაობდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მამლები ყიოდნენ და სოფელში კიდევ ბნელოდა, დილის ექვს საათზე ვასილ შულგინმა რადიოთი მთელ სოფელს მიულოცა დღესასწაული, კოლმეურნეებს უსურვა წარმატებანი შრომაში, ბედნიერი ცხოვრება. ამის შემდეგ რადიოთი განუწყვეტლივ გაისმოდა საზეიმო მელოდიები. ადგილობრივმა პოეტებმა ლექსები წაიკითხეს. დეკლამატორებს ისევ მუსიკა სცვლიდა.

დედაქალაქმა მხურვალედ მიულოცა ვნუკოვლებს. ცენტრალურმა რადიომ სპეციალური გადაცემა მოაწყო მათთვის.

საერთო სახალხო ზეიმს ბოლო არ უჩანდა.

ნაშუადღევს კულტურის სახლში მოედნენ სტუმრები.

რადიოკვანძის დიქტორმა გამოაცხადა:

— კულტურის სახლის რადიოკვანძს აქვს ყველა ნაციონალური ცეკვის ფირფიტა, სტუმრებს ვთხოვთ — იცეკონ.

ნანიმ ვახტანგს შეხედა და წასჩურნულა:

— ჩვენგან ვინ იცეკვებს?

— რა საკითხავია, ნანი. შენ ხომ იცი ცეკვა. როცა დაუკრავენ, უყოყმანოდ გამოიყვები. აქ მორცხვობა არ დაიწყო. ჩვენც უნდა მივიღოთ მონაწილეობა ვნუკოვლების ზეიმში. ეს მართო ამათი დღესასწაული როდია, დღეს ჩვენი დღესასწაულიცაა.

სანამ ქართულ საცეკვაოს დაუკრავდნენ, უზბეკებმა იცეკვეს. ტანმალა ხასანოვს თავისი ნაციონალური ტანსაცმელი ეცვა. იგი მოხდენილად გაეთამაშა უზბეკ ქალიშვილს, რომელმაც თავისი მომხიბლაობით იქ მყოფთა ყუ-



რადღება მიიპყრო. უზბეკებს ცეკვა გაამეორებინეს.

ნანის გული გამალებით ფეთქავდა. ამდენ ხალხში ჯერ არასოდეს უცეკვია. აი, გაშლის იგი ხელებს და ათასი თვალი მიაჩერდება, მის ყოველ მოძრაობას ყურადღებას მიაქცევენ, ისევე როგორც გატაცებით უყურებენ ახლა უზბეკებს.

და აი, დღეა ქართველების ჯერი. როცა რეპროდუქტორმა ცეკვა „ქართულის“ გადმოცემა დაიწყო, იქ დამსწრენი ქართველების ჯგუფს მიაცქერდნენ.

ვახტანგმა არ დააყოვნა, წრიდან სწრაფად გავიდა და გაშალა ხელი. მისე მკლავგაშლილობა, მისი მოზდენილი აღნაგობა ხელს უწყობდა ქართველების საამაყო ცეკვის მშვენებას. ვახტანგს უძრავად მიჰქონდა ტანი. ერთი წრე რომ გააკეთა და ნანის მიუახლოვდა, ქალიშვილს თავი დაუკრა და საცეკვაოდ გაიწვია.

იაკობი გატაცებით უყურებდა წყვილს და ახლა, როგორც არასდროს, მის გულს რაღაც უდიდესი სიამტეზილობა მოეფინა.

— როგორ უზდებიან ერთმანეთს! — უნებურად თქვა და ანაზღად მისი თვალები გვერდით მდგომ მარადოს თვალებს შეხვდნენ.

— შენი გოგო ხომ არ გენანება ჩემი ბიჭისთვის?

— მე სინანულით არ მითქვამს, მარადო. ჩემს გულში სიხარულია! შეხედე, ეს ხომ ქართველების სილამაზეა!

და მან თავი ზე აიღო, გაქროლილ წყვილს თვალი მიადევნა.

დარბაზი ტანის გრილში, ხანზა-ერკინულში

სალამოს სახეიმა ტრეზანტონუმელიც კულტურის სახლში გაიმართა, საგანგებოდ დაბეჭდილი მოსაწვევი ბართებით მოვიდნენ ვენტუკოს ინტელიგენციის, კოლმეურნეთა მოწინავე ნაწილი, მოსკოვის საოლქო საბჭოსა და მოსკოვის საოლქო კომიტეტის წარმომადგენლები, რაიკომისა და რაი-საბჭოს ხელმძღვანელობა, სტუმრები რესპუბლიკებიდან. დარბაზს პრეექტორები ანათებდა. დედაქალაქის კინოპერატორები მთელი დღე გამალებით მუშაობდნენ, კინოსურათს იღებდნენ.

სახეიმა სხდომის დარბაზში მიკროფონი იდგა. მთელი სოფელი რადიოთი უსმენდა კრებას.

ოქროყანელებიდან იაკობი, მარადო და ბიძინა პრეზიდიუმში მიიწვიეს, დანაჩენები დარბაზში ისხდნენ.

კრება კოლია ვასილენკომ გახსნა. მოხსენებით გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ვენტუკოვო სულგანაბული უსმენდა თავის თავმჯდომარეს, უსმენდნენ ადამიანები, რომლებმაც თავიანთი თავდადებული შრომით დააგროვეს ის უხვი დოვლათი. ამ დოვლათის შესახებ — კოლმეურნეობის ოცი წლისთავზე — სიამაყითა და სიხარულით ლაპარაკობდა შულგინი.

დედაქალაქის საუკეთესო არტისტებმა დიდი კონცერტი გაუმართეს ვენტუკოველებს. ხოლო უფრო გვიან, როცა კრემლის კურანტებმა თორმეტი დაკრეს, შულგინმა საკოლმეურნეო წვეულებაზე ბელადის სადღეგრძელოდ პირველი ტიქა ასწია.

თავი მერვე

1.

ერთი კვირა მთელ საუკუნედ მოეჩვენა პაპა გაბრიელს. შინ მარტო იყო. დღე სოფლად გადიოდა, შრომობდა.

ბერიკაცებთან გულს აყოლებდა. მოლაშდებოდა. შინ წასვლის დრო დადგებოდა, მაგრამ პაპა გაბრიელს სახლისაკენ არ მიუწევდა გული, იმი-



ტომ რომ იქ არაინ იყო. მოხუცი დღეებს ითვლიდა, როდის ჩამოვადონენ მარადო და ვახტანგი. წასვლისას თქვეს, ერთ ვერაზე მეტი არ შეგვაგვიანდებო. გაბრიელი მას აქეთ ყოველ დღე ითვლიდა:

— სამი დღე იქით, სამი დღე აქეთ, ეს შენი ექვსი დღე, სამ დღესაც იქ დარჩებიან, ესეც ცხრა დღე.

უკანასკნელ დღეებს უფრო მიძიმდებოდა. ერთხელ გაბრიელმა გზად ავლილი ფარნა ეზოში შემოიხშო.

— მოდი დაჯე ჩემთან, ბიჭო, მარტობაში გული გამიწერილდა, ცოტა რამ მელაპარაკე, — სბხოვა მოხუცმა და კოლმეტრნიობის სოფერი შინ შეიყვანა. თურმე ფარნა ყოველდღე მანქანით ხედეზოდა მოსკოვის მატარებელს. შინ შესვლისთანავე ამაზე უთხრა გაბრიელს.

— ძალიან კი გაუტტებათ! — განაგრძო ფარნამ, — მე რომ ვყოფილიყავი, ერთ თვეს არ ჩამოვიდოდი, სანამ მთელ მოსკოვს ფეხით არ შემოვივლიდი. ალბათ ჩვენებმაც ასე გადაწყვიტეს.

— რას ამბობ, ბიჭო! — შეუტია პაპა გაბრიელმა, — ერთ თვეს ზომ გამოვყრუვდი! მტარეოდენი რალაც საჩუქარი გავაგზავნე და მაინტერესებს, ვის მისცეს.

— მეც ამიტომ მეჩქარება იმათი ჩამოსვლა, ერთი პატარა ყუთი გავუზზავნე იქალრ შოფერს. ერთ რუს მეგობარს მეც გავიჩინე, მე რა სხვაზე ნაკლები ვარ. კოდეც გავუზზავნი რამეს.

— აგრე უნდა, მამ. მოხუცი კაცი ვარ და მე ვფიქრობ მშობაზე და მეგობრობაზე, თქვენ უფრო უნდა იფიქროთ... ღვინო გინდა დაგალევიწო?

— მოიტა, პაპა გაბრიელ. გულის დარდი მაქვს და ეგებ ღვინომ მომიკლას.

— განა იმდენს დაგალევიწებ, რომ შენს დარდს მოერიოს.

— ჩემს დარდს ორი წვეთი ეყოფა.

განა ისეთი სევდიანიც ვარ, — გაიღმა ფარნამ და ამ დროს მას ცხვირზე უამრავი ნაკი გაუჩნდებოდა.

— ისეთი რა დარდი მაქვს, ბიჭო?

— რაღა რა დარდი მაქვს. ჩემი ასაკის შესაფერი დარდის ჭია შემეპარა გულში.

— შეყვარებული ხარ? ვინ არის, ვინ შეგიყვარდა?

— ფოსტაში რომ მარო მუშაობს. ჯერ არ იცის...

— ეგ არაფერი. კარგად მოექცე, თავი შეაყვარე და მერე უთხარი. ერთი რიგიანი ქორწილი გვაქამე.

— პაპა გაბრიელ, თქვენი ვახტანგი როდის-ღა ქორწინდება ნანიზე?

— აბა, შენ საიდან იცი ეგ? — გაცვირვებით მიაჩერდა პაპა გაბრიელი შოფერს და პატარა საღვინე, რომელიც კარადიდან გამოიღო. ხელში შეაკუცდა.

— ფარნას რამე დაემალება? — ჩაიციწა ფარნამ, — მე კიდეც ბევრი რამ ვიცი...

— ჭკუას ფეხი დააქირე და ნაკლები იყბდე, ის გირჩევიან! — შეუტია მოხუცმა, — სხვა სალაპარაკო შემოგვლია?

— განა ყველგან ვამბობ? ეს შენ გიბხარი, პაპა გაბრიელ. ალბათ მაშინ იქორწინებენ, როცა ნანი სკოლას დაამთავრებს, არა, პაპა გაბრიელ?

— ბიჭო, შენი საქმე მიევირს! მგლის თავზე სახარებას კითხულობენო, ნამდვილად შენზეა გამოჭრილი.

ბევრი ილაპარაკეს, ბევრი იკამათეს, ის პატარა საღვინე ორჯერ თუ სამჯერ შეავსო მარანში პაპა გაბრიელმა.

შეზარბოშებული ფარნა წინისკენ არ წასულა, გაბრიელს გამოემშვიდობა და პირდაპირ სოფლის ცენტრისკენ დაეშვა. ღვინომ ჭკუა დაუბა თავის ნებაზე მიშვებულმა ფეხებმა ფარნა ფოსტაში მიიყვანა.

მარო რაღაცას წერდა. ქალიშვილმა,

როგორც კი ფარნა შენიშნა, მაშინვე მიახარა.

— ფარნა, შენს სახელზე დებეშა?

— რა დებეშა, რის დებეშა! სულ დებეშა, წერილი, კონვერტი, მარკა. სხვა არაფერი ვაკრია პირზე. აბა რა დროს დებეშა. გულში ჭია ზის, ჭია, ჭია...

ფარნა ბარბაცებდა, ერთ ადგილზე ძლივს ჩერდებოდა.

— სულ დებეშა, დებეშა, წერილი, — განაგრძობ მან. ენის ბორძიკით, — სხვა არაფერი იცი?

— რა მოგივოდა, ფარნა სად დათვერი? დებეშა მოსკოვიდან შენს სახელზე! — ახლა კი მწყურალად გაუშეორა მარომ.

— კიდევ დებეშა! — ხელები გაშალა ფარნამ, — მე რას ვეუბნები და ეს კიდევ დებეშა! სხვა რამ მითხარი, სხვა.

— ახლა შინ წადი, გამოიძინე და მერე ვილაპარაკოთ! — მარომ ზურგი შეაქცია მთვრალს, მერე ერთ ახალგაზრდას სთხოვა, წაეყვანა იგი შინ.

... ფარნას შუალამისას გაეღვიძა. თავი წამოსწია, გულმუცელი გახურებული ჰქონდა და წყლის დაღვეა მოინდომა, მაგიდაზე ჭიქას რომ გადასწვდა, ანაზღად იქვე დებეშას დახედა, აიღო და წაიკითხა:

„ოქროყანა ფარნა თირიაშვილს გორში ვიქნებით პირველ ნოემბერს დაგვხვდით მანქანით იაკობი“.

— ვინ მოიტანა ეს დებეშა?

— შენ მოგვცა, — მიუგო დედამ.

— რას ამბობ, როგორ თუ მე მომყვია!

— უგონოდ მთვრალი იყავ, სად დალიე?

— დაიცა, არ მესმის, ეს დებეშა რა შუაშია მერე... მე როგორ მომყვია?

— დაროს ბიჭმა მოგიყვანა ფოსტიდან.

— მე ფოსტაში ვიყავი? უგონოდ მთვრალი?

— ჰო იქიდან მოგიყვანეს.

— ვაიმე, დედა! — შეპყვია ფარნამ და ლოგინიდან წამოიჭრა.



სამბარგო მანქანამ ქალაქის ლარით გაკომიული ქუჩა სწრაფად გაიარა, ხიდი გადაიბრინა და, როგორც კი რკინიგზის ლიანდაგს მიადგა, აქ გზა დაკეტილა დახვდა. ფარნამ ვერ მოასწრო მანქანის ლიანდაგის მეორე მხარეზე გადაყვანა, რომ სადგურის მოედანზე მოხვედრილიყო. შოფერი სიბრაზით აცახცახდა. შლაგბაუმთან ყვითელ აღმით იდგა დარაჯი და ელოდა მატარებლის ჩაელას. მას არც კი შეუმჩნევია ფარნა, მანქანისავე არ გამოუხედავს, დაუკეტა გზა ავტომანქანებს და ახლა მისი მზერა იქითვე იყო მიპყრობილი, საიდანაც მოსკოვის სახალხო მატარებელი უნდა გამოჩენილიყო.

ნამდვილად ვერ მოასწრო ფარნამ, თავი მოეჭრა და ეგ არის! იმის მაგივრად, რომ დელეგატებს სადგურში დახვედროდა, ვაგონთან შეპყვებოდა თანასოფლელებს, ახლა ისინი უნდა დაელოდონ ფარნას.

მოსახვევში ელმაელის სირენის ხმა გაისმა, ფარნამ ველარ მოისვენა კაბინაში, ძირს გადმოვიდა, ლიანდაგთან ახლოს მივიდა. ამ დროს მის წინ სწრაფად ჩაიჭროლა ელმაეალმა, ერთმა ვაგონმა, მეორემ, მესამემ, მთელმა მატარებელმა. ფარნა თვალს აცეცებდა, მაგრამ ვაგონის ფანჯრებში არც ერთი ოქროყანელისათვის არ მოუჭრავს თვალი.

„აღზოთ იქითა მხარეს იყენენ,“ — გაიფიქრა ფარნამ. როგორც კი უკანასკნელი ვაგონი გასცდა გზას, ფარნამ დარაჯეს უყვირა, მალე გახსენ გზო, და გველნაგბენივით შეეარდა კაბინაში.

ქრელი ბერკეტი მალა შეიმართა. ფარნას მანქანა ადგილს მოსწყუდა, მალე სადგურის მოედანზე გიყვიით შეჭრაოლდა. კაბინიდან გამოვარდნილი ფარნა სადგურის იმ მხარეს გაიქცა, საიდანაც მგზაურები გამოდიან სადგურ-

ში. ოქროყანელები უკვე გასაველი-საყენ მოემართებოდნენ. ისინი ბეწვის საყელიდან პალტოებში იყენენ გამოწყობილნი.

— გამარჯობათ, გამარჯობათ. — ალტაცებით შეეგება ფარნა. გული უცნაურად და გამალებით უცემდა. გაეხარდა, რომ დელეგატებს ბაქანზე მიუსწრო. იქ მარადოს ჩამოართვა ჩემოდანი, აქეთ ნანისაც შეეშველა, მერე შიოსაც კი გამოართვა ხელბარგი და მძიმედ დაიტვირთა, კისერი წაუგრძელდა, და-მძიმდა. ენა თავისუფალი ჰქონდა — უამრავი კითხვა დააყარა თანასოფლელებს. უწინ, რასაკვირველია, იკითხათ ეს გადასცეს მისი საჩუქარი.

როცა მანქანასთან მივიდნენ, ბიძინამ უბის ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და ფარნას გაუწოდა. ფარნამ გახსნა იგი და წერილთან ერთად იჭიდან მიტის სურათი ამოიღო. მიტია იცინოდა. ფარნამ ხან ახლოდან შეხედა, ხან შორს დაიჭირა სურათი. მერე წერილის კითხვა დაიწყო, მაგრამ ძლიერ გაუჭირდა ასოების გარჩევა: „გამარჯობა, მეგობარო“... ეს ფარნა რის ვაიფავლახით ამოიკითხა, დანარჩენი ვერ გააჩინა, არა-და გულთთ ეწადა გაეგო, რას სწერდა მიტია.

იაკობმა შეძახა ფარნას:

— მერე წაიკითხე, ახლა დროზე მიგვიყვანე შინ!

კაბინაში მარადო უნდა ჩამჯდარიყო, რადგან ის იყო ყველაზე უფროსი დელეგატ ქალთა შორის, მაგრამ მან იუარა: ფარნას გვერდით როგორ დავჯდები, ხომ გამომიყვება ყურებით. მაშინ იაკობმა უთხრა ფარნას:

— ფარნა, ძალზე დაღლილები ვართ. გაფრთხილებ: ოქროყანამდე ხმა არ ამოიღო, მარადოსთან.

შეთანხმდნენ.

მანქანა გორს გასცდა და ოქროყანი-საყენ აიღო გეზი.

მარადო მოსვენებული იჯდა. პირველად ხედავდა მღუმარე ფარნას. მუდამ

საე დამუნჯებდაც არ ვერგა. მარადოს აინტერესებს სოფლის ცხოველური არის მამა. მთელი ათი წელიც უფროსმა და გამბრეილზე, ახლაც შეუძლია გაიგოს, როგორ არის. ამან დასძლია მარადო და ჰკითხა ფარნას. შოფერმა მუნჯულად ანიშნა, ლაპარაკი არ შეიძლება.

— კარგი ერთი, მასხრობას თავი ანებე. მითხარი, როგორ არის მამაჩემი?

ფარნამ ერთხანს კიდევ შეიკავა თავი, მაგრამ ბოლოს ახსნა ჯებირი და წამოვიდა, წამოვიდა სიტყვების ნიაღვარი, რომელსაც ვერაფერს შეაკავებდა. მარადომ მისგან არა მარტო მამის, არამედ მთელი სოფლის ამბავიც გაიგო. საერთოდ, ფარნას უყვარდა ისეთი შეკითხვების მიცემა, რომლებზედაც თვითონვე გასცემდა პასუხს.

— როგორი ბიჭია? — ჰკითხა მიტიაზე და თვითონვე, არ აცალა მარადოს, ისე თქვა: — კარგი ბიჭი ჩანს, მხიარული, ღონიერი, ჰკვიანს.

— ძალიან ჰგავხართ ერთმანეთს, ჩაურთო მარადომ, — შენსავით გრძელი ენა აქვს მაგასაც. როცა შეხედებით, არ ვიცი, როგორ მორიდდებით — რომელი რომელს დაღლის.

ფარნას ჩაეცინა.

— შენი საჩუქრით ძალზე ვაიხარა. სხვა შოფერებსაც გაუნაწილა ხილი და ღვინო. — განაგრძო მარადომ და იგი ატყობდა, რა სიხარულით უციმცივებდა თვალები ფარნას, — თვითონ სამაგიეროდ უფრო კარგი რამ გამოგიგზავნა. იაკობს უღვეს ჩემოდანში.

— მითხარი, რა არის?

— არა, არ გეტყვი. შენ თვითონ ნახე.

— ნეტავ რა უნდა იყოს, რას გამოგიგზავნიდა ისეთს?

მიტია იცინის, გულიანად იცინის სურათში.

ფარნამ ოქროყანაში გააჩერა მანქანა და, იაკობის ჩემოდანს ეცა.

— მაჩვენე ერთი, რა გამოგიგზავნა მიტია.

იაკობმა ჩემოდანი გახსნა და ქაღალ-  
დში შეხვეული რალაც რბილი ნივთი  
გადასცა ფარნას. ფარნამ ქაღალდი შე-  
მოსხნა და მკლავზე ძვირფასი საკოს-  
ტუმე ნაჭერი გადაიფინა.

— მართლა იმან გამომიგზავნა? —  
თვალეზგაქვეტილი ფარნა ჯერ იაკობს  
ნიაჩერდა, მერე ბიძინას შეხედა.

— ჰო, რა გიკვირს? ასე დაგიბარა:  
ახლა ორბორტიანი კოსტუმია მოდაში  
და ისე შეიკერეო.

ფარნა იდგა და საკოსტუმე ნაჭერს  
ხელში ატრიალებდა. მის გარშემო ოქ-  
როყანელები შეგროვილიყვნენ. ყველა-  
ნი მუშტრის თვალით უშხერდნენ ნა-  
ჭერს, ხელში სინჯავდნენ და ამბობდ-  
ნენ. მართლა კარგი ნაჭერიაო.

### 3.

შიშკოვის საჩუქარზე შინ არაფერი  
უთქვამთ მარადოსა და ვახტანგს. მათ  
მოილაპარაკეს და ნანისაც უთხრეს,  
რომ გაბრიელთან კრინტი არ დაეძრათ,  
სანამ ხბოს ეზოში არ შეიყვანდნენ. ხბო  
კი ამ დროს საბარგო მატარებლით  
მოჰქროდა რუსეთის ტრამალებზე.

რამდენიმე ოდის შემდეგ ოქროყანე-  
ლებმა გორის საბარგო სადგურზე ვა-  
გონიდან პირდაპირ ავტომანქანაზე გად-  
მოიყვანეს ორი რეკორდსმენი ძროხა  
და შიშკოვის საჩუქარი ხბო. ძროხები  
ენუკოვოს კოლმეურნეობამ საჩუქრად  
მისცა ოქროყანის კოლმეურნეობას.

იმ დროს, როცა ფარნამ თავისი სა-  
ბარგო მანქანით სოფელში აიყვანა სა-  
ქონელი, გაბრიელი ოქროყანაში არ  
იყო. ეს სამი დღეა, მუზობელ სოფელში  
მიდის ხოლმე, იქვე, ოქროყანიდან ორ-  
სამ კილომეტრზე და თავის გარე ბიძა-  
შვილს ფიცრების რანდვაში ეხმარება.

ნოემბრის პირველ რიცხვებში მზი-  
ანი დღეები დაიჭირა. პაპა გაბრიელს  
მთელი დღე გარეთ ჰყავდა თავისი ერ-  
თადერთი ძროხა „ჭრელა“ და მისი ხბო  
„პატარა ჭრელა“. ხბო კი არა, თვითონ

ძროხა იყო მოზრდილი თბილედნა.  
უჯიშო ძროხა გამოადგაფიქრებულყოფი-  
და გაბრიელმა, უნაითრ, მტკიცეწიქნაწიქნა  
ჰქონდა, ორ ლიტრს ძლივს იწველიდა  
დღეში. უნდა გაეყიდოო, ხშირად უთქ-  
ვამს გაბრიელს და მალმალე დახედაუ-  
და იმ სურათს, რომელიც ზაფხულში  
ვახტანგმა ვენუკოვოდან ჩამოიტანა, რე-  
კორდსმენი ძროხა რომ იყო გამოსახუ-  
ლი. ფიქრობდა: ნუთუ მართლა არსე-  
ბობს ქვეყანაზე ასე დევეგმირული აღნა-  
გობის საქონელიო. არა სჯეროდა, არ  
უნახავს და რა ქნას.

იმ დღეს დიდი ამბავი იყო კოლმე-  
ურნეობის კანტორასთან. ფარნამ ხალ-  
ხით საცხე მოედანზე შეიყვანა მანქანა.  
მას უყვე ელოდნენ ოქროყანელები.  
ძროხები მანქანიდან გადმოიყვანეს,  
ხოლო შიშკოვის ხბო ფარნამ გაბრიე-  
ლის სახლისაკენ წაიყვანა. ხალხმა თვა-  
ლი გააყოლა ლამაზ ხბოს, რომელიც  
ქვეიანად იდგა მანქანაზე.

ძროხები ბრინჯაოსაგან ჩამოსხმუ-  
ლებს ჰგავდნენ.

— რა ჯიქნები აქეთ, შენი ჰირიმი!  
— იძახის ერთი კოლმეურნე.

— შეიდიათას ლიტრს იწველის  
თურმე. — ამბობს მეორე.

— მართლა! — გაკვირვებით თვა-  
ლებს აყვეტს მესამე და ხან აქედან უე-  
ლის ძროხებს, ხან იქიდან.

— ნაღებივით რძე აქვს, — ამბობენ  
ენუკოვოში ნაყოფები.

— ჩვენიც უნდა მოვაშენოთ, განა  
ჩვენ კი გვწყენს ამნაირი საქონელი!

— ჰოდა, ამა რუსმა მეგობრებმა იმი-  
ტომ გვაჩუქეს, რომ მოაშენეთო...

— მოდი, აბა, რამდენ ხანში ჩამოწ-  
ველი, ქეთო, — მიმართავს იაკობი სა-  
ქონლის ფერმაში მომუშავე მწველავს,  
რომელიც მთელ სოფელში განთქმუ-  
ლია თავისი ხელმარდობით: დღეში  
ათ ძროხას წველის.

— ამ ჯიქანს ხელით რა ჩამოცლის!  
— ამბობს ქეთო, — ერთ ორ კვირაში

ჯანს გაგვაცლიან ეს ძროხები. საქირია ელექტრომწველავეები, ხელით ვერაფერს გავხდებით.

სალამოს სოფელში დაბრუნებულმა გაბრიელმა გარეუბანშივე გაიგო რეკორდსმენი ძროხების ჩამოყვანა. შინისაკენ მიიჩქაროდა, მაგრამ უცხად შეცვალა გეზი, უნდა ვნახო, რა ძროხებია ისეთი, რომ ხალხი ასე გაუყვირებიათ. ნამდვილად ის ძროხები იქნებიან, ვახტანგის სურათში რომ არისო, მაგრამ იქ იმხელა ძროხებია — მოთბსა ჰგვანან. როგორ შეიძლება იმხელა ძროხები! ნამდვილად ჯადო ჰქონდა ფოტოაპარატს. ნანი და ვახტანგი კი მიმტყიებდნენ: რაც სინამდვილეშია, ის გადაიღო... ვნახოთ ერთი, „ქრელაზე“ რამდენად დიდები არიან. არა, ლაპარაკი არ უნდა, რომ „ქრელაზე“ დიდრონები იქნებიან. „ქრელა“ ყველაზე პატარა ძროხაა მთელ სოფელში.

ამ ფიქრებით იყო გართული ფერმისკენ მიმავალი გაბრიელი. წისქვილთან ორლობისაკენ გადაუხვია, მერე გორაკთან მოლზე გამოვიდა და ქვითყირით ნაგებ ფერმას მიადგა. ფერმაში ხალხი იყო. გაბრიელს გზა მისცეს. მან გაიარა შუა დარბაზი და ერთგან, სადაც ის ძროხები ება, შედგა, პირუტყვეებს მიაჩერდა. სულ დაევიწყდა, რასაც გზაში ფიქრობდა. თითქოს ვახტანგის სურათიდან გამოსულან — სწორედ ისინი არიან. ბავშვივით აღტაცებულმა გაბრიელმა ხალისიანად შესძახა ძროხებს:

— გიციანით, გიციანით!

...შინისაკენ ამჩატებული წავიდა. ფეხმარდი ვაჯაკი ვერ დაეწყო. სიხარულს დიდი რამ შეძლებია.

შე ჩაევიდა და აცივდა.

გაბრიელმა ქიშკარი შეაღო და უწინ საბძელს მიაშურა, რათა თავისი „ქრელა“ ენახა და შეედარებინა იმ დევგმირული აღნაგობის ძროხებთან, რომლებიც ეს-ეს არის, რაც ნახა, და მის გონებაში ისე არიან აღბეჭდილნი, როგორც ფოტოსურათში.

გაბრიელი საბძელში შევიდა ბნელადა. კრახს მოუვიდა ელექტრომწველა სინათლე „დიდ ქრელას“ მკობრულად არ მოეწონა, თვალში არ მოუვიდა ჩიტანის ძროხა, უარესად აითვალისწუნა, მერე „პატარა ქრელას“ შეხვდა და, როცა აქეთვე მოიხედა, უნებლიეთ თვალი შესასწრო მუქწაბლისფერ ხბოს. ჩომელიც თავისი ტანადობით „დიდ ქრელას“ უტოლდებოდა.

— ეს რა არის, ეს ვინ მოიყვანა?! — გაბრიელი ახლოს მივიდა, ხელი შეაელო ხბოს, ესაიმოვნა მისი ხავერდოვანი ბეწვი.

კრახს შუქზე კარგად ვერ შეხვდა, საბელი ახსნა და გარეთ გამოიყვანა. აქაც ბნელადა, მაშინ ხბო აიყვანა საბლის აივანზე, სადაც ელნათურა ჩახჩახებდა. და აქ დაუწყო თვალიერება ხბოს. ვერ მიხვდა, ვინ დაუბა საბძელში, რომელმა მადლიანმა კაცმა მოუყვანა ასე ლამაზი, ასე მოზრდილი, მოვლილი ხბო. ო, რა ძროხა დადგება! ო, რა საქონელი მოშენდება! ეს ნამდვილად იმ ძროხებს მოაყოლეს, — გაივლო გულში გაბრიელმა, — მაგრამ რაღა ჩემს საბძელში დააბეს?! ექვმაც კი გაურბინა მოხუცს. ხბოს დრუნწში მოკიდა ხელი, ჰკვიან თვალეში ჩახედა.

მოხუცი რომ ხბოს ათვალიერებდა და ეალურსებოდა, ამ დროს მარადო ნანი და ვახტანგი ოთახის ღია კარს მოადგნენ და ღიმილით უყურებდნენ გაბრიელს.

გაბრიელმა თვალი შესასწრო თავისიანებს.

— ესია ეს ხბო? — ჰკითხა მათ.

— შენია, პაპაჩემო, — მიუგო ვახტანგმა და მოხუცს მიუახლოვდა, — საჩუქრად გამოგიგზავნა ვნუკოვოს კოლმეურნეობის ყველაზე უხუცესმა წევრმა — კუშმა შიშკოვმა.

— მადლიანი კაცი ყოფილა, ათმაგად მეტი საჩუქარი გამომიგზავნა... ხბო, მერე რა ხბო! იცით, რა ძროხა დადგება? რეკორდსმენი, შედილიათასლიტრიანი!



— შენ კი არ გჯეროდა, რომ არსებობს ასეთი ძროხა. — ღიმილით მიმართა ნანიმ, — ფოტოაპარატს რაღაც ჯადო აქვს: ძროხა გაადიდა, ქალი კი არაო, — სიცილით დაუმატა ქალიშვილმა, — გახსოვს, პაპა გაბრძელ?

— მახსოვს, მახსოვს, შე კულრაპე. რატომ აქამდე არ მითხარით, რომ ასეთი კარგი საჩუქარი გამომიგზავნეს?

პაპა გაბრძელი ხბოს საბეღს ხელიდან არ უშვებდა. ტახტისავე წავიდა და ხბოც თან წაიყოლა. ჩამოჯდა.

ვახტანგმა ახლა დაწვრილებით უამბობო შიშოვზე და პაპას მისი წერილიც წაუკითხა:

„გამარჯობა, მოხუციო! ჩვენ, მართალია, ცალი ფეხი სამარეში გვიდგას და ახლა ვეცნობით ერთმანეთს, მაგრამ დაე ჩვენი მეგობრობა მაგალითი იყოს ჩვენი შვილებსათვის, შვილიშვილებისათვის, ჩვენი მოდგმისათვის. მე დიდად მადლობელი ვარ თქვენი საჩუქრით, და ჩემგანაც მიიღეთ, გახარდეთ, მშვიდობაში მოგახმაროთ.“

ხელს გართმევთ ვნუკოვოში ყველაზე მოხუცი კაცი კუზმა შიშოვი“.

4.

ფარნა დღიდანვე ქვასა და სილას ზიდავდა კულტურის სახლის მშენებლობაზე. ახლა, როცა კოლმეურნეებმა მოსავალი დააბინავეს, როცა მიწა მოხნეს და თესვა მოათავეს, ისინი სოფლის კეთილმოწყობას შეუდგნენ. დიდ-ბატარას სურდა რაიმე წვლილი შეეტანა კულტურის სახლის აგებაში.

აქეთ-იქით გამალებით დაქროდა ფარნას მანქანა. ხან მშენებლობის ადგილზე იყო, ხან ქვის კარიერაზე, ხან მდინარესთან სილით იტვირთებოდა.

გამალებით იჭრებოდა საძირკველი და იქვე ხვავდებოდა სადულაბე მასალა.

ფარნა დღეს ხალამოს გორში უნდა

ყოფილიყო. მიტიას მიერ გამოგზავნილი საკოსტუმე ნაჭერი უნდა დიდხანს არ გაუჩერებია, მეორე დღე უნდა ჩოყანელი მეზობლების რჩევით, გორში ერთ სახელგანთქმულ მკერავს ჩაუტანა. მას აქეთ ორჯერ გაისინჯა, და აი, მკერავმა უთხრა, შაბათს მზად იქნება, მოდი და წაიღეთ.

შაბათიც მიიწურა. მზე ჩავიდა. ფარნას, რაღაც უნდა დაუჯდეს, ერთ-ორ საათში გორში უნდა იყოს. ხვალ კვირაა, ქალაქში დარჩება, სურათსაც გადაიღებს, რომ მიტიას გაუგზავნოს.

ახალ კოსტუმს რომ ჩაიცვამს და ისე გამოპრანჭული ამოვა ოქროყანაში, მარი როგორ შეხვდება! იმ დღეს შემდეგ ფარნა აღარც კი გაპყარებია ფოსტას. დაწვრილებით უამბეს, რაც იქ ჩაუდენია მაშინ, რაღაც „ქიაზე“, „გულში შემორჩენილ ქიაზე“ უთხრეს, მაროს რაღაც „ქიაზე“ ეუბნებოდნო, ვერაინ მითხვდა, რა ქიაზე ამბობდა მაშინ.

ახალ კოსტუმს ახალი ტუფლი უნდა, ახალი პალტო და ქუდი, ბარემ თუ გამოწყობაა გამოწყობა იყოს, ფული აქვს, ჩავა გორში ხვალვე იყიდის ყველაფერს.

ფარნა გორისკენ მიჭროდა სხვისი საბარგო მანქანით. აფსუს ის „ოპელი“! მოშლილი იყო, თუ რაც იყო, მაინც კარგ სამსახურს უწყევდა ფარნას. ახლა მაინც როგორ გამოადგებოდა!

ფარნას ერთადერთი და გორში ჰყავდა გათხოვილი. სანამ მასთან მივიდოდა, ჯერ მკერავთან შეიარა. მკერავი დაბალი, მელოტი კაცი იყო.

— მზად არის, ოსტატო? — ჰკითხა მისვლისთანავე.

— მზადაა — მიუგო მკერავმა და კარადიდან ახალთახალი კოსტუმე ჩამოუღო.

ფარნამ სწრაფად გაიხადა პალტო, ბველი პიჯაკი და თვალის დახამამე-

ბაზე ჩაიკვა ახალი. სარკესთან მივიდა. თვალს არ დაუჯერა, რაც იქ დაინახა: ვიღაც ლახათიანად გამოპრანჭულ, ტანში გამოკვართულ ახალგაზრდა კაცის მხრებზე მხოლოდ და მხოლოდ თავისი ქერა თავი იცნო.

— ამნაირი კოსტუმი! — დაიწყო ქება მკერავმა და ფარნასაც ეს უნდოდა, სიხარულით ხტოდა მისი გული.

— მშვიდობაში, ბედნიერებაში. — დალოცა მკერავმა, — ლხინში და ქორწილში, ეს ძველი და სხვა ახალი!

— გმადლობთ, გმადლობთ! — ლულულღებდა თვალებგაბრწყინებული ფარნა.

მეორე დღეს და წაიყოლა და, რაც კი რამ ეწადა, იყიდა. ფოტოგრაფთანაც მივიდა. ერთი საათი თავისი აბრეხილი ქოჩორის სწორებას მოუნდა, ვერა და ვერ გაისწორა. ბოლოს ფოტოგრაფმა დაამშვიდა: მაგ ქოჩორს ისე გამოვიყვან, რომ შენ თვითონ გაგიკვირდესო. ფარნამ სურათი გადაიღო.

სალამოს ოქროყანაში ჩავიდა. სოფელში ბევრი ნაცნობი შეხვდა, მაგრამ მათ ვერ იცნეს ფარნა. შოფერი ფოსტაში შევიდა. მარომაც ვერ იცნო, მაგრამ, როცა დააკვირდა, ერთი შესძახა: „შენ რა გითხრა, ფარნაო“, და წამოხტა, აქეთ-იქით შეატრიალ-შემოატრიალა ყმაწვილკაცი.

— აი, ახლა სასიძოდ არვინ დაგიწუნებს! — უთხრა მარამ სიცილით.

— საქმროდ? — ეშმაკურად მოწრუბა ფარნამ თვალები.

— არც საქმროდ.

„ნეტამც“ — გულში გაივლო ფარნამ და სასოებით შეხედა მაროს.

...მეორე დღიდან უფრო ხალისიანად დააქროლებდა თავის საბარგო მანქანას ფარნა, ყველაფერს ზიდავდა: ქვას, აგურს, ხე-ტყეს, ქვიშას და კირს, დააქროლებდა მანქანას და თან ოცნებობდა იმ დღეზე, როცა კულტურის სახლს ხარამოს შემოხსნიდნენ და მის ნათელ დარბაზში ოქროყანელებთან ერთად

თავის ახალ კოსტუმში გამოპრანჭული გამოჩნდებოდა მარუსეთის ქუჩაზე. იმ დღისათვის ალბათ ვნახავდით კაპოვლენ. რასაკვირველია, ჩამოვლენ და თან მიტიაც მოჰყვება მათ. ფარნა თვალს შეასწრებს, იცნობს მაშინვე, თვალი უკვე შეაჩვია მის ფოტოსურათს.

— ზღაროვა, ბრატ!.. — რუსულად იცის ფარნამ. ამ სიტყვებით შეხვდება მიტიას და მშურადაც გადაეხვევა.

ო, რა დღე იქნება ის დღე! ფრთები რომ ჰქონოდა მანქანას. ფარნა უფრო მალე მიზიდავდა, რაც რომ მისახიდი იყო მშენებლობის ადგილზე.

## 5.

იმ დღეს, როცა შენობის საძირკველი ჩაყარეს, იაკობმა და ბიძინამ დეპენა გაუგზავნეს ვნუკოველებს, შულგინსა და ვასილენკოს ატყობინებდნენ მშენებლობის დაწყებას.

ოქროყანის თავკაცები ფოსტიდან გამოვიდნენ და სოფლის მოედნისაკენ გასწიეს. ამ დროს ნანიმ და ვახტანგმა სწრაფი ნაბიჯით გამოიარეს სკოლიდან მომავალი შუკა და ისინიც მოედანზე გამოჩნდნენ.

ბიძინამ და იაკობმა თვალი მიაცილეს წყვილს.

— რა ვიცოდი, რომ მათ ერთმანეთი ეყვარებოდათ. — თქვა ნახევარხმით იაკობმა და ბიძინას შეხედა, — მიხარია, რომ ასე მოხდა, უკეთესია, უფრო ლამაზია, უფრო სასიხარულო.

— ერთი რამ უნდა გკითხო, იაკობ, — მიმართა ბიძინამ და შეჩერდა, — შენ ხომ ძლიერ გიყვარდა მარადო... აგერ ოცდასამი წელია სულ ამ ქალზე ოცნებობ... ნუ თუ ახლა თქვენი შვილების სიყვარულმა ისე გაგახარათ, ისე დაგავიწყათ ყველაფერი, რომ გულში თქვენი გრძნობის ნატამალიც აღარ დარჩა? იქნებ მართლა დაივიწყე ყველაფერი?



— შენ როგორ გგონია, ბიძინა, შენ როგორ ფიქრობ მაინც?

— მე ისე ვფიქრობ, რომ... შენ კიდევ გიყვარს მარადო... მართალი ვარ, თუ არა?

— მიყვარს, მიყვარს, მაგრამ... ეს სიყვარული ჩემში რჩება, მანამდე, სანამ ცოცხალი ვარ... შეიღების გულისთვის მე შემოდლია საკუთარი ტანჯვა ავიტანო... დაე მათ გაიხარონ, ჩვენ ზომ მათთვის ვცოცხლობთ, დაე მომავალმა გაიმარჯვოს... შენ როგორ მოიქცეოდი ჩემს ადგილზე?

— ისევე როგორც შენ მოიქეცი... ო, დიდი, ძალზე დიდი ბოროტი კაცი უნდა ყოფილიყავ, რომ პირადი ბედნიერებისათვის ჩაგეშალა სიყვარული... იცი, ეს სიყვარული რა არის? ისინი ისეთ ასაკში არიან, როცა სისხლი მთე-

ლი ძალით უჩქეფთ, როცა ყველაფერი ახარებთ და ერთმანეთს მთელს უბრალებით ეტრფიან, უერთმანეთოდ ციციყცულე ვერ წარმოუდგენიათ და ყოველგვარ ბედნიერებას ერთმანეთის თვალებში კითხულობენ...

როცა ისინი შშენებლობის ადგილს მიუახლოვდნენ, მათ მომადლოზე ნანი და ვახტანგი დაინახეს. ვახტანგი რალაცას უხსნიდა ნანის, ნანი კი გაბრწყინებული თვალებით დაჰყურებდა საძირკველს, სადაც უკვე ასბამდნენ მეგობრობის, ძმობისა და სიყვარულის სამარადისო მონუმენტის დულაბს.

ბიძინამ და იაკობმა მარადოც დაინახეს. ქალი ერთხანს ნანის და ვახტანგს შეჰყურებდა, შემდეგ მან იაკობისაკენ გამოიხედა და გაიღიმა.



## მადხაზის სურათი



აუსრულდა მზეკაბუკს  
დიდი ხნისა ნატვრანი  
და აფხაზეთს ესტუმრა  
ახალგაზრდა მხატვარი.  
ნახა მზარე ქცეული  
ედემად და ბაღადა,  
განა სოფელს დახატულს,  
ხელმეორედ დაბატავ?  
აქ ზღაპარი ცოცხლდება,  
ძირს ჩამოსვლას ცდილობს მზე;  
განა დაიხატება  
აფხაზეთი ტილოზე?  
ნახა შრომის დულილი,  
(ლექსში რომ ვერ იქება.)  
თოხს ასი წლის მალხაზი,  
როგორ მარჯვედ იქნევდა.  
ეს მზესავსე ცხოვრების  
დიდებაზე ლაღადებს;  
გადაწყვიტა მხატვარმა,  
რომ მალხაზი დახატოს.  
დიდხანს ხატა მოხუცის  
ვაჟაკური მხარბეკი,

ერთმანეთზე საოცრად  
გადაბმული წარბები.  
დიდხანს ხატა წერილ წელზე  
შემოწყობილ ხელებით,  
დათოვლილი თმებით და  
მკერდს დაფენილ წვერებით.  
და დახატა სურათი  
ბედნიერი აფხაზის:  
თავის ოდა-სახლის წინ  
დგას ასი წლის მალხაზი,  
დგას შეჩოხა-გახსნილი,  
ლიმილგადაფენილი;  
თეთრ წვერებში უბრწყინავს  
სახე უკვდავ ლენინის.  
ნახულობდნენ და მხატვარს  
ულოცავდნენ მარჯვენას,  
მზეკაბუკმა სურათი  
როს მალხაზსაც აჩვენა,  
ტყბილად უთხრა მალხაზმა:  
«შენი გული აყვავდეს,  
გავეგზავნი ამ სურათს  
ამ ცხოვრების დამხატველს».

## სალამო გლვისკირა სოფელში



მზემ პირველად ჩაიხედა მთიდან ზღვაში.  
არემარე გამზისფერდა;  
ჩამავალი მზის სხივები დასთამაშებს  
ჩემს ტყბილ სოფელ ვაზისდედას.



მოლოვლივე ზღვა შეღება სისხლისფერად  
ოქროს სხივთა დახვევებამ.  
მზის ბრძანებით, ცხრავე კარი ცის იღება,  
დედამიწა რა ზღაპრულად გახავერდდა.

ხეთა ჩრდილნი როგორ სწრაფად იზრდებიან,  
ეს მერცხლების გუნდებია,  
და გლეხები კოლექტივის მიმდევრებიდან  
„პობედებით“ ბრუნდებიან.

ზღვა გულაღმა გაწოლილა,  
მიდის ტალღა და, გგონია, მზეში შეევა.  
ძროხა მოჰყავს საძოვრიდან  
მეზობელს ლამაზ გოგოს, ფეხშიშველას.

მწყემსნი დაკვრას სალამურზე ამთავრებენ  
და ცხვრის ფარებს მიდენიან;  
გეგონება: მწვანე მთებზე „მასპინძლოს“ იძახის.  
თეთრი ცხვარი იმდენია.

ცას სილურჯე დაუგია დაბლა ნოხად,  
სდებს თოხსა და მამა აღებს ნულა კარებს;  
ნალიასთან დედაჩემი წველის ძროხას  
და ბოჩოლას ორი ბიჭი ვერ აკავენს.

ჩვენს ჭიშკართან ვილაც მოდგა; ველარ ბედავს  
შემოვიდეს და გარედან „მასპინძლო“ იძახის.  
„მობრძანდითო“, — ჭიშკრისაკენ მიდის დედა,  
ყუფით გარბის წინ ძალღი.

„იქით ძაღლო“, — და დედა ქვეს ეტანება,  
„ბიჭო, ჯოხი მომეციო“, ეძახის, —  
„შემობრძანდით სახლში, ჩემო ბატონო,  
„მოდი, ბიჭო, მომავორე ეს ძაღლი“.

კერიანზე შუა ცეცხლი ავიზგიზდა,  
გარეთ ხბოსთან თამაშობენ ბაღლები;  
„მო, წაბლაო“, — ვილაც ძროხას უძახის და  
სადღაც ყუფენ ძაღლები.

ბიჭებს გოგო გაუხმიათ განზე და  
იციინიან ჩამავალ მზის ღიმილში;  
მზეც ჩავიდა და სოფელში გამხვედა  
ნათურები ილიჩის.



• • •

წვიმას ნატრობს ნაკადული ჩქარი,  
 დრო კი, როგორც ნაკადული, ჩქარობს,  
 მე აფხაზურ ლექსებს გიწერ ღამით  
 მხოლოდ შენ ერთს,  
 თბილისელო ქალო!

გული მარად შენთან ყოფნას ჩემობს,  
 მე შენს ღიმილს ვეღარ გადავურჩი.  
 მახსოვს, აქ რომ მომიტანე, ჩემო,  
 ყაყაჩონი — წითელი და ლურჯი.

გულს ახარებს შენი შავი თვალი,  
 თვალს ახარებს შენი წრფელი გული.  
 ღამაში ხარ,  
 ხარ უბრალო ქალი,  
 სპეტაკია ჩვენი სიყვარული.

ჩვენ მიჯნურებს გვექაზიან მარად,  
 ფრთებიცა გვაქვს, ბრწყინვალეა ზეცა.  
 და მშობლები როცა მწერენ ბარათს,  
 გულთბილ სალამს გიგზავნიან შენცა.

**თარგმანი აფხაზურიდან 3. ჯამაზაძისა.**



## გაგაფხუღი



### I

მზეო, მოსულხარ ვარდისფერ კაბით,  
წყაროსთან პირი დაგიბანია,  
თვალს ვერ აშორებ გაზაფხულს  
წამით  
და მთებში შენი აივანია.

კაბის კალთები თუ გადმოშალე —  
დაგიბნევია მინდვრად ბაია,  
იქნებ შენ ნახო სადმე შროშანა,  
ჩემი ოცნება რომ აბარია.

მომეფინება სიამე ჩრდილთა,  
ვიგრძნობ — გაზაფხულს გული რომ  
უცემს,  
მწვანე ქალებში ვიმღერო მინდა,  
არ გამიწყვიტოს სიმღერა უცებ.

იქნებ შენ მითხრა მისი ამბავი,  
გიცქერ, იმედით გული მიღელავს;  
სივრცე ირწევა, როგორც აქვანი,  
და შიგ იზრდება ჩემი სიმღერა.

### II

ლანქერი მოაქვთ ტალღებს  
მთებიდან  
და მზე გაწვრილებს აპყვა  
მთებისკენ,  
ყვავილი ათოვს ბავშვს ატმებიდან,  
გაზაფხულია,  
გაზაფხულია...  
დე, გაზაფხულმა, ბავშვს რომ  
უხარის  
სულ იმისთანა კარგი დღე მისცეს...

იფიქრებს —

წიგნში ჩაეაწყობ ყვავილს  
და გავახარებ ტოლებს იითა,  
მივა სკოლაში პატარა ქალი  
და გაზაფხულის სურნელს მიიტანს.

### III

ამღერებულა პატარა ღელე,  
სოფლად მდინარეს რომ ეძახიან.  
— შეხედე, ბიჭო, —  
ბავშვს ეტყვის პაპა,  
— აი, ის ჩიტი ხომ მერცხალია!

აბრისს პირველად მოხუცი  
იგრძნობს,  
კვირტებს უსინჯავს ალუბლებს  
ბაღში,  
წყალს კალაპოტი არ ყოფნის  
ვიწრო,  
როგორც შარშანდელ პერანგში  
ბავშვი —

ველარ ეტევა  
და ველს ეღება...

მოხუცი იტყვის:  
— რა ამინდია,  
მგონია, მხრებზე ნისლი მშორდება,  
მისთვის დღეები კი არ მიდიან,  
მეორდება იან მწვანე ფოთლებად.

გაზაფხულის თოვლს გაუწვდის  
ხელებს,  
ბაღში სხივია და მერცხალია,  
ამღერებულა პატარა ღელე,  
სოფლად მდინარეს რომ ეძახიან.

## IV

მთებზე ნათდება აპრილის დილა,  
 ია და ვარდი,  
 ვარდი და ია...  
 მდინარეს ზღვისკენ ყვაევილი  
 მიაქვს

და ტალღებივით ხმარობს ველი,  
 ასეთი რაშე არ გამოგია —  
 ჩუმად ვარ,  
 მაინც მგონია ვმღერი.

ცისარტყელებით ივსება ფიქრი,  
 გაზაფხულივით მალღდება ცამდე.

მსურს გადავიდე ქედების იქით.  
 ნაკადულივით მოგდებნა ხადვეს  
 მინდორში

მიაშრიალებს ქარი ჭადრიანს.  
 შორიდან მესმის სიმღერა მიაი,  
 ვით გუთნისდედა დილაადრიან —  
 ველიდან ისე წამოდგა ნისლი.

მეზიდებიან მაღლა ვერხვები,  
 არწევენ მხრებს, რომ სხივი დამეცეს,  
 აპრილს ვაზივით შემოვებევი  
 და გაზაფხულში შენს ღიმილს დავეძებ.



## ბაბუა და შვილიშვილი



სალამოა, მალღობს აჰყვა სიო გრილი,  
აჰყვა ფრთხილად, მწვანე ფოთლებს ჩაურბინა  
აქ, ეზოში, ბაბუა და შვილიშვილი,  
საუბრობენ ტოტებგაშლილ კაკლის ძირას.

ამ ბერიკაცს უყვარს ეს ხე, მისი ჩრდილი,  
უყვარს, უვლის, უაღერსებს მისივე დარგულს  
და კაკლის ხეც ოდნავ გვერდზე გადახრილი,  
ტოტის რხევით ეუბნება მოხუცს დასტურს.

გაზაფხულის ის ერთი დღე ახსოვს კარგად,  
როს ყმაწვილმა მიწას მკვირცხლად დაჰკრა ბარი,  
ეს კაკლის ხე სწორედ მაშინ ფრთხილად დარგო,  
იქვე იდგა მისი ბაბუ მომღიმარი.

იქვე იდგა და ლოცავდა გულით ყმაწვილს,  
ახლაც ახსოვს ის სიტყვები შაქრად თქმული,  
„მოესწარო, შვილო, მის ჩრდილს ფართოდ გაშლილს,  
გენახოსო ბევრი, ბევრი გაზაფხული“.

გუშინ სწორედ ამ ეზოში, ამ ხის ახლო,  
ამ პატარა, თმაქოჩორა შვილიშვილმა,  
დაჰკრა ბარი, ლორთქო ნერგი ფრთხილად დარგო,  
ბერიკაცმა შეხედა და გაიღიმა.

მოგონებამ შეარხია კაცის გული,  
ზე წამოდგა, მოუარა კაკლის ხეს და, —  
გახსნა შუბლი ფართო, მაგრამ დაღარული,  
და შვილიშვილს მადლიერად გადახედა.



## გ უ ლ ი \*



## თავი მცამეტე

იმ დილით დიეზისის "შტაბში" ნამდვილი ქარიშხალი დატრიალდა. მაიორ ტილდენის დასმენა მოვიდა უფროსთან და სამინელი არეუ-დარეუა გამოიწვია. გენერალი გროული მოხსნეს დიეზისის შეთაურის თანამდებობიდან. დასმენა იმდენად დასაბუთებული და დამაჯერებელი იყო, რომ არმიის შტაბში წუთითაც კი ეჭვი არ შეპარვიათ მის სინამდვილეში. იმავე დროს გამუდმებულმა თვითრეკლამამ ცოტა მოშურნენი და მტრები როდი შესძინა გენერალ გროულის.

ტილდენის მასალების მიხედვით, მდგომარეობა დიეზისასა და ქალაქში იმდენად რთული იყო, რომ ის დაუყოვნებლივ და გადამწყვეტ მოქმედებას მოითხოვდა. ამიტომ დიეზისის შეთაურად დანიშნეს გენერალი კონვეი. მას არაფრით არ გაუტყუამს სახელი ომში, მაგრამ ცნობილი იყო, როგორც ერთერთი თვალსაჩინო სპეციალისტი „კომუნისტური საფრთხის“ წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავდაპირველად იგი მიაგლინეს არმიასთან, როგორც გენერალური შტაბის წარმომადგენელი, მაგრამ სულ მალე გამოიჩინა, რომ ამ გენერალს სამხედრო საქმეები სულ არ აინტერესებდა. მან ერთხანს დაპყრო თავის პოსტზე ისე, რომ თითქმის არაფერი გაუცუთებია. მერე კი ხელი მიპყრო ევროპაში „კომუნისტური სენის გადამდები მო-

ნაცემების“ ფაბრიკაციას და წარმოადგინა, რომ ეს იყო სწორედ ის ყანა, რომლიდან მას უნდა მოემკა მოსავალი.

მან მთელი რიგი ისეთი დასმენა მისწერა გენერალურ შტაბს, რომელიც ძალიან ემსგავსებოდა გებელსის ანტიკომუნისტურ ნაჯღაბნებს. გენერალმა კონვეიმ იცოდა ამ მსგავსების შესახებ, მაგრამ ამით არაფრითარ უზერხულობას არ გრძნობდა. პირიქით, კონვეი დარწმუნებული იყო, რომ გებელსისებური პროპაგანდა ძალიან მალე გამოადგებოდა ამერიკულ პოლიტიკას.

კონვეის დასმენებს ყურადღება მიუქცევს. დაწერილებით გაეცვენენ მის ბიოგრაფიას. გენერალი დაიბადა სამხრეთის ერთ-ერთ შტატში და თავის დროზე სამშობლოში განთქმული იყო, როგორც ლინჩის რამდენიმე სამსჯავროს ორგანიზატორი. უფროსების თვალში ეს მეტად საიმედო დახასიათება იყო. ამის შემდეგ კონვეიმ კომუნისტსა და „წითელ საფრთხესთან“ ბრძოლის საკითხების სპეციალისტის რეპუტაციაც მოიხვეჭა გენერალურ შტაბში.

ტილდენის დასმენა ხელში ჩაუვარდა კონვეის, რომელმაც ყველაზე მეტად მოაზერბა შეეფასებინა ამ ქალაქის დროულობა და მნიშვნელობა.

კონვეიმ მოხსენება გაუკეთა თავის უფროსს „ლიბერალი გროულის“ მოღვაწეობის შესახებ და ყველაფერი ისე მოხერხებულად გააშუქა, რომ შტაბში

\* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 3.

წუთითაც არ შეყოყმანებულან, როცა გროული ვათაფისუფლეს დივიზიის მეთაურის თანამდებობიდან.

გენერალ გროულის მოხსნა მაინც უფრო ადვილი იყო, ვიდრე დივიზიის მეთაურად მოხვედრა, ამიტომ კონვეის დამატებითი მუშაობის ჩატარება მოუხდა იმისათვის, რომ არჩევანი სწორედ მასზე შეჩერებულყო. დივიზიის მდგომარეობის დახასიათებისას საქმე იმგვარად დახატა, რომ ამ დივიზიის მეთაურობა ამერიიდან შეეძლო მხოლოდ კომუნისტებისა და მათი გავლენის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდად დახლოვებულ კაცს. ამ აზრს ადვილად მიხვდნენ უფროსები და კონვეი-მაც მიიღო დანიშნვა.

გენერალი კონვეი დივიზიაში ჩავიდა იგი მისაღებ ოთახში შევიდა და იკითხა: „სად იმყოფება დივიზიის ყოფილი მეთაური გენერალი გროული?“ მორიგე უმაღლე აღლო აულო და მიუგო — ყოფილი მეთაური თავის ყოფილ კაბინეტში გახლავთო.

კონვეის ნებართვა არც კი უთხოვია, პირდაპირ შევიდა კაბინეტში და გამოავლო იქიდან ოფიცერი, რომელიც რაღაც მოხსენებას უკეთებდა გენერალს. მთელი საათის განმავლობაში კაბინეტიდან მოისმოდა ყვირილი. გენერალი კონვეი გენერალ გროულის აცნობდა თავის მოსაზრებას აისბორნში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

კონვეიმ პირდაპირ მიწასთან გაასწორა გროული. დივიზიის ყოფილი მეთაური მართლაც საკმაოდ საცოდავად გამოიყურებოდა იმ მომენტში, როცა მაიორ ტილდენს გამოუძახეს კაბინეტში.

— თქვენ დაშლამდე მიიყვანეთ დივიზია, — უყვიროდა გროულის გენერალი კონვეი. — თქვენ პასუხისმგებელი ხართ იმ ძეგლის გამო, რომელიც ახლა კისტონში აქვს გაჩხიბული მთელს ამერიკის არმიას. თქვენ ვერ შეამჩ-

ნიეთ, რომ თქვენს ცხვირის წინ მუშაობენ კომუნისტები. თქვენ დატყვევდით ამბავი, რომ პოლკებში უკვე დაიბრუნებენ კომუნისტური ფურცლები. თქვენ ვერაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ მოგესპოთ ეს ძეგლი, თქვენ...

სწორედ ამ წუთს კონვეიმ შენიშნა შემოსული მაიორი ტილდენი და მივარდა მას. ყველაფერი გაუხსენა: არცოდნა იმისა, თუ რა ძეგლი უნდა გაეხსნათ მოედანზე, სუსტი ბრძოლა კომუნისტებისა და კომუნისტური პროპაგანდის წინააღმდეგ, და მრავალი სხვა.

— თქვენ რამდენადმე გამოისყიდეთ თქვენი ცოდვები ამერიკის წინაშე, — განაცხადა გენერალმა, — მაგრამ ვერ კიდევ საუხებით ვერა. ვალდებული ხართ, გამოასწოროთ თქვენი შეცდომები; თქვენ უცებ უნდა აღმომოიჩინოთ დახმარება და იხსნათ ჩვენი დივიზია.

გენერალი გროული მიხვდა, თუ რა გზით გამოისყიდა თავისი ცოდვები მაიორმა, და გაავლდებოდა გადაიხედა მისკენ, მაგრამ ტილდენმა თავისი ყურადღების ღირსადაც არ ჩათვალა იგი.

— თქვენ კი, გენერალო გროულ, — განაგრძობდა ყვირილს კონვეი, — ნაბრძანები გაქვთ, დაუყოვნებლივ გაემგზავროთ არმიის სარდალთან. ექვი არ მუშაობს, რომ შტატებში გადაგავხაენით, იქ გაერკვევიან თქვენს საქციელში. ძალიან ვწუხვართ, რომ თქვენ ვერ დაინახავეთ იმას, თუ როგორ ვიმოქმედებ მე აქ. მშვიდობით, გენერალო გროულ!

ასე დასრულდა გენერალ გროულის საბრძოლო კარიერა. იგი სასწრაფოდ შეუდგა დივიზიის საქმეების გადაბარებას და გახდა მოწმე იმისა, თუ როგორ დაიწყო გენერალმა კონვეიმ თავისი მეთაურობა:

უწინარეს ყოვლისა კონვეიმ დივიზიიდან გააყარა კორესპონდენტები.

— მე თავისუფლად მინდა ვიმოქმედო, კორესპონდენტები ხელს მიშლიან.



— განაცხადა მან და პრესის ექვსივე წარმომადგენელმა ნახევარ საათში დეტალურად შტაბი.

გენერალ კონვეის ახლა უკვე აღარ ეშინოდა, რომ ვინმე რამეს ეტყოდა მისი მოქმედების შესახებ, და „რკინის წესრიგის“ დამყარებას შეუდგა.

ყველაზე უფრო აინტერესებდა ლენინის ძეგლი და ამერიკელ ჯარისკაცებში ნაპოვნი ფურცლები.

— ვინ დადგა ძეგლი? — იკითხა გენერალმა.

ამაზე ტილდენს შეეძლო სავსებით ამომწურავი პასუხის გაცემა. პირველი მაგისტრატის წევრთა სია დიდი ხანია უკვე მზად ჰქონდა. იოჰან ვურსტმა წინდახედულად დაამზადა ის.

— ეტყობა, ეს ძალიან სასარგებლო კაცი უნდა იყოს, — თქვა კონვეიმ. როცა ვურსტის ამბავი მოისმინა, — გამოუძახეთ აქ!

ვურსტი დაუყოვნებლივ გამოცხადდა. იგი პირველ შეხვედრისთანავე მიხვდა, რაც იქ მოხდა. უამბო იატაკქვეშელთა მუშაობის შესახებ, თან ზრდილობიანად, მაგრამ მტკიცედ განაცხადა: ჩემს სიაში მოხსენებული პირები დაუყოვნებლივ დაპატიმრებული უნდა იქნენ.

— ამ გერმანელისაგან მაინც გასწავლათ. — შენიშნა კონვეიმ გენერალ გროულს.

კონვეიმ დაწვრილებით გამოკითხვა დაუწყო ვურსტს. გაიგო მთელი ის მდგომარეობა, რაც დაკავშირებული იყო ძეგლთან: ბატონ ტრუქესა და მის წარუმატებელ ძიებათა შესახებ. იმ აღმანიების შესახებაც, რომლებიც ძეგლს ინახავდნენ და, რომლებმაც მოაშზადეს მისი გახსნა.

— თქვენი აზრით, ვინ უშვებს ფურცლებს? — ჩაიციებით ეკითხებოდა კონვეი.

— ალბათ ისინი, ვინც ძეგლი დადგა! — ღრმამზროვნად შენიშნა ვურსტმა.

— ეს ლოგიკურია, — წამოითქვა კონვეიმ და ჩაფიქრდა. დაურევთ ბრძანება. ახლა უნდა დეტალურ რბულ იქნენ ყველანი, ამ სიის მიხედვით. თქვენ თავისუფალი ბრძანდებით. — უთხრა მან ვურსტს, — განაგრძეთ მუშაობა, როცა საჭირო იქნებით, მე თვითონ აამოგიძახებთ.

ტილდენმა გენერლის ბრძანება გადასცა და კაბინეტში დაბრუნდა. კონვეიმ ახალი შეკითხვა მიაგება:

— აქამდე რატომ არ მოხსენით ძეგლი? რატომ აძლევთ ნებას ამერიკელ ჯარისკაცებს შეხედონ მას?

— აქ საქმე ცოტა უფრო რთულად გახლავთ, — ფრთხილად მიუგო ტილდენმა, რადგან ეშინოდა გენერლის მრისხანება არ გამოეწვია. — აქ იმყოფება საბჭოთა ოფიცერი, მან განაცხადა, რომ ძეგლი ეკუთვნის საბჭოთა კავშირს. ამიტომ მისი მოხსნა არც ისე ადვილი საქმეა.

გენერალ კონვეის მშფოთვარე მოღვაწეობაში პირველად მოხდა შეფერხება.

— დასწყევლოს ეშმაკმა! — წამოიყვირა მან. — გამოუძახეთ ჩემთან იმ ოფიცერს. მე თვითონ მივინდა მასთან მოლაპარაკება.

ტილდენმა ტელეფონით დაურეკა. ლეიტენანტმა კოროლევა უპასუხა, — მზად ვარ წამოსასვლელად.

გენერალი კონვეი კი განაგრძობდა დაკითხვას.

— სად აღმოჩნდა ფურცლები? — იკითხა მან.

— თითქმის ყველა პოლკში, ბატალიონსა და ასეულში, — შემპარავად მიუგო მაიორმა ტილდენმა.

— რაო? — კონვეი საეარძელში შეხტა. — ეს ნიშნავს იმას, რომ მთელი დივიზია უკვე მოწამლულია. გესმით თუ არა, რა ჩაიდინეთ თქვენ? გენერალი გროულს, არა გაქვთ სახარბიელო მდგომარეობა!



გენერალი გროული ისე საცოდავად იჯდა საფარქელში, რომ მისი შეხედვა მართლაც სასიამოვნო იყო.

ამასობაში შტაბის მორიგემ მოახსენა, კოროლევი მოვიდაო. მთორი ტილდენი მისაღებ ოთახში გავიდა, რათა პირადად მოეწვია ლეიტენანტი.

საკმარისი იყო გროულისა და სხვა ოფიცრებზე ერთი თვალის გადავლება, რომ ყველაფერი ნათლად წარმოედგინა. კოროლევი დაინახა ორმოცდობითიოდ წლის ასაკის — გენერალ გროულის დაკიმული სახე. გრძელი ცხვირი, გამობურცული ტუჩები და ჩავარდნილი თვალები მგლის გამომეტყველებას აძლევდა მას. მგელთან მის მსგავსებას უფრო აძლიერებდა მისი უკან გადასლექილი მორუხო-ქალარა თმა.

ლეიტენანტი განსაკუთრებით დაინტერესდა გენერლის თვალებში. მას ჰქონდა მუქი თაფლისფერი პატარა თვალები, რომლებზეც სანახევროდ ჩამოფარებოდა გამოხუნებული მეჩხერი წამწამები. იგი გამოიყურებოდა გადაარაჯებით, ღვარძლიანად, გეგონებოდათ, თითქოს კონვეი იჯდა საფარში და მოელოდა იმ წამს, როცა შეეძლებოდა წამოხტომა ნადავლზე თავდასახმელად.

ლეიტენანტი მიხვდა, რომ მისი საქმე მნიშვნელოვნად გართულდა.

კოროლევი მშვიდად ათვალერებდა გენერალს და ეჩვენებოდა, რომ გენერლის გესლიან, ბრანზმორეულ და არასასიამოვნო თვალბში ზოგჯერ დაბნეული გამომეტყველება ისახებოდა. „თუმცა ძალიან ცდილობს შეინარჩუნოს სრული სიმშვიდე, მაგრამ ეს გენერალიც არაა დარწმუნებული თავის ძალაში“, — გაიფიქრა კოროლევი.

გენერალი კონვეიც ასევე ჩუმად ათვალერებდა პირველ საბჭოთა ოფიცერს, რომელსაც იგი შეხვდა. მერე კოროლევის შეეკითხა: როგორ მოეწყვეთ ჩვენს შტაბშიო; ზოგი რამ საქ-

მეების შესახებაც იკითხა. შეკითხვებს მიცემისას განუწყვეტლივ პირდაპირ თვალბში შესცქეროდა, თანქონს ცდილობდა ამოეკითხა ლეიტენანტის შესახებ. ლეიტენანტი თვალს არ აშორებდა, გენერალი კი რამდენადმე უხერხულადაც კი გრძნობდა თავს მისი მშვიდი შავი თვალების, ამ ჩაფიქრებული და დაკვირვებული მზერის გამომეტყველების გამო.

— ძალიან მესიამოვნა თქვენი გაცნობა, — უთხრა გენერალმა, — გთხოვთ ცოტა შეიცადოთ აქ, ვიდრე განუთავისუფლდები. თქვენთან ერთად ცოტა ხანს მიინდა გავისეირნო ქალაქის მოედანზე დადგმული ძეგლისკენ. იმედი მაქვს, სხვაზე უფრო, ვინც არ უნდა იყოს ის, თქვენ შეძლებთ დაწვრილებით მიამბოთ ყველაფერი მის შესახებ.

„აი, თურმე რა გაწუხებს შენი!“ — გაიფიქრა კოროლევი, და მიუგო:

— სიამოვნებით გაიამბობთ ყველაფერს, რაც კი ძეგლს შეეხება.

კოროლევი გამოვიდა თუ არა, კაბინეტში ტილდენი შევარდა და მოახსენა, რომ ქალაქში არეულობა დაიწყო, მშიერი ქალები შტაბისაკენ მოემართებიან და პურს თხოულობენო.

გენერალი კონვეი ფანჯარასთან მივიდა და გაშეშდა მოულოდნელი სანახაობის გამო. ფანჯრის გადაღმა თავი მოეყარა ორასზე მეტ ქალს. მათ საშინელი, დატანჯული სახე ჰქონდათ. მათ ზემოთ გაშლილ ორ განიერ ტილოზე წარწერა ყვიროდა:

— პური! პური!

ქალები ურყევ კედლად იდგნენ შტაბის ფანჯრების ქვეშ. დემონსტრაციის შეხედვისთანავე გენერალმა იგრძნო, რომ ამ ქალთა რიგებს სასიკვდილო თავდადების სიმშვიდე ფლობდა.

გენერალს სიბრაზისაგან ნესტოები გაეებრა, სუნთქვა ვერ შეიბრუნა. მზად იყო — თვითონ დატაკებოდა ამ უმწყო ქალებს, მზად იყო — ყოველი მათგანი თავისი ხელებით დაეხრჩო.

კონვეის სახემ ისეთი საშინელი გამომეტყველება მიიღო, რომ თვით მისმა ჯარისკაცებმაც კი პირი განზე იბრუნეს. გენერალმა უმაღლეს გონება მოიკრბა და წამოიყვირა:

— დაუყოვნებლივ გაფანტეთ!

ო, მან კარგად იცოდა უმწიფო ქალუბნის წინააღმდეგ ბრძოლა!

გენერალი ფანჯარასთან იდგა და შესცქეროდა, როგორ ასრულებდნენ მის ბრძანებას. გამოჩნდნენ სამხედრო პოლიციისათვის სპეციალურად შერჩეული მაღალ-მაღალი, გულადი ქაბუკები და დაიწყეს რეზინის მძიმე ჯოხების ტრიალი ყველა მიმართულებით. მოისმა გულის გამგმირავი წივილ-კივილი, შეიჩხრა და ძირს დაეარდა ერთი ღროშა, მას მიჰყვა მეორე. პოლიციელები ღრმად შეიჭრნენ თავმოყრილ ქალების ჯგუფში, რომელიც თანდათან უკვე იშლებოდა. მაღლა აწეული ხელების, რეზინის ჯოხებისა და აქეთ-იქით გაქცეულ ადამიანთა ფიგურების ქაოსში უკვე არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა.

ყველაფერი ძალიან ჩქარა დამთავრდა. ნაცემი ქალები პოლიციელთა შეტევის გამო მიიმალნენ მოსახვევს იქით. აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. ბრძოლის ველი გენერალ კონვეის დარჩა.

— ყოჩაღ, ბიჭებო! — თქვა მან, როცა მოედანზე გაწმინდეს. — აი, სანამდე მიიყვანეთ ქალაქი, თქვენ გენერალო გროულ! ყველაფერი ეს ერთი ძაფია: ჯერ ძეგლი, მერე ფურცლები, ახლა კი დემონსტრაცია. არა, ჩემთან, აქ ამისი მსგავსი არაფერი მოხდება. სად არის საბჭოთა ოფიცერი?

წუთის შემდეგ ტილდენი დაბრუნდა კაბინეტში, თან ახლდა კოროლევი, რომელიც ფანჯრიდან ხედავდა ამ ძალადობას. მას სახე გაფითრებოდა. ლეიტენანტს თავის სიცოცხლეში უთუოდ არასოდეს არ ჰქონია შემთხ-

ვევა, ასე დაძაბულად შეეყვებოდა თავი.

— შემძლია თუ არა <sup>მერკონესულე</sup> ~~არაფრად~~ <sup>მერკონესულე</sup> ~~მეორე~~ მის მიულოცო კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება? — ყოველი სიტყვის მონდომებით გამოთქმით, თითქოს ეშინია ენამ არ მიმტყუნოსო, შეეკითხა კოროლევი.

კონვეიმ თავდაპირველად ვერ გაიგო ამ შეკითხვის აზრი. მერე სისხლი სახეზე მოაწეა, მაგრამ მკვახე პასუხი ვერ შეჰკადრა საბჭოთა ოფიცერს. საკითხი მეტად ზრდილობიანად იყო დასმული.

— დიახ, — გულგრილად წარმოთქვა მან, — ეს არის ქალაქში უმნიშვნელო წესრიგის დამყარება. მე საკმაოდ მაგარი ხელი მაქვს.

ლეიტენანტმა ამ სიტყვებში აშკარა მტყარა შენიშნა, მაგრამ უყურადღებოდ დატოვა.

ისინი გაჩუმდნენ. მერე კონვეიმ წარმოთქვა:

— გთხოვთ, ჩემთან ერთად ძეგლისკენ წამობრძანდეთ!

— სიამოვნებით, — მიუგო ლეიტენანტმა და შტაბიდან გავიდნენ.

ასფალტზე ჯერ კიდევ აჩნდა ამერიკელი პოლიციელების მიერ ჩატარებული ბრძოლის ნიშანი. ზღურბლთან აქა-იქ სისხლიც ეცხო, იქვე ეგდო გასისხლიანებული პატარა ცხვირსაზოცი.

კოროლევმა ფრთხილად აიღო ის, დაეცა და ჯიბეში ჩიიღო.

— როგორ არ გეზიზღებათ ასეთი სიბინძურის ხელში აღება, — წარბშეუხრელად შენიშნა კონვეიმ.

— ბატონო გენერალო, მომავალში ეს მუდამ მომაგონებს ჩვენს პირველ გაცნობას, — ხაზგასმით და ზრდილობიანად უპასუხა კოროლევმა.

ისინი ჩუმად მივიდნენ ძეგლთან. იქ თავი მოეყარა ხალხს. კონვეიმ უცებ ასწია თავი და მძულვარებით შეხედა ლენინს.

დუმბილი ძალიან გაჭიანურდა. კონ-

ვეიმ იგრძნო ეს და უნებლიედ თვალი მოაშორა ძეგლს. კოროლევთან საუბრის დროს სულ ლენინს აცქერდებოდა.

ლეიტენანტმა ძალიან მშვიდად უამბო, რომ ეს ძეგლი წინათ იდგა საბჭოთა ერთ-ერთ ქალაქში და იქიდან გერმანიაში წამოიღეს ფაშისტმა ოკუპანტებმაო.

კონვეი უსმენდა და გული ბრაზით ეკუმშებოდა. როგორ ეზიზღებოდა ეს ახალგაზრდა ლეიტენანტი, რომელიც ასე საქმიანად ჰყვებოდა ძეგლის ამბავს და, რომელიც ასე ზრდილობიანად, მაგრამ ასე შტკიცედ ზაზს უსვამდა იმას, რომ ეს ძეგლი წარმოადგენდა მისი სამშობლოს საკუთრებას.

ლეიტენანტი ლაპარაკობდა, მაგრამ გულში კი ფიქრობდა, რომ კონვეი ალბათ შეეცდებო, მიიღოს გადაწყვეტი ზომები ძეგლის მოსასპობადო.

— ძალიან საინტერესოა, — უცებ გააწყვეტინა კონვეიმ, — დიდად მადლობელი ვარ, რომ მიამბეთ ეს. დიდად მადლობელი ვარ!

კონვეიმ ისევ შეავლო თვალი ძეგლს. წყნარ ქალაქ აისბორნს საღამო ეპარებოდა, მზე მთის გადაღმა წვებოდა. ბინდ-ბუნდში გენერალს უცებ მოეჩვენა,

თითქოს შეირბა ლენინის წარბები, სახეც თითქოს მკაცრი და მრისხანე გაუხდა.

— დიახ, განაგრძო გენერალმა, — ამ მეტად საინტერესო ძეგლს ყოველთვის უნდა ხედავდნენ გერმანელები. ამიტომ დღესვე ბრძანებას გავცემ მის გასანათებლად დადგან ძლიერი ფარნები. აქ მეც მიინდა ღამით გასეირნების დროს ვნახო ეს ძეგლი. ერთხელ კიდევ გიცხადებთ მადლობას, ბატონო ლეიტენანტო.

გენერალი წუთით ჩაფიქრდა და შეეკოტხა:

— ელების გზა აქ გადის?

მხოლოდ კოროლევს შეეძლო ამოეხსნა გენერლის ეს შეკითხვა, და ღიმილით შეხედა კონვეის. მათი თვალები ერთმანეთს შეეფუთნენ. გენერალი მიხვდა, რომ კოროლევისათვის უკვე ცნობილი იყო ამერიკის ჯარების მომავალი უკან დახვევის ამბავი და ისიც, რომ ამერიკის არმიის მხარეზე დივიზია ძალიან მალე გაივლიდა აისბორნზე, ამ მოედანზე — ლენინის ძეგლის ახლოს.

გენერალმა პასუხს არ დაუცადა, დაემშვიდობა, ჩაჯდა მანქანაში, რომელიც სულ ნელი სვლით მიყვებოდა და, შტაბში გაემგზავრა.

## თავი მეთოთხმეტი

დილით კოროლევი მოფრინდა თავის შტაბში. გენერალი მზიარულად დაუხვდა. მის წინ მაგიდაზე გადაშლილი რუკა ფერადი ფანქრებით იყო დახაზული. ლეიტენანტმა თვალი გადაავლო თუ არა, უმაღლეს მიხვდა, რომ გენერალი ამუშავებდა იმ ადგილმდებარეობას, რომელიც უნდა გადმოსულიყო გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო ზონის ფარგლებში.

— ჩვენი საუბარი ძალიან მოკლე იქნება, ამხანაგო კოროლეე, — უთხრა გენერალმა, — მთავრდება თქვენი სამ-

სახური ამერიკის შტაბში: ხვალ ამერიკელები დაიწყებენ უკან დახვევას და ჩვენ ვიკავებთ ადგილმდებარეობას აიზენახამდე, ცოტა უფრო იქითაც. ამრიგად, ჩვენს ხელში გადმოიღის მთელი ტიურინგია. ჩვენ უკვე დავამუშავეთ ამ ოპერაციის დეტალური გეგმა. ის დღესვე უნდა გადასცეთ გენერალ კონვეის. იმედი მაქვს, ამ გეგმის საწინააღმდეგო არა ექნება რა, ვინაიდან მისი თხოვნით გვაკეთე ისე, რომ ჩვენი ჯარები არსად შეზღუდებიან ამერიკელებისას. ეტყობა, გენერალ კონვეის ეს ძა-

ლიან სურს, რა გაეწყობა, ჩვენ შეგვიძლია დაეკამყოფილოთ მისი სურვილი...

გენერალმა ჩაფიქრებით შეხედა რუკას, სადაც ამერიკის ჯარების უკან დახევის გზები აღნიშნული იყო ლურჯი ფანქრით. ერთ-ერთი გზა გადიოდა ქალაქ აისბორნზე. გზა გადიოდა ქალაქის განიერ მოედანზე, ლენინის ძეგლის გვერდით და იკარგებოდა სადღაც შორს, ტიურინგიის მთებში. ამერიკის არმიის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ელბიდან უკან დაიხევდა, ამ ძეგლის გვერდით მოუხდებოდა გავლა. გენერალმა თქვა:

— ამხანაგო კოროლევი, თვალ-ყური აღევნეთ ძეგლს და ეცადეთ, გადაარჩინოთ ადამიანები. სრულ 24 საათზე თქვენ უკვე უფლება გაქვთ, გააკეთოთ ეს სრულიად ოფიციალურად. ვინაიდან ამ დროს ძალაში შევა შეთანხმება ამერიკელების უკან დახევის შესახებ. ბრძანებას გავცემ, რომ სათანადო დოკუმენტები მოგიშვებოდნენ. ამაღამ თქვენ განსაკუთრებული სიფხიზლე გმართებთ. იმედი მაქვს ხვალ შევხვდებით ერთმანეთს ქალაქ აისბორნში, ილიჩის ძეგლთან. გისურვებთ წარმატებას.

ლენინანტმა მიიღო ბრძანება ქალაქ აისბორნის კომენდანტად დანიშვნის შესახებ და ამერიკის დივიზიის შტაბში დაბრუნდა.

გენერალმა გრულომა უმაღლეს მიიღო იგი, პაექტი გახსნა, გულდასმით გადაიკითხა ქაღალდები, გაეცნო უკან დახევის გეგმას, მერე კი დეტალებზე დაიწყო შეთანხმება. იგი განსაკუთრებული სიფხიზლით აღევნებდა თვალყურს იმას, რომ ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ჯარები არსად შეხვედროდნენ ერთმანეთს.

კოროლევის წასვლის შემდეგ გენერალმა გამოიძახა ტილდენი. იგი მოელოდა, რომ გენერალი ისევ დაუწყებდა გინებას, მაგრამ ამისი მსგავსი არაფერი მომხდარა.

— ტილდენ, დაწერეთ ბრძანება — უთხრა გენერალმა და ტილდენს მორჩილად დაეშვა სკეჩი. გენერალი მაგიდიდან წამოდგა და კაბინეტში გაიარ-გამოიარა.

— არა. — გადაიფიქრა მან. — არავითარი ბრძანების დაწერა არაა საჭირო. ამაღამვე უნდა მოვსპოთ ეს ძეგლი. შეუძლებელია ის დარჩეს ჩვენი ჯარების უკან დახევის გზაზე. ვიდრე საბჭოთა სარდლობას გადაეცემდეთ ქალაქს, ჩვენ, რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს ძეგლი უნდა მოვსპოთ.

მაიორი საესებით თანაუგრძნობდა გენერალს.

— მაშ ასე, — განაგრძო გენერალმა, — ქვეითი ბატალიონი, სატანკო პოლკი, საარტილერიო ბატარია და ამფეთქებელთა მწყობრი გამოიყვანეთ და ღამით, სიბნელეში თავი მოუყარეთ მოედნის ახლოს... მეცადინეობის ჩასატარებლად. მეცადინეობა დაწყებული უნდა იქნეს ღამის სამ საათზე.

— შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენ ვაპირებთ შეტევას მთელი საბჭოთა არმიის წინააღმდეგ. — შენიშნა მაიორმა ტილდენმა.

ეს შენიშვნა აშკარად უადგილო იყო. გენერალი გაბრაზდა.

— ტილდენ, თქვენ ქარაფშეტა ხართ! — მრისხანედ შეჰყვირა მან. — ჩვენთვის ეს ძეგლი საბჭოთა ჯარისკაცებზე გაცილებით უფრო საშიშია. ჩვენები არ შეხვდებიან რუს ჯარისკაცებს. ძეგლს კი... ნუთუ თქვენ თავად არ გესმით ამ ძეგლის მნიშვნელობა?

ო, დიახ, მაიორ ტილდენს ყველაფერი კარგად ესმოდა! იქნებ მტერი რაოდენობითაც კი გამოეყვანა ჯარი იმისათვის, რომ უფრო იმედიანად ეგრძნოთ თავი ქალაქის განიერ მოედანზე, გარეგნულად ამ თითქოს სრულიად უმწეოდ ამართული ძეგლის წინააღმდეგ. გალაშქრებისას. ახალი გენერალი გროულივით ახალგაზრდა როდი იყო. და მაიორ ტილდენს ისღა დარჩენოდა

კვერი დაეკრა მისი შორსმჭკრეტელობისათვის.

ვიდრე ამერიკელთა შტაბში ღამის „მეცადინეობისათვის“ ემზადებოდნენ, მთელს ქალაქში ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა, ამერიკელები წასასვლელად ემზადებიანო.

დიეიზიის შტაბში ყველაზე ადრე მოიბრინა შეშინებულმა ვურსტმა და უნდოდა უშუალოდ გენერალთან შესულიყო, მაგრამ მაიორ ტილდენის იქით არ გაატარეს.

— თქვენ შეგიძლიათ მშვიდად დაიძინოთ. — მიუგო მაიორმა მისი აღელვებული შეკითხვების პასუხად. — ჩვენ აქედან არსად არ ვაპირებთ წასვლას: ყოველშემთხვევაში გაგაფრთხილებდით მაინც.

ტილდენისათვის არ იყო სასიამოვნო ამბავი, თვითონ ეღიარებინა, რომ ამერიკელები იხევდნენ და ქალაქს საბჭოთა ჯარებს აძლევდნენ. გარდა ამისა, არ უნდოდა, რომ ეს ახალი ამბავი მოსდებოდა აისბორნს, ვინაიდან ამას შეეძლო ხელი შეეშალა ღამის ოპერაციებისათვის.

ვურსტი ხელცარიელი წავიდა ტილდენისაგან, მაგრამ სიმშვიდე მაინც ვერ მოიპოვა. მან როგორღაც შტაბში გაყნოსა ატმოსფერო თავმოყრის შესახებ და გადაწყვიტა თვითონაც მომზადებულიყო გასახიზნად. ახლა თითქმის ნანობდა იმაზე, რომ დასთანხმდა დამდგარიყო ბურგომისტრად. ამან მაინცდამაინც საგრძნობი მოგება ვერ მოუტანა — მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკელებმა წაგლიჯეს, ხოლო უსიამოვნება კი დიდი მოელოდა.

იოჰან ვურსტი შინ დაბრუნდა და ცოლს უბრძანა ყოველ შემთხვევისათვის მომზადებულიყო გასამგზავრებ-

ლად. ვურსტის ცოლმა, მსუქანმა გერმანელმა ქალმა განუცხადებინა მსუქანობითა, აქედან არ წავალ, მხოლოდ ამერიკელებიანს, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ვუვლიდი და ვალამაზებდიო. ამას მოყვა ჩხუბი. ვურსტს ნერვები მოშლილი ჰქონდა, შიშმა აიტანა, უყვირა ცოლს, ხელიც გაატყა, მერე კი თავი დაიმცირა და თავის მინას პატიება თხოვა.

ცნობამ, ამერიკელების უკან დახევის შესახებ, მოაღწია ჰერტრუდას მეგობრის ჰერდა ფიშერის პატარა ოთახამდე, სადაც გრიუნვალდის ამასწინანდელი დაპატიმრების შემდეგ ჩასახლდა ჰერტრუდა. ეს ახალი ამბავი იმდენად სასიხარულო იყო, რომ პირველ წუთებში ჰერტრუდამ არც კი დაიჯერა. იგი თითქმის ცარიელ ოთახში იჯდა, რომლის ფანჯრიდან მოჩანდა მოედანი და ლენინის ძეგლი.

სიხარულთან ერთად საშინელმა მღელვარებამ შეიპყრო იგი. ამერიკელები ხომ შეეცდებიან, ბოლო მოუღონ პატიმრებს? ან საერთოდ რას უპირებენ მათ?

ჰერტრუდას აზრი თანდათან ძეგლის გარშემო ტრიალებდა. დაპატიმრების წინ, ვიდრე ამერიკელი პოლიციელები წაიყვანდნენ, რიჰარდმა მკაცრად უბრძანა, თვალ-ყური ედევნებინა ძეგლისათვის, დაეცვა იგი როგორც წმიდათა წმიდა. ჰერტრუდამაც მოაწყო მოედანზე მუდმივი მეთვალყურეობა.

დგებოდა საღამო, აისბორნში ამერიკელების ყოფნის უკანასკნელი საღამო. ჰერტრუდამ მძიმედ ამოიოხრა. ჰერდა გააღვიძა და უთხრა: ასეთი ღამის გადატანა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე სიცოცხლის ჩვეულებრივი ათი წლისაო.

## თავი მეთხუთმეტი



გვიან ღამით როცა საქონიის მთებს სიბნელე გადაეფარა, გენერალმა კონვეიმ დაიწყო სამზადისი „მეცადინეობის“ ჩატარებისათვის. საჭირო იყო მოქმედების საიდუმლოების სრული უზრუნველყოფა. არავის არ უნდა სცოდნოდა, თუ რა მოხდებოდა.

კონვეიმ გამოიძახა დიდძალი ჯარი, რომელსაც ვიწრო რკალით უნდა შეეკრა მოედანზე მისასვლელები. მხოლოდ იმ სახლებიდან, რომლებიც უშუალოდ გამოდიოდნენ მოედანზე, შეიძლება რისიმე დანახვა, მაგრამ ესენი იყვნენ უმთავრესად ქალაქის დაწესებულებათა სახლები, რომლებიც ღამ-ღამობით ცარიელი იყო.

გენერალმა გადაწყვიტა თავისი „სწავლების“ ინსცენარება ჩვეთარებიანა ყველა წესის მიხედვით. გასცა სპეციალური ბრძანება, განაყოფის მეთაურებს მისცა ამოცანები, დიდხანს ეკითხებოდა, თუ როგორ იმოქმედებდნენ ისინი. მთელს ამ საუბარში ძეგლების შესახებ არც ერთი სიტყვაც არ ყოფილა ნათქვამი, სწავლების თემა იყო: „ღამის ბრძოლა დასახლებულ პუნქტში“. გენერალმა გამოჰყო ერთი მწყობრი, რომელსაც უნდა განესახიერებინა მოწინააღმდეგე, ეს მწყობრი მოედნიდან დაშორებით უნდა განეღაგებინათ.

ერთი სიტყვით, გარეგნულად ყველაფერი კეთილგანზრახულად გამოიყურებოდა, და როცა დანიშნულ დროზე გენერალ კონვეის შტაბი და მისი ჯარები ამოძრავდნენ, არც თვითონ გენერალსა და, არც ტილდენს ეჭვიც კი არ ეპარებოდათ სრულ წარმატებაში. „სწავლების“ დროს მძიმე ტანკების ასეულს მოედანზე უნდა გაეგლო. კონვეი ხელებს იფშენეტადა: უკვე წინასწარ ხედავდა ძლიერი ტანკების „სერმანის“ მიერ დაზიანებულ ძეგლს. და აი, ჯარები უკვე მოიწვედნენ მოედნიდან. თითქოს უჩვეულო ძა-

ლის დაბრკოლება უნდა განეკლებათ. არც ერთმა ჯარისკაცმა და უფიცურმა რიგიანად არ იცოდა, თუ რისთვის გაბნდა საჭირო ასეთი „სწავლების“ ჩატარება ღამით, მაგრამ ყველას ეშინოდა კონვეისა, და ამაზე შეკითხვას თვით უფროსი უფიცრებიც კი ვერ ბედავდნენ.

იმ საღამოს ჰერტრუდა ფანჯარას არ მოშორებია. ქალი მთელი არსებით გრძნობდა, რომ ღამის სინთუმში რაღაც უჩვეულო რამ მზადდებოდა. იგი ხედავდა სიბნელეში მოძრავ ჩრდილებს. ცეცხლის გამოჩნაქრობს იარაღებზე. სულგანაბული ჰერტრუდა ყურს უგდებდა მოედნიდან წამოსულ ხმებს.

შეუძლებელი იყო რისიმე გამოცნობა. ძეგლი იდგა. ის მკაფიოდ მოჩანდა მოედნის გარშემო ჩამომდგარ სიბნელეში. ფარნები დადგმული იყო გამოცდილი ოსტატების მიერ. ეს ფარნები ისე ანათებდა ძეგლს, რომ ლენინის სახის ყოველი ხაზი ნათლად მოჩანდა. ჰერტრუდა მისჩერებოდა ამ სახეს და გულში შვებას გრძნობდა, თუმცა თანდათან ძილი ერეოდა და თავი ნელ-ნელა ეხრებოდა ფანჯრის რაფაზე.

ჰერტრუდა უცებ შეტოკდა და თავი ასწია. არაფერი არ შეცვლილიყო, ისევ სინთუმე და უკაცრიელობა სუფევდა. მაშასადამე, მას დაესიზმრა, თითქოს მოედანზე გადაიბრინეს ამერიკელმა ჯარისკაცებმა; მას კი არ შეეძლო ეს დაენახა, რადგან სახე ფანჯრის რაფაზე ედო.

ჰერტრუდა დაკვირვებით გასცქეროდა სიბნელეში და მოესმა, თუ რა ზომიერად სუნთქავდა ჰერდა საწოლში, როგორ ბუტბუტებდა რაღაცას მშფოთვარე ძილში. სხვა არა ისმოდა რა ღამის მყუდროებაში.

უცებ მის გამაზვილებულ სმენამდე ხმაურობამ მოაღწია. ახლა უკვე ამკარად დაინახა არათანაბარი შუქით გა-

ნათებული მახინჯი, დასახინჩრებული ლანდები, თან ყურში ჩაესმა ძრავების დაბმული თუხთუხი.

ჰერტრუდას არ ესმოდა რა ხდებოდა. ალბათ ამერიკელები წასასვლელად ემზადებიან და ტანკები მოედანზე გამოიყვანეს, იქნებ სალაშქროდ ეწყობინო!

ამ დროს მოედანზე ძალიან დაბლა გადაიჭროლა თვითმფრინავმა. მსუბუქი **PO<sup>2</sup>** სახლების სახურავზე გადასრიალდა და სიბნელეში გაჰქრა. იური სამოყუჟმა თვალი მოჰკრა მოედანზე თავმოყრილ ჯარებს, ქუჩების ნაპრალებში ტანკების განიერი ჩრდილებიც შენიშნა. საჭირო იყო, ეს დაუყოვნებლივ ეცნობებინა ლეიტენანტისათვის. ეტყობოდა, ლეიტენანტმა ტყუილ-უბრალოდ როდი უბრძანა სამოყუჟს ასეთ უჩვეულო დროს აკრილოყო ჰაერში.

გენერალი კონვეი პირადად ხელმძღვანელობდა „სწავლებას“. საბჭოთა თვითმფრინავის გამოჩენამ უჩვეულოდ შეაშფოთა იგი. გადაწყვიტა აჩქარებულად, რომ გეგმა არ ჩაშლოდა, და ჩქარა გავიდა ტანკისტებთან. შეძვრა თუ არა ტანკში, გენერალმა განკარგულება გასცა, ადგილიდან დაძრულიყვნენ.

ჰერტრუდა გრიუნვალდი ხედავდა, თუ როგორ მოაბოტებდა განიერმუხლუხოებიანი მძიმე ტანკი „შერმანი“, რომელიც საცაა უნდა გამოფოროთებულყო მოედანზე.

ჰერტრუდა მხოლოდ ახლა მიხვდა ყველაფერს და სასოწარკვეთილებით წამოიყვირა. ჰერდა უმაღვე მიიჭრა მასთან.

— ჩქარა, ქვემოდ, აფთიაქში ჩაირბინე, უნდა დარეკო, — წარმოთქვა ჰერტრუდამ და ჰერდასთან ერთად სირბილით გავარდა ოთახიდან.

ჰერდამ აფთიაქში ჩაირბინა, ავტომატთან მიიჭრა და სწრაფად აკრიფა ნომერი. პასუხს არავინ იძლეოდა. სა-

სოწარკვეთილი ჰერდა დაბრუნდა უკან, ოთახში.

ერკონსული

ამასობაში, თავშიშველად მოედანზე ლად ჩაცმული ქალი უკვე გარბოდა მოედანზე, პირდაპირ ტანკის შესახვედრად და მოეჩვენა: ტანკის ზარბაზნის გრძელი ლულა თითქოს საცაა გულზე უნდა მიბჯენოდა.

ლენინის ძეგლს ერთი მხრით უახლოვდებოდა სამდიუმთან ზარბაზნით შეიარაღებული ორმილიმეტრიანი ჯაგუნოსანი ძლიერი ტანკი, რომლის უკან იდგნენ: ქვეითა ბატალიონი, საარტილერიო ბატარია, ამფეთქებელთა მწყობრი და სხვა ტანკები, მოპირდაპირე მხარეზე კი — მხოლოდ უმწეო ქალი, რომლის ერთადერთი იარაღი იყო: რწმენა ლენინისადმი. სახელი ლენინისა, სიტყვა ლენინისა.

ჰერტრუდა ძეგლისკენ გარბოდა და, ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ რას მოიმოქმედებდა, მისი დაცვისათვის. იგი აიტაცა შეუჯავებელმა ძალამ და ისე მიაჭროლებდა, რომ შეჩერება აღარ შეეძლო, ეს ძალა მიაჭროლებდა მას სულ წინ, სულ წინ. ზარბაზნის შავი დინგი თანდათან ახლოვდებოდა, ჰერტრუდა კი არ ჩერდებოდა. მისი ჭაღარა თმა გაწეწილიყო ჩქარი სირბილისაგან, გული ძალუმად უცემდა, ტვინში მხოლოდ ერთი აზრიღა უტრიალებდა.

— მოვასწრო! როგორმე მოვასწრო! ტანკი პირდაპირ ძეგლისკენ მიდიოდა. გენერალი კონვეის უბრალო ვარაუდი ჰქონდა: ტანკი გასრესს, გათელავს მას, — განა ასეთი ზღუდეები გაუნგრევიათ ტანკებსო!.. მაგრამ დაინახა თუ არა, სირბილით პირდაპირ გამოქანებული ქალი, გენერალი შეშფოთდა.

ჰერტრუდა უკვე კვარცხლბეკთან იდგა, როცა ზარბაზნის ლულა უკვე თითქმის ზედ ძეგლთან გაჩნდა. ტანკის წინამხარის ჯაგუნთან წამყვანმა ქალის სახე დაინახა. ის ისეთი მრისხანე და დამაბულად შთამაგონებელი იყო,



რომ ჯარისკაცმა ტანკი უნებლიედ შეაჩერა და, ის იყო, გენერლის გამჟვალავი, ლვარძლიანი შეძახილიც მოესმა.

— რატომ შეჩერდით? დაისჯებით. დაისჯებით ბრძანების შეუსრულებლობისათვის! წინ!

— იქ აღმავალი... იქ ქალია!.. — წარმოთქვა გაფითრებულმა ჯარისკაცმა.

— წინ! — ყვიროდა გენერალი, მაგრამ ტანკი ადგილიდან არ დაიძრა.

გენერალი მაშინ მიხვდა, რომ მართლაც მეტად უცნაურად მოეჩვენებოდათ ამ ქალის დაღუპვა „სწავლების“ დროს. ასეთი ინციდენტის დამალვა შეუძლებელი იქნებოდა ქალაქის მცხოვრებლებისაგან, და ვერც საბჭოთა ხელისუფლებისაგან მოახერხებდნენ რისიმე დამალვას.

— მოაშორეთ ეს ჯოჯო! — ბრძანა გენერალმა.

ორი ჯარისკაცი გადმოხტა ტანკიდან. ისინი ჰერტრუდასავე გაიქრნენ.

— ჩქარა! ჩქარა! — ყვიროდა გენერალი, თან შესცქეროდა ჯარისკაცებს, რომლებიც ცდილობდნენ ძეგლის კვარცხლბეკიდან მოეშორებინათ კანკალით ჩაჭიდებული ქალის თითები.

ამ წუთში გენერალს ყველაფრის ეშინოდა: ეშინოდა ლენინის ძეგლისა, ეშინოდა ამ ფანტასტიკური ქალისა, დაბოლოს ეშინოდა მთელი ამ ქალაქის, რომელიც მრისხანედ მიმალულიყო და სულგანაბელი უსმენდა იმას, რაც ახლა ხდებოდა მოედანზე.

— უკაცრავად, ბატონო გენერალო, რა ამბავია აქ? — ტანკის გვერდით გაისმა ნელი, მაგრამ ძალიან მტკიცე ხმა და, ლეიტენანტი კოროლევა ძეგლთან მივიდა. იგი მიუახლოვდა ჰერტრუდა გრიუხვალდს და მის გვერდით დადგა, ტანკის წინამხარის ჯავშანის ქვეშ. კონვეის ბრაზი ახრჩობდა, მისი გეგმა ჩაიშალა. დაბნეულობამ და უილაჯო მრისხანებამ ერთგულა დააწყებინა, ტანკიდან თავი გამოჰყო, უნ-

დოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა.

ლეიტენანტი კი შესწავლილყოფილხერხა, ზედაედა, რომ იგი დაფრთხა. ზედაედა, რომ ამერიკელს ეშინოდა, ამკარად და დაუფრთხავად, ეშინოდა ყველაფრისა: ძეგლისა, ქალისა, და თვით ლეიტენანტ კოროლევისაც.

— ჩვენ ვატარებთ სწავლებას, — მიუვო გენერალმა ისე, რომ სიტყვებს ძლიერ სტრიდა.

— საკმაოდ უცნაური ადგილი და დრო შეგირჩევიათ, გენერალო. — წარმოთქვა კოროლევა. — უნდა გაგაფრთხილოთ. ბატონო კონვეი, რომ ახლა მე გახლავართ ქალაქ აისბორნის კომენდანტი და, არ წავალ ამ ძეგლიდან, ვიდრე ყველა თქვენი „სწავლებანი“ არ იქნება დამთავრებული. თქვენ დაინახეთ თვითმფრინავი, რომელმაც ეს-ეს არის გადაუქროლა მოედანს? ის გაფრინდა ჩემს შტაბში, რათა გაფრთხილება მისცეს იქ, თუ რა „სწავლებას“ ატარებთ თქვენ აქ, გენერალო კონვეი!

— განზე მიდევით! — დაიღრიალა გენერალმა.

კოროლევი ადგილიდან არ დაიძრა. რამდენად მრისხანებდა გენერალი, ინდენად უფრო მშვიდდებოდა ლეიტენანტი, იგი გრძნობდა, რომ ახლა უკვე არაფერს შეეძლო ძეგლის მოსპობა. მთელი საბჭოთა ჯარი, მთელი საბჭოთა კავშირი იდგა ახლა კვარცხლბეკთან. მისტერ კონვეის უკვე აღარ შეეძლო ასეთი ძალის წინააღმდეგ გალაშქრება.

ჰერტრუდა გრიუხვალდი კი ფიქრობდა: რა კარგია, რომ ჰერდამ მოასწრო მისი გაფრთხილება. იგი ძალიან ადრე გამოჩნდა აქ, და ეს უცნაურად ეჩვენებოდა. არ იცოდა, სულერთია, ჰერდას რომ კიდევ არ დაერეკა, უკანასკნელ წუთებში ლეიტენანტი მაინც გამოჩნდებოდა აქ. ქალმა რა იცოდა, რომ სამოვჯერი სულ თვალყურს ადევნებდა იმას, რაც ქალაქში ხდებოდა; რა იცოდა, რომ ლეიტენანტი ზედაედა ყველაფერს და,

გადამწყვეტ წუთებს ელოდა. იგი უნდა გამოცხადებულიყო სწორედ ახლა, როცა გენერალს უკვე აღარ შეეძლო დამტკიცებინა, რომ მას არ ჰქონდა ძეგლის მოსპობის განზრახვა. კოროლევი რომ ადრე მოსულიყო, მაშინ იძულებული იქნებოდა დაეჯერებინა, რომ გენერალი მართლა ატარებდა სწავლებას.

ამასობაში მოსაზღვრე ქუჩებში თანლათან გამოჩნდნენ ადამიანები. გერმანელი მღვდლები თავს იყრიდნენ მოედნის გარშემო. ყოველ წუთს სულ მატულობდნენ ისინი. კიდევ ცოტა ხანი და — სახალხო დემონსტრაცია უკვე შემოიჭრებოდა მაღალ ძეგლთან.

გენერალი მოწყვეტით ჩაეშვა კოშკურაში და საჩქველი დახურა. მან შეხედა ლეიტენანტ კოროლევს და გაიფიქრა, რომ ასეთი ჯიშის ადამიანებს, უმჯობესია არ შეხვდე, რომ მათთან ერთა ბრძოლაში ვერაფერსაა ტანკები ვერ გაშველის, რომ არ არსებობს ძალა, რო-

მელიც გასტეხს ამ ძალას. კონვეის ქრთხელ კიდევ შეხედა ლეიტენანტის გვერდით მდგომ ქალს. უკვე დიდხანსაა შეეძლო წასულიყო, ძეგლის დაცვა მართო ლეიტენანტისათვის დაეთმო, მაგრამ არ მიდიოდა, მაგრად ევიღებოდა გრანიტის კვარცხლბეკს. დივიზიის მეთაურმა განკარგულება გასცა, ტანკი ზანტად შემოტრიალდა და უკანვე გალოლდა. სადღაც სიბნელეში მოისმა თავშეკავებული ხმები, ძრავების გუგუნის, მძიმე ნაბიჯები, ასფალტზე გასრიალებული ქვეშეხების რეზინის ბორბლების შრაშური.

„სწავლება“ დასრულდა.

ლენინის ძეგლი აღმართულიყო ქალაქის განიერ მოედანზე. მის ძირში კი იდგნენ საბჭოთა ოფიცერი და გერმანელი ქალი. კომუნისტის ცოლი, თვითონაც კომუნისტი. ისინი შესცქეროდნენ ღამეს და მზად იყვნენ ყოველგვარი საფრთხე მოეგერიებინათ, გაენდგურებინათ, მოესპათ.

## თავი მეთექვსმეტი

დილით გენერალი და ლეიტენანტი კარგი ნაცნობივით შეხვდნენ ერთმანეთს. არმიის შტაბში, სადაც მივიდა ქალაქის საბჭოთა კომენდანტი უწყესრიგობა იყო; კრავდნენ და აწყობდნენ ყუთებს, მერე გამოქონდათ და მანქანებზე ტვირთავდნენ.

კონვეი თავაზიანი ღიმილით დაუხვდა ლეიტენანტს. არც ერთ მათგანს არაფერი უთქვამს გასული ღამის ამბების შესახებ — არც გენერალს, არც ლეიტენანტს. ისინი მიესალმნენ ერთმანეთს და მუშაობას შეუდგნენ.

— გატოვებთ დამნაშავეებით საეცე საპატივროს, — უთხრა გენერალმა. — თქვენ თვითონ გაერკვევით, თუ რა უნდა უყოთ საზოგადოების ამ ნაძირაკებს.

ლეიტენანტმა ჩუმად გაიღიმა; თან თვალ-ყურს ადევნებდა იმას, თუ რო-

გორ აჩქარებდა გენერალი თავის ოფიცრებს, და გრძნობდა, რომ კონვეის ეშინოდა ამერიკის ჯარისკაცების საბჭოთა ჯარებთან შეხვედრისა.

საქმეები მოათავეს, ხელი მოაწერეს ქალაქის გადაცემის აქტს და ლეიტენანტი კოროლევი შტაბიდან გამოვიდა. იგი უკვე აისბორნის კომენდანტი იყო.

კოროლევი ახლა უკვე სულ სხვა თვლებით შესცქეროდა ამ პატარა წყნარ ქალაქს. აქამდე ცხოვრობდა და სულ იმას ფიქრობდა, რომ ბევრი მეგობარი ჰყავდა აქ. იცოდა, რომ არსებობდნენ ისინი, მაგრამ არც ერთი მათგანის ნახვა არ შეეძლო, არავისთან შეეძლო გამოლაპარაკება. ახლა ეს უფლება უკვე მიღებული ჰქონდა. მამსადაამე, უწინარეს ყოველისა უნდა მოენახა ის მეგობრები, რომლებმაც ლენინის ძეგლი გადაარჩინეს.

ლეიტენანტ კოროლევის მეგობრები გენერალ კონევის მტრები იყვნენ. სწორედ ისინი ჩაყარა გენერალმა საპყრობილეში. ამას ადასტურებდა, კოროლევის ამაში არწმუნებდა ის ზიზღი და ღვაწილი, რომლითაც გენერალმა ახსენა თავისი ტყვეები.

კოროლევი მანქანაში ჩაჯდა და ჩქარა გაეშურა საპატიმროსაკენ. ამერიკელი მებადრაგენი და პოლიციელები აქ უკვე აღარ იყვნენ, გერმანელი მცველები კი ისე გაქცეულიყვნენ, რომ გასაღებიც არ დაეტოვებინათ. კოროლევი გახედ-გამოხედა საპატიმროს მძიმე კარებს, ზელი შეაბო უზარმაზარ ურდულებს და სამოყუეს უბრძანა, წასულიყო ამერიკელების მესანგრეთა ბატალიონში.

იქ აიღეს ტოლი და ისევ საპატიმროს კარებთან გაჩნდნენ.

სამოყუესმა საქმის სრული ცოდნა გამოაჩინა, ტოლი კარის ქვეშ ჩადო. ამ ომის განმავლობაში — კიდევ ერთი უკანასკნელი აფეთქება გაისმა აისბორნში. ამჯერად ის იფუწყებოდა არა ომს, არა განადგურებას, არამედ პატიმართა განთავისუფლებას.

როცა მძიმე კარების ნამსხვრევები გაიფანტა, გამოირკვა, რომ ყველა გერმანელი მცველი როდი გაქცეულიყო საპატიმროდან. იქ აღმოჩნდა ერთი მოხუცი, რომელსაც თან ჰქონდა გასაღები. ეს იყო ისეთი მოხუცი, რომელსაც ყურებიცა და თვით ცხვირის ნესტოებიც, ზვესისებური თმით ჰქონდა დაფარული. იგი არც იმას კითხულობდა, რა მოხდა, არც იმას, თუ რაში იყო საქმე, ისე უსიტყვოდ გაუძღვა წინ ლეიტენანტ კოროლევის, გაატარა საპატიმროს გრძელი დერეფანი, თან გზადაგზა უღებდა საყენებს.

საშინელებას წარმოადგენდა ეს ჰიტლერული ქვის ტომრები, სადაც შეიძლებოდა ადამიანის ისე ჩაღობა, რომ ის ვერასოდეს ვერაფერს გაეგო, როცა კოროლევი შევიდა, უცერად საშინელი

ტკივილისა და სასოწარკვეთილების გრძობის უჩვეულო მოზოლივება იგრძნო.

მას კარგად დაამახსოვრდა ეს კაცი. მეხსიერებაში უცებ გაცოცხლდა სახე გრიუნვალდისა, რომელიც იდგა გროულის კაბინეტში — მუშათა ჯგუფში, მაგისტრატის მიერ წარგზავნილთა შორის. მერე კი სწორედ ამ გრიუნვალდმა გახსნა ლენინის ძეგლი.

კოროლევი მღელვარებით შესცქეროდა რიპარდს. მის წვერ-ულვამით შეფუთვნილ, დატანჯულ, საშინელი ნაბეჭებითა და ცემისაგან დალილავებულ სახეს. ამერიკელ ფაშისტებს კარგად შეესწავლათ მოქცეულიყვნენ სწორედ ისე, როგორც იქცეოდნენ მათი წინაპრები — გერმანელი ფაშისტები. მათ შორის არავითარი განსხვავება არ იყო.

— მოხარული ვარ, ამხანაგო გრიუნვალდ. — უთხრა კოროლევი. — ძალიან მოხარული ვარ, რომ ცოცხალს გხედავთ. მეშინოდა, რომ თქვენ და თქვენი ამხანაგები არ დაეხოცეთ. საბედნიეროდ, ეს არ მოხდა, ამერიკელებმა ვერ მოასწრეს ეს...

— დიახ, ეს მართალია, — დაუდასტურა გრიუნვალდმა.

რამდენიმე წუთში მან ყველაფერი იცოდა, მისი თვალები, რომლებიც თავდაპირველად თითქოს უსიცოცხლოდ ეჩვენა კოროლევის, გამოცოცხლდნენ. მისი პირველი სურვილი იყო, გაეგო — სად იყო ცოლი, მაგრამ ამის შესახებ კოროლევის არაფერი შეეძლო ეთქვა. ღამით ძეგლთან შეხვედრის შემდეგ არ უნახავს პერტრუდა.

გრიუნვალდთან ერთად შემოიარა ყველა საყანი. რიპარდის ამხანაგები განთავისუფლდნენ. უცებ არც კი დაიჯერეს: ხუთიოდე წუთის წინ ხომ ყოველი მათგანი სიკვდილს მოელოდა.

— ახლა, ამხანაგო გრიუნვალდ, — უთხრა კოროლევი, როცა პატიმრების განთავისუფლება მოათავეს, — თქვენ

უნდა წახვიდეთ სახლში, ინახულოთ ცოლი, პირი მოიპარსოთ, მერე კი გთხოვთ, დაუყოვნებლივ მობრძანდეთ კომენდატურაში. თქვენ ისევ იქნებით ქალაქ აისბორნის ბურგომისტრი. ახლა მე გნიშნავთ, ცოტა ხნის შემდეგ ბურგომისტრს აირჩევს თვითონ აისბორნის მოსახლეობა.

გრიუნვალდმა დაკვირვებით შეხედა და დააკვირდა კოროლევს. იგი დუმდა, მაგრამ მისი გამოხედვა სიტყვებზე უფრო მკერამიტყველი იყო, რიპარდს არ შეეძლო ახლა გამოეთქვა მთელი თავისი გრძობები. ბევრი რამის გადატანა მოუხდა უკანასკნელ დღეებში.

— ნუ გაგიკვირდებათ ამხანაგო გრიუნვალდ, — განაგრძო კოროლევმა, — ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ მუშაობას. ქალაქში შიმშილია, ჩვენ კი, მე და თქვენ, უფლება არა გვაქვს, დავუშვათ ისეთი მდგომარეობა, რომ ხალხს შიოდეს.

— მე ერთ საათში დაებრუნდები, — უთხრა გრიუნვალდმა და ჩქარა დატოვა საბატონროს ეზო.

უწინარეს ყოვლისა, შინ მივიდა, მაგრამ პერტრუდა არ დაუხვდა. მეზობლებმა უთხრეს:— ეს რამდენიმე დღეა, რაც აქ არ ცხოვრობსო. გრიუნვალდმა არ იცოდა სად ეძებნა ცოლი. როცა ქუჩაში გამოვიდა — წააწყდა ქალთა ჯგუფს, რომელსაც მოჰყავდა იოჰან ეურსტი. ამ ჯგუფში პერტრუდაც შენიშნა.

როგორც კი აშკარა გახდა ცნობა ამერიკელების უკან დახვევის შესახებ, ქალებმა უმაღვე, წინასწარ ერთმანეთთან შეუთანხმებლად, დაიწყეს ეურსტის ძებნა. ამ გაიძვერას ძალიან დიდი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. ბავშვთა დიდძალი საფლავი გაჩნდა ქალაქში ამერიკელებისა და მათი ყურმოჭრილი მახანჩალების ბატონობის დროს. ყველამ იცოდა, რომ ეურსტმა ხელი მაგრად მოითბო შიმშილის დროს მუშებისათვის განკუთვნილი პურით სპეკულაციის საშუალებით.

ამერიკელების შტაბის ხელის ქალებმა ხელთ ჩაიგდეს ყოფილი კერძო მკურნი. თავდაპირველად კერძო მკურნი დახმარებისათვის გამოეძახა ამერიკელთა პოლიცია, მისმა ყვირილმა მართლაც გასკრა: ქუჩაში გაჩნდა ამერიკული ჯიპი, მაგრამ ქალებმა ვურსტი ხელიდან არ გაუშვეს, მაშინაც კი, როცა აშკარად გამოჩნდნენ მისი შეიარაღებული მთარეველები.

ჯიპი მოახლოვდა, მაიორმა ტილდენმა შეხედა სასიკვდილოდ შეშინებულ ეურსტს, ზიზღის გამომსახველი გრძობით მიამტერდა და განკარგულება გასცა, რათა დაუყოვნებლივ გასცლოდნენ იქაურობას.

ეურსტი სწორედ ამ დროს აღრიჟდა. იგი თავგანწირვით ყვიროდა და გამკველადად წიოდა, რადგან დარწმუნდა, რომ მის ყოფილ ბატონებს უკვე არა ესაქმებოდათ რა მის ბედთან.

ქალებმა იოჰან ეურსტი წაიყვანეს იმ შენობაში, სადაც დაბინავდა საბჭოთა კომენდანტი, გამცემი სამხედრო ზელი-სუფლებას ჩააბარეს.

ამასობაში ამერიკელების შტაბში ჩქარობდნენ.

— დაუყოვნებლივ უნდა გავიდეთ! — განკარგულებას იძლეოდა კონვეი, — დალახეროს ეშმაკმა დე, ჩვენმა ჯარებმა გაიარონ ამ ძეგლის წინ! ახლა ჩვენი დივიზია შორს უნდა იყოს, რომ ამ ისტორიის გამო არ დაეცისროს რაიმე პასუხისმგებლობა ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ვთქვათ, რომ საბჭოთა კომენდანტმა ისევ დადგა ის ძეგლი რომელიც ჩვენ წასვლის წინ ჩამოვაგდეთ კვარცხლბეგიდან.

გენერალმა კონვეიმ ასე დაასრულა თავისი მოღვაწეობა აისბორნში. იგი მანქანაში ჩაჯდა, უკან მიჰყავდა თავის დივიზიას და, ქალაქიდან გავიდა. მოედანზე გასვლისას ძეგლთან თავმოყრილი ხალხი დაინახა. გერმანელები საბჭოთა ჯარების მოსვლას ელოდნენ.

კონვენის დივიზია ქალაქიდან გავიდა. იგი ჩქარობდა როგორმე სხვაზე ადრე თვითონ მოწყვეტილიყო საბჭოთა ჯარებს. ელბაზე მდგომმა სხვა დივიზიებმა კი ქალაქ აისბორნზე გავლით დაიწყეს მოძრაობა. ისინი შემოდინდნენ ქალაქში და დასასვენებლად ჩერდებოდნენ მოედანზე.

ლენინის ძეგლი გერმანულ ქალაქში — ეს სრულიად მოულოდნელი იყო ყველი ამერიკელისათვის. რომელმაც იმ დღეს აისბორნზე გაიარა. ამერიკელი ჯარისკაცები კითხულობდნენ გრანიტის ხორკლიან კვარცხლბეკზე გამოკვეთილ მოკლე ზარბაზს — „ლენინი“ და, გულში სითბოს გრძნობდნენ. დაუსრულებლად მოდიოდნენ ჯარისკაცები. ჩერდებოდნენ მოედანზე. კითხულობდნენ ძეგლის ამბებს. ძეგლთან ჯგუფ-ჯგუფად იღებდნენ სურათს. მხიარულად უღიმოდნენ დიდ ბელადსა და ხალხთა მეგობარს.

ამერიკელი ოფიცრები ნერვიულობდნენ. როცა უსმენდნენ ჯარისკაცების საუბარს ლენინის შესახებ და უკვე სწერდნენ თავიანთ უფროსებთან დასმენებს იმაზე, რომ აისბორნში ნამყოფი რიგითი ჯარისკაცები აღარ იყვნენ საიმედონი.

მეორე დღეს კი, ზუსტად განრიგის მიხედვით საბჭოთა ჯარები შევიდნენ აისბორნში. ლეიტენანტი კოროლევი იდგა მოედანზე, ძეგლის გვერდით, და ესაუბრებოდა თავის მეთაურს.

გენერალი შევიდა აისბორნში. იგი წინ მიუძღოდა თავის ჯარებს. ქვეითა ბატალიონი მანქანებიდან გამოსვლის უმაღლე ჩამწყვირვდა მოედანზე. მეთაურის სიტყვებმა გადაუჭრა რიგებს და ისეთი სიჩუმე დამკვიდრდა ირგვლივ, რომ მკაფიოდ მოისმა გენერლის ნაბიჯების ხმა ასფალტზე. გენერალი მივიდა ლენინის ძეგლთან. ლეიტენანტის გვერდით შეჩერდა. საზვიაო სიჩუმეში მათ გარს შემოერაყნენ თავმისველი გერმანელები. გენერალმა ძეგლის წინ დადგა წითელი ყვავილების დიდი თაიგული. გერმანელმა მუშებმაც დიდი თაიგული მოიტანეს. ახლა კვარცხლბეკი ასე იყო ჩაფლული ყვავილებში. თით-

ქოს იგი შუაგულ ბაღში ყოფილყოფის ამართული.

მარკინენული

— მოგესალმებით თქვენს მომლოდინელებსა და გენერალმა, — მოგესალმებით და მადლობას გიძღვრებ ყველა პარტიოსან ადამიანს, კეთილი ნების ყოველ ადამიანს, რომლებმაც გადაარჩინეთ და შეინახეთ დიდი ლენინის ძეგლი. საბჭოთა სარდლობისაგან რწმუნება მიქვს, ეს ძეგლი დავტოვო აქ. ქალაქ აისბორნში. დიდი ლენინის სახე, ფიქრი ლენინზე, მის საქმესა და იდეებზე დაგეხმარებათ: კარგად, სწრაფად და მკაცრად ააშენოთ თქვენი ახალი, დემოკრატიული სახელმწიფო. ამხანაგმა სტალინმა თქვა: „პიტლერელები მოდიან და მიდიან, გერმანელი ხალხი, გერმანიის სახელმწიფო კი რჩებაო“. თქვენ ახლა გექმნება ყველა პირობა იმისათვის, რომ შექმნათ ახალი, მშვიდობისმოყვარე გერმანია. და ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ხელს შეგიწყობთ, რათა თქვენ დაუბრუნდეთ მშვიდობისმოსურნი ხალხთა ოჯახს, ხელს შეგიწყობთ გახდეთ თავისუფალნი.

იენისის მაღალ ცაზე მზე კიდევ უფრო მაღლა მიცურავდა. ლეიტენანტი კოროლევი გადაჰყურებდა ჯარითა და ხალხით გაჭედილ მოედანს და იგონებდა იმ ამბულელებელ წუთებს, როცა ეს მოედანი სამ ენაზე მღეროდა „ინტერნაციონალს“. და თითქოს ლეიტენანტი კოროლევის აზრების საპასუხოდ, მოედანზე მოზღვავებულ ხალხის სიღრმეში იქცეა და მაღლა აფრინდა ხალხის ერთიანობისა და ხალხის გამარჯვების ძლიერი, მრისხანე და უძლეველი სიმღერა.

გრანიტის კვარცხლბეკზე ურღვევად იდგა ლენინის ძეგლი. ლენინი თითქოს ეყრდნობოდა არა რუხსა და ცივ გრანიტს, არამედ ყველა ამ ადამიანთა მხრებს. რომლებიც მზად იყვნენ ებრძოლათ უკანასკნელ გადამწყვეტ შეტაკებაში და გაემარჯვებოთ ლენინისა და სტალინის იდეების დიდებისათვის, მთელი დედამიწის ხალხების მომავალი ბედნიერებისათვის.

თარგმანი კოლიო აბრამიანი.

## სირკი ჩამოვიდა მოთხრობა



რვა საათისათვის ძმებმა დანიშნულ ადგილს მიადრწიეს, მაგრამ სირკი ჯერ კიდევ არ ჩამოსულა. ფართო მინდორზე არც კარები იდგა, არც ბრტყვიალა ტანსაცმელში გამოწყობილი ქალები მოჩანდნენ, არც სპილოები, არც ჯუჯა კაცები, არც არაფერი იყო ისეთი, რაც სირკის ჩვეულებრივ წარმოდგენასთან იყო დაკავშირებული.

— შეიძლება სულაც არ ჩამოვიდნენ! — იმედგაცრუებულად წამოიძახა შევიდი წლის ალანმა.

— აფიშებში გამოცხადებულია, რომ სირკი შაბათს ჩამოვა. ნუ სულულობ, — წყნარად უპასუხა თორმეტი წლის ედიმ ალანს, — აი, ეს კი კარგი ვქენით, ყველაზე ადრე რომ მოვედით, — დაუმატა მან სირკე დაფიქრების შემდეგ. — მე მგონი, ჩვენ დაგვიჭირავენ. აი, ნახე!

— ისინი მეც დამიჭირავენ, არა, ედი?

— რამდენჯერ უნდა მკითხო, შტერო, მე რა ვიცი, — მაგრამ ედის მთლად მაინც არ სჯეროდა წარმტებისა, და ამიტომ უპასუხა: — მე გიშოვნი სამუშაოს. შენ მხოლოდ ხელი არ შემოშალო.

— ედი, სირკში ჯამბაზები ნამდვილად იქნებიან?

— სირკში ჯამბაზები ყოველთვის არიან.

— შენ საიდან იცი?

— ვიცი და რა გინდა!

ედიმ ჯიბის დანა ამოიღო და გახსნა.

— მოდი, დანაობა ვითამაშოთ, — განაგრძო მან. — დრო უფრო ჩქარა გაუვა.

— ოჰ, როგორ მინდა ჯამბაზების ნახვა. — ჩაიჩურჩულა ალანმა. — ზარბაზნის ლულიდან რომ კაცებს ისვრიან, იმის ნახვაც ძალიან მინდა. მაგრამ, ვთქვათ, არ ჩამოვიდნენ?

ძმები ბალახზე ფეხმორთხმით დასხდნენ და თამაში დაიწყეს.

ქარი ქროდა, მაგრამ მაინც კარგი დარი იდგა. მზემ გაათბო დედამიწა და გაზაფხულის ჰაერი მოხსნული მიწისა და ყვავილების სურნელებით გაიფლინთა. მიუხედავად მათი ასაკობრივი განსხვავებისა, ძმები ძალიან ჰგვანდნენ ერთმანეთს: ცისფერი თვალები, ნახად მოხაზული სახის ნაკეთები, ორივე გამხდარი, მაგრამ ტანადი, ორივეს მოქნილი სხეული ჰქონდა. ეს შესავსება მათ ჩაცმულობაში კიდევ უფრო მკვეთრად მელავნდებოდა. ორივეს ბამბის ქსოვილის ცისფერი შარვლები, ერთნაირად შეკერილი სხვადასხვა ფერის ჩითის მოკლეგვლებიანი ხალათები და რეზინის წაღები ეცვა.

ბიჭები თამაშობდნენ, თან ცირკზე მშვიდად ლაპარაკობდნენ, მაგრამ სადღაც, გულის სიღრმეში, იღუმალე შიში ჰქონდათ. ედის ნამდვილი წარმოდგენა არასოდეს არ ენახა. ალანი კი საერთოდ არ ყოფილა სირკში. მათ ახლა მოსვენებას არ აძლევდა სირკის ნახვის ფიქრი.

მათი სოფელი გაშენებული იყო ბამ-

ბის მრეწველობის რაიონის ცენტრში. ცირკი აქ იშვიათად ჩამოდიოდა.

როგორც იქნა, ელისათ და ცირკის გრანდიოზულ გასტროლების შესახებ აფიშები გამოავრეს. ამ ამბით გახარებული ბიჭები დედას მივარდნენ. დედამ ყურადღებით მოუსმინა მათ და ბოლოს უპასუხა:

— ძალიან ეწუხვარ, ბავშვებო, მაგრამ ორი ბილეთი ერთი დოლარი და ათი ცენტი ღირს. მე კი ცირკისათვის ამდენი ფული არა მაქვს.

ბავშვებიც არ მიეძალდნენ. იმის შემდეგ, რაც სამი წლის წინათ მამამ ოჯახი მიატოვა, სიტყვები „არა“ და „ეწუხვარ“, ბავშვების ცხოვრებაში მტკიცედ დამკვიდრდა. ამ სიტყვებს წინააღმდეგობის გაუწევლად იღებდნენ ისინი. ცოტახნის შემდეგ ელის ამხანაგმა აშბავი მოიტანა: ვინც ცირკის სადგომთან ადრე მივიდოდა და მათ მიეხმარებოდა წყლის მოტანაში, ან სკამების დალაგებაში, ან სხვა საქმის გაკეთებაში, ის უფასო ბილეთს მიიღებდა.

მეზმა კემბელებმა კარაქის ორ ბუტერბროტს დააეღეს ხელი და მინდვრისკენ მოკურცხლეს. ცირკი ჯერ კიდევ არ ჩამოსულიყო.

ალანს ნადვლიანი ეჭვი ტანჯავდა: შეიძლეოდა ბავშვებს დაიჭირავენდნენ თუ არა? ელის სულ სხვა რამ აწუხებდა: იმ დღეებში, როცა დედა სამუშაოზე მიდიოდა, უმცროსი ძმა მისი საზრუნავი ხდებოდა. დედამ აქ იმ პირობით გამოუშვა, რომ პატარას გვერდიდან არც ერთი ნაბიჯით არ მოიშორებდა. ელი დედას დაჰპირდა, რომ ასეც მოიქცეოდა. მას ახლა საშინელი წინათგონობა ჰქონდა. მართო ელი რომ დაეჭირავენბინათ, მაშინ მას მოუხდებოდა არჩევანის გადაწყვეტა მოვალეობასა და ცირკს შორის.

ცირკზე უარის თქმა უარობად ეჩვენა. მაგრამ ალანი რომ მართო დაეტოვებინა, დედა ერთს მაგრად გაწყველა და უვახშმოდაც დატოვებდა.

შესრულდა რვა საათი, ცხრის ნახევარი, ცხრა... მინდორზე ბავშვების ახალ-ახალი ჯგუფები შეკრებიდნენ. მშენებმა თამაშს თავი მიანებეს და მათთან ერთად ხეტიალი დაიწყო. ბავშვებში ისე შეერივნენ, თითქოს მტრის ბანაკის მხვერავეები არიანო.

ყოველ ახალ მოსულს ეკითხებოდნენ: ბილეთის ყიდვას აპირებდა, თუ საკუთარი შრომით შეძენას ფიქრობდა. ყოველი ახალი მეტოქე ფასდებოდა თავისი ასაკის, ღონისა და შრომის შესაძლებლობით.

თერთმეტის ნახევარზე ზეიმის პირველი მახარობლები გამოჩნდნენ: ტრაქტორებს გუგუნით მოჰქონდათ წითლად შეღებილი უზარმაზარი ფორნები, რომლებზეც თეთრი ასოებით ეწერა:

„ძმები ბერების ცირკი“

გაკვირვების წამოძახილები აღმოხდათ ბავშვებს. ისინი ყიფინით მოედვნენ მინდორს.

— მე მზად ვარ ვიმუშაო!

— მე ღონიერი ვარ!

— მე დამიჭირავეთ! — ისმოდა შეძახილები.

ჯერჯერობით არავინ აპირებდა მათ დაქირავებას. ყურადღებას არ აქცევდნენ. მხოლოდ ზოგჯერ წამოძახილები ისმოდა:

— განზე დადექი! რას გამოყეყეჩებულხარ! გვერდზე მიიწი!

ტრაქტორები მოაგორებდნენ ფორნებს. ფორნებიდან სხვადასხვაფერიად მორთული ხალხი ჩამოდიოდა, რომელნიც სწრაფად შეუდგნენ მუშაობას. ზოგი ფორანსა სკლიდა, რომლებზეც ტილოს ფუთები და დიდრონი ფერადი ქილოკები ეწყო. ზოგიც ტრაქტორზე ატოცდა და ჯალამბარის მართვას შეუდგა.

ელი და ალანი, სხვა ბავშვებთან ერთად ადგილიდან ადგილზე გადადიოდნენ და ბავშვური წკრილა ხმებით მოუთმენლად გაიძახოდნენ:

— დახმარება არ გინდათ, დამიჭირა-  
ვეთ!

მათ უხეშად იგერიებდნენ, უყვირო-  
დნენ. მუშებს ბავშვებისათვის არ ეცა-  
ლათ. ცოტა დრო ჰქონდათ და მეტად  
სწრაფად მუშაობდნენ. ფორნების შემ-  
დეგ თოთხმეტი სპილოსაგან შემდგარი  
ზღაბრული ქარავანი გამოჩნდა. თითო-  
ეულ მათგანს თავისი ზოართუმით ეკა-  
ვა მის წინ მიმავალი სპილოს კუდი. რო-  
ცა სპილოს დახმარებით მიწაზე ვეებერ-  
თელა ტილო გაჭიმეს, მშები უფრო მე-  
ტად შეიპყრო ნერვიულობამ.

— აი, ნახავ თუ ჩვენთვის სამუშაო  
იქნეს. იცოდე, ჩვენ არ ავკიყვანენ! —  
გაიძახოდა ალანი.

ედის ძმის დამშვიდება უნდოდა, მაგ-  
რამ ახლა ის თვითონ იყო გასამხნევე-  
ბელი. ამიტომაც ძმის სანუგეშო სიტყ-  
ვებს ვერ პოულობდა. ისინი გაკვირვე-  
ბულები იყვნენ და ვერაფრით ვერ  
აეხსნათ, რატომ არ იჭირავენდნენ მათ,  
როცა მინდორში აუარებელი სამუშაო  
აყო. ხალხითა და ბარგით დატვირთუ-  
ლი ტრაქტორები მოდიოდნენ და მო-  
დიოდნენ. ბავშვებს ხან უყვიროდნენ,  
ხან განზე ერეკებოდნენ. მათ ყოველი  
მხრიდან საშიშროება მოელოდათ.

დანალვლიანებული მშები იმ კუთ-  
ხისაკენ წავიდნენ, სადაც მეტი სიმ-  
შვიდე იყო. აქ სპილოები არ მუშაობ-  
დნენ და წყნარად იდგნენ. მშებმა სხვა  
ბიჭებიც ნახეს და გაიგეს, რომ არც ერთ  
მათგანს არ გამართლებოდა იმედი. მი-  
წაზე დასხდნენ და თვალს ადევნებდნენ  
ხან სპილოებს, ხან მინდორზე გამეფე-  
ბულ ალიაქოთს.

— მე ზომ ვითხარი, რომ ჩვენ მათ არ  
ეჭირდებით, წავიდეთ შინ, — ბუზღუ-  
ნებდა ალანი.

— შინ? რათა? აქ მეტი მხიარულე-  
ბა არ არის?

— არაფერიც. სულ ერთია, ჩვენ  
მანც არ შეგვიშვებენ ცირკში!

— სპილოებს ზომ ვხედავთ, ესეც

კარგია... შენ რატომ არ უყურებ მათ?

— მე უკვე მომწყინდა სპილოები.  
ჯამბაზებს, ვიცი, ვერა... და რად  
უნდა დავრჩე.

— იცოდე, შინ არ გაგიშვებ. აბა,  
სცადე და მიიღებ სილას!

— აბა, ხელი მახლე! დედას ვეტყვი!

— ალანის ხმაში ტირილი ისმოდა.  
— მომისმინე, ნუ ხარ მტირალა. შენს  
გალახვას არავინ ფიქრობს. რა გინდა  
სახლში, აქ არა სოფლს? ჩვენ ჯერ კი-  
დეც შეგვიძლია სამუშაოს მიღება.

— ჯამბაზების ნახვა მინდა, — ჯიუ-  
ტად ჩაიბუტბუტა ალანმა.

თერთმეტი საათი ახლოვდებოდა.  
დიდი ხანია ბუტერბროტები მიირთვეს.  
გვერდზე სხვა ბავშვები იდგნენ. მოშო-  
რებით დიდებიც იყვნენ.

ამასობაში სხვადასხვანაირი ხმა და-  
ირბა. ზოგი ამბობდა, რომ ცირკი დაგ-  
ვიანებით ჩამოვიდა, წარმოდგენა უქმ-  
დება და სამუშაოც არ იქნებაო. აქვე  
გავრცელდა მეორე ახალი ამბავიც.  
დღის წარმოდგენა რომ მოასწრონ, ბევ-  
რი მუშახელი დასჭირდებათო, თანაც,  
ვინც სამუშაოს უცდის, თორმეტი საა-  
თისათვის დაიჭირავენ და უფასო ბი-  
ლეთის გარდა ერთ დოლარსაც მისცე-  
მენო.

— ზომ ხედავ! — გამარჯვებული  
ხმით წამოიძახა ედიმ. — აკი გუუბნებო-  
დი, დავიცადოთ-მეთქი!

ალანი ცოტა გამხნევედა, მაგრამ რო-  
ცა თორმეტმა საათმაც მოაღწია და არა-  
ვინ დაიჭირავეს, მან ისევ წუწუნის და-  
იწყა და სახლისაკენ იწევედა. ბოლოს  
ერთ კუთხეში დიდი კარავი გამოჩნდა.  
თქვეს, რომ ეს მსახიობების სამზარეუ-  
ლოს და მაგიდებისა და სკამების დასა-  
ლაგებლად მუშახელი დასჭირდებათო.  
მაგრამ ამჯერადაც არავის მიუკითხავს  
ბავშვებისათვის. ხოლო, როცა რამდე-  
ნიმე მოზარდილი ბიჭი საქმის ვითარების  
გასაგებად წავიდა, ისინი სასწრაფოდ  
გამოყარეს იქიდან.



ამ დროს მინდორზე სამხეცესათვის ჩარდახს ჭიმავდნენ. ქარი ტილოს კედლებს აფრიალებდა. მერე დამატებითი ატრაქციონისათვის ერთი კარავიც გამოჩნდა. დღის პირველ საათზე პროგრამის ძირითადი ნაწილისათვის გიგანტური კარავი იყო აგებული. გაისმა ალტაცების ხმები.

სანახაობა მართლაც ამაღლევბელი იყო. მაგრამ სამუშაო არც ძმებისა და არც სხვა ბავშვებისათვის არ იყო. აღშფოთებული ბავშვები თვალს ადევნებდნენ მინდორში მომქმნევე მესებს. რომლებიც ირგვლივ თოკის ღობეს ავლებდნენ. ედი და ალანი ერთმანეთზე მკაფიოდ მიკრულნი ჩემად ისხდნენ. სამი კვირის განმავლობაში სულ ამ საზეიმო წარმოდგენაზე ოცნებობდნენ და ყველაფერი როგორც უდად შეტრიალდა!

ნახევარი საათის შემდეგ ერთმა პატარა ბიჭმა, რომელიც მათთან ახლოს იჯდა, დაიძახა: გავიგებ, ბილეთებს ყიდნიან თუ არაო.

ძმები ამ ბიჭს პირად მტერივით შეჰყურებდნენ. შემდეგ შებრუნდნენ და ერთმანეთს ნაღვლიანად გადახედეს. მათი ცხოვრების მოკლე მანძილზე უცხად შეიგრძნეს ფულის განუზომელი ძალა.

ბოლოს ბავშვები დაიქირავეს.

თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მათ წინ გაჩნდა მაღალი, მზიარული მამაკაცი, რომელსაც ლურჯი დაქმუტენილი პიჯაკი ეცვა ქრულ ჰალსტუხს ქარი აქეთ-იქით უფრიალებდა. დახეული შლიაბა მოტვლეპილ თავიდან კეფაზე გადაეწია. მან ორი თითი ჩაიდო პირში და დაუსტვინა. შეშინებულ ბავშვებს დამცინავად გადახედა და დაიღრიალა:

— ვის სურს ცირკში შესვლა?

ხუთიდან თექვსმეტი წლის ასაკის ოთხმოცმა ბავშვმა ერთხმად დაიძახა:

— მე!

მამაკაცმა გაიცინა, ერთხელ კიდევ

დაუსტვინა. ბავშვებს სიჩუმისათვის უწოდა და განაცხადა: *ერთმანეთს!*

— ასეც ვფიქრობდი, *ერთმანეთს!* ბავშვები მას გარს შემოერტყნენ. მამაკაცმა მოულოთნელად აღანს მიმართა:

— ეი, ბიჭო, შენ რამდენი წლისა ხარ?

ალანს ენა დაება და იცრუა:

— რვისა.

— კეთილი. მე მინდოდა ჩემი თავი დამერწმუნებინა, რომ შენ ორზე მეტს წლისა ხარ. ჩვენ ორი წლისას არ ვიღებთ!

გაისმა ხარხარო, მამაკაცმა გაიცინა. მერე კვლავ დაუსტვინა, მკაცრი სახე მიიღო, თუმცა მის თხელ ტუჩებზე კვლავ დამცინავი ღიმილი შერჩენოდა.

— ხუმრობა იქით იყო, ბავშვებო, — თქვა მან. — ყურადღებით მომისმინეთ, — ბავშვებს წითელი ბილეთი უჩვენა.

წარმოდგენის დაწყებამდე მე მოვცემთ ასეთ ბილეთს. ამ ბილეთით თქვენ უფასოდ შეხვალთ ცირკში. მხოლოდ უნდა მოგვეჩქაროთ რამდენიმე თოკის გაკიმვაში იმიტომ, რომ დღეს ქარიანი დღეა. თქვენ აგრეთვე მოგვეჩქარებთ სკამების დალაგებაში, ერთი საათი ან საათნახევარი მუშაობა მოგიხდებათ.

— შენ არავინ მოგთხოვს დიდი ადამიანივით მუშაობას, — თქვა მან და ხელახლა აღანს მიმართა. — დიდი რომ იყო, უკეთესია, მაგრამ რას იზამ! ბილეთს კი ის მიიღებს, ვინც კარგად იმუშავებს.

— მე შევეცდები! — შესძახა ალანმა.

— მეც შევეცდები! — გაიმეორა ხუთი წლის ბიჭუნამ.

— ბავშვებო, დღეს თქვენ ბედმა გაგლიშათ. კეთილსინდისიერად უნდა იმუშაოთ. გახსოვდეთ: მე ყველა თქვენი ეშმაკობა ვიცი. თექვსმეტი წელია, რაც ცირკში ვმუშაობ, ხოლო ცხრა წელია, რაც პატარა ბიჭებს ვხვდები! ზედ-



მეტ სახელად მე პუშერი შემარქვეს. მაშ, მუშაობა და მუშაობა! მე ბილეთებს მუქთად არ ვიძლევი. იცით, რისთვის შემარქვეს პუშერი? სახეებს ცარგად ვიმახსოვრებ. მე თქვენ ყველანი უკვე დაგიმახსოვრეთ. ნურავინ იფიქრებთ ჩემს მოტყუებას. ბილეთს ის მიიღებს, ვისაც ახლა აქ ვხედავ, გასაგებია?

ბავშვებმა წამოიყვირეს, რომ ყველაფერი გასაგებია და მზად არიან, მუშაობას შეუდგნენ.

— მაშ წავიდეთ!

პუშერი სამხეცეს ეძებდა. ალანსა და ელის ალტაცებისაგან თვალები გაუბრწყინდათ. ხელიხელჩაკედებული ქმები ბავშვების ჯგუფს შეერივნენ. ბანაკამდე ოთხმოცი იარდი იყო გასაღვლი. როცა იქ მივიდნენ, პუშერი სულს ძლივს ითქვამდა და ოფლი სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა.

— ახლა ხომ იცით, რა უნდა გააკეთოთ? — ქშენით იკითხა პუშერმა. — ჩვენ ერთობ ვიგვიანებთ. გუშინ ეს დაწყველილი წვიმა... — მერე მოულოდნელად დაიღრიალა: — გესმით, თუ მთელი ძალით არ იმუშავებთ, დღის წარმოდგენა არ შედგება. იჩქარეთ!

თითები პირში ჩაიდო, გამგირავად დაუსტვინა და გამაყრუებელი ხმით დაიქუხა:

— ლარი, სად ჯანდაბაში წაეთრიე?!

კარავიდან ჭაბუკი გამოვარდა, გაუპარსავი, ჭუჭყიანი, თმაგაწეწილი. პუშერი ცუდად გამაგრებულ ბრეხენტს დაეძგერა და შეეკითხა:

— შენ რას უცდი, იქნება გინდა ეს კარვები ეშმაკებმა წაიღონ? მე ხომ გითხარი, თოკები დაგემაგრებინა.

— მე რა ვქნა, შუაზე ხომ არ გავიგლიჯება? — ჩაბუტბუტა ლარიმ. — ჯომ მიბრძანა ანტილოპისათვის თივა დამეყარა.

— სანამ კარავს ქარი გადააყირავებდეს, თოკები ღეამაგრე! — დაიღრია-

ლა პუშერმა. — თქვენ კი, ბავშვებო! — და ექვსი ბავშვი გადათვალოვით მიუღწიარის ელი და ალანიც, ამ ბავშვებს მკაცრად ლარისთან დარჩით და რასაც ის გეტყვით, ისე მოიქეცით.

— მოიცა — მოლუშულად უთხრა ლარიმ, — შენ რა ძუძუმწოვარა ბავშვებს მაჩეჩებ? — ექვს ბავშვში მხოლოდ ერთი იყო თხუთმეტი წლისა. დანარჩენები პატარები იყვნენ. — ცოტა მოზრდილები მაინც მომეცი.

— მუშახელი მარტო აქ როდი გვკირდება. სკამებს მე დავალაგებინებ. ხომ არ გგონია, რომ ხუთი ათასი სკამი თავისთავად დალაგდება? — პუშერი ახლა ბავშვებს მიუბრუნდა. — როცა თქვენ ამ საქმეს მორჩებით, მთავარ ჩარდახთან მოხვალთ, მე იქ ვიქნები და ბილეთებს დაგირიგებთ. აბა, დანარჩენები მომყევით!

პუშერი წინ გაიჭრა. ბავშვები მას გაჰყვნენ.

— კარგია! — გამარჯვებული სახით ჩაილაპარაკა ალანმა. — ხომ გეუბნებოდით, რომ ჩემს სიმაღლეს ყურადღებას არავენ მიაქცევს-მეთქი.

— როგორც საჭიროა, ისე იმუშავე, — დაარიგა ელიმ.

— ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ მათ მოვეწონოთ.

— ეი, თქვენ, ნარდად მომუშავეებო! — ნახევრად დამცინავად, ნახევრად ხუმრობის კილოთი უთხრა ლარიმ. — ბაგირს ბოლოებიდან სამ-სამი მოექიდეთ, პატარებო, ჩემთან წამოდით.

ბავშვებმა ადგილები დაიკავეს და მძიმე ბაგირს ძლიერად ჩაჰკიდეს ხელი. ლარიმ დაბალ ბოძთან ჩაიჩოქა, რომელზეც თოკი იყო მობმული. ეს თოკი კარვის ტილოს ამაგრებდა. ლარი მონერხებულად ხსნიდა ნასკვს. შემდეგ თავისუფალ ბოლოზე მარყუქი გაუქმთა, ბოძს ჩამოაცვა და ორივე ხელით ჩაეჭიდა.

— ყველაფერი რიგზეა. გასწიეთ!

ბიჭებმა მთელი ღონით გასწიეს ბაგირი. ლარი ფეხზე ძლივს იდგა.

— გასწიეთ!

ბავშვებმა ხელახლა გასწიეს. კარვის ტილოს კედლები თანდათან უფრო მაგრად იჭიმებოდა.

— უფრო მაგრად გასწიეთ! შეჩერდით!

ლარიმ მარყუქს სწრაფად მოუჭირა და ბოძზე მაგრად დაამაგრა. ასე გადავიდნენ მეორე ბოძზე, მერე მესამეზე. მეთხუთზე, მეხუთზე... ნასკის გახსნის მოლოდინში ალანი ედის მიუბრუნდა:

— ერთი მაგას ჰკითხე, გაწერთილი ძალღებვი იქნებიან?

— შუშ! ხელს ნუ შეეშლით!

კვლავ გაისმა ბრძანება. ძმებმა მალე დაქარგეს ხალისი.

ბავშვები მეტად მიიმე, დამქანცავ საშუაოს ასრულებდნენ. ისინი ქერელის ბაგირს ჭიმავდნენ, რომელზეც ქერელი-სავე ტილო იყო დამაგრებული. ქარი პირდაპირ სახეში სცემდათ. ხიჭვები კანს უაწირავდათ და მტკივნეულად ესობოდათ სხეულში. მათ ბავშვურ, ნახ ხელისგულებზე ბებერები გასჩენოდათ. ალანს ხელები გახევებოდა და თითებს ველარა ღუნავდა.

ბალოების ორმაგი რიგი, რომელიც გარს ეხვეოდა დიდ ჩარდახს, გაუთავებელი ჩანდა. ყურებში კი ლარის გაწეწვეტილი ბრძანება ესმოდათ.

— ხელები მეტყინა, — მოულოდნელად გამოუტყდა ალანი ძმას.

— შენც აღექი და ხელებზე დაიფურთხე, — ასწავლა ლარიმ, — მერე ისე აღარ აგეწევა.

სხვა ბავშვებიც ამ დარიგების თანახმად მოიქცნენ. ამის შემდეგ უფრო ბეჯითად შეუდგნენ მუშაობას. მაგრამ ამ გულმოდგინეობამ დიდხანს არ გასტანა. არც ფურთხს აღმოაჩნდა ჯადოსნური თვისება. ხელებზე კანი სულ უფროდა-უფრო უწყითლდებოდათ და ტკივილიც თანდათან ძლიერდებოდა.

ყოველი ახალი ბაგირის გაჭიმვის დროს კიდევ უფრო მეტი დაძაბულობა სჭირდებოდათ. ბავშვებზე დაწვეტილებული ყვეტად სუნთქავდნენ, ოფლის მლაშე წვეთები თვალბეჭში ჩასდიოდათ, ფეხები ეკეცებოდათ. მათი ნორჩი სხეულები, რომლებიც მხოლოდ ბავშვურ თამაშს იყვნენ შეჩვეულნი, ასეთ დატვირთვის ვერ იტანდნენ. მათ დასვენება სწყურებდათ.

სუნთქვაშეკრულ, გაწამებულ ედის შიში იპყრობდა. მას თავის თავისა კი არა, ძმისა ეშინოდა. ალანს რომ სამუშაოსათვის თავი დაენებებინა, მასაც ხომ გააგდებდნენ. რაღა უნდა ექნა მამინე? შიშის გრძნობა უკუაგლო და გაბედულად იკითხა:

— სერ, არ შეიძლება, ერთი წუთით რომ შეჩერდეთ?

ლარი გასწორდა, ჩაიციხა და უთხრა:

— ჯერ ხომ მხოლოდ ნახევარი საქმეა გაკეთებული.

ბავშვებს შორის ყველაზე უფროსმა, თხუთმეტი წლის ბიჭმა, ფართო ხელისგულებზე დაიფურთხა და კეხნით თქვა:

— მე კი არ დავლლილვარ!

— შენ თუ არ დილაღე, მე დავილაღე, — უთხრა ლარიმ. — ცოტა მაინც ამოვისუნთქოთ. — ლარიმ თავი უკან გადასწია, ლურჯ, მოწმენდილ ცას ახედა და მწარე ღიმილით თქვა:

— ნამდვილი იდიოტი უნდა იყო, რომ ცირკში იმუშაო. ეს ქარიანი დღეები ილაჯს მართმევს. კიდევ წვიმა სჯობს ამ დაწყვეტილ ქარს.

— საშინლად დავილაღე. — შესჩივლა ალანმა ედის.

— მეც დავილაღე. მაგრამ შენ ხომ მუშაობას არ მიატოვებ?

— არა. ჯამბაზების ნახვა ძლიერ მინდა.

— აი ეგრე, ალან!

— ედი, შენ არა გტკივა ხელები? მე კი ძალიან მტკივა. ხელებზე კოყრები გამიჩნდა. აი, ნახე.



— მეცა მაქვს კოყრები.  
 — სერ, რომელი საათია? — ჰკითხა ერთ-ერთმა ბავშვმა ლარის.  
 — სამი დაიწყო. აბა, აბა, საქმეს მიეხედოთ!  
 — წარმოდგენა სამის ნახევარზე იწყება?  
 — ამ სეზონში ასეთ დროს არასოდეს არ დაგვიწყია. ვფიქრობ, რომ დღეს ოთხისათვის დაიწყება, — უბასუხა ლარიმ.  
 — ამ ბილეთით ჯუჯა კაცების და, საერთოდ, ყველაფრის ნახვა შეიძლება?  
 — მე რა ვიცი. მე კი არა ვარ ამ დაწყებული ცირკის პატრონი, — შეტევით მიუგო ლარიმ.  
 — აბა, გასწიეთ! ღონიერად! ალანს ღონე გამოეღია.  
 — აბა, ძამიკო, ცოტა-ლა დარჩა! — შეესმა ალანს ძმის გამამხნევებელი სიტყვები.  
 — მეტი აღარ შემიძლია.  
 — მამ დაჯექი! — დაუყვირა ლარიმ ალანს.  
 — მაშინ ბილეთს აღარ მოგცემენ, ალან! — აღშფოთებით ჩასჩურჩულა ედიმ და ლარის მიუბრუნდა:  
 — სერ, გთხოვთ ნება დართოთ ალანს, მუშაობა განაგრძოს!  
 — დამეხსენა! — შეუღრინა ლარიმ. — მე ვიცი, შენ რისი შიშით გაქვს. სისულელეა, ხომ არ გგონია, წავალ და დაგაბეზლებთ? ვინ გგონივართ?! არ ჩამოგვრჩე, — დაუმატა მან და ალანს მიუბრუნდა: — შენ რომ მუშაობა მიატოვე ამას პუშერი ვერ გაიგებს. ამით დავამთავროთ ეს ამბავი. აბა, საქმეს მიხედეთ, ბავშვებო!  
 — ო, რა კარგია! გმადლობთ! — წამოიძახა ედიმ.  
 ბოლოს მათ უკანასკნელი კარავი გაქიმეს და თოკის ბოლოებიც მაგრად დაამაგრეს. ტილო ქარისაგან დაკული იყო.  
 — ამინ! — თქვა ლარიმ. — მუშაობა დავამთავრეთ. აი, სულ ეს იყო.

ბავშვებს გადახედა და ჩუმად გაიცი-  
 ნა. თხუთმეტი წლის ბიჭს კიდევ შექმ-  
 ლო მუშაობა, დანარჩენებში კი უკმა-  
 ძლიეს იდგნენ:  
 — გაგიძნელდათ, არა, ბავშვებო? — თანაგრძნობის ღიმილით ჰკითხა ლარიმ  
 — ახლა პუშერთან გაიქეცით და ბილეთები მიიღეთ.  
 — მე სულაც არ დავლილვარ. — კვებ-  
 ხნით თქვა თხუთმეტი წლის ბიჭმა. — მძიმე სამუშაოს შეჩვეული ვარ.  
 — მით უკეთესი, — უთხრა მას ლარიმ.  
 — მადლობელი ვარ, სერ, ძმის მაგივრად გიხდით მადლობას. — ჩაილულულა ედიმ.  
 ლარიმ ხუმრობით გაჰყრა მას გვერდი:  
 — იქნებ ოდესმე შესძლო ასევე გადამიხადო.  
 — სად გაქვთ წყალი? — იკითხა ალან-  
 მა. — ძალიან მწყურია.  
 — იმ კარავს ხომ ხედავ. იქ წყლით სავსე კასრი დგას. ზოლო თუ შიგ ლუღი აღმოჩნდება, მეც დამიძახე, — ღიმილით უთხრა ლარიმ და სამხეცეში გაუჩინარდა.  
 გამარჯვების გრძნობით აღსავსე ბიჭები მინდორში მიყალიბდნენ. დაკოყრილ ხელებს ერთმანეთს უჩვენებდნენ და თან ადარებდნენ, ვის უფრო მეტი ბებერები ჰქონდა, და იმას იკვებნიდნენ, რომ სულაც არ დავლილვართო.  
 — მე ხომ კარგად ვმუშაობდი, არა? — ყურში ჩასჩურჩულა ალანმა ძმას.  
 — ხელები რომ არ მტყენოდა, სამუშაოს არ მივატოვებდი.  
 — შენ მაინც ყოჩაღად მუშაობდი, — შეაქო ედიმ.  
 — შენ თვითონ კი არ დაიღალე? — ჰკითხა ალანმა.  
 — ისე, ცოტა.  
 კასრში წყალი გამობარიყო და თან ტილოს თავსახურს გაუეგემურებინა, მაგრამ ბავშვებმა მაინც ხარბად დალიეს და ცოტა შუება იგრძნეს ოდნავ

გამოცოცხლებულები ძლივს წალას-  
ლასდნენ მთავარ ჩარდახისაკენ.

— ისე მინდა, რომ ძაღლებზე ჰკით-  
ხო, — უთხრა ალანმა ელის. — ჯამ-  
ბაზების შემდეგ ყველაზე უფრო ძაღ-  
ლების ნახვა მაინტერესებს. როგორ და-  
დიან ისინი კიბეებზე და ოინბაზობენ.  
ძაღლები, ალბათ, აუცილებლად ეყო-  
ლებათ, არა?

— პუშერსა ვკითხავ, იმას ეცოდინ-  
ება.

ბავშვებმა პუშერი მთავარ ჩარდახთან  
იპოვნეს. ის ფორანთან იდგა და ბავ-  
შეების ჯგუფს ბრძანებლობდა. ბავშვე-  
ბი სკამებს ალაგებდნენ. ბიჭები პუშერ-  
თან მივიდნენ.

— ჩვენ უკვე დავამთავრეთ სამუშაო.  
— უთხრა თხუთმეტი წლის ბიჭმა. —  
შეგვიძლია ბილეთების მიღება?

— რა თქმა უნდა! — მხიარულად  
უპასუხა პუშერმა. — მხოლოდ ჯერ  
სკამების დალაგებაში უნდა მომეხმარ-  
ოთ. დანაწილდით წყვილებად.

— ჩვენ კიდევ უნდა ვიმუშაოთ? —  
ჰკითხა ელიმ მისუსტებული ხმით.

— ეს სკამები ხომ უნდა დალაგდეს,  
— მხიარულად თქვა პუშერმა, — უამი-  
სოდ არ შეგვიძლია დაწყება. ნახევარ-  
ზე ნაკლები დარჩა შემოსახიდი. მსუ-  
ბუქი სკამებია. დაიწყეთ!

— თქვენ ხომ გვითხარით, რომ ბი-  
ლეთებს მიიღებთო, — უთხრა თხუ  
ეტი წლის ბიჭმა. — რატომ არ იძლევი?  
პუშერს ღიმილი გაუქრა სახეზე.

— მომისმინე, — უთხრა მან, — შენ  
ნუ მასწავლი. სკამებზე მე ვაგებ პა-  
სუსს. თქვენ ქარიან ამინდში მოგიხდათ  
თოკების გაჭიმვა. ეს იმას კი არ ნიშ-  
ნავს, რომ მე ამ სამუშაოს თავი უნდა  
გავანებო. ცოტა კიდევ წაიმუშავეთ, არ  
მოკვდებით. თქვენ რა, გეზარებათ კა-  
რავში რამდენიმე სკამის შეტანა? მოკ-  
ლედ: იმუშავეთ თუ არა?

— ვიმუშავეთ, — წაილულულდა  
თხუთმეტი წლის ბიჭმა.

— მაშ, ორ-ორად დაიყავით და მუ-

შაობას შეუდგით. ეი, თქვენ ქარიან  
ბიჭებო, მგონი თქვენ ძმები ხართ, არა?  
დაიწყეთ მუშაობა!

— ჩვენ დავილაღეთ, — წყნარად  
უპასუხა ალანმა. — ჩვენ საშინლად და-  
ვილაღეთ.

— არაფერი დაშავდება, ცოტა კიდევ  
რომ დაილაღოთ. — თქვა პუშერმა და  
ძმებს მუჯლუჯუნი წაჰკრა. — წარ-  
მოდგენა თხუთმეტი-ოც წუთში უნდა  
დაიწყოს.

— მე მეტი აღარ შემიძლია, ელი. —  
თქვა ალანმა და ცრემლი მოადგა თვა-  
ლებზე. — ძალიან დავილაღე. ისე ძლი-  
ერ მტკივა ხელები რო...

— მაგრამ მხოლოდ თხუთმეტი წუთი-  
და უნდა ვიმუშაოთ. ის ამბობს, რომ  
მსუბუქი სკამებიაო.

— მეტი არ შემიძლია, ელი.

— მომისმინე, — აღშფოთებით ეჩურ-  
ჩულებოდა ელი. — შენ თავი ისე დაი-  
პირე, ვითომ მუშაობ. წამოლებით კი —  
მე წამოვიღებ. შენ მარტო სკამის ბო-  
ლოს მოჰკიდე ხელი მათ შესახებდავად.

— კარგი... ვეცდები.

— წავიდეთ! — მხიარულად დაიძახა  
პუშერმა. — იქ ხალხი უკვე შეგროვი-  
ლა, წარმოდგენის დაწყებას ელის.

• • •

სკამები ფორანზე ელაგა. დასაკეცი  
სკამები იყო სამ-სამი ერთად შეკრული.  
ფორანზე თექვსმეტი წლის მუშა იდგა,  
მას ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა.  
სკამებს ანაწილებდა და მერე ბავშვებს  
აწოდებდა. ბავშვებს სირბილით უნდა  
გადაეხიდათ სკამები ცირკის შენობაში  
ოცი იარდის მანძილზე.

— იჩქარეთ! იჩქარეთ! — გაჰყვირო-  
და პუშერი. — ძალიან ვიგვიანებთ. ხომ  
მართალს ვამბობ, ბავშვებო? მოდიეთ,  
მოდიეთ, ახლა თქვენი რიგია. აჰა, სკა-  
მები!

ელი ორივე ხელით დაებლაუქა სკა-  
მებს. ალანმა სკამების მეორე ბოლოს



მოჰქიდა ხელი ქვევიდან და ისე ასწია, როგორც მის მოღლილ კუნთებს შეეძლო. დალილებმა ლასლასით გასწიეს მთავარ ჩარდახისაკენ და ქშენით შევიდნენ ცირკის შენობაში. აქ საშინელი უწყესრიგობა იყო. ხალხი ფუსფუსებდა, მაღლა რაღაცას ამაგრებდნენ, იქით სკამებს არახუნებდნენ, ისმოდა ყვირილი, ხმაური. საიდანღაც ორკესტრის არეული ხმები მოისმოდა.

— რას დამდგახართ! გაზიდეთ იქით სკამები!

ძმები მობრუნდნენ და დაინახეს პუშერის თანამეშვე, რომელიც მათ თითო მეორე იარუსისაკენ მიუთითებდა. ბავშვები სულ ზემოთ აცოცდნენ. აქ მათ მუშები იპოვნეს და სკამები ჩაბარეს.

— ნუ ჩქარობ, — უთხრა ედიმ ძმას. — უკან დაბრუნებისას შეგვიძლია დავისვენოთ.

მაგრამ ბიჭებმა როგორც კი ნაბიჯი შეანულეს, მათ თავზე ვილაცამ დაიღვრილა:

— ეი, თქვე ხარმაცებო, აპირებთ თუ არა მუშაობას? ჩვენ უსაქმურები არ გვინდა!

ბავშვები კარავიდან გამოცვივდნენ. თუ აღრე მათ ბოძებისა და თოკების ტყე ვრტყათ გარშემო, ახლა მათ წინ სკამების მთა აღმართულყო. ბიჭები ძლივს ასწრებდნენ ერთი შეკვრის გახსნას, რომ მეორე იქვე ელოდებოდათ. ეს წინა სამუშაოზე უფრო იოლი იყო. შემობრუნებისას ცოტაოდენი შესვენება შეიძლებოდა. მაგრამ ეს სამუშაოც ძნელი იყო მათთვის, რადგან ახლა ისინი არაქათამოღლეულები იყვნენ. აღანი მალმალ იმეორებდა, ცოტას მაინც შევისვენებო. ედი კი ეხვეწებოდა, მაგას ნუ იხამო.

— როგორც კი ჩაჯდები, იმავე წუთს გაგაგდებენ აქედან. მარტო მე ვათრევ, შენ მხოლოდ გვერდზე მომდიე. არ გინდა სასაცილო ჯამბაზების ნახვა, აღან? მაგრამ მალე, თვით, ედიმაც იგრძ-

ნო სრული ექძლურება. დალილებმა საგან ბავშვებს სახე გადაფურცლებდათ, თმები ოფლით გახუწულყოფნაზე უშერი მათ „ეხმარებოდა“. ამ ადამიანისადმი სიძულვილი მათ ღონეს ჰმატებდათ, პუშერის ხმა ყველგან ისმოდა და ეს მათ ბიძგს აძლევდა.

— შეხედეთ ამ ყმაწვილს! — ყვიროდა პუშერი. — მას ჰგონია, რომ ბილეთს მუქთად მიართმევენ. ერთი შეხედეთ, როგორ გამოლენჩებულა! ეს რასა ჰგავს? მუშაობა დაუღლეღად არ შეიძლება. აქედან წაეთრიე ყმაწვილი! ჩემგან შენ ვერაფერსაც ვერ მიიღებ. არ დაგავიწყდეთ, ბავშვებო: წარმოდგენა ათ წუთში უნდა დაიწყოს. ბილეთები ხომ გინდათ? მაშ, სკამების ზიდვასაც დაუჩქარეთ. ნახევარი-ლა დარჩა შემოსახილი. არ დაიხოცებით, თუ ცოტას კიდევ წაიმუშავებთ. ხა! ხა! ხა! მე გიბრძანებთ, თქვენ კი უნდა ზიდოთ! ასეა ქვეყანა მოწყობილი. გაინძერით, ლაწირაკებო!

ედი ლოცულობდა. ღმერთს ევედრებოდა, დახმარებოდა, რომ ბოლომდე შეენარჩუნებინა მოთმინება. ღმერთს იმასაც ევედრებოდა, რომ ყველა ამ ტანჯვის შემდეგ ამ ქვეყანაზე არავითარ ძალას არ შეძლებოდა წარმოდგენის ნახვის ჩაშლა.

ხუთის ნახევარზე უკანასკნელი შეკვრა დასცალეს. ცირკში ორკესტრი უკრავდა. ნახერხმოყრილი არენა წარმოდგენისათვის გამზადებული იყო. ბავშვები ბილეთების მიღების მოლოდინში პუშერის წინ ჩამწკრივდნენ.

— დღეს თითოეულ თქვენგანს შეუძლია თერთმეტ საათზე მოვიდეს და სკამები აალაგოს. ამ სამუშაოსათვის ერთ მუკა წვრილ ფულს მიიღებს. ახლა კი შეგიძლიათ მიბრძანდეთ და ისიამოვნოთ. თქვენ ასეთ წარმოდგენას ვერც ნახავდით.

ბავშვები მთვარეულებივით შებარბაცდნენ ცირკში. პუშერის თანამეშვემ მათ დასაჯდომი ადგილები უჩვენა. ბი-



ქები სულ ზემოთ აცოცდნენ და ერთ რიგზე ჩამოსხდნენ. ძალაგამოლუქული თვალებით არენას მიაშტერდნენ.

ცირკი მაყურებლებით ივსებოდა. მუსიკა გრიალებდა, პროექტორები არენას თვალისმომკრელად ამუშებდნენ.

— ჯამბაზების ნახვა მინდა, ძალღების, ზარბაზნების... — ჩურჩღულებდა ალანი.

— ტრაპეციისაც, — ჩაიბუტბუტავდომ.

ბავშვები გაყუჩდნენ. სალაპარაკოდ აღარ ეცალათ, სასიამოვნო უძღურებას განიცდიდნენ. ეს გრძნობა მთელს სხეულს ეუფლებოდა. მიკროფონიდან დიქტორის გამაყრუებელი ხმა გაისმა. არც ერთ ბავშვს იმის თავი არა ჰქონდა, რომ დიქტორის სიტყვები გაერჩია. მალე ისევ დაიგრიალა ორკესტრმა. კულისებიდან რამდენიმე ფერადკანიანი მოცეკვავე ქალი გამოვიდა. ბავშვებს მათი ცეკვა დაუბოლოვებელი ეჩვენათ, მათი მოქნილი და მოძრავი ხელები კი — გველების კლაკუნად. ამის შემდეგ არენაზე სპილოები გამოიყვანეს. ბიჭები მთელი ძალით ცდილობდნენ თვალი ედევნებინათ, მაგრამ ეს მათთვის ნაკლებ საინტერესო იყო. სპილოები მათ უკვე ნანახი ჰყავდათ. დადლილობამ თანდათან თავისი გაიტანა: ძმებმა დაქანცული თავები დახარეს, ერთმანეთს მაგრად მიეკვრნენ და ჩაეძინათ.

\* \* \*

— შეხედე, — თქვა პუშერის თანაძემწემ და თან ბავშვებზე მიუთითა, —

ყოველთვის სულ ერთი და იგივე ხდება, სანაძლეოს დაუდებელი უკვე არ ეძინოს, ხოლო მათი თვალები რამე გაეგებოდეს. დღევანდელი უწესრიგობა სულ შენი ბრალია. — უთხრა დაყოვნებით თანაშემწემ. — ძლიერ დავიგვიანეთ.

— ჩემი ბრალია?! — დაიღრიალა პუშერმა. — იქნებ ეს დაწყვეტილი ქარიც მე ამოვაგდე? მე ჩემი საქმე ხომ უნდა გამეკეთებინა. რაც შეეხება ბავშვებს. მათ ძალიან უნდოდათ ცირკის ნახვა. სამუშაო მოგვეციათ, მეხვეწებოდნენ.

— მაინც არ მეგონა, რომ დღის წარმოდგენის ჩატარებას შევძლებდით, — თქვა თანაშემწემ.

— ამათ შეხედე, — პუშერმა ედისა და ალანზე მიუთითა. — საწყალი ბავშვები!

ზარბაზნის გასროლის ხმაზე ბავშვები შეერთნენ და გამოფხიზლდნენ. თითქოს ღამის კოშმარულ სიზმარში იყვნენო, მათ წინ გაიქროლა ზარბაზნის ლულიდან ჰაერში გაფრენილმა მოცეცილმა ფიგურამ. ეს ფიგურა მაოლა გაფრინდა და მერე რამდენიმეჯერ გადატრიალდა და ქვევით ბადეზე დაეარდა.

გამაყრუებელი შეძახილები გაისმა. მაყურებლები ადგილებიდან დგებოდნენ. წარმოდგენა დამთავრდა. სანახავე აღარავითარი იყო. ძმები შინისაკენ გაეშურნენ. ისინი ისე ჩუმად ტიროდნენ, რომ არავის, არც ერთ ადამიანს არ შეეძლო ამის დანახვა და გაგონება.

თარგმანი ინგლისურიდან  
ვიალა ხაჩიძისა.



## პართუდი საბკოთა ღიბერატურის ამოცანები



კომუნისტური პარტია თავის უწმინდეს მოვალეობად თვლიდა და თვლის მშრომელი ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. საბკოთა სოციალისტური წარმოების მიზანი იყო და არის არა მოგება, არამედ საბკოთა ადამიანების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ადამიანის კეთილდღეობას ემორჩილება ჩვენში ყოველი საქმე. არსად ისე ამყად არ გაისმის სიტყვა ადამიანი, როგორც ჩვენს ქვეყანაში. არსად ისე არ ზრუნავენ უბრალო ადამიანების კეთილდღეობაზე, როგორც ჩვენში.

საბკოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის ზრუნვის ახალ გამოხატულებას წარმოადგენს საბკოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და მიმდინარე წლის თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებანი. ამ დოკუმენტებმა გრანდიოზული ამოცანები დაუსახეს ჩვენს სახალხო მეურნეობას. ამ გადაწყვეტილებათა ძირითადი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მოხდეს საბკოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, საბკოთა ადამიანების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება. სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების მკვეთრად გადიდება უშუალოდ დამოკიდებულია ჩვენი სოფლის მეურნეობის მოსავლიანობისა და პროდუქციულობის დონის ამაღლებაზე.

იყო დრო, როდესაც ჩვენი სახელმ-

წიფოს ბედი წყდებოდა მრეწველობის ფრონტზე, ჩვენი ეკონომიკის საფუძველთა საფუძვლის, სამხედრო თავდაცვის საიმედო სიმაგრის — მძიმე ინდუსტრიის საკითხის გადაწყვეტით. ამჟამად ჩვენი სახელმწიფოს სახალხო მეურნეობის მშენებლობის შემდგომი წარმატების ამოცანა ძირითადად ჩვენი დიდებული სამშობლოს მინდვრებზე, საკოლმეურნეო ველებზე წყდება. ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებს სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეული წარმატებანი. სოფლის მეურნეობის განვითარება ჩამორჩება ჩვენი მრეწველობის ზრდას. მოსახლეობის მზარდ მოთხოვნებს. ამიტომაც ჩვენმა პარტიამ დასახა, როგორც გადაუდებელი საყოველთაო-სახალხო ამოცანა, სოციალისტური ინდუსტრიის მძლავრი ზრდის ბაზაზე უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში დააკმაყოფილოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნა სახალხო მოხმარების საგნებზე და უზრუნველყოს ნედლეულით მსუბუქი და კვების მრეწველობა.

„პრაველი წლის მანძილზე ჩვენი პარტია, — ამბობდა ამხ. გ. მალენკოვი ქ. მოსკოვის ლენინგრადის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1954 წლის 12 მარტს, — ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას. ამ პოლიტიკის შედეგი საყოველთაოდ ცნობილია. ჩვენს ქვეყანა



ახლა აქვს მძლავრი მიმე ინდუსტრია, რომელსაც ჩვენ კვლავაც დაუტორობლად განვაუთარებთ. როგორც საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს მთელი სახალხო მეურნეობის განუწყვეტელ ზრდას და განვითარებას, როგორც ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საიმედო ბურჯს, მაგრამ ახლა სარგებლობს რა ინდუსტრიალიზაციის ნაყოფითა და შედეგებით, ჩვენმა პარტიამ დასაბამო ამოცანა ორ-სამ წელში მივაღწიოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრ აღმავლობას“.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დირექტივებში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომ გადაწყვეტილებაში მოცემულია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი აღმავლობის საბრძოლო პროგრამა. საბჭოთა ხალხი უკვე შეუდგა ამ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებას. ამჟამად სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხისადმი მიპყრობილია ყველა ჩვენი ორგანიზაციის, ყველა ჩვენი დაწესებულების, ყველა ჩვენი მუშაკის ყურადღება. ჩვენი ხალხის წინაშე დიდი და გრანდიოზული ამოცანები დგას. სექტემბრის პლენუმის დირექტივების შესრულება განიხილა თებერვალ-მარტის პლენუმმა. თებერვალ-მარტის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების ამოცანას. ეს ამოცანა ითვალისწინებს მარცვლეული კულტურების ნათესების ფართობის გაფართოებას, ყაზახეთის, დასავლეთ ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთის, აგრეთვე ჩრდილო კავკასიისა და ზოგიერთი სხვა რაიონის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას. როგორც ვიცით, უნდა მოხდეს 13-მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. ეს უდიდესი ამოცანაა. პარტია უკვე შეუდგა ამ ამოცანათა განხორციელებას. 120

ათასი ტრაქტორი, 10-ათასი კომბაინი და ბევრი სხვა ტექნიკური საშუალება მიტანილია ნასვენი და ყამირი მიწების დასამუშავებლად. მილიონამდე ახალგაზრდა წავიდა ამ ახალი მიწების ასათვისებლად. მთელი ჩვენი ხალხი პარტიოტულმა აღტყინებამ მოიცვა.

ასეთ ვითარებაში საბჭოთა მწერლობის ამოცანაა, ჩაებას თავისი მხატვრული სიტყვით ამ სახალხო მოძრაობაში, გამოსახოს ჩვენი ხალხის ეს სახალხო, საყოველთაო შემოქმედებითი შრომა და ამით დაეხმაროს ჩვენს სახელმწიფოს იმ დიდ ამოცანათა განხორციელების საქმეში, რომლებსაც აყენებენ სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმები ჩვენი ხალხის წინაშე.

საბჭოთა ლიტერატურა, საბჭოთა წყობილების ეს პირშეო, სოციალისტურ სინამდვილეს ამოეზარდა, მის საფუძველზე აღიმართა, როგორც დიდი იდეური ძალა ჩვენი ადამიანების აღზრდისა. ქართული საბჭოთა მწერლობა ჩვენი ხალხის წინაშე თავის პარტიოტულ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდა. მან შექმნა ბევრი ნაწარმოები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ჩვენი ადამიანების ფორმირებისა და აღზრდის საქმეში. ამ მხრივ ჩვენს მწერლობას კარგი ტრადიცია აქვს. აღსანიშნავია, რომ საინტერესო წიგნები პირველ ყოვლისა სოფლის მეურნეობის თემაზე შეიქმნა. მე მხედველობაში მაქვს ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ილ. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“, ალ. ჭეიშვილის „ლელო“, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, მ. მრეველიშვილის „ხარატანთ კერა“ და სხვ. ეს ნაწარმოებები დროულად გამოეხმაურნენ საკოლმეურნეო მშენებლობას, მათში დიდი მხატვრული ძალით წარმოისახა საკოლმეურნეო მშენებლობის პროცესი. ამიტომაც, რომ



ეს წიგნები იქცნენ იდეური ზემოქმედების დიდ ფაქტორებად, ახალი ცხოვრების დამამკვიდრებელ ნაწარმოებებად.

საკოლმეურნეო თემატიკა ქართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი წამყვანი თემა იყო. ჩვენი მწერლობა შეეცადა აესახა ის უდიდესი სოციალისტური გარდაქმნა, რომელიც საკოლმეურნეო ცხოვრებამ მოახდინა სოფლად და რომლის შედეგად შეიქცაღა ჩვენი სოფლის მეურნეობის არა მარტო ეკონომიური სახე, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა საკოლმეურნეო ცხოვრებას მშენებელ ადამიანთა სოციალისტური შეგნება. ჩვენი მწერლები თავიანთი საუკეთესო წიგნებით ზრდიდნენ საბჭოთა ადამიანებს პატრიოტიზმის სულისკვეთებით, უჩვენებდნენ მათ საკოლმეურნეო ცხოვრების შემდგომი განვითარების უდიდეს პერსპექტივებს.

სამწუხაროდ, ეს დიდი გამოცდილება და ტრადიცია, ეს მაღალი ლიტერატურული დონე, რაც ქართულმა საბჭოთა მწერლებმა საკოლმეურნეო თემაზე შექმნილი ნაწარმოებებით მოიპოვა, ამ ბოლო წლებში თავის ბუნებრივ განვითარებას ვერ ჰპოულობს. ამ მხრივ ჩვენი მწერლობა დიდად ჩამორჩა. ეს ჩამორჩენა მკვეთრად მოჩანს ახლა, როდესაც სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმმა ასე თვალსაჩინოდ ამხილა სოფლის მეურნეობაში არსებული ნაკლოვანებანი და ჩამორჩენილობა.

პარტიის ამ დოკუმენტებში მოცემულია არა მარტო სოფლის მეურნეობის აღმავლობის გაშლილი პროგრამა, არამედ მხილებულია სერიოზული ნაკლოვანებანი მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში. სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დარგებში გამომქლავებელია არსებული შეცდომები და ნაკლოვანებანი. ამხ. ნ. ზრუშჩოვი ხაზგასმით

აღნიშნავდა: „დღემდე ზოგიერთ კოლმეურნეობას სათავეში უდგანან უვარგისი, დაუდევარი ადამიანები, რომლებიც არ შეიძლება შივაკაროთ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობას. ცენტრალურ კომიტეტში და მთავრობაში შემოდის კოლმეურნეთა საჩივრები კოლმეურნეობათა უვარგისი ხელმძღვანელების შესახებ“. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: როგორ ამხილა ჩვენმა მწერლობამ საკოლმეურნეო მშენებლობის ნაკლოვანებები? როგორ ეხმარებოდა იგი ჩვენს პარტიას, რათა მზის სინათლეზე გამოეტანა შეცდომები და ნაკლოვანებანი, რომლებიც გააჩნია ჩვენს სოფლის მეურნეობას?

ომისშემდგომი პერიოდის საკოლმეურნეო სოფლის მხატვრულ გამოსახვას რამდენიმე ნაწარმოები მიეძღვნა. ამთაგან აღსანიშნავია ი. ურჯუმელაშვილის მოთხრობა — „თანატოლები“, რომელიც მეტად აქტუალურ საკითხს შეეხება. იგი იშლება საკოლმეურნეო სოფლის ფონზე და მიზნად ისახავს წარმოსახოს სოფლად ახლახან დაარსებული ერთ-ერთი მტს-ის მუშაობა. აქ არის რამდენიმე დამახასიათებელი, საინტერესო მხატვრული პასაჟი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ი. ურჯუმელაშვილს ამ ნაწარმოების მხატვრული სრულყოფის გზით შეეძლო საკოლმეურნეო სოფლის ამსახველი საინტერესო რომანი შეექმნა. მაგრამ, როგორც ჩანს, ავტორი აჩქარებულა, ნაწარმოების მხატვრული სრულყოფისათვის სათანადო ყურადღება არ მიუქცევია. ამიტომ ამ რომანს სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს.

დაუსაბუთებელია რომანის კონფლიქტი: რომანის მიხედვით დავაწარმოებს ორ კოლმეურნეობას — „განთიადსა“ და „ჩვენ შრომას“ შორის, მაგრამ ამ უთანხმოებას მხატვრული დასაბუთება, დამაჯერებლობა აკლია. ასევე სათანადო მხატვრულ მოტივირე-

ბას მოკლებულია კოლმეურნეობის თავმჯდომარის — ჯავახას და ახალგაზრდა აგრონომი ქალის — ნათელას შორის კონფლიქტი. ნათელა, რომანის მთავარი გმირი, არ არის სათანადო მხატვრული საღებავებით დახატული.

გაუგებარია ჩვენთვის, ერთი მხრივ, სერგოსა და ნათელას, მეორე მხრივ, სერგოსა და ნატოს დამოკიდებულება. ეს ეპიზოდებიც არ არის მხატვრულად დამაჯერებელი.

რომანში 37 მოქმედი გმირია გამოყვანილი. რასაკვირველია, ასეთი მრავალრიცხოვანი გმირების გამოყვანის დროს ახალგაზრდა ავტორი ვერ ახერხებს დახატოს ისინი თავიანთი დამოუკიდებელი ცხოვრებით, ენებებით, ინტერესით, დახატოს ზორცმესხმულად და საინტერესოდ. ამ გმირების დიდი უმრავლესობა ჩვენს წარმოდგენაში დასამახსოვრებელ კვალს არ ტოვებს. რომანში ყურადღება გადატანილია მოვლენების გარეგნულ აღწერილობაზე, ეპიზოდები შეუმზადებელია, მოვლენებს შორის შინაგანი კავშირი და ლოგიკური თანმიმდევრობა არა ჩანს. მაგალითად, რომანში კომკავშირის კრება ისეა აღწერილი, რომ მკითხველი არ არის შემზადებული კრებაზე დატრიალებული კონფლიქტისათვის. კრებაზე ნათელას, ჯავახას და სხვა გმირების გამოსვლებს ჩხუბის, ისტერიული ყვირილის ხასიათი აქვს. რომანის დასაწყისში ავტორი ერთი გმირის შესახებ ასეთ რეპლიკას გვაწვდის: „თუ აქამდე რევიზორ-ინსპექტორივით კოლმეურნეობაში დადიოდა, რომ სხვისი მუშაობა შეემოწმებინა, ახლა მას უშუალოდ თვითონ მოუხდება საქმის კეთება, თვითონ იქნება პასუხისმგებელი ხვანათესავზე, ნაკვეთების მოვლა-პატრონობასა და მოსავლის მოყვანაზე. ადვილია ყველაფერი ამის თქმა, მაგრამ იცით, მკითხველო, მოსავლის მოყვანა რამდენ შრომას, რამდენ ოფლის ღვრას, მხნეო-

ბასა და ძალღონეს საჭიროებს? — მკითხველი ამ კითხვაზეც კარგად უპასურობს აგან მოელოდა. გიგლიძე

ჩვენს ლიტერატურაში ხშირად ლაპარაკობენ, რომ მწერალი ვალდებულია აჩვენოს შრომითი პროცესებიო. ცხადია, ეს პირობითი მსჯელობაა. მწერლობის მოვალეობა არა შრომის პროცესის მექანიკური ასახვა, არამედ ადამიანის ხასიათების დახატვა, მშრომელი ადამიანის ჩვენება როგორც შრომაში, ისე ოჯახურ პირობებში, ურთიერთშორის დამოკიდებულებაში. მწერალმა ადამიანთა ხასიათების ჩვენებით უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ცხოვრებასთან, საგნებთან, შრომით პროცესებთან.

ცხოვრების ცოდნა აუცილებელი პირობაა მწერლობისათვის. მაგრამ უმთავრესია მიანიც — გამოხატოს ეს ცხოვრება, ადამიანები, რომლებიც ამენებენ ახალ ცხოვრებას, გამოხატოს ისინი ოსტატურად, პროფესიონალურად. განა ბევრი მწერალი არ იცნობს ჩვენს ცხოვრებას? მაგრამ რაკი ბევრ მათგანს აკლია ოსტატობა, არ შესწევს განზოგადების უნარი, ამიტომ იღეურად სწორი ჩანაფიქრი მხატვრულად ზორც-შესხმული ვერ გამოუდის. ამგვარი ნაწარმოები, თუნდაც იგი უაღრესად აქტუალურ თემაზე იყოს დაწერილი, ცხადია, ვერ აღწევს მიზანს.

1953 წელს ქართული პროზის აღმანახში გამოქვეყნდა ო. ჩხეიძის რომანი „ჯებირი“. ეს რომანი, ჩემი აზრით, უკანასკნელი პერიოდის ქართულ პროზაში სათანადო ყურადღებას იმსახურებს. „ჯებირი“ თავისი კომპოზიციური აგებულებით და პრობლემების დაყენებით უთუოდ საინტერესო ნაწარმოებია.

რომანი გამოირჩევა ავტორის გაბედულებით. ო. ჩხეიძე არ ერიდება მუქ საღებავს, როცა სიმართლის გამოხატვას ცდილობს. რომანში მძაფრად არის



გაკრიტიკებული ეგრეთწოდებული „კა-  
ბინეტის ხალხი“. მინისტრები, განყო-  
ფილების გამგეები, და ბოლოს, თვით  
ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ყო-  
ფილი შემადგენლობა. ეს ადამიანები  
დახატულია ორიგინალურად. ავიღოთ,  
მაგალითად, კრების აღწერა. უკანას-  
კნელ წლებში ტრაფარეტად იქცა კომ-  
კავშირის, პარტიისა თუ კოლმეურნეო-  
ბის კრების აღწერა. სწორედ ასეთი  
ტრაფარეტისგანაა დაზღვეული რომა-  
ნის ეს ნაწილი. აქ დავა კრების დღის  
წესრიგის განსაზღვრისთანავე იწყება.  
რიგითი კოლმეურნე ქალი, ახლა ფერ-  
მის გამგე. ბაბე წყრილაშვილი, სულ  
სხვა მიმართულებას მისცემს კრებას.  
ბაბე მოითხოვს, და აღწევს კიდევაც,  
რომ დღის წესრიგში შეიტანონ ფერმი-  
სა და საძოვრების საკითხები და ისინი  
პირველ რიგში იქნეს განხილული. ბა-  
ბეს სახე ძლიერი მხატვრული საღება-  
ვებითაა გამოკვეთილი.

რომანის მთავარ და ძირითად კონ-  
ფლიქტს ოჯახის საკითხი განსაზ-  
ღვრავს. ეს მოტივი მთელ რომანს  
გასდევს. ნაწარმოები ამით იწყება და  
ამითვე მთავრდება. უფრო სწორი იქ-  
ნება, თუ ვიტყვით, რომ ოჯახის სა-  
კითხი „ჯებირში“ განხილულია სა-  
კოლმეურნეო მშენებლობის ფონზე.

რომანში ოსტატურადაა ნაჩვენები  
პარტიული ხელმძღვანელობა რაიკომის  
მდივნის ირაკლი შუბითიძის სახით.  
მწერალმა შეძლო რეალისტურად დაე-  
ხატა მოწინავე, უნარიანი, ხალხისათ-  
ვის თავდადებული პარტიული მუშაკი.  
ამ პარტიოსან ადამიანს მრავალი წინა-  
აღმდეგობის გადალახვა უხდება, და მა-  
ინც ის ბიუროკრატიზმის კაობში ჩაფ-  
ლული მინისტრისა და ერთ-ერთი გან-  
ყოფილების გამგის კირკიტაძის ინტრი-  
გის მსხვერპლი ხდება. მას ცენტრალუ-  
რი კომიტეტის ბიუროზე სრულიად  
უდანაშაულოდ ხსნიან სამუშაოდან.  
ამის შემდეგ ხელი მიჰყევს რაიკომში  
სხვა პარტიოსანი და რიგითი ადამიანე-

ბის მოხსნას. მაგრამ, მწერლის სწვე-  
ბით რომ ვთქვათ, „მოულოდნელი“ და  
უეცარი ამბები მოხდა. კირკიტაძე  
ლეს ის, ვისგანაც ნიშნულს იღებდა რაი-  
კომის ახალი მდივანი, ვისებრ აღგზნე-  
ბითაც გაიძახოდა: „მოიხსნას“, „გაი-  
რიცხოს“, „მოიხსნას“, „გაირიცხოს“.  
მას კუნწულასავით აჰყვენ აპოლონ  
კირკიტაძე, გრიგოლ სევასტიანოვიჩ...  
თუმცა გახსენების ღირსი არ არის ეს  
უამური ისტორია“.

რომანი ძირითადად სწორად ხატავს  
საკოლმეურნეო სინამდვილეს. მწერალს  
აღებული აქვს ორი კოლმეურნეობა:  
ერთია „თამარშენი“ — სანიმუშო, რო-  
მელსაც ჰყავს ინიციატივანი და ენერ-  
გიული თავმჯდომარე გიორგი კახნია-  
შვილი. მეორეა ორბისის კოლმეურნეო-  
ბა, რომელსაც თავმჯდომარედ ჰყავს  
ლადო სავანელი. მისი ოჯახური უსიამო-  
ვნებება გარკვეულ უარყოფითს გაე-  
ლენას ახდენს ჩამორჩენილი კოლმეურ-  
ნეობის ცხოვრებაზე. დაუთესავე ხნუ-  
ლები, შეუწამლავე ბაღები, გაფუჭებუ-  
ლი გზა და ირაკლი შუბითიძის (რაი-  
კომის მდივნის) ლაფში ჩაფლული „პო-  
ბედა“ ნათელს ხდის ამ კოლმეურნეო-  
ბის ჩამორჩენილობას.

ეს რომანი როდია უნაკლო. ჩვენი  
აზრით, არ არის მართალი, როდესაც  
ორბისის კოლმეურნეობის ჩამორჩენი-  
ლობის ლიკვიდაცია ხდება ერთი ხელის  
დაკვირთ. საკმარისია გამოჩნდეს რაი-  
კომის მდივანი შუბითიძე, და ერთბა-  
შად ყველაფერი იცვლება! ამის გამო  
დაუჯერებელი ხდება როგორც ჩამორ-  
ჩენილობის დასაბუთება, ისე ამ ჩა-  
მორჩენილობის გამოსწორების ახსნაც.

ავტორის მიერ სწორად არის დას-  
მული ოჯახის საკითხი. ოჯახის პრობ-  
ლემა დიდი და რთული პრობლემაა.  
ავტორიც მღელვარებით მოგვითხრობს  
ამაზე, ოღონდ, ჩვენი აზრით, ერთგვა-  
რი ბუნებრივი შემზადება აკლია ამ  
საკითხის შესახებ მსჯელობას პარტიუ-  
ლი ორგანიზაციის კრებაზე. შინაგანი

დამაჯერებლობა და ბუნებრივობა აქ-  
ლია შერისა და ლადოს კონფლიქტსაც.  
ავტორი მსჯელობის დროს მერტილად  
მკითხველის განაჩენს ეყრდნობა, მკით-  
ხველს ანდობს — გაარკვეოს, ხორცი  
შეასხას ავტორის შთანაფიქრს ისე,  
რომ რომანში წინასწარ ამისათვის საკ-  
მარისი მოტივირება არ არის. აქ არის  
სხვა წერილმანი ნაკლიც, მაგრამ  
მთლიანად რომანი ომისშემდგომი პე-  
რიოდის ქართულ მწერლობაში მნიშვე-  
ნელოვანი შენაქენია. აუხსნელია მხო-  
ლოდ ჩვენი კრიტიკის დემილი ამ სა-  
ინტერესო ნაწარმოების მიმართ.

ლიტერატურის მოწოდებაა არა რე-  
გისტრაცია ფაქტებისა, არამედ სინამ-  
დვილის შეცნობა მის მოძრაობაში, გან-  
ვითარებაში. მხატვარმა რომ გაარკვი-  
ოს და სწორად შეიყნოს ცხოვრების  
ფაქტები, კანონზომიერი დამოკიდებუ-  
ლება ადამიანთა შორის, საჭიროა მას  
ჰქონდეს სწორი იდეური პოზიცია, სწო-  
რი ესთეტიკური ხედვა. მარტოოდენ  
უბრალო მთაბეჭდილება, ცხოვრების  
ცოდნა საკმარისი როდია. საჭიროა მწე-  
რალს ჰქონდეს არა მარტო იდეური  
წრთობა, არამედ, ამასთანავე, ოსტატო-  
ბის უნარი. ნამდვილი ოსტატობის, დი-  
დი პროფესიონალიზმის გარეშე არ არ-  
სებობს დიდი მხატვრული შემოქმედე-  
ბა. ჩვენმა მწერლობამ უნდა უკუაგდოს  
როგორც ფორმალისტური ვარჯიშობა-  
ნი, ისე ნატურალისტური ემპირიზმი.  
სოციალისტური რეალიზმის მეთოდი  
მწერლისაგან მოითხოვს საზოგადოებ-  
რივი ცხოვრების კონფლიქტთა გამო-  
ხატვას; მწერალმა უნდა აღმოაჩინოს  
მძაფრი იდეური წინააღმდეგობანი, და-  
ხატოს ხასიათები საზოგადოების განვი-  
თარების კანონთა შეცნობის საფუ-  
ძველზე. მნიშვნელოვანი საკითხების  
შეცვლა წერილმანებით, წერილმანები,  
როგორც სტილიზაციის ხერხი, უნდა  
იქნას უკუგდებული ჩვენს მწერლობა-  
ში. ეს მეთოდი ნიშანდობლივია დეკა-  
დენტური მწერლობისათვის. ამ საკითხს

აქ ვეხებით იმიტომ, რომ, როგორც  
ცნობილია, ო. ჩხეიძე დიდხანს უკუ-  
მოქცეული ფორმალისტური მხატვრული  
გავლენის ქვეშ. ეს ხელოვნური არტა-  
ხები ბოკავდა მას. არ იქნებოდა შეც-  
დომა, თუ ვიტყვოდით, რომ ავტორმა  
„ჯეებირში“ ერთგვარად დააღწია თავი  
ამ სქემებს. რომანის წარმატებაც ამით  
აიხსნება.

უკანასკნელი დროის ქართულ პრო-  
ზაში შეიმჩნევა გატაცება თვითმიზნუ-  
რი სტილიზაციით. სტილიზაცია არ  
უნდა ავუროთო ცნებაში — ენობრივი  
სიწმინდე, ენობრივი სიმდიდრე.

მწერალი ვალდებულია იბრძოდეს  
ენის სიწმინდისათვის, ენობრივი მრავ-  
ალფეროვნებისათვის, ძარღვიანი ქარ-  
თული ენისათვის, ბუნებრივი ფრაზი-  
სათვის, საერთო-სახალხო ენისათვის ნი-  
შანდობლივი სინტაქსური კონსტრუქ-  
ციების დამკვიდრებისათვის. თვითმიზ-  
ნური სტილიზაცია კი „ლიტერატურში-  
ნი“ ყველაზე დაბალი გამოვლინებაა.  
ზედმეტი გაბრიალება ფრაზისა, ხელოვ-  
ნური მორთვა და მოკაზმვა, გადაქარ-  
ბებული ორნამენტები ნახატს ბუნებრი-  
ვობას უკარგავს, აღუნებს სიუჟეტს,  
თხრობას, ყურადღება გადააქვს ცალ-  
კეულ სიტყვაზე. პოეზიისაგან პროზის  
ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი  
უთუოდ არის თხრობის სპეციფიკა. პრო-  
ზაში თხრობას ნახატის, ხასიათების  
სრულყოფა ევალება. ამიტომაც პრო-  
ზაიკოსს ყურადღების ცენტრში უნდა  
ჰქონდეს დაყენებული თხრობის დინა-  
მიკა. სიუჟეტის მამოძრავებელი ელემ-  
ენტები თხრობაა.

ლექსი უფრო ითმენს უხვ ორნამენ-  
ტებს, აქ სიტყვიერ ორნამენტს სხვა  
ფუნქცია აქვს. რასაკვირველია, პროზა-  
შიც ფრაზას, რეპლიკას უდიდესი ფუნ-  
ქცია აქვს ხასიათის გამოკვეთაში, ად-  
მიანის თვისებათა ხატვაში. და ენა  
ხომ, როგორც მ. გორკი იტყვოდა, მწერ-  
ლობის ძირითადი ელემენტია. ამ ბოლო  
დროს პროზაში ხშირად ყურადღება



გადააქვთ ენობრივ სტილიზაციაზე, სიტყვების თვითმიზნურ თამაშზე. ამით კი მწერლები აღარიბებენ ხასიათს, აღუნებენ სიუჟეტის მძაფრ განვითარებას.

გ. შატბერაშვილი უთუოდ გამოირჩევა როგორც ძარღვიანი ქართული ენის, მოხდენილი პოეტური სტილის ავტორი. მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი, როგორც პროზაიკოსი, ზოგჯერ ერთგვარი საფრთხის წინაშე აყენებს თავის თავს. გ. შატბერაშვილის მოთხრობებისათვის დამახასიათებელია თავისებურა წინააღმდეგობრივი პრინციპი, რამდენადმე გათიშვა ნაწარმოების შინაარსისა და ფორმისა. მწერალს ამბავი აღებული აქვს თანამედროვეობიდან, ჩვენი სინამდვილიდან, ოღონდ ხანდახან ფორმად გამოყენებული აქვს ძველი, არარეალისტური სკოლის ხერხები. მის ნაწარმოებში წმირად ფორმა აბრჩობს შინაარსს, ზედმეტ არტაბებს უქმნის. ამიტომ იგი იძულებულია, ამბავი მოგვეცეს ნაფლეთების ფორმით, საგანს მღელვარება და სიმძაფრე დააკლოს. ბევრჯერ გ. შატბერაშვილი მიმართავს ეგრეთწოდებულ გაუცნაურების ხერხს. მისი გმირები რაღაცნაირად უცნაურნი არიან. ასეთი მოთხრობაა, კერძოდ, „მამალხინეს ბიჭი“.

ვინ არის ეს მამალხინე? ავტორს თუ დაეუჯერებთ, მამალხინე ქართული მეტყველების ცოცხალი ლექსიკონია.

ჩავიდა თუ არა სოფელში, მწერალმა მამალხინესაკენ გასწია. მამალხინე შინ არ დაუხვდა. მეორე დღეს დილით მამალხინეს ძახილი შემოესმა, მაგრამ, ვიდრე ტანთ ჩაიცვამდა და ეზოში გამოვიდოდა, მამალხინე შორს წასულიყო. „ჰაი, ჰაი, უცნაური კაცია!“ „არა, მამალხინე სხვასავით ერთბაში კაცი არ გახლავთ“. მწერალი დაედგინა ორღობეში მიმავალ ამ უცნაურ კაცს. დაეწია. მამალხინეს ბიჭის ამბავი ჰკითხა. ირკვევა, რომ მამალხინეს ომიდან დაბრუნებული ბიჭი თავმჯდომარედ დაუნიშ-

ნავთ, ყოფილი ჩიტბრეკია თავმჯდომარე კი მოუხსნიათ. შემდეგ მწერალი ჰყვება, თუ როგორ მუშაობდა მამალხინე ეს.

გახტრებული პურის მკაა. თავმჯდომარეს ხელში სანადირო თოფი აუღია და მწყერებს დასდევს. ნადირობის დროს მას რაიკომის მდივანი შემოეყრება. მამალხინე გადაწყვეტს, რომ დაიჭიროს მწყერი და მიართვას კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რომ ამით დასცინოს მას. აი როგორ აქვს ეს აღწერილი ავტორს: „ერთბაშად ტვინმა მიაზრა: თუ ამ მწყერს ცოცხლად დავიჭერ და ამ ბედს მონადირეს მივგვრი, რაიკომის მდივანთან თავს მოვჭრი და ის იქნება-მეთქი. მარცხენაში ხელეური მეჭირა, მარჯვენაში ნამგალი. ხელი არ გამომადგებოდა. აფთარივით პირდაღებულმა ვისკუბე და მწყერის ფრთა კბილებში მოვიჭყიე... შემდეგ, „როდესაც რაიკომის მდივანმა სიცილით გული იჯერა, ჩემს ბიჭს ხელი დაუქნია, განზე გაიძახა, დიდხანს ესაუბრა“. ირკვევა, რომ მამალხინეს ბიჭის ბედიც მაშინ გადაწყვეტილა და თავმჯდომარედ დაუნიშნავთ...

ამ მოთხრობაში ყველაფერი გაუცნაურებულია: მწყერის დაჭერაც, თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევაც და, საზოგადოდ, ყველაფერი. მოთხრობაში სიტყვის ორნამენტზე, მეტისმეტ „გაპრიალბაზე“ გადატანილი ყურადღება, ხოლო სახეები გამოფიტულია, დამდაბლებულია ადამიანები. სწორედ ამიტომ აკლია ნახატს მღელვარება, ძარღვიანობა, იდეური სიმძაფრე. ნიჭიერმა პროზაიკოსმა ეს გზა უნდა უკუაგდოს, მოვლენის ამგვარ ხატვას თავი უნდა აარილოს.

მწერლობის მთავარი ნაკლი მინც სინამდვილის ემპირიკული, ნატურალისტური ხატვაა. დღეს სწორედ ესაა ჩვენი მწერლობის ხელშემშლელი და დამაბრკოლებელი მიზეზი. ამხანაგი გ. მალენკოკი საბჭოთა კავშირის კომუ-

ნისტური პარტიის XIX ყრილობაზე ამბობდა: „ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჯერ კიდევ იქმნება ბევრი მდარე, უფერული, ხოლო ზოგჯერ, ამკარად ხალხურული ნაწარმოებები, რომლებიც ამახინჯებენ სინამდვილეს“. ამის მაგალითები ცოტა როდია თანამედროვე ქართულ მწერლობაში.

არაიშვითად გვხვდება ჩვენს ეურნალ-გაზეთებში მხატვრულად მდარე, უფერული ნაწარმოებები, სადაც ხშირად წაშლილია ზღვარი მწერლობასა და საოქმო ქალაღებს შორის. ეს უახლო მეტყველება, ეს გულუბრყვილო ემპირიზმი უკან ეწევა ქართულ მწერლობას.

ეურნალ „მნათობის“ 1952 წლის ნომრებში იბეჭდებოდა მ. ორაგველიძის მოთხრობა „მეგობრობა“. ამ ნაწარმოებს ცოტა აქვს საერთო მხატვრულ მწერლობასთან. მარიაალია, მოთხრობა გრამატიკისა და სტილის თვალსაზრისით საფუძვლიანად გაუსწორებიათ, მაგრამ განა გრამატიკულ-სტილისტური გასწორება უშველის ნაწარმოებს, რომელშიაც ნაკლებად გვხვდება მხატვრული სახეები, სათანადო მხატვრული სიმძაფრით არ არის მოცემული მოვლენების განზოგადება? „მეგობრობა“ რამდენადმე ერთი კოლმეურნეობის ისტორიის გადმოცემაა.

ჩვენს მწერლობაში ამ ბოლო დროს გავრცელდა აზრი, თითქოს პრაქტიკული ცოდნის მქონე კაცს უკეთესად შეუძლია დაწეროს მხატვრული ნაწარმოები. ეს არ არის სწორი. რა იქნებოდა იგივე „ჩაპაევი“, რომ დაეწერა თვით ჩაპაევს, და არა ფურმანოვს, ლევინსონის ამბავი განეზოგადებინა არა ა. ფადეევს, არამედ ლევინსონის პროტოტიპს, და ა. შ. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც პრაქტიკიდან მოსული ადამიანი მოიტანს ბევრ რაიმე ახალს. ასეთი მწერალი იყო, მაგალითად, ნ. ოსტროვსკი.

მ. ორაგველიძის „მეგობრობის“ ნაკ-

ლი ისიც არის, რომ სრულიად უადგილოდ — გურიის კოლმეურნეობის მაგალითზე — დასმულია ე. წ. სინაზის პრობლემა. ეს კი ყურით მოთრეულია და მოგონილი. საქართველოს ბუნება, მისი ლანდშაფტი მრავალფეროვანია; ძნელია წარმოიდგინოთ მეორე ისეთი პატარა ქვეყანა, რომლის ბუნება იყოს ისეთი მრავალფეროვანი, როგორც ჩვენი ქვეყანაა. მსგავსებისა და კონტრასტების ეს უღვეი ფერები და საღებავები ხიზლავს ადამიანს. დილით თქვენ შეგიძლიათ იდგეთ მარადყინულოვანი და თოვლიანი კავკასიონის კალთებთან, უმშვენიერეს ალპიურ ზონაში. საღამოს კი თავი ამოკყოთ საქართველოს მეორე უმშვენიერეს მხარეში — ზღვის ნაპირას, ნარინჯოვან ველებში. სადაც პალმების, ციტრუსებისა და ჩაის ნარგავები იტაცებს ადამიანს. ამ უკიდურეს ზონებს შორის თქვენ გაივლით ბაღებით, ვენახებით, ჯეჯილეებით, სიმინდით დაყურსულ მინდვრებს, შეხედებით ხრიოკს, უდაბნოს მსგავსად სილითა და ქვიშით დაფარულ ველებს, გაუვალ ქაობებს, ნაქენარებით და ფუქნარებით დაფარულ მთებსა და გორაკებსაც. ასე იცვლება ყოველ 30-50 კილომეტრზე საქართველოს ლანდშაფტი. ცხადია, ასეთ პირობებში არაბუნებრივია ვალიაოთ ერთი რომელიმე სამეურნეო კულტურის კულტი. ჩვენი სოფლის მეურნეობის მრავალფეროვნება როდია ყოველთვის ნართებულად გაგებული.

ამჟამად ჩვენი მწერლობა ვერ ავლენს იმ დიდ ნაკლოვანებებს, რომლებსაც სოფლად ჰქონდა ადგილი და რომლებიც ასე მკაცრად არის მხილებული ცენტრალური კომიტეტის დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებში.

ჩვენში ცოტა როდია ადამიანები, რომლებიც გამოდიან კრებებზე, იწონებენ პარტიის ხაზს, მაგრამ სინამდვილეში ცდილობენ იცხოვრონ უზრუნვე-



ლად და უღარდელად. ამ სამარცხენო „გმირებს“ სასტიკად ამათრახებს ამხ. ნ. ზრუშკოვი თავის მოხსენებაში. განა ჩვენმა მწერლობამ ასახა ასეთი ადამიანები?

სხვას რომ თავი დავანებოთ, პარტიულ დოკუმენტებში დასახელებული ფაქტები უაღრესად მიდიარ მასალას იძლევა კონფლიქტების დასაწახავად. ამ მასალის გამოყენება ჩვენს მწერლებს უხვად შეეძლო. სამწუხაროდ, მწერლები ხშირად ნაკლები წინააღმდეგობის გზით მიდიან და გაურბიან ცხოვრების მართალ, წინააღმდეგობრივ გამოხატვას.

ჩვენი მწერლობის ჩამორჩენილობას მოწმობს ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ წლებში, ომისშემდგომ პერიოდში, მცირე გამოხატვის გარდა, მწერლობას არ შეუქმნია ტიპი, არ განუზოგადოებია ახალი ადამიანის, ომში გამარჯვებული, ახლა კი მშვიდობიანი მშენებელი, საბჭოთა ადამიანის სახე. სოფლის ეს ტიპები — გვადი ბიგვა, არჩილ ფორია, გერა, ტარას ხაზარაძე, მეჭი, ციციონო თუ ქიშვარდი სოციალისტური სოფლის თანამედროვე მდგომარეობის თვალსაზრისით უკვე გადაბერებული, თეთრწვერიანი გმირები არიან. ჩვენი მკითხველები კი ახალ ტიპებს ელოდებიან. ხოლო ტიპის შექმნა მწერლობის უნარის გამოცდაა. ტიპების, ტიპიური ხასიათების გარეშე არ არსებობს დიდი ეპიკური მწერლობა.

ჩვენი მწერლობის და ხელოვნების არსებითი ნაკლი ისიც იყო, რომ იგი უმეტესწილ სოფლის ცხოვრების სურათებს პარადულ ხმაურში, „დაშაქრული“ განცხრომის ვითარებაში ხატავდა. არ არის საჭირო ცხოვრების შეღამაზე-ბა ხელოვნური ფერებით, ყურადღების გადატანა მოგონილ ბრწყინვალეობაზე.

ავიღოთ ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო ფილმი „საბჭოთა საქართველო“. ფილმში ბევრი რამ ხელოვნურად შეღამაზე-

ბული და გამოგონილია. ჩვენ გერ არ გვინახავს, რომ ყანაში ცხრეშუშობს კერანგა გლეხები თოხნდნენ: დამცხრებელი მუშაობის დროს კოპწიად ჩაცმული ქალიშვილები ბროლის კიქით წყალს აწოდებდნენ. რა საჭიროა სინამდვილის ასეთი შეღამაზება? ეს ხომ სიყალბეა. ხოლო რაც ყალბია, იდეურად და მხატვრულად მანკიერია. სიყალბე მხატვრული მანკიერების დედაა.

ჩვენს რომანებში, მოთხრობებში, ლექსებსა თუ კინოსურათებში დიდი ყურადღება ეთმობა საზეიმო, პარადულ ხმაურს. პიესაში თუ რომანში შაბლონად იქცა ქორწილის, ქეიფის ან რაიმე საბაბით გამოგონილი ღრეობის აღწერა. შეიძლება ამითაც აიხსნე-ბოდეს, რომ ამ პარადულ ხმაურს აყოლილი ზოგიერთი ახალგაზრდა ფუქსავატური ცხოვრების გზას ადგას. ასეთი უქნარა ადამიანები სოფლადაც გვხვდებიან. მათი გაკიცხვა დაუსახავს მიზნად ნიქიერ ახალგაზრდა მწერალს ედიშერ ყიფიანს მოთხრობაში „შემთხვევა კონცერტზე“.

მოთხრობაში უქნარა, ცეკვებით თავმოშონენ ახალგაზრდა, რომელსაც საავარაკოდ ჩამოსული ლამაზი სატრფოც უშოვია, ეპატიყება საღამო-კონცერტზე ქალიშვილს, რომ ნახოს, რა შესანიშნავი მოცეკვავეა ეს ლევანი. ლევანი ასრულებს საკოლმეურნეო შრომის ამსახველ ცეკვას. ამ დროს უკანასკნელი რიგებიდან ვილაცამ წამოიყვირა: „მიდი, მიდი, ლევან, ერთ შრომადღედ ჩაგეთვლება“, გლეხებმა გადაიხარხარეს. როდესაც ეს შეყვარებული ქალ-ვაჟი ერთმანეთს შეხვდება, მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

„— იცი, რას გეტყვი ლევან, მინდა ისე იმოქმედო და იცხოვრო, ისე, ისე, რომ რაც არ უნდა შეასრულო — სატრფილო იქნება, საგმირო, თუ შრომის გამომხატველი ცეკვა...“





— ვერასოდეს ვერ დამცინონ, არა?  
— სიტყვა წაართვა ლევანმა, — ამის თქმა გინდოდა?

— ზო. ისე იცხოვრო, რომ ვერ დაგცინონ, — გაიმეორა ნანამ“.

მოთხრობაში საკითხი სწორადაა დაყენებული, ოღონდ საკითხს საკირო მოტივირება აკლია. ვითარება ისეა დახატული, რომ ლევანი შესანიშნავი მოცეკვავეა. იგი პროფესიონალია და ამიტომ მას საყვედური არ ეთქმის. რად არის ის დასაციანი? მწერალს ის უნდა თქვას, რომ ეს ლაზღანდარა, უქნარა კაცი. ცეკვებით ირთობს თავს და ამით ფარავს თავის უსაქმურობას. ეს რომ უფრო ხაზგასმული იყოს, ნაწარმოებში მოიგებდა.

ჩვენ ცეკვა-თამაშისა და ტან-ფანდურის წინააღმდეგი როდი ვართ. პირიქით, საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწორედ საბჭოთა ხელისუფლებამ გაუხსნა ფართო გზა ხალხურ შემოქმედებას. რა არის იმაზე უფრო ლამაზი, როდესაც ჩვენი კოლმეურნენი, მუშები ხალხური შემოქმედების დაუშრეტელ სიმდიდრის დემონსტრაციას ახდენენ. კარგია, რომ არსებობს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელიც საქართველოს ხალხური ხელოვნების ღირსებას იცავს. მაგრამ ცუდია, რომ ფეხის ხმას აყოლილი ზოგიერთი უსაქმო და უქნარა ახალგაზრდა ამ საქმეს თბილისის პროსპექტებზე ბაძავს. ეს უსაქმური ახალგაზრდობა საკავშირო ტრიბუნის მსჯელობის საგნად გახდა (მე მხედველობაში მაქვს ახლახან ჩატარებული საკავშირო ალკის ყრილობა). სამწუხაროა, რომ ეს გამოგონილი ქეიფი და ღრეობა ჩვენი მწერლობის სამკაულად იქცა. ყოველივე ამის გამო ქართული საბჭოთა მწერლობა, საბჭოთა ხელოვნება მკრთალად გამოხატავდა ჩვენს სინამდვილეს, სუსტად ეხმარებოდა ჩვენს ხალხს, ჩვენს სახელმწიფოს.

დაახლოებით ასეთი უმჯობესება საკოლმეურნეო თემატიკის ნაცემების საქმეში სექტემბრის ცნობილ პლენუმამდე.

ახლა ვიკითხოთ: რა გარდატეხა მოხდა ჩვენს მწერლობაში ამ ისტორიულ გადაწყვეტილებათა შემდეგ?

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართულმა მწერლობამ სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში გარკვეული მუშაობა ჩაატარა. ჩვენს ქუროლ-გაზეთებში დაიბეჭდა რამდენიმე ნაწყვეტი რომანიდან, რამდენიმე მოთხრობა, ესკიზი თუ ნოველა.

ცხადია, ზოგი ეს ნაწარმოები უფრო ადრე იყო მოფიქრებული და დაწერილი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ქართველმა მწერლებმა სექტემბრის პლენუმის დადგენილებათა საფუძველზე ისინი სათანადოდ გადაამუშავეს.

ამისდამიუხედავად, თანამედროვე ქართული მწერლობა მხოლოდ შეუღება იმ დიდი საქმეების მხატვრული წარმოსახვისათვის ბრძოლას, რომლებსაც ეწევიან ჩვენი სახელოვანი ადამიანები.

„ლიტერატურულმა გაზეთმა“ დაბეჭდა კ. ლორთქიფანიძის რამდენიმე ნაწყვეტი ახალი რომანიდან „ნატერის თვალი“. ამ ნაწყვეტების მიხედვით შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გაკეთება.

სოფლის მეურნეობის სურათების ფონზე აქ უკვე რამდენიმე პორტრეტი გამოჩნდა, უკვე მოხაზულია ზოგი საინტერესო სახე. ასეთებია კოლმეურნეობის გამარჯვებულთაგან ზაქარია ნაღბაიძე, ტრაქტორისტი კოლია დუბოვი, რაიკომის მდივანი ნიკო მჭედლიშვილი. ახალგაზრდა კოლმეურნე ქალი გოგოლა უგრეხელიძე. გამოქვეყნებული ნაწყვეტებიდან ისიც ჩანს, რომ ავტორს კოლმეურნეობათა გამსხვილება გამოუყენებია ამ ადამიანების ცხოვრე-



ზის, ფიქრების თუ ხასიათების გამოხატვის ფონად. კარგად არის დაპირისპირებული წარსული, როდესაც გლეხის შრომა გლეხის მარჯვენის ძალას ეყრდნობოდა, და ახალი დრო, როდესაც საკოლმეურნეო შრომის ბარაქას და დოვლათს მანქანა განაგებს. მკითხველს მკვეთრად ამახსოვრდება ღამით შირაქის ველზე კომბაინერის მუშაობის სურათი. ოსტატურადაა დახატული სამამულო ომიდან დაბრუნებული გიორგისა და უდროოდ დაქვირებული კოლმეურნე ქალის — გოგოლა უგრეხელიძის სატრფიალო ებიზოდი. რომში სწორად არის აღმართული საკოლმეურნეო მშენებლობის ზოგი მტკივნეული საკითხიც. ბრიგადირ დუმბოვის პირით ავტორი ამხელს ზოგიერთი უხეირო ხელმძღვანელის წყალობით პროფესიონალი ტრაქტორისტების, ამ უაღრესად საქირო კადრების, არასწორად განაწილების ფაქტს. ნაწყვეტი კ. ლორთქიფანიძისათვის დამახასიათებელი სახოვანი მეტყველებით იმსახურებს ყურადღებას.

უკანასკნელი პერიოდის ქართულ პროზაში, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ბ. ჩხეიძის მოთხრობა „ხოხბის წყაროსთან“. მოთხრობაში მტკივნეული პრობლემაა დასმული. როგორც ცნობილია, ჩვენი ახალგაზრდა სპეციალისტების ერთი ნაწილი გაურბის სოფელში სამუშაოდ წასვლას. ეს სენი ისეა მოდებული, რომ მის წინააღმდეგ ჩვენმა მწერლობამ ხმა უნდა აღიმართლოს. ბ. ჩხეიძის მოთხრობა ამ მხრივ საინტერესოა.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა აგრონომი, მარინე, დიდი ენთუზიაზმით მიემგზავრება სოფლად. მარინეს სოფელში აღმაცერად უყურებენ და აითვალწუნებენ კიდევაც. ამ სოფელში მათ ბევრი უნახავთ ასე ლამაზად ჩაცმული, ტუჩებ და ფრჩხილებშედებილი ქალიშვილი, რომელიც რამდენიმე დღის

შემდეგ უკან გაქცეულა: მარინე ყველაზე სკეპტიკოსი კოლმეურნეობის ამ ვარაუდს აბათილებს. მისი გულმოდგინედ შეუდგება მუშაობას; ოცნებობს ხოხბის წყაროსთან ვახის გაშენებაზე. შემდეგ შეუდგება კიდევ ზერების გაშენებას ხოხბის წყაროსთან. ბ. ჩხეიძე ახერხებს შეუნარჩუნოს გმირს ბუნებრიობა, უშუალობა და ასე წარმოადგინოს ახალგაზრდა სპეციალისტი თავისი საქმიანობა და განცდებით. მოთხრობა ინტერესით იკითხება.

ქურნალ „დროშაში“ დაიბეჭდა გ. შატბერაშვილის მოთხრობა „ხექალა“. მოთხრობაში ორიგინალურად არის დახატული სოფლის ახალგაზრდობა. კოლმეურნეობის კანტორაში მომუშავე ახალგაზრდა გოგონამ, რომელსაც მეტსახელად „ხექალას“ ეძახიან, კომბაინერს — მიტო თანდილაშვილს მინდორში მძინარეს მიუწერო. მიტოს საწვევი შემოაყვდა და კომბაინი გაუჩერდა. ხექალამ მისი მოტრფილე გიგასაგან ნაჩქარი ფოტოაპარატით მოხერხებულად გადაიღო მძინარე კომბაინერი და კედლის გახეთში მოათავსა. ეს დიდად იწყინა მოწინავე კომბაინერმა — თანდილაშვილმა, რომელიც არ არის გულცივი ამ ახალგაზრდა გოგონასადმი. მას ნამდვილად ჰგონია, რომ ყველაფერი ეს მოუწყობისმა მეტოქე გიგამ. და აი, გადაწყვეტს, გადაუხადოს სამაგიერო, შეარცხვინოს თავისი მეტოქე ბიჭი. კვირადღეს სოფლად შეკრებილ ხალხმრავალ მოედანზე საქიდაოდ იწვევს გიგას. თანდილაშვილი გამოცდილი მოკიდავეა. ომამდე ასევე ცნობილი მოკიდავე იყო გიგა, მაგრამ ომში მან დაჰკარგა ცერი და ახლა ეს ხელს უშლის. ამ მეტოქეების კიდაობის დროს სატრფო ანიშნებს მიტოს, რომ გიგას ცერი აქვს გაფუჭებული. ის თვითონაც ამჩნევს ამას და შეყვამანდება, ამით ისარგებლებს გიგა და წააქცევს მეტოქეს. ფი-

ნაღში ავტორი აღწერს დარესა და მიტოს შეხვედრის სატრფიალო რომანტიზებულ სცენას. მოთხრობაში მწერალი ორგინალურად და საინტერესოდ გვიხატავს სოფლის ახალგაზრდობის ცხოვრებასა და შრომას.

1953 წლის ეურნალ „მნათობის“ მე-10 ნომერში დაიბეჭდა ელ. ზედგინიძის მოთხრობა „ქორწილი“. ნაწარმოები იმ მოთხრობების ციკლს განეკუთვნება, რომლებიც ამ ბოლო ხანებში დაბეჭდა ე. ზედგინიძემ სოფლის მეურნეობის თემაზე „დაუვიწყარი ზაფხული“ საერთო სახელწოდებით. უნდა ითქვას, რომ მოთხრობების ეს ციკლი, რომლის თემაა საკოლმეურნეო მეცხოველეობა, ხასიათდება ორიგინალური ჩანაფიქრით და მხატვრული უშუალოებით. ეს ღირსებები მოთხრობა „ქორწილშიც“ იგრძნობა. განსაკუთრებით ეს შეეხება მოთხრობის ექსპოზიციას, სადაც აღწერილია კოლმეურნეობის ფერმა.

მოთხრობის ნაკლი ის არის, რომ ექსპოზიციას დაყენებული საკითხი, კოლმეურნე გოგონას განცდები, მისი იკვი და სულიერი მღელვარება, რაც ასე კარგად არის წარმოდგენილი მოთხრობის დასაწყისში, არ ვითარდება. ექსპოზიციას სულ სხვა ეპიზოდი მოსდევს. ეს არის პაპა დამიტრის, ძია რაქდენის წარსულის თუ ქორწილის მოგონებათა აღწერა. ექსპოზიციას ასე კარგად დახატული სურათი შემდეგ რამდენადმე ფერმკრთალი ხდება.

ეურნალ „დროშაში“ დაიბეჭდა თ. გოგოლაძის „მომავლის ჩირაღდნები“. აქ კარგად არის გამოხატული ნაომარი, მოწინავე ადამიანის სახე. ზღვის სანაპიროს ერთ-ერთ სანატორიუმიდან დაბრუნებული კოლმეურნეობის თავმჯდომარე ომგადახდილი შაქრო ფიქრობს, შავი ზღვის სანაპიროზე კოლმეურნეთა დასასვენებელი სახლი ააგოს. იგი პროექტის შესადგენად მოიწვევს თავის მეგობარს, ამავე კოლმეურნეობის

კულტურის სახლის პროექტის ავტორს, არქიტექტორ ქალს — ცოტას. ეს/ეს-კიზი თავდება შაქროსა და ცოტას შორის მიჯნურთ დიალოგით. მოთხრობა კუტრადღებას იმსახურებს წერის ორიგინალური მანერით. ოლონდ არ ვიცით, რატომ ჰქვია ამ ნაწარმოებს „მოთხრობა“. ეს უფრო მინიატურაა, ანდა ესკიზი.

ამ მოთხრობაში მხოლოდ ერთი ეპიზოდური პლანია, სიუჟეტი არ არის გაშლილი. ამ გარემოებაზე შევჩერდებით იმიტომ, რომ ამ ბოლო ხანებში მხოლოდ ორი სახელწოდება დამკვიდრდა: „რომანი“ და „მოთხრობა“. რატომღაც ლიტერატურული უფლება ჩამოერთვა ჩვენს მწერლობაში ესკიზს, სურათს, მინიატურას. მწერალმა, პირველყოვლისა, უნდა შეძლოს თავისი ნაწარმოების ხასიათის განსაზღვრა, და ეს ეანრობრივ თუ დარგობრივ დარქმეულ სახელშიც უნდა გამოიხატოს.

ამ ზოგადი მიმოხილვიდან ჩანს, რომ ქართულ მწერლობაში ცოტა არ იწერება, ისიც ჩანს, რომ ამ გამოქვეყნებულ ნაწარმოებებიდან ყველა არა დგას თავის სიმალლეზე, ყველა არ უპასუხებს იმ დიდ მოთხოვნას, რასაც საბჭოთა მკითხველი უყენებს ქართულ მწერლობას.

განსაკუთრებით საშუალოა ის ფაქტი, რომ ამ დიდ ისტორიულ ძვრებს, რომელთაც ადგილი აქვს ამჟამად სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეში, სუსტად გამოეხმაურა ქართული პოეზია. ამ ცოტა ხნის განმავლობაში კი ჩვენში ბევრი რამ ახალი მოხდა.

ჩვენმა პოეზიამ უკანასკნელ ხანებში დაკარგა მხატვრული ელვარება და მრავალფეროვანება, რაც მას ადრე ჰქონდა, დაკარგა აქტუალობაც.

ქართული პოეზია, რომელიც მუდამ დროზე ეხმაურებოდა ჩვენი ქვეყნის ყოველ ახალ მიღწევას, ამ ბოლო დროს საგრძნობლად ჩამორჩა. ეს მაშინ, როდესაც ჩვენს ეურნალ-გაზეთებში ყო-

ველდლიურად იბეჭდება უამრავი ლექსი ხშირად ტრაფარეტული, უსახო, უსაგნო. ჩვენს რედაქტორებს იმდენი გაბედულება უნდა გამოაჩნდეს, რომ თემატიკური აქტუალობა მიიწიოს მოსთხოვონ ამ მოძალებულ მელექსეებს.

ცხადია, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ვიქადაგოთ კამპანიურობა ამ საქმეში. ყოველი ახალი ნაწარმოები უნდა შევადგასოთ არა იმით, გამოეხმაურა თუ არა ის ამა თუ იმ კამპანიას, არამედ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ მოახერხა მან ამაღლებულად, განზოგადებულად და საინტერესოდ დაეხატა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ესა თუ ის პერიოდი, ესა თუ ის მოვლენა. ბელინსკი ამბობდა, რომ დრო ყველაზე დიდი, ყველაზე გენიალური, ყველაზე უცოდველი შემფასებელიაო. მხოლოდ ის ნაწარმოები უძლებს დროის გამოცდას, რომელიც ამა თუ იმ მოვლენას გამოეხმაურა არა კამპანიურად, არამედ მხატვრულად. ეს, რასაკვირველია, უნდა გვახსოვდეს. მაგრამ საბჭოთა მწერლობის მოვალეობა ხომ არის — ეხმარებოდეს ჩვენს ხალხს, სახელმწიფოს მახვილი მხატვრული სიტყვით? ასეთი როლი ჩვენს სახელმწიფოს ინტერესების გამოამატველ ლიტერატურას მაშინ შეუძლია შეასრულოს, როდესაც ის მალამმხატვრული სიტყვით ეხმარება დროის მიერ წამოჭრილ კითხვებს.

\* \* \*

ქართული საბჭოთა მწერლობის გადაუდებელი ამოცანაა, მონდომებით, მეტი ენერჯით, მეტი ინტერესით შეიჭრას და ჩაებას იმ სახალხო-საყოველთაო მოძრაობაში, რომელიც გაჩაღდა სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის და გამოხატოს ჩვენი ხალხის ეს შემოქმედებითი გმირული შრომა. მწერლებმა რომ ეს მოახერხონ,

საქიროა ცხოვრობდნენ თავიანთი ბედლინდელი გმირების ცხოვრებით და იმდიდრებდნენ შთაბეჭდილებებს მწიგნობის უფრო ახლოს უნდა გაეცნოს იმდიდ გარდატეხას, რომელსაც ამჟამად აქვს ადგილი სოფლის მეურნეობაში, გაეცნოს ამ მხრივ ყველაზე ტიპურსა და ყველაზე დამახასიათებელს.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტიპური შთაბეჭდილებისათვის დამახასიათებელი გარემოცვის შერჩევას, ამ გარემოებაზე ჯერ კიდევ დიდმა ლენინმა მიუთითა. 1919 წელს გენიალურ მხატვარს მაქსიმ გორკის დიდი ლენინი სწერდა: „თქვენ თავი ჩაიყენეთ ისეთ მდგომარეობაში, რომ არ შეგიძლიათ (ხაზგასმა ლენინისაა. ს. ჯ.) უშუალოდ შეამჩნიოთ ის ახალი რამ, რაც მუშისა და გლეხობის, ე. ი. რუსეთის მოსახლეობის %10-ის ცხოვრებაში ხდება. ისეთ მდგომარეობაში, რომ იძულებული ხართ ხედავდეთ ცხოვრების ნაგლეჯებს ყოფილ დედაქალაქში, საიდანაც მუშების საუკეთესო ნაწილი ფრონტებზე და სოფელში წავიდა და სადაც დარჩა არაპროპორციულად ბევრი უადგილო და უმუშევარი ინტელიგენცია, რომელიც სპეციალურად „გარს გესევათ“. და შემდეგ: „ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ინტელიგენცია (არა თეთრგვარდიელი) მოვიზიდოთ ქურდების წინააღმდეგ საბრძოლველად და უოველ თვეს საბჭოთა რესპუბლიკაში მატულობს პროცენტი ბურჟუაზიული ინტელიგენტებისა, რომლებიც კი არ ბუზღუნობენ და ცოფს კი არ ყრიან, არამედ გულწრფელად ეხმარებიან მუშებსა და გლეხებს. პიტერში ამის „დანახვა“ არ შეიძლება, ვინაიდან პიტერი ის ქალაქია, სადაც განსაკუთრებით ბევრი ადგილდაკარგული (და თავგზააბნეული) ბურჟუაზიული საზოგადოებაა (და „ინტელიგენცია“). მაგრამ მთელი რუსეთისათვის ეს უდაო ფაქტია“. (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 36, გვ. 438—39).

თუ ლენინი სიტყვის გენიალურ მხატვარს — მ. გორკის ურჩევდა, შეერჩია უფრო ტაბიური ვარემო იმდროინდელი რუსეთისათვის, მით უმეტეს, ეს შეეხება ისეთ მწერალს, რომელიც ხშირად ძველი შთაბეჭდილებით ცხოვრობს და ტაბიურსა და დამახასიათებელს არ იცნობს. ცხოვრების ცოცხალ გაცნობას, სინამდვილის უშუალოდ განცდას, მოვლენების ფაქტების უშუალო დანახვას რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს, ამ გარემოებაზე მიუთითებდა ი. სტალინი. სტალინი დემიან ბენდის სწერდა: „გირჩევთ მოაწყოთ ბაქოსკენ „გასეირნება“ — ეს საჭიროა. თბილისი ისე საინტერესო არ არის, თუმცა გარეგნულად ის უფრო მიმზიდველია. თუ თქვენ ჯერ კიდევ არ გინახავთ ნავთობის კაბურღილების ტყე, მაშინ „არაფერი ვინახავთ“. დარწმუნებული ვარ, ბაქო მოგცემთ უმდიდრეს მასალას ისეთი მარგალიტებისათვის, როგორც არის თქვენი „წვევის სამსახური“.

ამ ამონაწერიდან ჩანს, თუ რა არსებითი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების უშუალოდ გაცნობას. აქედან ისიც ნათელია, რომ მწერალი, რომელიც მუშაობს სოფლის მეურნეობის თემატიკაზე, საჭიროა ცხოვრობდეს, სწავლობდეს და დიდხანს სუნთქავდეს იმ ჰაერით, რომლითაც უნდა გააცოცხლოს მან თავისი ზვალინდელი გმირები.

ამეამად, სოციალიზმიდან კომუნისმში თანდათან გადასვლის პერიოდში, ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა კაპიტალიზმის ნაშთების ლიკვიდაცია. ჩვენს ქვეყანაში, სოციალისტური საზოგადოების ქვეყანაში, სადაც მოსპობილია ანტაგონისტური კლასები, არა აქვს ბაზა კაპიტალისტურ იდეოლოგიას, მაგრამ მას აქვს ერთგვარი ხერხი — კაპიტალიზმის გადმონაშთების სახით — ადამიანის შეგნებაში. საბჭოთა მწერლობა მოწოდებულია. დაეხმაროს ჩვენს სახელმწიფოსა და ხალხს ამ მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართული საბჭოთა მწერლობის დღეიწაია, რომ მას დღემდე არ შეუძლია ღირსეული მხატვრულ ნაწარმოებების წარმოსახული იყოს კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ მებრძოლი საბჭოთა ადამიანის ტაბიური სახე. კომუნისტური მორალის ადამიანისა და ძველი გადმონაშთების მატარებელ პიროვნებათა კონფლიქტი საინტერესო და საჭირო თემაა, რომელსაც ელოდება ჩვენი მოწინავე მწერლის კალამი. ჩვენი ლიტერატურის ძირითადი ამოცანა იყო და არის დადებითი გმირის სრულყოფილი განვითარება და გამოსახვა. დადებითი ტიპის შექმნა, რომელიც მილიონთა მიბაძვის საგანი გახდება შრომასა და ცხოვრებაში.

გადმონაშთები ადამიანის შეგნებაში სხვადასხვა ფორმითა და სახითაა გამოვლენილი. ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში შრომა იქცა მამაცობისა და გმირობის საქმედ. ჩვენ ყოველდღიურად ვეცნობით საბჭოთა პრესაში ფაქტებს ჩვენი ადამიანების შრომითი გმირობის შესახებ. მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანაში მაინც არიან ისეთი ჩამორჩენილი ადამიანები, რომლებიც შრომას გაურბიან და რომლებსაც შრომაზე ისეთი შეხედულება აქვთ, როგორც ერთ დროს ლეო ქიჩინელის გვადი ბიგვას ჰქონდა. გვადი ბიგვას მსგავსი ცუდლუქტი და მუქთახორა ადამიანები, სამწუხაროდ, დღესაც გვხვდებიან ჩვენს ცხოვრებაში. არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, თავი აარიდონ შრომას, ან ცოტა იმუშაონ და მეტი წაგლიჯონ სახელმწიფოს. ქართული საბჭოთა მწერლობა ვალდებულია, მხატვრული ნაწარმოების საშუალებით ნერგავდეს და ზრდიდეს შრომისადმი სიყვარულს. აზოგადებდეს იმ უამრავ მაგალითებს, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში.

როგორც ცნობილია, ჩვენი საზოგადოების ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს სოციალისტური საკუთრება.



ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა გამო-  
რიცხავს კერძო საკუთრებით გატაცე-  
ბას, პირად ანგარებას, მოგებაზე აგე-  
ბულ შურსა და მტრობას. ჩვენში აღი-  
ზარდნენ შესანიშნავი ადამიანები, აღი-  
ზარდა ახალი თაობა, რომელიც სახელ-  
მწიფოს ინტერესს, სოციალისტური სა-  
კუთრების დაცვის ინტერესს ყველაზე  
მაღლა აყენებს. მაგრამ არიან ისეთი  
ადამიანებიც, რომლებიც ანტისახელმ-  
წიფოებრივი ინტერესებით ხელმძღვა-  
ნელობენ, არ უფროსილდებიან სოცია-  
ლისტურ საკუთრებას.

ჩვენ დღემდე არ გვაქვს ისეთი სე-  
რიოზული მხატვრული ნაწარმოები,  
რომელშიაც წარმოსახული იყოს სოცი-  
ალისტური საკუთრების დაცვის, იდეა,  
დაგმობილი და გაიციხული იყოს კაპი-  
ტალიზმის გადმონაშთები, კერძომესა-  
კუთრული ინტერესები. ჩვენი მწერლო-  
ბის ვალია, გამოასწოროს ეს ჩამორჩენა.  
ქართულ საბჭოთა მწერლობაში ფართო  
გამოხატულება უნდა ჰპოვოს საბჭოთა  
სახელმწიფოს ისეთმა მამოძრავებელმა  
ძალებმა, როგორცაა საბჭოთა პატრი-  
ოტიზმი, ჩვენი საზოგადოების მორა-  
ლურ-პოლიტიკური ერთიანობის იდეა,  
ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობ-  
რობა.

ამ ბოლო დროს იმ ნაწარმოებებში,  
რომელთა თემა სოფლის მეურნეობაა,  
მოთხრობილია ან პირდაპირ, ან ჩართუ-  
ლი ეპიზოდების საშუალებით, მაგალი-  
თად, რუსი და ქართველი ხალხის მე-  
გობრობის შესახებ. ეს, უაღრესად მნი-  
შვნელოვანი და აქტუალური საკითხია.  
მაგრამ აქ საჭიროა მეტი მხატვრული  
სიღრმე, მეტი უშუალობა და მეტი გან-  
ზოგადება.

როგორც ზემოთ ვთქვით, ამჟამად ყა-  
ნირი და ნასვენი მიწების ასათვისებ-  
ლად წაეიდა მრავალი ქართველი ახალ-  
გაზრდა. ისინი მოძმე ხალხებთან ერთად

ამ დიდ სახალხო საქმეში ჩაებმებიან.  
ჩვენი მწერლობა ვალდებულია მას-  
დიოს მათ კვალს და გემურობას შემ-  
მოქმედებით შრომას. ეს ყველაზე უფ-  
რო საუკეთესო მასალა იქნება ხალხთა  
მეგობრობის გამოსახატავად.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტი-  
ლებათა განხორციელებისათვის ბრძო-  
ლაში ჩაბმული ხალხის შემოქმედებითი  
შრომის გამოსახატავად საინტერესო  
ფორმაა მხატვრული ნარკვევი. ეს რომ  
ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ ყველაზე კარ-  
გად სწორედ მხატვრული ნარკვევები  
გამოეხმარნენ სექტემბრის პლენუმის  
ლონისძიებებს. მე მხედველობაში მაქვს  
გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული  
ე. თორდუას ნარკვევი „დაბრუნება“  
(ტრაქტორისტის ნაამბობი) და ე. უბი-  
ლაეას „კოლხეთის მიწაზე“ ამ ქანრში  
ჩაბმული უნდა იქნენ ჩვენი მოწინავე  
მწერლები. აქაც ჩვენ კარგი ტრადიცია  
გვაქვს: ე. გამსახურდიამ ე. ლორთქიფა-  
ნიძემ, ა. ბელიაშვილმა არაერთი საინ-  
ტერესო ნარკვევი გამოაქვეყნეს რუს-  
თაის, კოლხეთის, სამგორის შესახებ.  
ეს გამოცდილება უთუოდ უნდა გამოვი-  
ყენოთ.

ბრძოლა სოფლის მეურნეობის მკვე-  
თრი აღმავლობისათვის ამჟამად სოცია-  
ლისტური მშენებლობის ერთი ყველაზე  
უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ ისტო-  
რიული ამოცანის განხორციელებას  
ჩვენი გმირული საბჭოთა ხალხი — მისი  
სახელოვანი კომუნისტური პარტიის  
ხელმძღვანელობით — წარმატებით და  
მტკიცე რწმენით შეუდგა. ეჭვი არ არის,  
რომ ქართული მწერლობა გვერდში  
ამოუდგება ჩვენს ხალხს და არ დაიშუ-  
რებს ნიჟსა და ძალას, რომ ცოცხალი,  
ქმედითი მხატვრული სიტყვით დაეხ-  
მაროს ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს პარ-  
ტიას ამ უდიდეს ამოცანათა განხორცი-  
ელებისათვის ბრძოლაში.

## საინტერესო ნარკვევები.



ლევან ასათიანის ნარკვევების კრებულში „სტალინი და ქართული ლიტერატურის საკითხები“ გამოქვეყნებულია მრავალი ფრიალ საინტერესო და აქტუალური საკითხი, დაწვეული ი. სტალინის აღრინდელი, ქართულად დაწერილი ნაშრომების ენობრივ-სტილისტური თავისებურებებით და დამთავრებული რეკლუციის მომღერალი პოეტების იმ ნაწარმოებთა მიმოხილვით, რომლებიც ქართული ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე ქვეყნდებოდა.

წიგნი იხსნება ნარკვევით „ი. ბ. სტალინის აღრინდელი ნაშრომები და ბრძოლა ქართული ენის სიწმინდისათვის“. ამ წერილში ავტორი არკვევს, თუ რა ნიშანდობლივი თვისებები ახასიათებს ი. სტალინის ქართულად დაწერილი ნაშრომების ენასა და სტილს. ცნობილია, რომ მარქსიზმის კლასიკოსები მუდამ მოითხოვდნენ ლიტერატურული სტილის სისადავესა და სიუხადეს. ამ მოთხოვნას თავიდანვე შტკიცედ და განუხრელად იცავდა ი. სტალინი. მისი ნაშრომებისათვის დამახასიათებელია აზრის მაქსიმალური სიუხადე, ფრაზის სიმკერვე და მოქნილობა, ენის სურათუნება, ხალხური ფრთხიანი ფრაზების მოშველება, მხატვრული სახეებისა და შედარებების სიმდიდრე და ა. შ.

სიკაბუკეშივე ი. სტალინი გვევლინება როგორც შესანიშნავი მკოდნე და ბრწყინვალე ოსტატი ქართული სალიტერატურო ენისა. მის ნაშრომებში ჩვენ გვაქვს არა ერთი და ორი მაგალითი იმისა, თუ როგორ იბრძვის ი. სტალინი სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცავად, ენის ბუნებისათვის შეუფერებელი სიტყვებისა და გამოთქმების, პროვინციალიზმების ხმარების წინააღმდეგ.

ი. სტალინის ბრძოლა ქართული ენის სიწმინდისათვის იმ დროს, როდესაც სასტიკად იდევ-

ნებოდა მცირე ერების და მათ შორის ქართველი ხალხის ეროვნული ენა და კულტურა, განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტია.

ნარკვევების ავტორი საუბრით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ასეთი მოკრძალებული დამოკიდებულება ენისადმი სამწერლო პრაქტიკაში გამოიმდინარებოდა იმ ღრმა თვარიული შეხედულებებიდან ენის ბუნებისა და მის საზოგადოებრივ როლზე, რომელიც ვერ კიდევ 900-იან წლებში შეიმუშავა ი. ბ. სტალინმა მარქსისა და ენგელსის შრომების საფუძველზე“ (გვ. 7).

ი. სტალინი ბრწყინვალედ ფლობს და თავის ნაწერებში ხშირად მიმართავს სატირასა და იუმორს, ამ საკითხს ლ. ასათიანის წიგნში სპეციალური გამოკვლევა აქვს მიძღვნილი. იგი მოთუფრო საინტერესოა, რომ, როგორც ცნობილია, კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ სპეციალურად გაამხავილა ყურადღება საბჭოთა სატირის განვითარების აქტიულებლობაზე.

შევევ სატირისა და იუმორის გამოყენება, ენის ხალხურობა, სტილის სისადავე და ემოციური სიმდიდრე, რაც დამახასიათებელია ი. სტალინის ნაწერებისათვის, ახასიათებს ავრთვე საერთოდ ქართულ ბოლშევიკურ პროკლამაციებს, რომლებიც ხალხში ნერგავდნენ დიდი ლენინის გენიალურ იდეებს. ამ პროკლამაციებს უშვეებდა რსდმპ კავკასიის კომიტეტი ი. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით. პროკლამაციების მნიშვნელოვანი ნაწილი თვით ი. სტალინის კალამს ეუფთნოდა. ამას ვარდა, როგორც ლ. ასათიანი შენიშნავს, „უოველ ებეს ვარეშა, რომ ი. ბ. სტალინი, უმეტეს შემთხვევაში, სხვა ამხანაგების მიერ შედგენილ პროკლამაციების ტექსტსაც გულმოდგინედ უყეებდა პოლიტიკურსა და ლიტერატურულ რედაქციას“ (გვ. 37).

ქართული ბოლშევიკური პროკლამაციების ენასა და სტილს წიგნში სპეციალური გამოკვლევა აქვს მიძღვნილი. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს უოველმხრივ არ განუხილავს

ლ. ასათიანი, სტალინი და ქართული ლიტერატურის საკითხები. „საბჭოთა მწერალი“ 1953.



აღნიშნულ პროკლამაციათა ენობრივ-სტილისტური თავისებურებანი და ზოგიერთი საკითხის მხოლოდ ზოგადი მიმოხილვით დაკმაყოფილებულა.

მაგალითად, ავტორი აყენებს დებულებას, რომ „ბოლშევიკური პროკლამაციების ტექსტი, იმისდა მიხედვით, თუ რა შინაარსს ატარებდა იგი, რომელ საზოგადოებრივ ფენისადმი იყო მიმართული, — იცვლიდა თავის ლექსიკურ შემადგენლობას, ინტონაციურ ხასიათს.

თავისებური სტილისტურ-ლექსიკური სპეციფიკურობით ზასიათდებოდნენ და ერთმანეთსაგან განარჩეოდნენ გლეხების, მეშენების, ჯარისკაცებისა და საერთოდ მოჭალაქეთა ფართო მასებისათვის განუთვნილი პროკლამაციები (გვ. 46—47).

ეს დებულება დასაბუთებული და სათანადო მასალები ილუსტრირებული არაა. სასურველი იქნებოდა, რომ ეს მეტად საინტერესო და საყურადღებო საკითხი ნარკვევებში უფრო ვრცლად უყოფილიყო განხილული.

სარეცენზიო წიგნის ერთ-ერთ საინტერესო და ფრიად მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს გამოკვლევა „ქართული მემკობა რევოლუციური პოეზიის სათავეებთან“. ამ გამოკვლევაში განხილულია ფართო მკითხველისათვის უცნობი რევოლუციონერი პოეტების ლ. იაშვილის, მ. პოპოვიძის და სხვათა შემოქმედება, მოკლეა მათი ბიოგრაფიაც, ამოკრებული უმთავრესად პირველწყაროებიდან. აქვეა განხილული ცნობილი რევოლუციური სიმღერების „მარხე-

ლიუზას“, „აერმელას“ და სხვათა ქართულ თარგმნის ისტორიაც.

**მ. რ. ქიქოძის**  
წიგნში სათანადო დაფასება უკვე დათმობილი არაა დიმიტრი რევოლუციური ლექსებს, რომელთაგანაც ბევრი მშრომელი მასების საყურადღებოდ იყო ქვეული.

ნარკვევების ავტორის საყურადღებო დაკვირვებანი აქვს წარმოდგენილი შენიშვნებში — „ი. ბ. სტალინის ნაშრომის კითხვის დროს“. აქ ნაჩვენებია, თუ რა ინტაქტურად იყვნენ ი. სტალინი თავის თხზულებებში რუსთაველის, უტიშინის, ნეკრასოვის, ნადსონის სტრიქონებს. იღონდ აქ ავტორს ყველაფერში ვერ დაკეთა მხედობით. „თხა და მგელი ერთად მოედეს“ და „ვთქუსთ კეთილი თესლი“ (იგულისხმება: სიტყვა, აზრი) საყოველთაოდ ცნობილი და გავრცელებული გამოთქმებია, მკვლის-ჭველი წარმოშობაა, ამიტომ აუცილებელი არ არის ისინი რუსთაველს (პირველი გამოთქმა) და ნეკრასოვს (მეორე) დაეუყვანოთ.

სარეცენზიო წიგნში მოთავსებულია აგრეთვე რამდენიმე გამოკვლევა ქართული ეტრნალისტიკის ისტორიიდან, ნარკვევებია: „ი. ბ. სტალინის წერილები საბჭოთა შერტლებიდან“, „აკაკი — „ინტერნაციონალი“ მთარგმნელი“ და სხვანი, მაგრამ ჩვენ მათზე დიფერენციალურად აღარ შევხერხდებით. ვფიქრობთ, ნათქვამზე უკვე საკმაო წარმოდგენას იძლევა ლ. ასაიანის წიგნზე, როგორც ფრიად საყურადღებო ნარკვევების კრებულზე, რომელსაც ინტერესით გაცნობა მკითხველი საზოგადოება.

**ზურაბ ჭუმბურიძე.**

„ბულგარული ლინგვატიკა“



საბალზადემოკრატიულ ქვეყნებში მეცნიერების, ლიტერატურის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა თვალსაზრისით წარმოდგენილია საბულებს დღეს საკმაოდ იკნობენ საბჭოთა კავშირის ხალხები.

კერძოდ, ბულგარეთის ისტორიისა და ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის საბჭოთა ქვეყანაში დიდი მუშაობა არის ჩატარებული. ბულგარული მწერლების ნაწარმოებთა თარგმ-

ნები გამოცემულია საბჭოთა კავშირში შეზავალი ხალხების მრავალ ენაზე და, მათ შორის, ქართულ ენაზედაც.

ქართული და ბულგარული ხალხების ერთდებურად ურთიერთობას ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინ ჩაეყარა საძირკველი. ბულგარეთში დღესაც შენახულია გრიგოლ ბაყრაიანის მიერ მეთერთმეტე საუკუნეში დაარსებული პეტრიწონის ქართული მონასტერი, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცნობილი იოანე პეტრიწი. საუკუნეების მანძილზე ბულგარული ხალხი

მიხვილ ქვესი ე. დ. ავა. ბულგარული ლინგვატიკა. — საბჭოთა მწერალი. 1953.



სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლები-სათვის. საწინააღმდეგო ბუნებრივია, თუ ამ ბრძოლას გულთან ახლო იღებდა და ბელგარულ ხალხს თანაგრძობობდა ქართველი ხალხი, რომელსაც არაერთხელ თეთი განუცადა თურქების შემო-სევა.

დღეს, როდესაც თავისუფალი ბელგარეთი დიდი სამართა კავშირის ძმური დახმარებით თავის ახალ ცხოვრებას ამწეებს, განსაკუთრებ-ბით საინტერესო და საჭიროა ჩვენთვის, რაც შეიძლება ახლო ვიცნობდეთ მეგობარი ქვეყნის ისტორიას, კულტურას და, კერძოდ, ლიტე-რატურას.

ბელგარულ და ქართველ ხალხებს შორის აზრობება და მტკიცობა მეგობრობა და კულტურული კავშირი. უკანასკნელი წლების განსაკუთრებით ქართულ ენაზე გამოცემულ იქნა ბელგარული ლიტერატურის თვალსაზრისწარ-მონადგენლების წარმოშობითა თარგმანები, მა-ღალბარისპირადად შესრულებული ჩვენი ცნობი-ლი მწერლებისა და კვალიფიციური მთარ-გმნელების მიერ.

მაგრამ აქამდე ჩვენ ვიცნობდით ბელგარულ-ლი მწერლობის წარმომადგენელთა მხოლოდ ცალკეულ ნაბელებს, უმთავრესად კლასიკო-სებს, და არ გვეჩინა სრული წარმოდგენა მთლიანად ბელგარულ ლიტერატურაზე.

ეს ხარვეზი შეავსო მიხვილ კვესელავან შრო-მამ „ბელგარული მწერლობა“.

ავტორი აღნიშნავს, რომ წიგნის მიზანია, წყლილი შეიტანოს საქართველოსა და ბელგა-რეთს შორის კულტურული კავშირის განმტო-ცების საქმეში და ჩვენს მკითხველს გააცნოს ბელგარული ხალხის ლიტერატურის ისტორი-ულმა იოქვას, რომ ავტორმა მაილწია მიზანს. წიგნი მათელ წარმოდგენას ვაძლევს იმაზე, თუ რა პირობებში და როგორ წარმოიშვა ბელ-გარული მწერლობა, როგორ ეთარღებოდა, რა მიღწევები აღიწინა წარსულში და რას წარმო-ადგენს ამჟამად.

ერცლად და საინტერესოდ არის აგრეთვე განხილული ბელგარული და ქართველი ხალხ-ების როგორც შორეული, ისე ახლო წარსულის ურთიერთობა. ავტორი საგულისხმო ფაქტებით მათელოფს ამ დიდ ურთიდლებას, რომელსაც ჩვენს ქვეყნის თვალსაზრისწარმოდგენა იჩინ-დნენ ბელგარული ხალხის ერთეულ-განმთავი-სუფლუბელი მოძრაობისაში და, კერძოდ, მი-სა მწერლობისაში.

ბელგარული ლიტერატურა, მისი განვითა-რების გზები, მკიდროდ არის დაკავშირებული ბელგარული ხალხის ბრძოლულობით ქვეყნულ დამპყრობთა წინააღმდეგ. ეს ლიტერატურა გა-მიხატავს თავისი ხალხის საუკეთესო მისწრა-ფებებს, ხალხთან ერთი პაერთ სუნთქვს, მი-სა გულის შესაიდუმლე და მემაიარხატრეა. ხრისტო ბოტევის, ლუბენ ყარაველოვის, ივანე ვახოვის, ნიკოლა ვაკაროვის და სხვათა ცხოვ-რება და შემოქმედება ცოცხალი გამოხატულე-ბაა ბელგარული ხალხის ბრძოლისა და მისწრა-ფებისა. მათზე თამამად შეიძლება იოქვას, რომ პარნათლად ემსახურეს თავის ქვეყნას და თა-ვისი სიცოცხლე მის სამსხვერპლოზე მიიტ-ნეს. მრავალი გამოიენილი ბელგარული მწერ-ლის ბედი ტრაგიკული იყო, მაგრამ მათი ცხოვ-რება და მოღვაწეობა იმდენად ამაღლებულე-ლი იყო, რომ ტრაგედია მოზანს, როგორც მტხნე-ბარე მოიუდება ბრძოლისათვის, როგორც საუ-კეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს თავისი ხალხის მოყვარული მოღვაწე.

მიხ. კვესელავან თავის წიგნში ბელგარული მწერლების მთამბეჭდავი ნაბეები დაგვიხატ-ავტორს კარგად იქვს დაკავშირებული თეთეუ-ლი მწერლის ბიოგრაფია მის შემოქმედებას-თან. ამით ის, ერთი მხრით, ცოცხლად წარმო-გვიდგენს ამა თუ იმ მწერლის მორალურ სა-ბებს და, მეორე მხრით, უფრო ნათელს პევენს მათს შემოქმედებას.

შეიძლება ითვას ნამდვილი ბელგარება არ განვიცდებით, როცა ამ დამიანთა ცხოვრებასა და ღვაწლს ვეცნობით. ვასილ ლევსკის, რომე-ლიც ხელში ნათეარდა იმსაღუთის ხელისუფ-ლებას, სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. ამ უში-მარი გმირი რევილუციონერის სიკვდილით დასჯა სახეიმი განწყობილებას უქმნიდა სულ-თანის მოთერობას, მაგრამ ლევსკიმ, ამ სიხარუ-ლის საშეალება რომ არ მიეცა დამპყრობლები-სათვის, ციხეში კვდელს თავი შეახუტა. ხრის-ტო ბოტევი, დიდმა პოეტმა და რევილუციო-ნერმა, თურქთა ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლა-ში გმირულად დაასრულა თავისი სიცოცხლე-ბევრმა მაიწინავე ბელგარულმა მწერალმა ემი-გრაციაში გაატარა თავისი სიცოცხლის მრავა-ლი წელი. პოეტი კომუნისტი ნიკოლა ვაკა-როვი 1942 წელს ფაშისტებმა დახვერტეს. სიკვ-დილით დასჯის წინ ის წერდა ოპტიმისტურ ლექსს, რომელშიაც გამარჯვების რწმენას გა-მოთქვამდა.

ხალხთან უმხლოესი კავშირი, ხალხის მისწრა-



უცხოთა გამოხატვა და ბრძოლაში მოწინავე რა-  
გებში ყოფნა — აი რა ახასიათებს მრავალ ბულ-  
გარულ გამოჩენილ მწერალს. არა კაბინეტში  
ჩაკეტილი შემოქმედნი, რომლებიც მოაშინებთ  
ძურწავენ სტრუქტურებს, არამედ დაუცხრომელი,  
დაუდგრომელი სული და სიტყვა ხალხისა — აი  
როგორ წარმოგვიდგებიან ისინი.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ როგორც მიხ. კვე-  
სელავა აღნიშნავს, ბულგარულ კლასიკური  
მწერლობისა და ეროვნულ-განმათავისუფლე-  
ბელი მოძრაობის მოწინავე წარმომადგენლები  
იდეურად მომწიფდნენ დიდ რუს რევოლუ-  
ციონერ-დემოკრატების — ჩერნიშევსკის, დობ-  
როლუბოვის, გერცენის და ბელიანსკის იდეების  
ზეგავლენით.

წიგნში ვრცლად არის განხილული ბულგა-  
რეთის მე-19 საუკუნის და შემდგომი ხანის  
მწერლობა და ინტერესს იწვევენ ის თავები,  
რომლებიც მიძღვნილია ა. კონსტანტინოვის,  
სტ. მიხაილესკის, ელინ-პელინის, სტრაშიმი-  
როვის, ჰ. იაყოროვის, ჰ. ტოდოროვის, დ. ბლა-  
გოვის, ზრ. სმირნენსკის და სხვათა შემოქმედ-  
ებასადაც. ამათგან ჩვენი ყვითხველი უფრო ახ-  
ლოს იცნობს შესანიშნავ პროზაიკოს ელინ-პე-  
ლინს, რომლის მოთხრობათა თარგმანი დაიბეჭ-  
და ქართულ ენაზე. ლექსილ სტოიანოვის, წარ-

სულში სიმბოლისტური მიმართულებანი თვალ-  
საჩინო წარმომადგენლის, ლიტერატურული მო-  
ღვაწეობის მაგალითზე ნათესავი უფრო უმე-  
დუნად ცხოველყოფილია მწერლისათვის ცხოვ-  
რების სინამდვილესთან დაახლოება, რა ფარ-  
თო პერსპექტივას გადაუშლის შემოქმედს  
ხალხთან ახლო ყოფნა. აქვე გვინდა აღვნიშ-  
ნოთ, რომ მიხ. კვესელავა ფრანგული სიმბო-  
ლისტების სწორ ანალიზს იძლევა. ფრანგ სიმბო-  
ლისტებს თავის დროზე, როგორც აეტოხი გე-  
თწყებს, უარყოფითი გავლენა მოუხდენია ბულ-  
გარეთის ლიტერატურაზედაც. იქნებ აქ უაღვი-  
ლო არ იყოს გავიხსენიოთ, რომ ეს პენე გავ-  
ლენა თავის დროზე ქართულში მწერლობაზე  
განიცადა და რომ, ბულგარული მწერლობის  
მსგავსად, ჩვენშიაც მხოლოდ რევოლუციის გა-  
მარჯვების შემდეგ გამოვიდა ლიტერატურა იმ  
ჩიხიდან, რომელშიაც ის დეკლარატორ-სიმბო-  
ლისტურმა მიმდინარეობამ მოამწყვდია.

„ბულგარული ლიტერატურა“ შეუნელებელი ინ-  
ტერესით იკითხება. ამ წიგნს ვარყვევლო შე-  
ყენებითი ღირებულება აქვს. ამით ჩვენს მკით-  
ხველს საშუალება ეძლევა გაიცნოს სლავური  
ხალხების ერთ-ერთ უმდიდრეს ლიტერატუ-  
რას.

სიგო კლდიაშვილი.

„ვასილ ტიორკინი“ ძაბთულად



აღუქსანდრე ტვარდოსკი თვალსაჩინო საბ-  
ჭოთა პოეტია. მისი პოემები: „ჯხა სოციალიზ-  
მისადაც“ (1930), „ვიანჩქეულები კვეჯანა“ (1934-  
36), „ვასილ ტიორკინი“ (1941-45) და „სახლი  
ჯხის პირას“ (1947) გამოხატავენ საბჭოთა ხალ-  
ხის ცხოვრების მნიშვნელოვან სოციალურ მოვ-  
ლენებს და დიდ როლს ასრულებენ საბჭოთა  
პოეტური ეპოსის განვითარებაში.

პოემა „ვასილ ტიორკინი“, რომელიც რუ-  
ლისტური ხელეუბნის შესანიშნავ ნიმუშს წარ-  
მოადგენს, დიდი სამამულო ომის თემას ასახავს.  
პოემის გმირის, — მამაკაცი, გონიერი, მზიარული  
საბჭოთა ჯარისკაცის, — მხატვრული სახე, ტიპი-  
ფრობის დონემდეა აყვანილი: ვასილ ტიორ-  
კინი საბჭოთა მეომრის ცოცხლად დახატული  
განხილადებული სახეა, გამოხატულია საბჭოთა  
ადამიანების იმ საუფეთეს თვისებებისა, რომ-  
ლებიც ჩამოყალიბდა და განმტკიცდა ჩვენს

ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის წლებში  
და მთელი სისრულით გამოვლინდა დიდი სამა-  
მულო ომის დროს.

მაგრამ არა მხოლოდ ღრმა იდეურმა შინაარ-  
სმა განაპირობა „ვასილ ტიორკინის“ დიდი  
პოეტურობა საბჭოთა მკითხველებში. პოემა  
ყურადღებას იპყრობს თავისი ხალხურობით და  
პოეტური უბრალოებით. ა. ტვარდოსკის პოე-  
მის ფორმა სადა და მარტივია, ნათელი და გამო-  
კვეთილია ყოველი სტრიქონი, რაც დადმნიშ-  
ნელოვან მოვლენებზე თავისუფალი პოეტური  
თხრობის საშუალებას იძლევა.

ამის გამო-საყვებით გასაგებია, თუ რაოდენ  
სინაქლეს წარმოადგენს ამ პოემის ადეკატური  
თარგმანი ქართულ ენაზე. უტყობა, მთარგმნელს,  
პოეტ ოთარ ჭერეძეს, დიდი სამუშაო ჩაუტარე-  
ბია, რათა ქართულ თარგმანში შეენარჩუნებინა  
„ვასილ ტიორკინის“ ხემალიშნული თავისებუ-



რებანი. უნდა ითქვას, რომ მთელი რიგი ადგილები ისევე ლალად და თავისუფლად ეღერს, როგორც ორიგინალი. პოემის ზოგიერთი თავის თარგმანში (მაგალითად: „ჯილდოს შესახებ“, „ორი ჯარისკაცი“, „ვინ ისროლა“, „გმირის შესახებ“, „გენერალი“, ტიორკინ-ტიორკინი“ და სხვ.) თ. კულიძემ შეძლო ხალხური სასაუბრო ინტონაციის, პოეტური საღებავების მრავალფეროვნების, მსუბუქი იუმორის, მხატვრულ სახეთა სიმკვეთრის, სიუვეტური სიტუაციების მოვლოდენლობის გადმოცემა და შესარჩუნება. მაგალითისათვის საქმარისა მოგიყვანათ ერთი ადგილი პირველი თავიდან:

მხარეულმა შეუბღირა  
და თან ფაფა დაჟმობა,  
„ბევრს მიითმევს ახალგაზრდა,  
აი ამის ჰქვია მადა“.  
თან ხმადაბლა შეტყობა:  
-- ამანაგო, ასეთ მადით  
აქ რა გინდათ? ფლოტში წადით.

აქ დაცელია ორიგინალის სიუვეტური სიტუაციის სიხშირე, იუმორის გრძნობა, ლექსის ფორმის სიმარტივე. და ასეთი ადგილები ცოტა როდია თარგმანში.

მაგრამ ეტყობა, მთარგმნელს ყველგან ერთნაირი გულმოადინებით და შეჯიბრებით არ უმუშაოა პოემის ტექსტზე. ზოგ ადგილს ემჩნევა ნაჩქარევი ხელი, აკლია ორიგინალის ტექსტის სერიოზული შესწავლა, რაც ხშირად იწვევს ზოგიერთი სიტყვისა და ხალხური გამოთქმის არასწორ გადმოცემას. გვხვდება, აგრეთვე, უფერულად თარგმნილი ადგილები, რაც ამდაბლებს ორიგინალის მხატვრულობას. მაგალითად, ტიორკინი ასეთი აღმადგომოვანებული სიტყვებით მიმართავს ეკობში ჩაწოლილ მებრძოლებს:

Ты, брат, — это батальон.  
Полк. Дивизия. А хочешь —  
Фронт. Россия! Наконец,  
Я скажу тебе короче  
И понятней, ты боец.

თარგმანში სრულიად დაკარგულია ორიგინალის ტონი:

დივიზია, პოლკი, ფრონტი  
და სამშობლო როგორც მშობილს  
მოკლედ გატყვი, გასაგებად  
შენ, მშობილო, ხარ მებრძოლი (გვ. 119).

პოემის ზოგი ადგილი მეტად თავისუფლად არის თარგმნილი. მაგალითად, ერთ-ერთ თავში შეუდარებელი იუმორით გადმოცემულია ის აზრი, რომ საბჭოთა მეთაურს წლის აჩუკ ერთ დროში არ სურს სიცილილი:

А весной — весной. Да где там!  
Лучше скажем наперед:  
Если горько гибнуть —  
Если осенью — не брать!  
Если в зиму дрожь берет,  
То весной, друзья, от этой  
Подлой штуки — душу рвет.

თარგმანშია:

გაზაფხულზე როგორ მოკვდები  
ღერჯ იების უნაბეი,  
ზაფხული თუ უკვდავდნი,  
შემოდგომაც უარყავი.  
ხამთაო თუ გულს მიწამლავს...  
ეს ხუმრობა სულს აწვითებს.  
გაზაფხულზე თმში სიცილილს  
მე ინდოებზე ნერასოდეს. (გვ. 92).

გარდა იმისა, რომ ყველაფერი აქ ძალზე დასწორებულია ა. ტვარდოსკის ტექსტისაგან, მთარგმნელს უნდა სცოდნოდა, რომ „полая штука“ (ლაბარაკია სიცილილი) და „штука“ (ხუმრობა) ერთიდაიგივე არ არის.

გადაიდგო ცალკეული ადგილების განხილვაზე. ტიორკინი სთხოვს მხარეულს, წვენი ცოტათი კიდევ დამიმატოს: „я вторую, брат, войну на веку воюю. Оцени, добавь чуток“.

მთარგმნელი წერს: „ეს მეორედ მოვები თმში, აა, კოხი, დამიფასე.“ (გვ. 7) გაუგებარია, რატომ უნდა აძლევდეს ტიორკინი თავის კოხს მხარეულს.

ტიორკინი შესვენებისას აპირებს მიღს: „вот он полы подтянул, укрывая спину, чью-то тещу помянул, печку и перину“. ესე იგი, ხერგხი გადახერხული მხარის კალთებს შეწკვავებს, და ვილაცის სიდფარს, ღუმელს და ბუმბულს შეუვრთობებს. მთარგმნელი წერს: „გადინტარავს საბურს ხერგზე, ტყბილი რული თვალს ედება, მას ვილაცის თბილი კრა და ბუმბული ახსენდება“ (გვ. 12). მთარგმნელმა ვერ შეძლო ხალხური გამოთქმის გადმოცემა, რადგან „помянул“ აქ სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ტიორკინს გაახსენდა ვილაცის „თბილი კრა და ბუმბული“. „Шел он, серый, борода-тый“ თარგმნილია: „უფერული იყო იგი, წვეროსანი, თანაც შავი“ (გვ. 17). თუ უფერული იყო, შავი როგორღა იქნებოდა?

ტიორკინი ჰყვება, თუ როგორ მიიყვანა მეთაურმა ჯარისკაცები თავის სოფელში: „А пришли туда мы поздно, и задами, коно-лей. Осторожный и серьезный, вел он всех к себе домой.“ თარგმანშია: „სოფლად გვიან რომ მივდით, მეთაურმა ხელად, მაშინ დარბაისლურ მორიდებით მიგვიწვია ყველა სახლში“ (გვ. 19). პირიქით, მეთაურმა სიფრთხილედ გამო-



ინინა და თავის სახლში ზღლად და პირდა პირ კი არ მიიყვანა უარისკაცები, არამედ შემოვლით, უკანა მხრიდან მიიყვანა, კანაფის ნათესებზე გაატარა.

მთარგმნელი რატომღაც სიტყვას „переправа“, ესე იგი მდინარეზე გადასვლას; თარგმნის, როგორც „გასასვლელი“, რაც რუსულად „выход“-ს ნიშნავს. ა. ტვარდოვსკის აქვს „переправа, переправа! Берег левый, берег правый. Снег шершавый, кромка льда“ თარგმანშია: „გასასვლელი, გასასვლელი, სანაპირო (?) მარჯვნივ, მარცხნივ, ვინდელი და თოვლი ზრეში“ (გვ. 25). უფრო ერთი, უნდა იყოს დენტურის ნაპირი და არა სანაპირო, მეორეც, „ზრეში“, იტყვიან უფრო კვიშის შესახებ, აქ უნდა იყოს „პორკლიანი თოვლი“ და არა ზრეში.

ტიორკინმა გამოცერა დენტური, მარცხენა ნაპირზე გამოვიდა, ერთი ჰიკა არაეკი დააღვლინეს, მან მეორეც მოითხოვა, პოლკოვნიკი ეძებნება, რომ ეს ზედმეტი აქნებოა. „Так два ж конца“ უკასვლებს ტიორკინი. მთარგმნელი წერს: „წყალი ოჯჯერ გამოცურავს“ (გვ. 33). არაა სწორი. ტიორკინი ეძებნება პოლკოვნიკს მეორეუკრავს ზომ უნდა გაეცუროს დენტური, ამიტომ მეორე ჰიკაც სურავდა.

ორიგინალშია: „Не докажешь, что твоя нынче хата с краю“ ესე იგი ვერაეის დააჯერებ, რომ ომი ჩენ არ ვებება აქ ტვარდოვსკის გამოყენებული აქვს სახლური გამოთქმა: „моя хата с краю“ თარგმანშია: „ვერაეის ვერ დააჯერებ, ვერ გიმეულის ფიცი“ (გვ. 35). რა შეუძია აქ „ფიცი“? „В заповедный бак гремела из ведра вода со льдом“ — თარგმანშია: „უედროებით ამოქონდათ წყალი კასრში გაყინული“ (გვ. 38). პირიქით: უედროდანი ყინულიან წყალს ასხამდნენ გაქვარტლულ კასრში. 44-ე გვერდზე მთარგმნელი წერს: „დაუტყრელი და უანმრთელი აღიმართა წინ ფაშისტის“ როგორ შეიძლება ადამიანზე სტყეა, რომ იგი „დაუტყრელია“. ორიგინალშია: „И поднялся незадаемый, цельный“ გ. ი. ფაშისტის ოფიცერი დატყრილი არ იყო.

პოემის ერთ-ერთი შესანიშნავი თავია „ჭარმონი“, მაგრამ აქ მთარგმნელი, ეტყობა, არ დაუტყროვს კარგად ტექსტს. ნდგომარობაა ასეთია: გარმონს უკრავს ტიორკინი, შოფერიც გაქანდა მისდენ, რომ მოასწროს და იცუვოს: „и бежит шофер тот самый, опасаясь опоздать“. შოფერმაც დაიწყო ცუკა: „И пошел, пошел работать... словно в праздник на вечерке“ და სხვ. მთარგმნელი წერს: „უცებ მათდენ ის შოფერი გამოიტანდა. მებრძოლს ეძებს... არ მიდინარა?! დიდამა. იმ შოფერმა მოსვლის უშაღ“. გაუგებრობაა! შემდეგ: „И пошел, по-

шел работать“ მეგარმონეს კი არ უკრავს, არამედ შოფერს, მთარგმნელი კი წერს: „მოთხოვა გაახურა მეგარმონემ სწორედ მისთვის“ მეგარმონემ „მეშაობა“ დიდი ხანს! რუსულად „мешать“. იქვე ნე-60 გვერდზე „წუთით შედგა მეგარმონე“ სრულიათაც არ გამოხატავს „приглушил газмони“, მეგარმონემ კი არ შეწყვიტა დაკრა, არამედ ცოტათი დაუწია გარმონს ხმა.

აგრეთვე გაუგებრობაა პოემის შემდეგი სტრიქონის თარგმნისას: „Выводи коней в ночное“. თარგმანშია: „ღამით ღლიწი გამოიყვინით“ (გვ. 90). მთარგმნელს ვერ გაუგია აქ სიტყვა „ночное“ დამეორეუკრავს არც კი უთარგმნია ანალოგიური ადგილს: „как траву шипали кони, что в ночное ты возил“. აქ ლაპარაკია ცხენების გაფენაზე ღამით ბაღახის საძოვრად და არა ღამით ღლიწი წასვლაზე ცხენით!

ორიგინალშია: „артиллер-» тонула, увязали тягачи“, თარგმანშია: „ქვევებები ველობოდა, ამოქონდათ გამწყვე ძალით“ (გვ. 115). „увязали“ სრულიადაც არ ნიშნავს „ამოქონდათ“, პირიქით. „სიბოზა უელის გრევილით კანბი“ (გვ. 134). გრევილა — озноб — სიცივისგან ხდება და არა სიბოზისგან. „А тоска, солдат. в придачу: как там дома. что с семьей“, ესე იგი უარისკაცს დარდი უკახებთან დაჰყვებოა. მთარგმნელს „придача“ გაუგია, როგორც „приданное“ და წერს: „სახლზე დარდი ნებრძოლს მსითყვე თან დაჰყვება გამუდმებით“ (გვ. 149). „Чую“ მთარგმნელს გაუგია, როგორც „ყენასავ“ და „великие дни... чую“ ასე თარგმნის: „ხელის დიდ ბრძოლებს დღეს წინასწარ ვენოსავ“ (გვ. 157).

ა. ტვარდოვსკი ერთ ადგილას იყენებს ხალხურ სასაუბრო გამოთქმას: „вам и книги в руки“, რაც ნიშნავს, რომ თქვენ უელადური მოგვხსენებთ, არაფერი არ გესწავლებათ: „а кому же книги в руки, как не Теркину теперь?“ თარგმანშია: „მეგობრებო, მეს თუ არა, ვის პირდება აბა წიგნი?“ (გვ. 169). სკეპისაა, რომ აქ წიგნი არაფერ შეუძია: ტიორკინმა იმდენი გადაიტანა, რომ მას აღარაფერი ესწავლება, უელადური იყოს. „Обойдись в пути большом, глупой славы ради, без любви — თარგმანშია: „მოიარე დიდი გზა, არ გმით დიდება, სიყვარულზე დიდი რა უკუყნად სხვა რა იქნება“ (გვ. 126). აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ უარისკაცმა „მოიაროს დიდი გზა“, არამედ: აბა თუ გასძღებ უსიყვარულოდ, რადგან საყვარელი ქალის „თვალთა მხერა უკანასკნელი“ არ ავიწყდება ნებრძოლს ომის დიდ გახუდავს. „И солдат мой поседельный, колы останется жинной“ თარგმნელია: „ჩემმა ბოლო უარისკაცმა თუ სიცილილებ-

გაიმარჯვა“ (გვ. 140) „Вот уже в крайней хаты поднял он ладонь к усам: — Молодцы! Вперед, ребята!“ თარგმნილია: „ბოლო კობთან დგება იგი, ხელს უღლაზე გადაისვამს? — ყოჩად, ყოჩად! წინ, ბიჭებო!“ (გვ. 143). ხელისუფლო უღლაშებთან (პირთან) მიიტანა, რომ ნებროთუღმა კარგად გაიგონ ბრძანება „წინ, ბიჭებო!“ „Артиллерия подавно не ударит в грязь лицом“ თარგმნილია: „ხარბანების ცეცხლი მტერი ცხვირით თხრიდა დედაშიწას“ (გვ. 144). გაპოტქმა „в грязь лицом не ударит“ ნიშნავს: თავს არ შეირცხვენსო, ესე იგი არტილერიია ისედაც თავს არ შეირცხვენს. ტიორკინი წერილს წერს, რომ მას სურს თავის ნაწილში დაბრუნება: „и охота мне скорей к ней в ряды вклиниться“, თარგმანი: „მასთან შედულაბება მწუფრია და შინა“ (გვ. 156). „Теркин мой махнул рукою: — Ладно. Можешь, — говорит“. აქ სიტყვა „говорит“ ენება ტიორკინს: გარმონზე დაჭრა შეგიძლიათ, ეუბნება ტიორკინი. თარგმანი: „ხელს ჩაიქნევს ტიორკინი: — გაქვს უფლება ღამათაის“ (გვ. 164).

გვიმანაღმა ჩამოიღო კედლიდან საათი, ალბათ ძვირფას ნივთად ჩათვალათ: „То ли вещь драгоценной те куранты посчитал,“ მთარგმნელი წერს: „მან საათი თუ ჩათვალა ძვირფას

ნივთად, კურანტებად“ (გვ. 173). მაგრამ კურანტები ხომ იგივე საათია? პაპა და დიდდა საარდაფში ემალებიან დასისტებს, უფროდ ნაბეჭდის ხმა გაისმა. პაპა ადგა: „за твоей рукой нарядный ред. заслонил старуху“, თარგმანი: „ცულს მარჯვენა წამოავლო, ცოლის სიტყვამ შეაბრუნა“ (გვ. 176). უნდა იყოს: ცოლის წინ დადგა. იქვე „Осыпается окоп. Обмерла старуха“ თარგმნილია: „მიწა კვდებიდან დაეყარათ. დედაცაი სმენდა იქა“ (გვ. 177). უნდა იყოს: დედაცაი შინში პიტანა, გამეშდა და არა „სმენად იქა“. „И жует сухарь немедля, потому — в Днепре намок“, თარგმნილია: „ხმელა სუხარს უწყოა ღლიღვა“ (გვ. 187). გვიმარმა „სუხარს“ დაუწყო მაშინვე ღეჭვა, რადგან დეგარზე გადასვლისას „სუხარი“ დაღმა. (მშელი საიდან გადასვლიან?) „жиловатый парень“ თარგმნილია: „სხველდამარცვული“ (გვ. 209), უნდა იყოს: ძარღვიანი, ღონიერი, და სხვ.

ამრიგად, გამოირკვა, რომ მთარგმნელს კიდევ მართებს იმეშავოს, რათა ქართულ მეთხველს მიანათოს „ვახალი ტიორკინის“ სრულდასოვენი თარგმანი.

ამ წერილის მიზანია, დაეხმაროს მთარგმნელს ამ საკასებისმგებლო საქმის შესრულებაში.

ნოდარ კუხუაძე.

## როდის კორქიას მოთხრობები



ჩვენი ნორჩი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა საბავშვო ლიტერატურის უპირველესი ამოცანაა. საბჭოთა მწერლობა მხატვრული სიტყვით ეხმარება სკოლასა და ოჯახს ბავშვების აღზრდის კეთილშობილურ საქმეში. ბერი ჩვენი მწერალი შთაგონებითა და სიფარულით წერს ბავშვებისათვის და ნორჩ მკითხველთა პატვისცემასა და სიყვარულს იზსახერებს. ასეთ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის როდონ კორქია.

მისი საბავშვო მოთხრობების ძირითადი თემებია: ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსული, სამოქალაქო ომის გმირული ეპიზოდები, სამამულლო ომი, მოხარბთა მამაცობა და პატრიოტიზმი, შრომა და ბეჯითობა, ზრდილობა და მოქალაქობრივი შეგნება.

წიგნში შეტანილი მოთხრობების დიდი ნაწი-

რ. კორქია, მოთხრობები, საბლიტვაში 1953 წ.

ლი სამოქალაქო ომის გმირულ ეპიზოდებს გვიხატავს. ამ მოთხრობებში ცოცხლად და საინტერესოდა ნაჩვენები პირველი ბუდიონელები, შრომის შეუპოვობა და თავგანწირულება. საბჭოთა წყობილების ერთგულებისათვის ნაწამები მიშა პოპოვი, რაიკომის ტენიკური მდივანი ქალის თავდადება, საბჭოთა არმიის დამხმარე მამაცი ბავშვები, და სხვ.

მოთხრობა „პირველი ბუდიონელები“ ნამდვილ ამბავება აგებული და ნათელ წარმოდგენას იძლევა ბუდიონისა და მის პირველ თანამებრძოლებზე. ამვე დროს იგი მკითხველს უღვივებს პატრიოტულ გრძნობებს და შეუპოვობის სულისკვეთებას. ბუდიონის მამაცობასა და შეუპოვობაზე მოგვიტობებს მწერლის მეორე მოთხრობაც „ბუდიონის პაპირსი“.

საინტერესო ამბავება აგებული რ. კორქიას მოთხრობა „მარილის აყვანი“ აქ დასატულია საბჭოთა პატრიოტი ბიქენას გმირობა. სამოქ-

ლაქო ომის მონაწილე უშიშარი ბავშვი მტრის ტყვიით იღუპება პერეკოვის ადგებს ღროს. მისი უსულო სხეული თხემზეტი წლის შემდეგ იპოვნეს. ის ზღვის ფსკერის მარლიან მიწას შეენახა, მკერდზე სისხლის ლაქა აჩნდა. როდესაც მას ასაფლავებდნენ, მკერდს ამ სისხლის ლაქის ნაცვლად წითელი ღრომის ორდენი უშველებდა. ამ მოთხრობას ნორჩი მკითხველები კარგად იცნობენ, რადგან იგი ჩვენს საყოლო სახელმძღვანელოებშია შეტანილი.

ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის ეხება რ. ჭორჭიას მოთხრობა „საწყალი მუშა“. მოთხრობაში ნაწვევებია ბათუმის მუშების პირველი რევოლუციური გამოსვლები. კაპიტალის ფრთხილი მართაშვიის ქარხანაში მომუშავე სომეხ და ქართველ მუშებს შორის ნაციონალური შედელის ჩამოგდებას ცდილობენ. ამ ღროს მუშებში რევოლუციის ცეცხლს აღვივებს „წინამძღვარი“ — ახალგაზრდა სტალინი. მისი შთაგონებითა და ხელმძღვანელობით, რეაქციონერთა ცდების საწინააღმდეგოდ, ქართველ და სომეხ მუშებს შორის ნამდვილი ძმური ურთიერთობა მყარდება. როდესაც სომეხი მუშა გეოქჩაელი ქარხანაში შექმნილი ცუდი სამუშაო პირობების გამო გარდაიცვალა, ქართველი მუშები ნამდვილ პიროსუფლობის გაუწევენ მას და თავის სამშობლო მხარეში წაასვენებენ. არ შეიძლება მოთხრობის ფინალია არ ადგელოს მკითხველი. როცა მუშებმა კუბო ვაგონში შეიტანეს, „ხლეა ხალხმა ქუდი მოხადა“, მვისვე ქაერში წითელი ღრომა აფრიალდა და „მარსელიოზა“ დააგუგუნეს: „საწყალი მუშა სამედამოდ შორდებოდა ბათუმს, სადაც თავისი წონა ოფლი დაღვარა“.

მოთხრობა ნორჩ მკითხველს აცნობს ჩვენი მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლების ერთ საინტერესო ფურცელს, რომელიც სტალინის ახალგაზრდობის წლების რევოლუციური მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული.

რ. ჭორჭია საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის გმირულ ეპიზოდებსაც ხატავს. ამ თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში მწერალი მოთხრობს მკითხველს მტრის ევრაჯულ მოქმედებებზე, საბჭოთა აღმინების გმირობასა და კეთილშობილებზე, პიონერ-მოსწავლეთა მამაკობასა და პატრიოტულ გრძნობებზე. ამ ციკლის მოთხრობებიდან აღსანიშნავია „ველსახვევი“, „მამამ გამოიგზავნა“ და „ოჯახის ბურჯი“.

ხალხთა მეგობრობის მაღალი გრძნობა მწერალს გამოხატული აქვს მოთხრობებში „თფრის ხატა“ და „ველგან შინა ვართ“.

სკოლასა და ოჯახთან ერთად საბავშვო ლიტერატურა ამოცანად უნდა ისახავდეს, ბავშვი შრომისმოყვარე აღზარდოს. მწიბრბერი „კონსტრუქტორი“ და „ღარია“ ამ მიზანს ემსახურებიან.

სოფლის მაღაზიაში კონსტრუქტორები მოიტანეს. მათ შორის დათიკოს ყურადღება სათამაშო ტრაქტორმა მიიპყრო, რომელიც, სათანადო მოწყობილობის მომართვის შედეგად, მოძრაობს. ბავშვი მას ვერ იძენს, ფული არა აქვს. ვერც ღედას სთხოვს, — ჭკვირი ვარო, ეტყვის, ბიძამისს შეეძლია ბიჭს უყიდოს ტრაქტორი. ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს, კარგი აგრონომია, მაგრამ... ამ ჩას ეუბნება ბიძამისი: „სხვისი ხელის შეშურებ, ნუ იქნები, თითონ გააკეთე. თუ ეს შეგიძლია“. არდადეგების ღროს ბავშვს საბჭოთა მეურნეობაში დაიბარებს და იქ შესადგურ საქმეს გაუჩენს. ორი კვირის შემდეგ დათიკო პირველ ხელფასს მიიღებს. ბიძამისიც დიმილით ეუბნება: აი ახლა შეგიძლია გაიარო მაღაზიაში და წაიღო ტრაქტორი. ფრთამსხველი დათიკო მაღაზიაში შეიღოს, კონსტრუქტორს ჩაიბარებს, მაგრამ გამუყიდველი ფულს არ იღებს, „გადახდილია ბიძამენმა გადაიხადა...“, ეუბნება იგი.

ბიძის სურდა, ბავშვი შრომაში წახეხისებინა, შრომის შედეგად განეცადა სიხარული და ეგრძნო შრომის მაღლი.

რ. ჭორჭიას მოთხრობების ენა სხარტია და ნათელი. მწერლის მიერ აღწერილი ამბავი კონკრეტულია და ვითარდება ცოცხლად და საინტერესოდ.

მაგრამ ყველა მოთხრობა როდია ერთნაირი ღირსებისა. ზოგიერთ ნაწარმოებში გვხვდება არაბუნებრივი დეტალები, ზოგან გაუბრალოებასაც აქვს ადგილი.

„სამგორის ყვავილი“ არც მოთხრობაა და არც ნარკვევი, ორივე ფანრის ელემენტებს შეიცავს. ნაწარმოების სტილი დღაღატობს რეალიზმს და ბევრგან უფრო სცენური პათეტოკის შთაბეჭდილებას ტოვებს. დიდილილეილი გოგონა ეთერი სამგორში სამუშაოდ ჩასულ ვაჟს ეუბნება:

— იცი, ქარზე, ამ ველზე სამი-ოთხი წლის წინათ არაფერი იყო, ახლა როგორ გამოცოცხლდა სამგორი... ჩემს სოფელსაც ბედი გაცხსნა: ვეკნება წყალი. ოჰ, ქარზე, რომ იცოდეთ, როგორ მოელის ჩვენი სოფელი იმ ბედნიერ დღეს, როცა წყალი მოვა?... ნეტავი ჩქარა დადგებიღეს

ის, ბედნიერი დღე!... — ინატრა ეთერმა და ქარუმს ნუშისფერი თვალები შეანათა.

ქარუმს გააფრთხილა სიხარულისაგან.

— დაეჩქარებთ, ეთერ, უეჭველად დაეჩქარებთ იმ ბედნიერ დღეს! — მიუგებს ქარუმი. ცხადია, ახალგაზრდები ასეთი უნით არ ილაპარაკებენ. მოთხორობის სტილი მწიგნობრული ასოციაციების არის დამძიმებული.

არტიპიტორ ამბავზეა აგებული მოთხორობა „სანერგეში“, ნაწარმოების მიხედვით, ბავშვები სოფლიდან რაიონის ცენტრში მიდიან მოსწავლეთა სარაიონო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად. გზა რომ დაიმოკლონ, სანერგეზე გაივილიან, უცებ შენიშნავენ, სანერგეში საქონელი შესულა და ნერგებს აფუკებს. ბავშვები

საქონელს გარეგავენ და, რაკი ღობე აფუკდა დაზიანებულია, საქონელს დარაჯობენ, რომ კვლავ სანერგეში არ შევიდეს. ამას გამო. ბავშვები ოლიმპიადაში ვერ მიიღებენ მონაწილეობას. მწერალმა ისინი თითქოს სახალხო საკეთიბრების მცველებად გამოიყენა, მაგრამ თავიანთ პირდაპირ საქმეს კი ჩამოაშორა. ასეთი მდგომარეობის შესაქმნელად მწერალმა სანერგის დარაჯი სხვა საქმეზე გადაზავა, სანერგისაგან მიმავალ ბავშვებს იქვე შუკაში შეახვედრა. მწერალმა არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქონელს ახლა სოფლად უმეტადალყუროდ არ უშვებენ. და, ამრიგად, ბავშვები არტიპიტორ მდგომარეობაში ჩააყენა.

გიორგი კახანიძე

## „სიცოცხლის წყარო“



პოეტი მ. ვარშანიძე ერთერთ აქტიურ პოეტურ ძალად ითვლება აქარაში მომუშავე ახალგაზრდა პოეტთა შორის.

ლექსების კრებულში — „სიცოცხლის წყარო“ პოეტს შეტანილი აქვს, როგორც იმ პერიოდის ლექსები, როცა მ. ვარშანიძე ჯერ კიდევ შემოქმედებითი ჩამოყალიბების პროცესში იყო. ისე შემდეგდროინდელი ლექსებიც.

მთელ რიგ ლექსებში „შშობლიურ მხარეს“, „აღალი იფოს“, „შენ მიყვარხარ“, „ჩემო მამულო უსაყვარლესო“, „მე მახარებს მხოლოდ ეს ეა“, „მამულს“, „სიყვარული“ და სხვა მ. ვარშანიძე გამოხატავს საშშობლოსათვის ბრძოლისა და თავდადების იდეას, მამულისადმი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას. პოეტი ამბობს:

დიად საშშობლოს გულთ ვადიდებ,  
მისი წყალი და მიწა მაიცოცლებს,  
მზით შემოხატულ გაშლილ ლაყვარდებს,  
მის უღამაზეს კალთას ვაკოცებ.  
ამ შთაველების დაცვისათვის მზად ვარ,  
აბა შშობლებმა რისთვის გამზარდა,  
და რომ დაეცე მტერთან ბრძოლაში  
იწ მომიგონებს საშშობლოს გარდა.  
ასეთივე პატრიოტული გრძნობითაა დაწერი-

ლი ლექსები „კოკლი“, „კორეული მებაღე“, (ბაღდა), „ლახის სიმღერა“, „მესხი ვარ“, „ამბობენ“ (ბაღდა), „ნიათა თქვა“, „შენ დამიკოცენ“, „ჩემი სიყვარული“, „მებრძოლის სიმღერა“ და სხვ.

ავტორი გულწრფელი ლირიული ხმით უმღერის ჩვენს დოცლათთან საყოლმურწყო მინდვრებს, წარმოებისა და მეურნეობის მოწინავე ადამიანებს, შრომის გამორებსა და ნოვატორებს, კომუნისტის დიდ მშენებლობებს, სოციალისტურ ქალაქებსა და სოფლებს.

მ. ვარშანიძე თავის ლექსებში მიმართავს ჩვენი ქვეყნის წარსულსაც, იგი გულისწეროებით იგონებს ოდესღაც სიღარიბითა და სიღატაკით დამონებულ უფუფულყო ადამიანების ცხოვრებას და აგუწერს, თუ როგორ ვახდენ ისინი შეძლებულ და უფლებამოსილ ადამიანებად. განსაკუთრებით საინტერესოა ის ლექსები, რომლებიც ასახავენ აქარელი ხალხის ცხოვრებას წარსულში და ახლა.

ძველ ნაშრომებში მუსტეინო, სადაც სიბნელე და სიღუბლიერ იყო გაბატონებული და ლექსებში კი ენატრებოდა მშრომელ ხალხს, ახლა უხვად ჩქედს სიცოცხლისა და სიმდიდრის დაუმრეტელი წყარო, ბოლო მივიღო საუკუნოებრივ სიბნელეს, კვლბრულ და ეკონომიურ ჩამორჩენილობას. ეს რადიკალური გარდატეხა, რაც მიღწეულია კოლექტიური შრომის



შედგად და რამაც ოდესღაც, ღატაკი მესხი გლეხი ახლა შეძლებულ კოლმეურნედ გახადა, კარგად აქვს გადმოცემული ავტორის ლექსში — „მოდი ნახე“, აქ კოლმეურნე მესხი ამბობს:

მესხი ვარ და ზღმადლიან

გზით დამომყვევებია,

ნახე რა არ მახადია,

რა არ მომიშენებია.

ვაზი რთველის ემსო ცერავს,

ღალისფერს მტევნებია,

ტკბილი ღვინო დამიწურავს,

ქვევრში ამიღვრებია.

საკოლმეურნეო თემის ეხება აგრეთვე ლექსები: „აუჯავად ზემო პატარა ბაღი“, „მდინარე“, „გამარჯვებელი მშრომელი მღერის“, „შმოხ-ლიერი სოფელი“, და სხვ.

სიღატაკთან ერთად მატარებელმა გლეხობამ თავი დააღწია ედუტორულ ჩამორჩენილობას. ფართოდ გაიშალა სწავლა-განათლების ქსელი: სოფლის მოსახლეთა ხარზად დაეწყო ახლებრი ცხოვრებას; სკოლის შემხეთავე კვარტლიანი კრატების წაცვლად სოფელში ელნათურები კამათებენ. ეს მოვლენაც შეუძნეველი არ დარჩენია ახალგაზრდა პოეტს:

ღამით კვარტლიან კრატს ვანათებდით,

(რა გვერნდა მტერი)

და ამსთვინავ შეძლებული

დაარქვეს მამას.

ღღეს გაგაკვირვებს ეს მიღამო,

მესტუმრეთ ერთი,

ნათურა ფანტავს ღანჯრებიდან

ოქრას და აღმას.

ლექსებში — „მათი აღბოძი“, „ამ გზით იარე“, „ღვინოს წურავს შენი ქალი“, „ორი აღუბლოს ზე“, „გოგო შეთვალა“ მ. ვარშანიძე გვიხატავს სოციალისტური წრისის სერათებს.

სამამულო ომის თემაზე დამერილი ლექსებიდან მაღალი პატრიოტული გრძნობით და მხატვრულობით გამოირჩევა ლექსები: „ფიქრები“, „ბრძანაჲს ტყეში“, „მებრძოლის სიმღერა“, „სიბარული“, და სხვ.

კრებულში დაბეჭდილია რამდენიმე ლექსი ხალხთა მეგობრობაზე და მშვიდობის თემაზე, ამ ლექსებიდან აღსანიშნავია: „გამარჯვების სიმღერა“, „პარათები“, „მეგობრობას გავ-მარჯოს“, „პირილი ვოლფის სანაპიროზე“,

„მშვიდობა“, „მშვიდობის მტრები“, „დროშა“, „ჩუქრომიანი ქვები“, და სხვ. **ქვეყნული ლექსები** „მთხა იყავი, მაღლდნ მქნე ქვეყნ-კნებოდა“ გამოხატულია ი. სტალინის მძიმე ავადმყოფობის წუთებში მთელი მსოფლიო მშრომელთა მასების გულსტკოფილი.

ლირული ლექსებიდან გამოირჩევა „ღედის ზაღმა“, „წყარო“, „ასოცი წლის კაცი“, „დედა“, „პატარა მწყემსის ამბავი“ (მაღადა) „ხვაშიადის გამხელა“ (მაღადა), „გამოგონებელი“, „ირემი“, „მოდი, ჩემო მეგობარო“, „ოქროს საათი“, „მზებეღარი მთაში“ (პოეტის ნაწევრები), „ნუ მწერ“, და სხვ.

არ შეიძლება არ შევეხებით კრებულში შემწნეულ ზოგიერთ ნაკლოვნებასაც პირველ ყოვლისა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდა პოეტი ზოგჯერ არ აქცევს ყურადღებას ლექსის წინაარსობრივ მხარეს, რის გამო მკითხველისათვის გაუგებარი რჩება, თუ რას ამბობს ავტორი. ასეთ ლექსებს გეტყვინათ: „მოპირდა-პირანი“, „დაბადება“, „სიყვარული“, „გოცუბლდა ზევენი ზე ნამეხარი“, „მოხელე კაცი ამბობდა“, „თუ შემოიყვარებს ქართული“, და სხვ.

გარდა ამისა, ბევრი ლექსი ერთმანეთისაგან არ განირჩევა თემატიკურად და წინაარსობრივად. სათაური რომ წავშალოთ და ერთიმეორის მიყოლებით გადავიკითხოთ, ყველა ისინი ერთი ლექსი გვეგონებათ. ასეთებია, მაგ. ლექსები — „შენ დამიკონე“, „შენ გობარბე“ და სხვ.

ზოგიერთ ლექსში ეხედებით ასეთ შედარებასა და გამოთქმებს:

... შენ, წინაპრების პატარა ქვევრო,

ცას რომ გასურებ, როგორც არწივი.

შეუწამამო შედარებთა.

... რამდენი წელი ბრძოლებში ვაღნა,

ჩვენ სიფლავშიც კისხამლით აბჯრებს,

მეტისმეტად გადაპარბეზულია მკვდრები აბჯრებში! არც ასეთი სტრიქონები ვარგავა „ზღაზე მზე ღვს“, „ცამ ბუერი ღღევი დასტრა“, „მკერდი ვარსკვლავით ანასტავები“, და სხვ.

მ. ვარშანიძის ლექსების კრებული „სიკოცლის წყარო“ ავტორის შემოქმედებითი წინსვლის მაჩვენებელია.

**შალვა ღონდაძე.**



ნარკვევი ქართული ხუროთმოძღვრების ორი მნიშვნელოვანი ძეგლის შესახებ.



საქართველოში ბევრი ზუროთმოძღვრული ძეგლი ჯერ კიდევ ნაწილობრივია შესწავლილი, ბევრიც მთლიანად შეუსწავლელია. მათი მცენიერული გამოკვლევა და მკითხველთა ფართო მასებში პოპულარიზაცია ქართული ხელოვნების ისტორიკოსთა სამატო ამოცანას წარმოადგენს.

სწორედ ასეთ მზანს ისახავს რტ. მეცნიერებათა კანდიდატის პ. ზაქარაიის მეცნიერებულ-პოპულარული ნარკვევი „ბოლნისის სიონი და წულრულაშენი“.

ავტორს განუზრახავს გავაცნოს, ქართულ სამკცნერო ლტერატურაში კარგად შესწავლილი ქართული ზუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი ძეგლი — ბოლნისის სიონი. წინაში განხილულია სოფელ ქვემო ბოლნისის მახლობლად მდებარე სამკელსიანი ბაზილიკა და ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის გელსია წულრულაშენი. სამივე ნაგებობა ტერიტორიულად ერთმანეთის აბლოს მდებარეობს და სწორედ ამითაა მოტივირებული სხვადასხვა ეპოქაში აგებული ამ ძეგლების ერთად განხილვა.

შესავალ ნაწილში ავტორი იძლევა ქვემო ქართლის ამ კუთხის ისტორიულ-გეოგრაფიულ მიმოხილვას, სადაც არის აგებული აღნიშნული სამივე ტაძარი. წიგნს დართული აქვს ამ რაიონის გეოგრაფიული რუკა, რომელზედაც აღნიშნულია ძეგლების ზუსტი მდებარეობა.

ავტორი ეტება ბოლნისის წარწერების განაკეთებულ პალეოგრაფიულ მნიშვნელობას. წარწერებს ქართული დამწერლობის ისტორიაში უპირველესი ადგილი უყავია, რადგან ამათზე უფრო ადრინდელი დამწერლობის დართობებული ნიმუშები ქართულ პალეოგრაფიას არ მოეპოვება.

ბოლნისის სიონის გრანდიოზული შენობა თავისი ტიპით სამწვიან ბაზილიკას წარმოადგენს. ბაზილიკა ქრისტიანული რელიგიური საკულტო ნაგებობის უძველესი ფორმაა.

ავტორი განიხილავს ბოლნისის სიონის გარე მასებს და აღნიშნავს, რომ „ქართული ზუროთ-

მოძღვრების განვითარების ამ ადრინდელი პერიოდის შემოქმედნი თავიანთ ამოცანად ისახავდნენ შიდასივრცის გადაწყვეტას მაქსიმალურად დახვეწილი ფორმებით და შედარებით უფლებულყოფდნენ ფსაადებს“ (გვ. 27). ამის მიზნად ისუნდა მოვიწინათ, რომ ქრისტიანული ტაძარი წარმოადგენდა არა ღეთების სახლს, არამედ უნობას, რომელშიც ქრისტიანები ლოცვასა და ღეთისსამატრებას ეწეოდნენ. ამ შემთხვევაში გასაგებია, რომ ზუროთმოძღვარი მტ მნიშვნელობას ანიტება ტაძრის შინაგანი სიფრცეხის გადაწყვეტას, თუკია შედგამს პერიოდში ტაძრის გარე ფორმებსაც დღი ყურადღება მიუქცია.

წიგნი განხილულია ქვემო ბოლნისის სამკელსიანი ბაზილიკაც, სამკელსიანი ბაზილიკა, წარმოადგენს ისეთ ნაგებობას, რომლის სამი ნაკვი ერთმანეთისაგან გამოყოფილია კედლებით და არა თაღოვანი სვეტებით, როგორც ეს ბოლნისის სიონში გვაქვს.

შესამე ძეგლი, რომელიც ავტორმა განიხილა, წულრულაშენის ტაძარია, რომელიც აგებულაუნდა იყოს მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედში. ამ დროის ქართულ ზუროთმოძღვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. ცხდად ჩანს სწრაფვა შენობის გუმბათის სწორკუთხოვანი ფორმისაკენ, რომელშიც ჯვარია გამოსხეული. პ. ზაქარაიის ეს წიგნი მეცნიერულ პოპულარული ნარკვევის დანიშნულებას ყოველმხრივ ამართლებს. იგი დამწერილია სადა ქართულით.

წიგნი არ არის დამწერილი საქართველოს ისტორიისაგან, წვენი ქვეუნის ცხოვრებისაგან მომწვეტრალად. ავტორი ზუროთმოძღვრულ ძეგლებს არ განიხილავს, როგორც მხოლოდდამხოლოდ რტატურ მნიშვნელობათა ნიმუშებს. ამ ძეგლებს იგი უყავშირებს ქართული ხალხის სულურ სწრაფვას სიმკვენიერისა და საკეთისაკენ, მის ბრძოლებს დამოუკლებლობისათვის და გვირვენებს ქვეუნის ენტატრული განვითარების შესახებ.

ავტორი წიგნების გამოცემა ქართულ მკითხველთა ფართო მასებისათვის უსათუოდ მისასალმებელია.

ბუჩაჩ ზეღზინიძე.



პ. ზაქარაია. ბოლნისები და წულრულაშენი. ხელოვნება. 1953.

**გ ა ს ო რ ა ვ ა**

ჟურნალ „მნათობის“ 1954 წლის მე-2 ნომერში დაბეჭდილ პროფ. ჯ. ზაქა-  
 პურიძის წყრილში „საქართველოს შეერთება რუსეთთან“ დაშვებული კორექტურ-  
 რული შეცდომები უნდა გასწორდეს შემდეგნაირად:

გვერდი	ზემოდან	არის	უნდა იყოს
127	4	120	40
128	6	1891	1801
131	6	1888—1889	1888-1889
131	19	293446 ათასი	2.346 ათასი

ამავე ნომრის 157-ე გვერდზე ზემოდან პირველი სტრიქონი უნდა იკითხებო-  
 დეს ასე: „1905 წელი, სოციალური და პოლიტიკური გრიჯალების...“ შემდეგ —  
 როგორც ტექსტშია.

„მნათობის“ მე-3 ნომერში 132-ე გვერდზე კვეთიდან მე-8 სტრიქონი უნდა  
 იკითხებოდეს ასე: „...თანმიმდევრულად იბრძვიან სოციალური და ნაციონალური  
 ზაფხრის წინააღმდეგ“. შემდეგ როგორც ტექსტშია.

10/57  
ფანო 8 826.

Госсувлич в .КА

1 12 1957



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-  
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ